

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თენგიზ თაქთაქიშვილი

აგროსასურსათო სექტორის სუბსიდირების მიკროეკონომიკური ეფექტები  
საქართველოში (მევენახეობის მაგალითზე)

დისერტაცია

ეკონომიკის დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ია ნაცვლიშვილი

თსუ ასოცირებული პროფესორი



თბილისი 2016

## შინაარსი

შესავალი.....	3
1. აგროსასურსათო სექტორის სოციალურ-ეკონომიკური როლი .....	14
1.1 აგროსასურსათო სექტორის არსი და მახასიათებლები.....	14
1.2 საქართველოს აგროსასურსათო სექტორი .....	25
2. აგროსასურსათო სექტორის სუბსიდირება და მისი შედეგები.....	38
2.1 საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა .....	38
2.2 აგროსასურსათო სექტორის სუბსიდირების მიზნები.....	48
2.3 აგროსასურსათო სექტორის სუბსიდირების ფორმები .....	64
2.3.1 ევროკავშირის მაგალითი.....	76
2.4 აგროსასურსათო სექტორის სუბსიდირების შედეგები.....	89
3. აგროსასურსათო სექტორის მხარდაჭერა საქართველოში .....	109
3.1 სახელმწიფო პროგრამები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში .....	109
3.2 მევენახეობის სუბსიდირება საქართველოში.....	123
4. მევენახეობის დარგის სუბსიდირების მიკროეკონომიკური ეფექტები .....	139
4.1 მევენახეებზე სუბსიდიების გავლენის კვლევის მოდელი .....	139
4.2 რაოდენობრივი კვლევის შედეგები .....	148
4.3 შემთხვევის ანალიზის შედეგები .....	156
დასკვნები და რეკომენდაციები.....	165
გამოყენებული ლიტერატურის სია .....	173
დანართი .....	181

## შესავალი

**პრობლემის აქტუალობა.** აგროსასურსათო სექტორი ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მისი როლიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა ახორციელებს ამ სექტორის მხარდამჭერ ღონისძიებებს. ამ ღონისძიებებს აქვს სხვადასხვა ფორმა, დაწყებული სოფლად ინფრასტრუქტურის გამართვით და დამთავრებული აგრარული პროდუქციის მწარმოებლებისთვის გარკვეული სუბსიდიების გამოყოფით.

აგროსასურსათო სექტორის სუბსიდირებას განსაკუთრებით ხშირად ის ქვეყნები მიმართავენ, სადაც ბაზარზე დომინირებს იმპორტირებული პროდუქცია, ადგილობრივი მწარმოებლები არ არიან კონკურენტუნარიანები, ისინი უმეტესწილად არიან მცირე ზომის მეურნეობები, შეზღუდულია მათი წვდომა საჭირო ფინანსურ და მატერიალურ რესურსებზე და ა.შ. ასეთ დროს მიიჩნევა, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იქნება შექმნილი სიტუაციის გამოსწორება და ეროვნული წარმოების განვითარება.

აღნიშნული პრობლემების უმეტესობა განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას გააჩნია ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები და სამუშაო ძალის დიდი ნაწილი კონცენტრირებულია სოფლად, სექტორის განვითარების დონე არასახარბიელოა. გამომდინარე აქედან, სიტუაციის გამოსასწორებლად სახელმწიფო მიმართავს გარკვეულ მხარდამჭერ ზომებს.

სახელმწიფოს მხარდაჭერა განსხვავებულია სხვადასხვა დარგის მიხედვითაც. საქართველოში მევენახეობის დარგს ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მისი სოციალურ-კულტურული როლიდან გამომდინარე. შესაბამისად, სახელმწიფოს მხარდამჭერი პოლიტიკის განხორციელებისას ეს დარგი პრიორიტეტულია და განსაკუთრებული ძალისხმევაც სწორედ აქ არსებული პრობლემების მოგვარებისკენაა მიმართული.

საქართველო უძველესი ღვინის მწარმოებელი ქვეყანაა. აქ აღმოჩენილია რვაათასწლოვანი ვაზის წიპწები და თიხის საღვინე ჭურჭელი, რაც მრავალ მეცნიერს აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სწორედ საქართველოა ვაზისა და ღვინის

სამშობლო. ამ მოსაზრებას ამყარებს მრავალი არგუმენტი, მათ შორის ქვეყრის ღვინის დაყენების ტრადიციული ქართული მეთოდი, რომელსაც იუნესკომ არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი მიანიჭა. გარდა ამისა, ცნობილია 500-მდე ქართული აბორიგენული ვაზის ჯიში.

საუკუნეების განმავლობაში საქართველოში ყალიბდებოდა როგორც ვენახის მოვლისა და ღვინის დაყენების, ასევე ღვინის სმის დამახასიათებელი კულტურა და ტრადიციები. შედეგად, ვენახმა და ღვინომ მეურნეობების საარსებო საშუალების გარდა შეიძინა მნიშვნელოვანი სოციალური და კულტურული დატვირთვა.

საქართველოში არსებული ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია მევენახეობის განვითარებისთვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია კახეთის რეგიონი 25-ზე მეტი მიკროზონით, სადაც გვხვდება მაღალი ხარისხის ტკბილი, მშრალი, ნახევრადმშრალი წითელი და თეთრი ღვინოების ფართო ასორტიმენტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია რამდენიმე გამორჩეული ჯიში, რომლებმაც ფართოდ გაუთქვეს სახელი ქართულ ღვინოს, ესენია: ხვანჭკარა, საფერავი, რქაწითელი და ა.შ. კახეთის რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მევენახეობა წარმოადგენს ძირითად საქმიანობას და მისგან მიღებული შემოსავალი ხშირად ერთადერთი საარსებო წყაროა.

მე-20 საუკუნეში ქართული ღვინის გასაღების ბაზარი იყო რუსეთში, უკრაინასა და სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, სადაც კარგად იცნობენ და აფასებენ ქართულ ღვინოს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ბაზარი იყო საქართველოდან ღვინის ექსპორტის მთავარი დანიშნულების ადგილი, რომელზეც მოდიოდა ქართული ღვინის ექსპორტის დაახლოებით 80 პროცენტი. წლიდან წლამდე სულ უფრო დიდი რაოდენობით ღვინო გადიოდა რუსეთში. ეს ტენდენცია შეწყდა 2006 წელს. რუსეთის ხელისუფლებამ ემბარგო დააწესა ქართულ პროდუქციაზე და ღვინის მწარმოებლებმა დაკარგეს მათი პროდუქციის გასაღების უმსხვილესი ბაზარი.

ქართული ღვინის ექსპორტი იმდენად იყო დამოკიდებული რუსულ ბაზარზე, რომ მისი ჩაკეტვისგან გამომწვეული დანაკარგების კომპენსირება მოკლევადიან პერიოდში შეუძლებელი აღმოჩნდა. რუსეთის ბაზრის დაკარგვამ ღვინის მწარმოებლების წინაშე დააყენა ახალი რეალობა, სადაც მათ უნდა განეხორციელებინათ შემდეგი ღონისძიებები:

- ახალი ბაზრების მოძიება, პირველ რიგში იმ ქვეყნებში, სადაც ქართული ღვინის ცნობადობა მაღალი იყო. აქ იგულისხმება პოსტ-საბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნები;

- საქართველოს მთავრობის მიერ, ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების გამარტივების მცდელობის ფონზე, ევროპული ბაზრის ათვისებაზე ზრუნვა;
- გამომდინარე იქიდან, რომ რუსულ ბაზარზე გაყიდული ქართული ღვინის ხარისხი ზოგჯერ არცთუ ისე მაღალი იყო, საჭირო გახდა ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, რათა ქართული ღვინო კონკურენტუნარიანი გამხდარიყო ევროპულ ბაზრებზე. ეს კი, თავის მხრივ, დამატებით დანახარჯებთან იყო დაკავშირებული;
- მარკეტინგული ღონისძიებების ორგანიზება ახალი ბაზრების ასათვისებლად და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ღვინის მწარმოებელ კომპანიებს ერთი მხრივ, შეუმცირდათ მოთხოვნა მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე, ხოლო, მეორე მხრივ, გაეზარდათ ხარჯები, რამაც განაპირობა მათ მიერ მოთხოვნილი ყურძნის რაოდენობისა და მევენახეებისთვის შეთავაზებული ფასის შემცირება.

ღვინის მწარმოებელი კომპანიების დიდ ნაწილს უკვე გააჩნია საკუთარი ვენახები და საწარმოო ნედლეულის უდიდეს ნაწილს სწორედ საკუთარი ვენახებიდან იღებს. შედეგად, კიდევ უფრო ზარალდებიან ის საოჯახო მეურნეობები, რომლებიც მევენახეობით ირჩენენ თავს. მათმა ნაწილმა ემბარგოს დაწესების შემდეგ დაიწყო ვაზის გაჩეხვა და მისი ჩანაცვლება სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებით. პარალელურად იზრდებოდა ზეწოლა მთავრობაზე, რომ მას გაეწია მხარდაჭერა მევენახეებისათვის. სწორედ ამ დანაკარგების საკომპენსაციოდ, 2008 წლიდან საქართველოს მთავრობამ დაიწყო მევენახეების სუბსიდირება, უხდის რა მათ გარკვეულ თანხას ღვინის მწარმოებელი კომპანიებისთვის ჩაბარებულ თითოეულ კილოგრამზე.

სუბსიდირების პოლიტიკას დასაწყისშივე ჰყავდა როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები და დღესაც, სამეცნიერო წრეებსა თუ სამთავრობო დონეზე მიმდინარეობს კამათი სუბსიდირების ფორმებისა და საერთოდ მისი მიზანშეწონილობის თაობაზე. უკმაყოფილონი არიან მევენახეებიც, რომელთა ნაწილსაც მუდმივად უჭირს ყურძნის ჩაბარება და ხშირად ისეთ ფასს იღებენ კილოგრამზე (სუბსიდის ჩათვლით), რომ უჭირთ დანახარჯების კომპენსირებაც კი.

შედეგად, სახეზეა სიტუაცია, როდესაც მთავრობის მიერ გამოყოფილ დაფინანსებას (მილიონობით ლარი წლიურად) არ შეუძლია უზრუნველყოს მევენახეების წინაშე მდგარი პრობლემების სრულად აღმოფხვრა. გამომდინარე აქედან, მიგვაჩნია, რომ აქტუალურია გაანალიზდეს რა გავლენა იქონია სახელმწიფო

სუბსიდირების პოლიტიკამ მევენახეების წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრაზე; განაპირობა თუ არა სუბსიდირებმა წარმოების ზრდა მევენახეობის დარგში და იყო თუ არა სუბსიდირების პოლიტიკა მევენახეებისთვის მათ მფლობელობაში არსებული ვენახების ფართობის გაზრდის სტიმული.

ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის სუბსიდირება მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა და უამრავი მეცნიერ-ეკონომისტი სწავლობს მას, როგორც სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების ერთ-ერთ ფორმას. სუბსიდირების პოლიტიკის არსებობა/არარსებობა ერთ-ერთი მთავარი საკამათო თემაა სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებს შორის. ასევე მწვავე კამათი მიმდინარეობს სუბსიდირების მომხრეებს შორის იმაზე, თუ რა ფორმით და რა პრინციპებზე დაყრდნობით უნდა ხორციელდებოდეს სასოფლო-სამეურნეო სუბსიდირების გაცემა და ვინ უნდა მოიაზრებოდეს მიზნობრივ სეგმენტში.

სუბსიდირების პოლიტიკის შედეგიანობის კვლევა კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს საქართველოს მსგავს ქვეყანაში, რომელსაც გააჩნია მცირე ბიუჯეტი და არსებობს უამრავი სფერო, რომელიც ასევე საჭიროებს მხარდაჭერას. შესაბამისად, მევენახეების სუბსიდირების პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიან, ერთი მხრივ, ისინი, ვინც თვლის, რომ ქვეყანაში არსებობს ბევრი უფრო მნიშვნელოვანი სოციალური საკითხი და უმჯობესია მათკენ იყოს მიმართული სახელმწიფოს ხელთ არსებული ფინანსური რესურსები, ხოლო, მეორე მხრივ, ლიბერალური ეკონომიკის მომხრეები, რომლებიც თვლიან, რომ სახელმწიფომ უნდა შეწყვიტოს როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე, სხვა ნებისმიერი დარგის მხარდაჭერა და საშუალება მისცეს თავისუფალ ბაზარს დაარეგულიროს ამა თუ იმ დარგის განვითარება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია სუბსიდირების პოლიტიკის სიღრმისეული კვლევა და მისი შედეგების შეფასება, რათა არგუმენტირებულად მოხდეს სუბსიდირების პოლიტიკის დახვეწა, გაუმჯობესება ან საერთოდ გაუქმება.

მევენახეების სუბსიდირებას ხშირად ამართლებენ დარგის სოციალურ-კულტურული როლით ქვეყნის ცხოვრებაში, რაც მას წარმოაჩენს როგორც უპირატესს სხვა დარგებთან შედარებით. ამ მხრივაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება სუბსიდირების პოლიტიკის შედეგიანობის შეფასებას. საჭიროა, გაანალიზდეს, რამდენად საკმარისია პოლიტიკის ფარგლებში გამოყოფილი თანხა მევენახეების წინაშე მდგარი პრობლემების აღმოსაფხვრელად, რამდენად მოსახერხებელია სუბსიდირების მიღების

ფორმები და ა.შ. აქტუალურია განისაზღვროს ის გზები, რაც შესაძლებელს გახდის მევენახეობის დარგში არსებული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას და მევენახეობის შემოსავლების ზრდას. მევენახეებზე სუბსიდიების გავლენის კვლევა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მიღებული შედეგები მოგვცემს საშუალებას, გამოვკვეთოთ სუბსიდირების პოლიტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები და შევიმუშაოთ რეკომენდაციები დარგის მხარდამჭერი პოლიტიკის შემდგომი სრულყოფისთვის.

**პრობლემის შესწავლის მდგომარეობა.** აგროსასურსათო სექტორის სუბსიდირების კვლევა აქტუალურია მსოფლიოში, რადგან უამრავი ქვეყანა გასცემს სუბსიდიებს ამ მიმართულებით და ერთი მხრივ, მთავრობების, ხოლო, მეორე მხრივ, მეცნიერ-მკვლევარების მიერ დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნულს. ამასთან, რამდენადაც მრავალფეროვანია სუბსიდირების ფორმები, იმდენად განსხვავებულია მისი ეფექტებიც.

უმეტესად გამოკვლეულია აგრარული სფეროს სუბსიდირების გავლენა ფერმერული მეურნეობების მწარმოებლურობაზე, ნარგავების/ნათესების ფართობზე, რისკზე, კრედიტუნარიანობაზე, მეურნეობებში დასაქმებულთა რაოდენობაზე და ა.შ. დიდი ყურადღება ეთმობა ევროკავშირში არსებული სუბსიდირების ფორმის - წარმოების მოცულობისგან „დამოუკიდებლობის“ - გავლენის ანალიზს.

აგროსასურსათო სექტორის სუბსიდირებასთან დაკავშირებული საკითხების უცხოელ მკვლევართაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დ. ჰენესი, ბ. ჰილი, ლ. ლატრუფე, ე. პიტერსონი, დ. ვიაჯი, ს. კუმბჰაკარი, მ. რიზოვი, პ. ჩიაინი, ჯ. სვინენი, პ. ვესტკოტი, ე. იანგი, ქ. ჟუ, ა. ოუდ ლანსინკი და სხვა. მათ ნაშრომებში უმეტესად ემპირიული კვლევის გზით გაანალიზებულია აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერის, კერძოდ, სუბსიდირების ეფექტები მიკრო დონეზე. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აღნიშნული საკითხების კვლევის მოდულების შემუშავებასა და სუბსიდირების ეფექტიანობის ემპირიულად დასაბუთებაში.

ქართულ მკვლევართა შრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორების ე. ხარაიშვილის, პ. კოლუაშვილის და სხვათა კვლევები, სადაც შესწავლილია საქართველოს აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანობა, მისი ეფექტიანობის ზრდა, სახელმწიფოს მხარდამჭერი ღონისძიებების მიმართულებები და პრინციპები, მათთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

რაც შეეხება კონკრეტულად ფასის მხარდამჭერი პოლიტიკის გავლენას ყურძნის წარმოების მოცულობასა და ვაზის ძირების რაოდენობაზე, ამ საკითხის მეცნიერულ დონეზე კვლევის სიმწირე შეინიშნება. წინამდებარე ნაშრომი ამ მხრივ გარკვეულ სიახლეს წარმოადგენს და მასთან ერთად სიახლეს წარმოადგენს საკითხის ანალიზისთვის ნაშრომში გამოყენებული მიდგომაც.

საქართველოში მევენახეების სუბსიდირების მიკროეკონომიკური ეფექტების შესახებ კვლევების სიმცირე შეიძლება მივაწეროთ იმ ფაქტს, რომ არც თუ ისე დიდი დროა გასული მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ დაიწყო ამ დარგის სუბსიდირება. მიუხედავად ამისა, წინამდებარე ნაშრომში მიღებული შედეგები საკმაოდ კარგად ასახავს სუბსიდირების პოლიტიკის შედეგებს.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** სადოქტორო კვლევის მიზანია გამოვლინდეს ყურძნის ფასის მხარდამჭერი პოლიტიკის გავლენა მევენახეების მიერ წარმოებული ყურძნის მოცულობასა და მათ საკუთრებაში არსებულ ვენახის ფართობზე.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები:

- აგროსასურსათო სექტორის სუბსიდირების საფუძველის ანალიზი და სუბსიდიის ეკონომიკური შინაარსის განხილვა;
- იმ ძირითადი მიზეზებისა და მიზნების გამოვლენა, რომელიც საფუძველად უდევს სუბსიდირების პოლიტიკას;
- სუბსიდირების ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმების შესწავლა და მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა;
- საქართველოში არსებული აგროსასურსათო სექტორის სუბსიდირების პრაქტიკის ანალიზი, მხარდამჭერი პროგრამებისა და პროექტების მიმოხილვა და მიღწეული შედეგების ჩვენება;
- მევენახეებზე სუბსიდიების გაცემის წესისა და სქემების მიმოხილვა;
- შესაბამის ქართულ და უცხოურ ლიტერატურაში არსებული კვლევების საფუძველზე სუბსიდიების მიკრო დონეზე გავლენის ანალიზისთვის მოდელის აგება და მისთვის რელევანტური ცვლადების გამოვლენა;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული მონაცემების ანალიზი ეკონომეტრიკული მეთოდის გამოყენებით;
- კონკრეტული შემთხვევის ანალიზი, რომელიც მოიცავს ერთ სოფელს კახეთის რეგიონში;



- სპეციალური კითხვარის შემუშავება მევენახეებისგან საჭირო მონაცემების მისაღებად;

- კვლევის შედეგების ანალიზი და შესაბამისი ინტერპრეტაცია.

**კვლევის საგანი და ობიექტი.** კვლევის საგანს წარმოადგენს აგროსასურსათო სუბსიდიები, ხოლო კვლევის ობიექტია სუბსიდიების გავლენა ყურძნის წარმოების მოცულობასა და ვაზის ძირების რაოდენობაზე მის მიმღებ მეურნეობებში.

კვლევაში გამოვლენილია სუბსიდიების მნიშვნელობა მევენახეებისთვის, წარმოებისა და ვენახის ფართობის ცვლილება სუბსიდიის ცვლილების კვალობაზე, მევენახეების დამოკიდებულება სუბსიდირების პოლიტიკის მიმართ და მათი სავარაუდო რეაქციები მომავლის სხვადასხვა სცნარებზე.

**კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.** კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია ეკონომიკური თეორიები, ქართველ და უცხოელ მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომები აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერის მიმართულებების თაობაზე, საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევები, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული კვლევები და საკითხის შესახებ არსებული სხვადასხვა ანალიტიკური სტატიები.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია კვლევის როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდები. კვლევა ეყრდნობა ანალიზის, სინთეზის, სტატისტიკურ, ემპირიული კვლევისა და შემთხვევის შესწავლის მეთოდებს. კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის საშუალებით დადგენილია დამოკიდებულება ცვლადებს შორის.

სადისერტაციო ნაშრომში მოცემული რაოდენობრივი კვლევის მოდელი დიდწილად ეყრდნობა იმ ნაშრომებს, სადაც წრფივი დამოკიდებულებაა გამოვლენილი სუბსიდიასა და წარმოებას/ნარგავ ფართობს შორის. სადისერტაციო ნაშრომში მოცემული კვლევა ეფუძნება იმ დაშვებებს, რაც გამომდინარეობს ლიტერატურის მიმოხილვაში მოყვანილი კვლევების შედეგებიდან.

რაოდენობრივი კვლევისთვის საჭირო მონაცემები შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე მიღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან. ეს მონაცემები მოიცავს 2007-2014 წლებს და წარმოადგენს დაუბალანსებელ პანელურ მონაცემებს.

რაოდენობრივის გარდა, სადისერტაციო ნაშრომში განხორციელებულია თვისებრივი კვლევაც. შემთხვევის შესწავლის (ე.წ. „ქეის-სთადი“) და ანალიზისთვის საჭირო მონაცემები მიღებულია ყვარლის რაიონის სოფელ მთისძირის მოსახლეობისგან სპეციალურად შემუშავებული კითხვარის საშუალებით, რომელიც მოიცავს კვლევისთვის რელევანტურ ცვლადებს. ქეისში მოცემული მონაცემები ფარავს 2008-2013 წლების პერიოდს და წარმოადგენს პანელურ მონაცემებს.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს, ღვინის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები. სახელმწიფო ორგანოების გარდა ასევე გამოყენებულია მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები.

#### **კვლევის მეცნიერული სიახლეები:**

- შემუშავებულია მოდელები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მიკრო დონეზე გაანალიზდეს სუბსიდიების ეფექტები მევენახეობის სექტორში;
- ეკონომეტრიკული მეთოდის გამოყენებით გამოვლენილია სუბსიდიის რაოდენობრივი გავლენა ვაზის ძირების რაოდენობასა და ყურძნის წარმოებაზე კახეთის რეგიონში;
- წარმოდგენილია ე.წ. “ქეის-სთადი” მეთოდი სუბსიდიების მიკროეკონომიკური ეფექტების შესაფასებლად;
- გამოვლენილია მევენახეობის განწყობები სუბსიდირების არსებული პოლიტიკის შესახებ და მათი სავარაუდო რეაქციები მომავლის ყველაზე უფრო მოსალოდნელი სცენარების შემთხვევაში.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.** კვლევის თეორიული და პრაქტიკული შედეგები დაეხმარება სუბსიდირების პოლიტიკის ავტორებს და განმასორციელებლებს უკეთ გაანალიზონ მათ მიერ განხორციელებული მხარდამჭერი ღონისძიებების შედეგიანობა და მოახდინონ მათი დახვეწა. სუბსიდიების გავლენის დადგენა ისეთ ცვლადებზე, როგორებიცაა ყურძნის წარმოება და ვაზის ძირების

რაოდენობა, პოლიტიკის განმახორციელებლებს საშუალებას მისცემს სასურველი ზემოქმედება მოახდინონ ამ ცვლადებზე სუბსიდიების შესაბამისი მოცულობის განსაზღვრით.

წინამდებარე ნაშრომი, როგორც ერთ-ერთი პირველი მეცნიერული კვლევა მევენახეობის დარგში ფასის მხარდაჭერი პოლიტიკის მიკროეკონომიკური ეფექტების შესახებ, იქნება მნიშვნელოვანი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი მომავალში ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევებისთვის. მასში მოცემული კვლევის მოდელი, ცვლადები, მონაცემები და ანალიზის მეთოდები რეგევანტური იქნება საკითხთან დაკავშირებული შემდგომი კვლევებისთვის.

კვლევის შედეგები საინტერესო იქნება როგორც სუბსიდიების მიმდები მევენახეებისთვის, ასევე აგრარულ სფეროში მოღვაწე ნებისმიერი ადამიანისთვის. ნაშრომი საშუალებას მისცემს მათ, სიღრმისეულად გააანალიზონ სუბსიდირების პოლიტიკის მიზნები, გაეცნონ აგრარული სექტორის მხარდაჭერის ალტერნატიულ ფორმებს და უკეთ შეძლონ საკუთარი მოთხოვნებისა თუ რეკომენდაციების ჩამოყალიბება სახელმწიფო პოლიტიკასთან მიმართებით.

მთლიანობაში, ნაშრომში მოცემული ინფორმაციის, მონაცემებისა და კვლევის შედეგების გამოყენება შეუძლიათ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს, უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერ-მკვლევარებსა და სტუდენტებს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს.

**კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია.** კვლევის შედეგები ბეჭდური და ელექტრონული სახით გამოქვეყნებულია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და კრებულებში, საერთაშორისო ჟურნალსა და ქართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალებში:

1. თაქთაქიშვილი, თ., „აგროსასურსათო სექტორის სუბსიდირების შესახებ შედეგები და მეურნეობებისა და ბაზრის საპასუხო ქცევა“, ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი, №2, თბ., 2016;
2. Taktakishvili, T., „Price support for grapes and its implications in Georgia: micro level analysis“, IAABR/ Academic OASIS – Paris International Academic Conference, July 15-17, 2016, conference proceedings;

3. Taktakishvili, T., „Microeconomic impacts of agricultural subsidies in Georgia: case of grape growers”, The Macrotheme International Conference: Rome 2015, 18-19 December, 2015, conference proceedings;
4. Taktakishvili, T., „Effects of Government Subsidies on Grape Growers in Georgia”, 9th Silk Road International Conference on Business, Economics, International Relations and Education, May 23-25, 2014 Tbilisi, Georgia, conference proceedings;
5. თაქთაქიშვილი, თ., „სურსათის საბაზრო ფასების მერყეობა და მისი გავლენა მწარმოებლებისა და მომხმარებლების ქცევაზე”, ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი, №4, თბ., 2013;
6. Taktakishvili, T., „Subsidies for grape growers and their implications in Georgia for the period of 2008-2012”, Journal L'Association 1901 “SEPIKE”, №3, December 31, 2013.

დისერტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი მომზადდა საზღვარგარეთ ბერემენის (გერმანია), ვილნიუსის (ლიტვა) და ბოლონიის (იტალია) უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ვიზიტის პერიოდში.

**ნაშრომის სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, თორმეტი ქვეთავის, დასკვნებისა და რეკომენდაციების, გამოყენებული ლიტერატურის სიისგან. ნაშრომს თან ერთვის დანართი.

პირველ თავში დახასიათებულია აგროსასურსათო სექტორი და ნაჩვენებია მასზე მოქმედი ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც დიდწილად განსაზღვრავს მის განვითარებას. გაანალიზებულია აგროსასურსათო სექტორის სოციალურ-ეკონომიკური როლი საქართველოში, მისი მდგომარეობა, განვითარების შემაფერხებელი და ზრდის მასტიმულირებელი ფაქტორები.

მეორე თავში განხილულია აგროსასურსათო სექტორის სუბსიდირების არსი და მის შესახებ არსებული ლიტერატურა. მოყვანილია ქართველ და უცხოელ ავტორთა შესაბამისი კვლევები და ნაჩვენებია მათი ძირითადი შედეგები. სწორედ ამ კვლევებს ეფუძნება სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული კვლევის მოდელი და თეორიული დაშვებები. ნაჩვენებია აგრარული სფეროს მხარდაჭერის ალტერნატიული ფორმები. განმარტებულია აგროსასურსათო სექტორის სუბსიდირების მიზნები და მიზეზები. გაანალიზებულია, როგორც სუბსიდიების მიმღებთა, ასევე მთლიანად ბაზრის საპასუხო რეაქციები.

მესამე თავში ნაჩვენებია სახელმწიფოს მიერ სექტორის მხარდასაჭერად განხორციელებული პროექტები, მათი შედეგები რაოდენობრივი და ფინანსური ასპექტებით. ცალკე გამოყოფილია მევენახეობის დარგი და სახელმწიფოს მიერ მისი სუბსიდირების საფუძველი.

მეოთხე თავი მოიცავს კვლევის პრაქტიკულ ნაწილს, სადაც განხორციელებულია კორელაციურ-რეგრესიული ანალიზები სუბსიდირების მიკრო დონეზე გაელენის დასადგენად, მოცემულია კვლევის შედეგების ინტერპრეტაციები. რაოდენობრივ კვლევაში გაანალიზებულია კახეთის რეგიონის მასშტაბით წლების მიხედვით მიღებული მონაცემები. ასევე, გამოყენებულია თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი – შემთხვევის შესწავლის, ე.წ. „ქეის-სთადი“ მეთოდი, რომელიც მოიცავს რეგიონის ერთ სოფელს.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია განხორციელებული კვლევის შედეგები, განხილულია ამ შედეგების მიღების მიზეზები, შეფასებულია სუბსიდირების არსებული სისტემის ქმედუნარიანობა და შედეგიანობა მევენახეობის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის ასპექტით, შემოთავაზებულია მთელი რიგი რეკომენდაციები სუბსიდირების პოლიტიკის დახვეწა/გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

ნაშრომი მოიცავს ელექტრონულად ნაბეჭდ 182 გვერდს (ფურცლის ზომა A4; შრიფტის სახეობა – AcadNusx-ი (12); სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან 3 სმ., მარჯვნიდან – 1 სმ., ზემოდან – 2,5 სმ., ქვემოდან – 2,5 სმ).

# 1. აგროსასურსათო სექტორის სოციალურ-ეკონომიკური როლი

## 1.1 აგროსასურსათო სექტორის არსი და მახასიათებლები

სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის კვალობაზე მასში მოქმედ მეურნეობათა მწარმოებლურობა მუდმივად იზრდება. განვითარებული ქვეყნების ფერმერულ მეურნეობებს, როგორც წესი, აქვთ უფრო მეტი ფინანსური და მატერიალური შესაძლებლობა, რომ საქმიანობა განახორციელონ წარმოების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. საქართველოს მსგავს ქვეყნებში კი წვრილი ფერმერული მეურნეობები სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე ვერ ახერხებენ უახლესი ტექნოლოგიების ათვისებას. შესაბამისად, იზრდება ზეწოლა სახელმწიფოზე, რათა დაეხმაროს აგრარულ სფეროში მოქმედ მეურნეობებს.

აგროსასურსათო სექტორის ფუნქციონირებაზე ზემოქმედებს მრავალი ფაქტორი, რომელთა შორის ძირითადად მიჩნეულია: სურსათზე საცალო და საბითუმო ფასების ცვლილების ტენდენცია; სასურსათო დანახარჯების წილი შინამეურნეობების მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში; აგრარული პროდუქციის მწარმოებელთა შემოსავლების სიდიდე; მოსახლეობის რაოდენობა, შემოსავლების საერთო დონე და მყიდველობითუნარიანობა; მარკეტინგული ინფრასტრუქტურა; დემოგრაფიული სიტუაცია; კვების ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები; ქვეყნის ბაზრობებსა და ბაზრებზე სურსათის რეალიზაციის დონე, მათი იმპორტული პროდუქტებით გაჯერება; კვების პროდუქტების ხარისხი და ასორტიმენტული სტრუქტურა და ა.შ.<sup>1</sup>

აგროსასურსათო სექტორის წარმატებული ფუნქციონირება და საქონელბრუნვის ოპტიმიზაცია მარტო წარმოებული პროდუქციის მოცულობასა და ხარისხზე არაა დამოკიდებული. დიდ როლს ასრულებს ბაზრის ინფრასტრუქტურა და მისი ყველა რგოლის, ძირითადი ელემენტის შექმნა და მაღალ დონეზე ფუნქციონირება. მაღალგანვითარებული ინფრასტრუქტურა მწარმოებელს საშუალებას აძლევს სწრაფად და წარმატებით გადაჭრას პროდუქციის გასაღებასთან დაკავშირებული საწარმოო, ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სხვა პრობლემები. ასეთი აწყობილი სისტემის მუშაობით მომხმარებელიც დაინტერესებულია, რადგან პასუხობს მის ინტერესებს

<sup>1</sup> ნატროშვილი გ. (2006). სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სასურსათო ბაზრის ფუნქციონირების პერსპექტივები საქართველოში, დისერტაცია, თბილისი.

მაღალი ხარისხისა და ახალი პროდუქტების შექმნის პირობების შექმნის გამო. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზარზე გატანის ინფრასტრუქტურა მეტად რთულია და ბევრი მომენტის გათვალისწინებას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა აქ იგულისხმება მიწისა და სამუშაო ძალის ბაზრები, საფინანსო-საკრედიტო და პროდუქციის შესყიდვის აწვობილი სისტემები, საშუაშაველო და მომსახურების ორგანიზაციები, საბითუმო და საცალო ვაჭრობის ობიექტები და ა.შ.<sup>2</sup>

აგროსასურსათო სექტორის გამართული მუშაობისთვის საჭიროა ეფექტური კავშირის არსებობა საწარმოო სექტორსა და სასურსათო ბაზარს შორის. საჭიროა გამართული ინფრასტრუქტურის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი წარმოების პროდუქციის შეუფერხებლად მოხვედრას ბაზარზე.

სურსათის მიწოდების ჯაჭვი ერთმანეთთან აკავშირებს ეკონომიკის სამ მნიშვნელოვან სექტორს: სასოფლო-სამეურნეო წარმოება, სურსათის გადამამუშავება და განაწილება (საბითუმო და საცალო ვაჭრობა). ეს სექტორები ურთიერთქმედებს ეკონომიკის სხვა სექტორებთან და ასრულებს მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ეკონომიკაში, შეაქვს რა დიდი წვლილი ქვეყნის სავაჭრო ბრუნვასა და მოსახლეობის დასაქმებაში.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მოიცავს დაუმუშავებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანასა და შეგროვებას (მაგალითად, ბრინჯი, ხორბალი, მარცვლეული), მესაქონლეობას და მეფრინველეობას.

სურსათის გადამამუშავება არის სასურსათო ინდუსტრიაში არსებული ღირებულებათა ჯაჭვის ის ნაწილი, სადაც ხდება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამამუშავება და მისთვის ისეთი ფორმის მიცემა, რომელიც გამოიყენება საკვებად და/ან სასმელად. სურსათის გადამამუშავებელი ინდუსტრია მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებას, დაფქვას, გასუფთავებას, გაშრობას, საქონლისა და ფრინველის დაკვლას და ა.შ.<sup>3</sup>

განაწილების სექტორი მოიცავს დაწესებულებებს და ადგილებს სადაც ხდება სურსათით ვაჭრობა.

<sup>2</sup> ნატროშვილი გ. (2006). სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სასურსათო ბაზრის ფუნქციონირების პერსპექტივები საქართველოში, დისერტაცია, თბილისი.

<sup>3</sup> IMAP. 2010. Food and Beverage Industry Global Report – 2010, [http://www.imap.com/imap/media/resources/IMAP\\_Food\\_\\_Beverage\\_Report\\_WEB\\_AD6498A02CAF4.pdf](http://www.imap.com/imap/media/resources/IMAP_Food__Beverage_Report_WEB_AD6498A02CAF4.pdf), ვებ-გვერდი ბოლოს ნანახის: 24.04.2016

დარგები, რომლებიც აგროსამრეწველო წარმოებაში ურთიერთდაკავშირებული პროცესების და სტადიების განხორციელებას უზრუნველყოფს, აგრობიზნესის ოთხ სფეროს ქმნის:<sup>4</sup>

პირველი სფერო შედგება იმ დარგებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ აგრობიზნესის დანარჩენ სფეროებს წარმოების საშუალებებით და საწარმოო-ტექნიკური მომსახურებით. მასში ერთიანდება: სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, მინერალური სასუქების, მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებების, კვების მრეწველობის, მანქანათმშენებლობის საწარმოები და სხვ. მათ, ჩვეულებრივ, წარმოების დიდი მასშტაბები ახასიათებს. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის სულ უფრო მზარდი მოცულობის გათვალისწინებით, ამ სფეროს წილი კომპლექსის მთელ პროდუქციაში სისტემატურად იზრდება.

აგრობიზნესის მეორე სფერო წარმოადგენს უშუალოდ სოფლის მეურნეობას (მიწათმოქმედება, მეცხოველეობა). მასში ერთიანდება სოფლის მეურნეობაში შექმნილი ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები.

აგრობიზნესის მესამე სფეროში შედის დარგები, რომლებიც უზრუნველყოფს მინდვრიდან და მეცხოველეობის ფერმებიდან პროდუქციის მიტანას საბოლოო მომხმარებლამდე. აქ მოიაზრება სოფლის მეურნეობის პროდუქციის და ნედლეულის გადამამუშავებელი ქარხნები, საცალო და საბითუმო ვაჭრობის სისტემები, მატყლის, ტყავის და აბრეშუამის პარკის გადამამუშავებელი მსუბუქი მრეწველობის საწარმოები და სხვ. ამ სფეროს საწარმოები უზრუნველყოფს ასევე პროდუქციის შენახვას, ტრანსპორტირებას და რეალიზაციას.

აგრობიზნესის მეოთხე სფერო (კომპლექსის ინფრასტრუქტურა) წარმოადგენს განხილული სამი სფეროს მომსახურე დარგების ერთობლიობას. ამ სფეროში ერთიანდება როგორც საწარმოო, ასევე არასაწარმოო ინფრასტრუქტურის დარგები, რომლებიც უზრუნველყოფენ მატერიალური და ინფორმაციული ნაკადების რეალიზაციას, აჩქარებენ სამეურნეო ბრუნვას. ეს სფერო ქმნის პირობებს კომპლექსის

---

<sup>4</sup> კოლუაშვილი, პ., ზიბზიბაძე, გ. (2010). სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.



ნორმალური ფუნქციონირებისათვის განვითარებული საგზაო-სატრანსპორტო, სამაცივრო და სასაწყობო მეურნეობების საშუალებით და სხვა.<sup>5</sup>

აგროსასურსათო სექტორის სპეციფიკა განსხვავდება განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მიხედვით. სურსათზე მოთხოვნა, როგორც წესი, შემოსავლის მიხედვით ელასტიკურობის უფრო მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება განვითარებადი ქვეყნებში, ვიდრე განვითარებულში. ეს განპირობებულია იმით, რომ განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის ხელმისაწვდომობა საკვებზე არცთუ ისე მაღალია.

საშუალო მომხმარებელი აშშ-ში შემოსავლის 10%-ით გაზრდის კვალობაზე სავარაუდოდ, 1%-ით გაზრდის დანახარჯებს ხორცზე. მაგრამ, საშუალო მომხმარებელი საშუალოშემოსავლიან ქვეყანაში, მაგალითად, ბრაზილიაში, შემოსავლის 10%-ით ზრდის კვალობაზე 7%-ით გაზრდის დანახარჯებს ხორცზე.<sup>6</sup> ეს ნიშნავს, რომ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სურსათის ბაზარი მეტად გაჯერებულია და შემოსავლის ზრდის კვალობაზე სურსათზე მოთხოვნა უფრო მეტად იზრდება შედარებით ნაკლებად განვითარებულ, ვიდრე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.

ბოლო წლებში ერთ სულზე ძირითადი სურსათის მოხმარების ყველაზე სწრაფი ზრდა აღმოსავლეთ ევროპაში დაფიქსირდა. მას მოყვება სამხრეთ ამერიკა და აზია. ამ რეგიონებში ერთ სულზე სურსათის მოხმარების ზრდა კრიზისის პერიოდშიც გრძელდებოდა. გამონაკლისი იყო აღმოსავლეთ ევროპა, სადაც 2009 წელს დაფიქსირდა 2%-იანი კლება. ერთ სულზე სურსათის მოხმარების მაჩვენებელი სტაბილურად იკლებს ჩრდილოეთ ამერიკის, დასავლეთ ევროპისა და ოკეანეთის ქვეყნებში.<sup>7</sup>

შემოსავლების ზრდა მსოფლიოში, ურბანიზაციის პროცესი და სხვა ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასურსათო ბაზრებზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებაზე. რადგანაც შემოსავლის ზრდის კვალობაზე დაბალშემოსავლიანი მომხმარებლები პროპორციულად უფრო მეტად ზრდიან სურსათზე მოთხოვნას ვიდრე მაღალშემოსავლიანი მომხმარებლები. სურსათზე მოთხოვნა სწრაფი ტემპებით იზრდება განვითარებად და მზარდი ეკონომიკის ქვეყნებში.

<sup>5</sup> კოლუაშვილი, პ., ზიბზიბაძე, გ. (2010). სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

<sup>6</sup> Regmi, A., Takeshima, H., Unnevehr, L. (2008). Convergence in Global Food Demand and Delivery. *USDA, Electronic Report from the Economic Research Service, Economic Research Report Number 56.*

<sup>7</sup> International Food Policy Research Institute (IFPRI). (2009). World food and agriculture in review.

ამ ქვეყნებში სურსათზე მოთხოვნის ზრდა შეიძლება მივიჩნიოთ სურსათის ინდუსტრიის გლობალიზაციის პროცესის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად.

სიტუაციას ართულებს ისიც, რომ დედამიწაზე დასრულდა იაფი საკვების ხანა, რაც ძირითადად გამოწვეულია გახშირებული ბუნებრივი კატაკლიზმებით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირებით, ბიოსაწვავის საწარმოებლად სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მზარდი გამოყენებით, დედამიწაზე მოსახლეობის დაჩქარებული ზრდით, რიგ ქვეყნებში წყლის დეფიციტით, ბიომეურნეობებში წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნის გაზრდით.<sup>8</sup>

საზოგადოების განვითარების შესაბამისად ეკონომიკაში აგრარული სექტორის წილი შეფარდებით მცირდება. თუ გასული საუკუნის ბოლოს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში (გამონაკლისია დიდი ბრიტანეთი) სოფლის მეურნეობა ეკონომიკის ძირითადი დარგი იყო დასაქმებულთა დიდი რაოდენობით, დღეს განვითარებულ ქვეყნებში მისი წილი მშპ-ში საშუალოდ 3-5 პროცენტია და დარგში დასაქმებულია მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტი. აღნიშნული მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. მაგალითად, აშშ-ში სოფლის მეურნეობის წილი ეკონომიკაში 1 პროცენტია; სოფლის მეურნეობის, კვების პროდუქტების წარმოების, გადამამუშავების, ტრანსპორტირებისა და გადაზიდვების სფეროში დასაქმებულია მოსახლეობის 7.3 პროცენტი; აბსოლუტური მაჩვენებლის მიხედვით ეს 22 მილიონი კაცია, მათგან უშუალოდ მიწათმოქმედებას 4.6 მილიონი ადამიანი მისდევს. აშშ-ს მთლიანი ფართობი 917 მილიონ ჰექტარს შეადგენს, აქედან 47 პროცენტი სამეურნეო დანიშნულებისთვის გამოიყენება.<sup>9</sup>

იაპონია მსოფლიოში სოფლის მეურნეობის პროდუქტების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი იმპორტიორია. ადგილობრივი წარმოება მხოლოდ ბრინჯის საშინაო ბაზრის მთლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილებას ახდენს. იაპონიაში განვითარებულია სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი, ძირითადია მიწათმოქმედება, სადაც მოჰყავთ მარცვლოვანი კულტურები და ჩაი. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 3%. ხოლო, მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი 2%-ია, ამ უკანასკნელში მემცენარეობას 70% უჭირავს.

<sup>8</sup> კოლუაშვილი, პ. (2012). სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები. საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგიისათვის, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია შრომების კრებული, გვ. 243

<sup>9</sup> ხარაიშვილი ე. (2011). კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. თბილისი, „უნივერსალი“.

თურქეთის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი ძირითადი სექტორია. ქვეყნის ფართობის ნახევარი ამ დარგში გამოიყენება. სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 12-14 პროცენტს შეადგენს, ხოლო ქვეყნის ექსპორტში აგროსასურსათო პროდუქტებს 60 პროცენტი უჭირავს. ქვეყანაში ყველაზე მეტად გავრცელებულია მარცვლეული კულტურები (85%). ევროპაში დამუშავებული მიწების ფართობით (24.9 მილიონი ჰექტარი) იგი მესამე ადგილს იკავებს.<sup>10</sup>

წვრილი მეურნეობებისგან განსხვავებით მსხვილ ფერმერულ გაერთიანებებს აქვთ უპირატესობები, რაშიც, პირველ რიგში, იგულისხმება მასშტაბის ეკონომია, რომელსაც მათ შეუძლიათ მიაღწიონ რესურსების გაერთიანებით. ამ და სხვა უპირატესობების საშუალებით ამ მეურნეობებს შეუძლიათ ბაზარს უკარნახონ თავისი პირობები და არ იყვნენ ფასის მიმდებნი. მაგალითად, ევროკავშირის სოფლის მეურნეობაში მცირე ფერმერული მეურნეობების მიერ ძალიან ხშირად იქმნება გაერთიანებები, რათა რესურსების ერთობლივი გამოყენებით მიაღწიონ მასშტაბის ეკონომიას და კონკურენტულ უპირატესობას.

აგრარული პროდუქციის ფასზე, მისი მიწოდების ჯაჭვის თითოეულ ეტაპზე, გააღწეოს ახდეს როგორც გარე (საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე არსებული მდგომარეობა, ფიზიკური გარიგებები, ამინდი და სხვ.), ასევე შიგა ფაქტორები (გადაამყიდველების რაოდენობა, ბაზრის სტრუქტურა). აგრარული პროდუქციის ფასები ბუნებით არის მერყევი, გამომდინარე მის წარმოებასა და მოხმარებას შორის არსებული დროის პერიოდიდან. სოფლის მეურნეობის მოსავალი მიიღება წელიწადში ერთხელ, ხოლო მისი მოხმარება ხდება მთელი წლის მანძილზე (ხშირად მომდევნო წელსაც). სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შესყიდვასა და საბოლოოდ დამუშავებული პროდუქციის მოხმარებას შორის ორწლიანი ციკლი მიიჩნევა ნორმალურად. ერთიდაიგივე მოსავლის ფასები შეიძლება იცვლებოდეს წლის განმავლობაში ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების გათვალისწინებით.<sup>11</sup>

„საქართველოს აგრარული პოტენციალი და სხვა კომპონენტები, რომელიც აუცილებელია მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფისთვის, ქმნის კვებისთვის

<sup>10</sup> ხარაიშვილი ე. (2011). კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. თბილისი, „უნივერსალი“.

<sup>11</sup> European competition network. (2012). Report on competition law enforcement and market monitoring activities by European competition authorities in the food sector.

აუცილებელი თითქმის ყველა სახეობის პროდუქტის წარმოების შესაძლებლობას. საქართველოს შეუძლია გამოკვებოს არათუ ქვეყანაში დღეს არსებული მოსახლეობა, არამედ 10–12 მლნ. დამიანი<sup>12</sup>.

ეს ნიშნავს, რომ რაციონალური აგროარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში საქართველოს შეუძლია სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა სამამულო აგროწარმოების პროდუქციით. რეალურად კი, დღესდღეობით, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (Food and Agriculture Organization of the United Nations – FAO) მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის 7.4 პროცენტი შიმშილობს, რაც უფრო მეტია, ვიდრე ჩვენს მეზობელ სომხეთსა (5.8%) და აზერბაიჯანში (5%).<sup>13</sup> ეს მონაცემებიც ადასტურებს, რომ უზარმაზარი პოტენციალი, რაც არსებობს საქართველოს სოფლის მეურნეობაში დიდწილად გამოუყენებელია.

სოფლის მეურნეობის ძირითადი ამოცანა კვების პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილება და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. მისი რეალიზაცია სოფლის მეურნეობის ორივე ძირითადი დარგის – მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების დონესა და ტემპებზეა დამოკიდებული.<sup>14</sup>

უამრავი ადამიანი, როგორც ეკონომისტები და დარგის სპეციალისტები, ასევე, აგროარულ სფეროში დასაქმებულები, მიიჩნევენ, რომ დარგის განვითარებისთვის მხოლოდ მეურნეობების ხელთ არსებული რესურსი არაა საკმარისი და საჭიროა გარკვეული სახის დახმარებები სახელმწიფოსგან. სხვა შემთხვევაში მეტად გართულდება იმპორტირებული პროდუქტების ჩანაცვლება ადგილობრივი პროდუქციით.

არსებული რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია აგროარული პროდუქციის წარმოებაში მზარდი ტენდენციის მიღწევა. საქართველოს დამოკიდებულება იმპორტულ პროდუქციაზე სერიოზულ საფრთხეებს შეიცავს ქვეყნისთვის. რაც უფრო დიდია ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულება, მით უფრო დიდია მის წინაშე მდგარი რისკები, რაშიც იგულისხმება სურსათზე მსოფლიო

<sup>12</sup> კოლუაშვილი, პ., ზიბზიბაძე, გ. (2010). სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, გვ. 8

<sup>13</sup> FAO, <http://www.fao.org/hunger/en/>, last seen: 24.04.2016

<sup>14</sup> კოლუაშვილი, პ., ზიბზიბაძე, გ. (2010). სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, გვ. 9

ფასების ზრდა, პროდუქციის დეფიციტი მსოფლიო ბაზრებზე, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ.

რაც შეეხება სურსათის ფასებს, 1970-იანი წლებიდან მოყოლებული მსოფლიოში არსებობდა სურსათზე ფასის კლების ტენდენცია და სურსათის ფასმა 21-ე საუკუნის პირველ წლებში მიაღწია ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დაბალ ნიშნულს. ეს მდგომარეობა შეიცვალა 2006 წლიდან და სურსათზე ფასების ზრდამ მიიღო არნახული ტემპები. 2006 წლიდან მოყოლებული დაფიქსირდა სურსათის ფასების ორი კრიზისი, 2006-2008 და 2010-2011 წლების. ფაქტორები, რამაც განაპირობა ორივე კრიზისი არის მსგავსი და მოიცავს შემდეგს: მაღალი ფასები ენერგორესურსებზე, აშშ დოლარის კურსის დაწვეა, მზარდი ეკონომიკის ქვეყნებიდან მოთხოვნის ზრდა, სოფლის მეურნეობის მოსავლის გამოყენება ბიოსაწვავის საწარმოებლად და სხვა. ფასების ზრდაზე ასევე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნების მიერ ექსპორტის შეზღუდვამ და სასურსათო ბაზარზე სპეკულაციური გარიგებების ზრდამ.<sup>15</sup>

სურსათზე ფასების ზრდის კიდევ ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იყო მასზე მოთხოვნის ზრდა ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი და ჩინეთი. ეს არის ქვეყნები მრავალრიცხოვანი მოსახლეობით, რომლებიც ბოლო პერიოდში განიცდიან ეკონომიკურ აღმავლობას. მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მზარდი შემოსავლების კვალობაზე, სულ უფრო გაიზრდება სურსათზე მოთხოვნა ამ ქვეყნებში. მსოფლიო სასურსათო კრიზისის პერიოდში სურსათის ფასები გაიზარდა თითქმის ყველა ქვეყანაში. გამონაკლისს წარმოადგენდა რამდენიმე ქვეყანა, რომლებმაც შეზღუდა საერთაშორისო ვაჭრობა, თუმცა, სავაჭრო იზოლაციამ განაპირობა ფასების უფრო მეტად ზრდა და მერყეობა საერთაშორისო დონეზე.<sup>16</sup>

მსოფლიო ბაზრებიდან ადგილობრივ ბაზრებზე ფასის გადაცემაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის: დანახარჯები ტრანსპორტირებაზე, ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფის დონე, სავალუტო კურსები და სხვა. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ სავაჭრო პოლიტიკა. სასურსათო კრიზისის პერიოდში, განვითარებადი ქვეყნების მიერ სავაჭრო პოლიტიკა ფართოდ


<sup>15</sup> International Food Policy Research Institute (IFPRI). (2011). Global food policy report

<sup>16</sup> FAO. (2011). The State of Food and Agriculture 2010-11, Rome.

გამოიყენებოდა კრიზისთან საბრძოლველად. სასურსათო კრიზისის პერიოდში ბევრმა ქვეყანამ, რომელიც ახორციელებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს, გადაწყვიტა შეეზღუდა ექსპორტის მოცულობა, რათა შიგა ბაზარზე გაეზარდა მიწოდება. მაგალითად, 2008 წლის თებერვალში ყაზახეთმა განაცხადა ხორბალზე საექსპორტო გადასახადების დაწესების შესახებ, რათა შეეზღუდათ მისი გატანა საზღვარგარეთ. შედეგად, ერთი დღის განმავლობაში უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფასი კიდევ 25%-ით გაიზარდა.<sup>17</sup> ბრინჯის წამყვანმა ექსპორტიორებმა – ეგვიპტემ, ინდოეთმა და ბრაზილიამ – მსოფლიო სასურსათო კრიზისის დროს შეაჩერეს მისი გატანა საზღვარგარეთ.

ზოგიერთი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ შეზღუდვების დაწესებამ ექსპორტზე მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სურსათზე ფასების ზრდას მსოფლიო ბაზრებზე (სწორედ ისევე, როგორც ექსპორტის მზარდმა სუბსიდირებამ განაპირობა სურსათზე მსოფლიო ფასების მკვეთრი დაცემა 1986-1988 წლებში). მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2005-2008 წლებში ბრინჯის მსოფლიო ფასი გაიზარდა 127%-ით, ხოლო ხორბლის ფასი გაიზარდა 114%-ით.<sup>18</sup> ქვემოთ, დიაგრამა 1.1-ზე ნაჩვენებია სურსათის ფასების ინდექსის დინამიკა წლების მიხედვით.

დიაგრამა 1.1. FAO-ს სურსათის ფასების ინდექსის დინამიკა.



წყარო: FAO, <http://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/>


<sup>17</sup> Кононов Д. Е. (2011). Мировой продовольственный кризис: причины и возможные последствия. Политематический сетевой электронный научный журнал Кубанского государственного аграрного университета, №72, Ст. 144-154.

<sup>18</sup> Martin W., Anderson K. (2012). Export restrictions and price insulation during commodity price booms. American Journal of Agricultural Economics, 94 (2), 422-427

2006-2008 და 2010-2011 წლების სურსათის ფასების კრიზისებმა პირველ რიგში, ზიანი მიაყენეს ღარიბ ქვეყნებს, შეარყიეს რწმენა სურსათის მსოფლიო ბაზრებზე და ხელი შეუშალეს ამ ბაზრების მუშაობას მიწოდება-მოთხოვნასა და დანახარჯებში მომხდარი ცვლილებების დაბალანსებაში.<sup>19</sup>

2010 წელს, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, ყირგიზეთის შემდეგ საქართველოში დაფიქსირდა სურსათის პროდუქციაზე ფასების ყველაზე მაღალი ზრდა.<sup>20</sup>

დიაგრამა 12. სასურსათო ინფლაცია ევროპასა და ცენტრალურ აზიაში 2009-2010 წწ.



წყარო: World Bank, [http://siteresources.worldbank.org/INTPOVERTY/Resources/335642-1210859591030/FPW\\_April2011.pdf](http://siteresources.worldbank.org/INTPOVERTY/Resources/335642-1210859591030/FPW_April2011.pdf), ბოლოს ნანახია: 24.04.2016

მაღალი მსოფლიო ფასები პროდუქტზე გავლენას ახდენს ყველა იმ ქვეყანაზე, რომელიც ამ პროდუქტის იმპორტიორია. რადგანაც საქართველო იმპორტზე ორიენტირებული ქვეყანაა, მსოფლიო ფასები ადგილობრივ სამომხმარებლო ფასებზე პირდაპირ ახდენს გავლენას. ამიტომ, ამ პროდუქტების გაძვირება საქართველოს სასურსათო ბაზარზეც შესაბამისად აისახება.

<sup>19</sup> International Food Policy Research Institute (IFPRI). (2011). Global food policy report.  
<sup>20</sup> World Bank. (2011). Food Price Watch, Poverty Reduction and Equity Group.

ერთ-ერთ კვლევაში 2008 წლის მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებულია სურსათზე მოთხოვნის ელასტიკურობები 138 ქვეყნისთვის. მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში სურსათზე მოთხოვნის ელასტიკურობა შემოსავლის მიხედვით არის უფრო დაბალი, ვიდრე დაბალშემოსავლიან ქვეყნებში. ქვემოთ ცხრილი 1.1-ში მოყვანილია რამდენიმე ქვეყნის შესაბამისი მაჩვენებელი.<sup>21</sup>

ცხრილი 1.1. სურსათზე მოთხოვნის ელასტიკურობები ქვეყნების მიხედვით

1. აშშ – 0.23	50. რუსეთი – 0.54
2. ლუქსემბურგი – 0.25	67. ბრაზილია – 0.62
3. ისლანდია – 0.27	82. საქართველო – 0.71
4. ნორვეგია – 0.28	103. ჩინეთი – 0.83
5. დიდი ბრიტანეთი – 0.28	105. ინდოეთი – 0.85
18. იაპონია – 0.31	122. განა – 0.90
35. უნგრეთი – 0.42	138. დ.რ. კონგო – 0.99

წყარო: Gao, 2012


როგორც ცხრილიდან ჩანს, მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სურსათზე მოთხოვნის ელასტიკურობა შემოსავლის მიხედვით გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში.

საქართველოში მაღალია მოსახლეობის სასურსათო ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში.

დიაგრამა 1.3. მოსახლეობის სასურსათო ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში

<sup>21</sup> Gao, G. (2012). World Food Demand, *American Journal of Agricultural Economics*, vol. 94, issue 1, pages 25-51.





წყარო: საქსტატი, [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=751&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=751&lang=geo)

როგორც დიაგრამაზე ჩანს მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯების თითქმის ნახევარი სურსათზე გაწეული ხარჯებია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოსახლეობის სასურსათო ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში კლების ტენდენციით ხასიათდება, ეს მაჩვენებელი მაინც საკმაოდ მაღალია, რაც მოსახლეობის დაბალ შემოსავლებზე მიუთითებს. შესაბამისად, სურსათზე ფასების მერყეობა მნიშვნელოვნად აისახება ამ მაჩვენებლის ცვლილებაზე. სურსათზე ფასების დასტაბილურების საუკეთესო გზა კი ადგილობრივი წარმოების განვითარებაა. ადგილობრივი წარმოების განვითარების ერთ-ერთ ყველაზე ქმედით გზად ხშირად მიიჩნევა მისი სუბსიდირება სახელმწიფოს მიერ.

## 1.2 საქართველოს აგროსასურსათო სექტორი

საქართველოში ოდითგანვე უდიდესი იყო სოფლის მეურნეობის როლი ქვეყნის როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ ცხოვრებაში. ქვეყანას გააჩნია მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი რესურსები სოფლის მეურნეობის განსავითარებლად. საქართველო, გარდა იმისა, რომ ღვინის უძველესი მწარმოებელია, გამოირჩევა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის საკმაოდ მრავალფეროვანი ჯიშებითაც.

სადღეისოდ მსოფლიოში აღწერილი და რეგისტრირებულია ხორბლის ბოტანიკურ გვარში შემავალი 23 კულტურული და 4 ველური სახეობა. ამათგან

საქართველოში წარმოდგენილია 14 კულტურული სახეობა. გარდა ამისა, საქართველოში 500-ზე მეტი ვაზის ჯიშია აღრიცხული, კერძოდ, კახური – 80, ქართლური – 72, იმერული – 75, რაჭა-ლეჩხუმური – 50, მეგრული – 60, გურული – 53, აჭარული – 52, აფხაზური – 58 და სხვ.<sup>22</sup>

გამოვლენილი ფარდობითი უპირატესობის მიხედვით საქართველო კონკურენტუნარიანი შეიძლება გახდეს აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებაში, რადგან ამ კულტურების განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური შესაძლებლობები არსებობს.<sup>23</sup>

საქართველოს მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 43.4% (ანუ 3 მილიონ ჰექტარზე ოდნავ მეტი) ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად, რომლებიც ასევე მოიცავს საძოვრებს და მდელოებს.<sup>24</sup>

„ქართველი ერის ტრადიციული აგრარული კულტურა წინააზიურ სივრცეში ყალიბდებოდა. იგი სამართლიანად ითვლება უძველესი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების კერად. აქ თავდაპირველად შექმნილი მეურნეობისა და მეურნეობრიობის ფორმები შემდგომში საფუძვლად დაედო ევრაზიის მთელ ტერიტორიაზე (სამხრეთ-აღმოსავლეთის გამოკლებით) მოგვიანებით წარმოშობილ აგრარულ სამეურნეო-კულტურული კომპლექსების სხვადასხვა ტიპს, რომელიც ძირითადად მარცვლეული მეურნეობის, მევენახეობა-მეღვინეობის, სხვადასხვა სახეობის პირუტყვის მოშენებასა და მისგან მიღებული ცხოველური პროდუქტების მოხმარებაზე იყო დაფუძნებული“.<sup>25</sup>

აგრარული სექტორი, მრეწველობასთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკის ხერხემალია. მისი მთავარი ამოცანაა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა და მრეწველობის ნედლეულით მომარაგება. მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ იმ ქვეყანებში, სადაც აგრარულმა სექტორმა განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, როგორც წესი, ხელისუფლება აქტიურად ერეოდა მის განვითარებაში. ამ სახელმწიფოების მესვეურთ

<sup>22</sup> კოლუაშვილი, პ. (2009). საქართველო – ვაზისა და ხორბლის ქვეყანა: ორი ილია (ილია ჭავჭავაძე და კათოლიკოს-პატრიარქი ილია II) საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ. თბილისი, ინოვაცია, გვ. 8

<sup>23</sup> ხარაიშვილი, ე. (2011). *კონკურენტის და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში*. თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 90

<sup>24</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2015). საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ. <http://www.moa.gov.ge/Ge/Strategy>, ბოლოს ნანახია: 25.04.2016

<sup>25</sup> კოლუაშვილი, პ., ზიბზიბაძე, გ. (2010). აგრარული საწარმოს ეკონომიკა. თბილისი, „საარი“.

კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება, საექსპორტო ბაზარზე პოზიციების განმტკიცება, მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარება, წარმოდგენელია ამ დარგის სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერისა და რეგულირების, ასევე მისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭების გარეშე.<sup>26</sup>

სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება კვლავ საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ გამოწვევად რჩება. ქვეყანაში დასაქმებულთა 60 პროცენტზე მეტი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული,<sup>27</sup> თუმცა, მისი წილი ქვეყნის მშპ-ში 10 პროცენტს არ აღემატება.<sup>28</sup>

საქართველოს აგროსასურსათო სექტორში დომინირებს იმპორტული პროდუქცია. ადგილობრივ მწარმოებლებს უჭირთ კონკურენციის გაწევა იმპორტიორებთან, რისი ძირითადი მიზეზიც უმეტესად ადგილობრივი პროდუქტის მაღალი ფასია იმპორტირებულთან შედარებით. შესაბამისად, აგრარულ სფეროში დასაქმებულების დიდი ნაწილი სახელმწიფოსგან მოითხოვს გარკვეული მხარდამჭერი პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას, რათა გაუმჯობესდეს აგროსასურსათო სექტორში მოქმედი კომპანიებისა თუ მეურნეობების კონკურენტუნარიანობა და შემოსავლები. უფრო ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ქვეყანაში არსებული რესურსები.

არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენება მხოლოდ საქართველოს წინაშე მდგარი ამოცანა არაა. ამ მიზანს ემსახურება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებული აგროსასურსათო პოლიტიკა. მათი მიზანია აწარმოონ მუდმივად მზარდი მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად საჭირო სურსათი რესურსების ოპტიმალური გამოყენების პირობებში.

საქართველოში სამი ტიპის ფერმერული მეურნეობა ფუნქციონირებს:

1. მცირე მასშტაბის, რომლებიც პროდუქტებს მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აწარმოებს;
2. საშუალო მასშტაბის, რომლებიც პროდუქტებს საკუთარი და ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აწარმოებენ;

<sup>26</sup> სამჭკუაშვილი, ნ. (2013). რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მათი დაძლევის გზები და განვითარების პერსპექტივები (მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ეკონომიკის აგრარული სექტორის მაგალითზე). დისერტაცია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი.

<sup>27</sup> საქსტატი, [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=145&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo)

<sup>28</sup> საქსტატი, [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=427&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo)

3. მსხვილმასშტაბიანი, რომლებიც პროდუქტებს მხოლოდ გასაყიდად აწარმოებენ.

აგროსასურსათო სექტორის განვითარებას ნებისმიერ ქვეყნაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ენგელის კანონის შესაბამისად ამ სექტორის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში დროში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. თუმცა, გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება – აგროსასურსათო სექტორიდან ნაკლებად კონკურენტუნარიანი ფერმერები გამოიდევნებიან და ეფექტიანობის მაჩვენებლები დარგში ზრდადია.<sup>29</sup> საქართველოს მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი მეტ-ნაკლებად სტაბილურია და მკვეთრი მერყეობით არ ხასიათდება. მცირემიწიან ფერმერებს, რომლებიც ვერ აწარმოებენ დიდი რაოდენობით პროდუქციას არსებობისთვის ბრძოლა უხდებათ და მათი დარგიდან გამოდევნა არ ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ გააჩნიათ შემოსავლის ალტერნატიული წყაროები და იძულებულნი არიან შეინარჩუნონ არაეფექტიანი წარმოება. ამასთან, საჭირო ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა არ აძლევს განვითარების საშუალებას ასეთ მეურნეობებს.

თუ ერთი საუკუნის წინ სოფლის მეურნეობა ეკონომიკის ძირითადი დარგი იყო დასაქმებულთა დიდი რაოდენობით, დღეს ინდუსტრიულ ქვეყნებში ამ დარგის ხვედრითი წონა მხოლოდ 2-3%-ია, მცირეა დასაქმებულთა წილიც – საშუალოდ 10%. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის მწარმოებლურობა. თუ გასულ საუკუნეში აგროსასურსათო სექტორი 3-4 ადამიანს უზრუნველყოფდა კვების პროდუქტებით, დღეისათვის ეს მაჩვენებელი 100-მდე გაიზარდა.<sup>30</sup> მსგავსი პროგრესის მიღწევა საქართველოს შეუძლია აგროწარმოებაში მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვითა და მეურნეობათა გამსხვილებით. ამასთან, სხვა დარგების განვითარების არასახარბიელო დონე და დასაქმების დაბალი შესაძლებლობები განაპირობებს სოფლის მეურნეობის შედარებით მაღალ წილს მშპ-სა და დასაქმების სტრუქტურაში.

თანამედროვე მსოფლიოში აგროსასურსათო სექტორის განვითარების პრიორიტეტების შემუშავების დროს ქვეყნები ითვალისწინებენ, რომ ძირითად საკუთარ სასურსათო პროდუქტებზე მოხმარების ნორმის 30%-მდე შემცირება სასურსათო

<sup>29</sup> Jonson, G. D. (1991). *World Agriculture in Disarray*. London, Macmillan Press Ltd.


<sup>30</sup> ხარაიშვილი, ე. (2011). *კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში*. თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 4

უსაფრთხოებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას იწვევს.<sup>31</sup> ამ ასპექტით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სასურსათო უსაფრთხოება დარტყმის ქვეშაა, რადგან ქვეყანა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტზე და დიდი რაოდენობით ინვესტიცია ხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის შემოტანაში. ამის საპირისპიროდ, აუცილებელია ინვესტირება ადგილობრივი წარმოების განვითარებაში.

ზემოთ აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როცა საქართველოს გააჩნია ყველანაირი საჭირო რესურსი აგრარული სფეროს განსავითარებლად. ასეთ დროს განსაკუთრებით მიუღებელია იმპორტული პროდუქციის დომინირება ადგილობრივ ბაზარზე და ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულება.

1990-იანი წლების დასაწყისში საქართველოში სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა მოსახლეობის ძირითად საარსებო წყაროს. ქვეყანაში მოშლილი იყო ეკონომიკის ყველა დარგი, მცირე იყო საგარეო ვაჭრობა, გაუმართავი - ფინანსური სექტორი, მიზერული იყო უცხოური ინვესტიციების ოდენობაც. ამ პირობებში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში ძალიან დიდი იყო და 1995 წელს 44,4 პროცენტი შეადგინა. შემდგომში, ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარებასთან ერთად აგრარული სექტორის წილი მშპ-ში შემცირდა.

დიაგრამა 14. სოფლის მეურნეობის წილი საქართველოს მშპ-ში 1990-2014 წწ.



<sup>31</sup> ხარაიშვილი, ე. (2011). *კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში*. თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,  
[http://geostat.ge/?action=page&p\\_id=427&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo)

ქვეყნის სასურსათო სექტორი დღეისათვის ვერ უზრუნველყოფს იმ რაოდენობის სასურსათო პროდუქციის წარმოებას, რაც დააკმაყოფილებდა სურსათზე მოსახლეობის როგორც კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებულ, ასევე მის გადახდისუნარიან მოთხოვნასაც. მართალია, ქვეყანაში სურსათის დეფიციტი არ აღინიშნება, მაგრამ მისი შევსება იმპორტული პროდუქტების ხარჯზე ხდება.

„ქართველ ფერმერთა უდიდეს ნაწილს უჭირს კონკურენციის გაწევა. ამის მიზეზია აგროსასურსათო პროდუქტებისა და აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე, რაც ართულებს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფასაც“.<sup>32</sup>

ქვეყნის სურსათის ძირითადი მწარმოებლები წვრილი ფერმერული მეურნეობებია, რომელთაც არ შეუძლიათ მყარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების გამო. ეს კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს მექანიზაციის დაბალ დონეს, რაც პროდუქციის წარმოების შემცირებასა და მაღალ თვითღირებულებას განაპირობებს. სამამულო წარმოების ძვირი პროდუქტები კი, მიუხედავად მათი ხარისხისა, კონკურენტუნაროა იმპორტულთან მიმართებით.<sup>33</sup>

აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობაზე მოქმედ ხელისშემშლელ ფაქტორთა შორის მიკრო დონეზე აღსანიშნავია: საქმიანობის ორგანიზაციული და ტექნიკური მართვის სუსტი უნარი; საერთაშორისო სტანდარტების შეზღუდული ცოდნა და გამოყენება; კვალიფიციური კადრების ნაკლებობა; წარმოების მოძველებული ტექნოლოგია; წარმოების არაეფექტიანი მასშტაბი და სხვა.<sup>34</sup>

საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, დადებითი შედეგის მიღწევის უპირველესი გარანტია იქნება მკაფიოდ განსაზღვრული, კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ მიმართული აგრარული

<sup>32</sup> ხარაიშვილი, ე. (2011). *კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში*. თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 6

<sup>33</sup> ნატროშვილი გ. (2006). სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სასურსათო ბაზრის ფუნქციონირების პერსპექტივები საქართველოში, დისერტაცია, თბილისი.

<sup>34</sup> ხარაიშვილი, ე. (2011). *კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში*. თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 84

პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის ამ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა. ამავე დროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის საკითხი, რაც საქართველოს მთავრობის, კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ძირითადი ვალდებულებაა.<sup>35</sup>

სოფლის მეურნეობის ზოგიერთი პროდუქტი საქართველოში საკმაოდ რაოდენობით იწარმოება და ქვეყნის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი მაღალია, თუმცა, გარკვეული პროდუქტების წარმოება მცირე რაოდენობით ხდება და ამ პროდუქტების მოხმარებისას ქვეყანა დიდწილად დამოკიდებულია იმპორტზე. ეს განსაკუთრებით ეხება ხორბლის წარმოებას. ქვეყანაში მოხმარებული ხორბლის უდიდესი ნაწილი (90 პროცენტზე მეტი) იმპორტირებულია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის უძველესი და უდიდესი ტრადიციები რაც საქართველოში არსებობს მევენახეობის მიმართულებით. საქართველო ღვინის უძველესი მწარმოებელია და ქართული ღვინის წარმოების პოტენციალი საკმაოდ დიდი, თუმცა ამ ეტაპზე არასრულად ათვისებულია. ქართული ღვინის ცნობადობა ძალიან მაღალია პოსტ-საბჭოთა სივრცეში და ნელ-ნელა მას ეცნობიან ევროპულ ბაზრებზეც.

„ღვინის წარმოების მასშტაბების მიხედვით საქართველო მცირე მწარმოებელთა კატეგორიას განეკუთვნება და ამ მხრივ სხვა ქვეყნებისათვის კონკურენციის გასაწევად უპირატესობები არ გააჩნია. მიუხედავად აღნიშნულისა, ღვინის ბაზრის განვითარებას საქართველოს ეკონომიკისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ერთი მხრივ, ქვეყნის უნიკალური ისტორია მეღვინეობის სექტორში წარმოების გამოცდილებითა და უნარ-ჩვევებით, მეორე მხრივ, ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება კონკურენტულ უპირატესობებად უნდა მივიჩნიოთ. წარმოების მცირე მასშტაბების პირობებში საქართველომ, როგორც ღვინის მწარმოებელმა ქვეყანამ, მაღალი ხარისხისა და უნიკალური პროდუქტის წარმოების სტრატეგია უნდა აირჩიოს“.<sup>36</sup>

საქართველოს აგროსასურსათო სექტორი განიცდის ინვესტიციურ შიმშილს, რაც განპირობებულია მისი შედარებით დაბალი საინვესტიციო მიმზიდველობით (დაბალი

<sup>35</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2015). საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ. <http://www.moa.gov.ge/Ge/Strategy>, ბოლოს ნანახია: 25.04.2016


<sup>36</sup> ხარაიშვილი, ე. (2011). *კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში*. თბილისი, „უნივერსალი“.

რენტაბელობა, მაღალი რისკი, მოსახლეობის სასტარტო კაპიტალის სიმწირე, სათანადო ბაზის უქონლობა და სხვ.). შედეგად, მისი წილი ქვეყნის საინვესტიციო რესურსების მთლიან მოცულობაში წლების განმავლობაში 1 პროცენტს არ აღემატება.<sup>37</sup>

დღესდღეობით, გაცილებით ნაკლებ რისკიანად და სახარბიელოდ მიიჩნევა ინვესტირება ისეთ დარგებში, როგორებიცაა მშენებლობა, მრეწველობა, ფინანსური სექტორი და ა.შ., ვიდრე ინვესტირება აგრარულ სექტორში, გამომდინარე სწორედ ზემოაღნიშნული რისკებიდან და დაბალგანვითარებულობიდან. შესაბამისად, დარგის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდისთვის აუცილებელია დარგში არსებული რისკების ნაწილის შემცირება მაინც. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგროდაზღვევის სისტემის განვითარება და ინფრასტრუქტურის მოწყობა.

სოფლის მეურნეობაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლიდან წლამდე იცვლება და ზრდის სტაბილური ტენდენცია არ შეინიშნება. ეს კი აუცილებელია დარგში ახალი ტექნოლოგიების მოზიდვისა და მწარმოებლურობის ზრდისთვის.

დიაგრამა 1.5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში 2007-2015 წწ.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,

[http://geostat.ge/?action=page&p\\_id=139&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo)


<sup>37</sup> ბერიძე, ღ. (2012). ფერმერთა სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის სისტემის ჩამოყალიბებისთვის. I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“, შრომების კრებული, გვ. 47



დღესდღეობით, საქართველოში დაბალია მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო მიწაზე. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ არსებულ ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ გარემოში გლეხი ვერ იღებს იმ დონის შემოსავალს, რომელიც საკმარისი იქნებოდა ოჯახის შენახვისა და სამეურნეო საქმიანობის აღწარმოებისთვის.<sup>38</sup>

ამჟამად, საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები ვერ იქნებიან დამოკიდებული მხოლოდ აგრარული პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებზე, გამომდინარე იქიდან, რომ ეს შემოსავლები ხშირად საკმაოდ მცირეა, ხოლო საოჯახო მეურნეობებს სჭირდებათ დამატებითი რესურსები არსებობისთვის და საქმიანობის გასაგრძელებლად. აგრარული პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი საოჯახო მეურნეობების შემოსავლებში 10 პროცენტზე ნაკლებია.<sup>39</sup>

დიაგრამა 1.6. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი შინამეურნეობების ფულად შემოსავლებში 2006-2014 (%)



<sup>38</sup> კოლუაშვილი, პ. (2012). საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგიისათვის. I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“, შრომების კრებული, გვ. 241

<sup>39</sup>საქსტატი, [http://pc-axis.geostat.ge/Selection.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px\\_db=Database&px\\_type=PX&px\\_language=en&px\\_tableid=Database%5cAgriculture%5cGeneral+Information%5cTABLE\\_1.08.px](http://pc-axis.geostat.ge/Selection.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px_db=Database&px_type=PX&px_language=en&px_tableid=Database%5cAgriculture%5cGeneral+Information%5cTABLE_1.08.px)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, [http://pc-axis.geostat.ge/Menu.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px\\_db=Database&px\\_type=PX&px\\_language=en](http://pc-axis.geostat.ge/Menu.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px_db=Database&px_type=PX&px_language=en)

საქართველოში არსებულ მეურნეობებს შორის ჭარბობს მეურნეობები, რომლებსაც საკუთრებაში გააჩნიათ 0,1-დან 1 ჰა-მდე მიწის ფართობი. ქვემოთ მოცემულ ცხრილი 2.8-ში მოცემულია მეურნეობათა განაწილება საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მიხედვით.

ცხრილი 1.2. მეურნეობათა განაწილება საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მიხედვით

მეურნეობის მფლობელობაში არსებული მიწის ფართობი (ჰა)	მეურნეობათა რაოდენობა	%
<0,1	86,988	15,15
0,1-1	355,552	61,93
1-5	122,960	21,41
5-50	7,100	1,23
50-500	1,353	0,23
>500	124	0,02
ჯამი:	574,077	100

წყარო: საქსტატი, 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა, <http://census.ge/ge/results/agro-census>

ცხადია, მიწის რესურსების შეზღუდულობა უარყოფითად აისახება წარმოების მასშტაბებზე. საქართველოში მცირე მასშტაბის ოჯახური მეურნეობები მხოლოდ ოჯახის წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფენ; საშუალო მასშტაბის მეურნეობები პროდუქტებს აწარმოებენ როგორც საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ასევე ბაზრისათვის, ხოლო მსხვილმასშტაბიანი მეურნეობები - ძირითადად ბაზარზე გასატანად.<sup>40</sup>

დღესდღეობით, შეუფერხებელი საგარეო ვაჭრობა ქვეყნებს შორის საშუალებას აძლევს საქართველოს არ იყოს შემოსაზღვრული მხოლოდ ადგილობრივი მცირე

<sup>40</sup> ხარაიშვილი, ე. (2011). *კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსახურსათო სექტორში*. თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 164

ბაზრით, გაიტანოს პროდუქცია საზღვარგარეთ, თავი დაიმკვიდროს ევროპულ და არამარტო ევროპულ ბაზრებზე და გააცნოს საკუთარი უნიკალური პროდუქცია უცხოელებს. საქსპორტო პროდუქციის წარმოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საქართველოს წვრილ მეურნეობებს საშუალება ექნებათ მიიღონ იმაზე მაღალი შემოსავალი, რასაც მათ ადგილობრივი ბაზარი სთავაზობს.

საჭიროა კერძო და სახელმწიფო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობა, რათა „საქართველოდან ექსპორტის საგანი იყოს მეცნიერებადტევადი სამრეწველო, მეცნიერული და მაღალი ხარისხის (ეკოლოგიურად სუფთა) სოფლის მეურნეობის პროდუქცია“.<sup>41</sup>

რამდენადაც დიდია უცხოურ ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობები, იმდენადვე რთულია იქ საკუთარი ადგილის დამკვიდრება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ შერჩეული იყოს სწორი სეგმენტი, სადაც ქართული პროდუქცია იქნება კონკურენტუნარიანი.

გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოო მასშტაბები საქართველოში არცთუ ისე დიდია, ევროპულ ბაზარზე დამკვიდრების ერთ-ერთი გზაა ეკოლოგიურად სუფთა აგრარული პროდუქციის წარმოება. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება პროდუქტის უსაფრთხოებასა და ხარისხობრივ მახასიათებლებზე.<sup>42</sup>

ხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება მოითხოვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მხარდაჭერას ქვეყანაში, განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული თანამედროვე მეთოდების დანერგვას, კვლევებისა და განვითარების წახალისებას და ა.შ. ყოველივე ეს კი განაპირობებს დარგის აღჭურვას წარმოების თანამედროვე საშუალებებით, აგრარულ სფეროში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებას და მათი შემოსავლების ზრდას.

ქვეყანაში, სადაც მაღალია სოფლიდან ქალაქში მიგრაციის დონე, აგრარული სფეროს განვითარება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელსაც შეუძლია ამ პროცესის შეჩერება. უამრავი ადამიანი, რომელსაც სოფლად გააჩნია საცხოვრებელი

<sup>41</sup> კოლუაშვილი, პ. (2009). საქართველო – ვაზისა და ხორბლის ქვეყანა: ორი ილია (ილია ჭავჭავაძე და კათოლიკოს-პატრიარქი ილია II) საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ. თბილისი, ინოვაცია, გვ. 18

<sup>42</sup> კოლუაშვილი, პ. (2009). საქართველო – ვაზისა და ხორბლის ქვეყანა: ორი ილია (ილია ჭავჭავაძე და კათოლიკოს-პატრიარქი ილია II) საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ. თბილისი, ინოვაცია, გვ. 40

და სახნავ-სათესი მიწები, ტოვებს მას და ქალაქში გადადის სამუშაოს საძებნელად, რაც კიდევ უფრო ამძიმებს უმუშევრობის კუთხით არსებულ მდგომარეობას. ამის მიზეზი კი სწორედ აგრარულ სფეროში არსებული მძიმე მდგომარეობაა, რაშიც პირველ რიგში, დარგში დასაქმებულთა დაბალი შემოსავლები იგულისხმება.

როგორც წესი, ეკონომიკური ურთიერთობები აგრარულ სფეროში რეგულირდება თავისუფალი ბაზრის მიერ. თუმცა, ხშირად ადგილი აქვს ბაზრის ჩავარდნას. საქართველოს შემთხვევაში ბაზრის ჩავარდნა აისახება იმპორტული პროდუქციის დომინირებაში, ადგილობრივი ფერმერული მეურნეობების დაბალ შემოსავლებში და ა.შ. ყოველივე ეს კი ხელს უშლის სოფლის მეურნეობას ჯეროვნად შეასრულოს მისი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია. ასეთ დროს, სახელმწიფო წყვეტს, რომ ჩაერიოს დარგში პროცესების განვითარებაში და გამოასწოროს ბაზრის ჩავარდნა.

2014 წლის მონაცემებით ქვეყანაში დასაქმებული იყო 1745,2 ათასი ადამიანი, მათგან 1100,8 ათასი ადამიანი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, რაც დასაქმებული სამუშაო ძალის 63.1 პროცენტია. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შორის თვითდასაქმებულთა წილი კი 79 პროცენტი იყო.<sup>43</sup>

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით 2014 წელს სოფლის მეურნეობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის მხოლოდ 62 პროცენტია.<sup>44</sup>

ქალაქად და სოფლად მცხოვრებთა შემოსავლებს შორის სხვაობა საგრძნობლად გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ალტერნატიული დასაქმების შესაძლებლობები დაბალია. ბოლო წლების განმავლობაში მთლიან შემოსავალში იზრდება დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლის წილი, თუმცა მისი აბსოლუტური მნიშვნელობა მცირეა. კომერციული მეურნეობები სუსტადაა განვითარებული. არსებულ მწარმოებელთა უდიდესი ნაწილი ეგრეთ წოდებული ნატურალური მეურნეობის ტიპისაა და პროდუქტს ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებს.<sup>45</sup>

<sup>43</sup> საქსტატი, [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=145&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo)

<sup>44</sup> საქსტატი, [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=148&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=148&lang=geo)

<sup>45</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2015). საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ. <http://www.moa.gov.ge/Ge/Strategy>, ბოლოს ნანახია: 25.04.2016

თვითდასაქმებულთა დიდი რაოდენობა განპირობებულია იმით, რომ სოფლად ნაკლებადაა განვითარებული აგრობიზნესი, რომელიც დაიქირავებდა მომუშავეებს. ამის ნაცვლად, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა უმეტესწილად ხორციელდება საოჯახო მეურნეობების მიერ, რომლებიც საწარმოო პროცესში თითქმის მთლიანად ეყრდნობიან საკუთარ შრომით რესურსებს.

აქედან გამომდინარე, უახლოეს წლებში მნიშვნელოვანია სოფლად არასასოფლო-სამეურნეო პროფილის ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება, საოჯახო მეურნეობების განვითარებისა და ეკონომიკური დივერსიფიკაციის, მათ შორის, აგროტურიზმის ხელშეწყობა.<sup>46</sup>

2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ სახელმწიფოს მხრიდან პირველი აქტიური ჩარევა აგრარულ სექტორში განხორციელდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პროგრამის სახით, რომლის ფარგლებში 349 ტრაქტორი გადაეცა 15 წლიანი განვადებით იმ ამხანაგობებს, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებს, რომლებმაც გაიმარჯვეს სოფლის მეურნეობის სამთავრობო პროგრამაში. პროგრამა არცთუ ისე წარმატებული აღმოჩნდა. ფერმერებმა ხშირ შემთხვევაში იაფი კრედიტის ფარგლებში აღებული სესხების და ტრაქტორების თანხის დაბრუნება ვერ მოახერხეს, რის გამოც მთავრობამ მოგვიანებით ისინი ბალანსიდან ჩამოწერა.<sup>47</sup>

აგროსასურსათო სექტორის სუბსიდირებისას მნიშვნელოვანია, რომ სიღრმისეულად გაანალიზდეს არსებული პრობლემა, სწორად შეირჩეს მხარდაჭერის მიმღები ჯგუფი და მის მიხედვით განისაზღვროს მხარდაჭერის ფორმა.

---

<sup>46</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2015). საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ. <http://www.moa.gov.ge/Ge/Strategy>, ბოლოს ნანახია: 25.04.2016

<sup>47</sup> IDFI. (2014). სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოები და მათი როლი დარგის განვითარებაში. [https://idfi.ge/public/upload/pdf/Research/SOEs\\_article\\_07.05.2014.pdf](https://idfi.ge/public/upload/pdf/Research/SOEs_article_07.05.2014.pdf), გვ. 2

## 2. აგროსასურსათო სექტორის სუბსიდირება და მისი შედეგები

### 2.1 საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურა აგროსასურსათო სექტორის სუბსიდირების მიკროეკონომიკური ეფექტების შესახებ საკმაოდ ვრცელია. საკითხი აქტუალურია ყველა იმ ქვეყანაში, სადაც სუბსიდირება ხორციელდება. განსაკუთრებული ყურადღება აღნიშნული საკითხის კვლევისადმი დათმობილია ევროკავშირში. მას შემდეგ რაც ევროკავშირში გატარდა რეფორმა და სუბსიდირება გახდა წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებელი უამრავი კვლევა ჩატარდა, რომელიც სხვებთან ერთად მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: სუბსიდირების წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებლობის ეფექტიანობა, სახელმწიფო მხარდაჭერის ძველი და ახალი ფორმების ეფექტიანობის შედარებითი ანალიზი, სუბსიდირების გავლენა მიმღებთა მწარმოებლურობაზე, შემოსავლებზე, დანახარჯებზე, ფაქტორების მთლიან მწარმოებლურობაზე და ა.შ.

სუბსიდირების გავლენას ფერმერულ მეურნეობებზე უმეტესად სწავლობენ ეკონომეტრიკული ან მათემატიკური პროგრამირების მეთოდებით. ყველაზე ხშირად მაინც ეკონომეტრიკული ანალიზი გამოიყენება. აღნიშნული კვლევების უმეტესობაში სუბსიდირების ეფექტები გაანალიზებულია მემცენარეობის და მეცხოველეობის მეურნეობების მაგალითზე.

ამერიკულ ლიტერატურაში, უმეტესად, ყურადღება ეთმობა სახელმწიფო მხარდაჭერის ისეთ ფორმას, როგორიცაა პირდაპირი ტრანსფერტები და მათი გავლენა წარმოების მოცულობაზე, მწარმოებელთა შემოსავლებზე, რისკის შემცირებასა და კრედიტზე ხელმისაწვდომობაზე.

სადისერტაციო თემაში შესწავლილია მრავალი ასეთი ნაშრომი, რომელთა საფუძველზეც გამოიკვეთა კვლევის ძირითადი მიმართულებები და გამოიყო ის საკითხები, რომელთა ანალიზიც საჭიროა სუბსიდირების მიკრო დონეზე გავლენის შესახებ მსჯელობისას. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე უცხოელი ავტორის კვლევა და მიღებული შედეგები, ნაჩვენებია კვლევისას გამოყენებული ეკონომიკური მოდელები და საჭირო მონაცემები. მოცემულ კვლევებში გამოვლენილია აგროსასურსათო სუბსიდირების როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ეფექტები მიკრო დონეზე.

სუბსიდიების გავლენა ფერმერული მეურნეობების მწარმოებლურობაზე ემპირიულადაა შესწავლილი ნ. მაკლაუდისა და ს. კუმბჰაკარის მიერ ბაიესის იერარქიული მოდელის გამოყენებით დანიის, ფინეთის და შვედეთის რძის პროდუქტების მწარმოებელი მეურნეობების მაგალითზე. მოდელში წარმოების ფაქტორების ელასტიკურობა, ეფექტიანობის ცვლილება და ტექნიკური ცვლილება დამოკიდებულია სუბსიდიასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მეურნეობის მდებარეობაზეც. ანალიზისთვის აღებულია დაუბალანსებელი პანელური მონაცემები სამი ქვეყნის რვა რეგიონიდან. მონაცემები მოიცავს 1997-2003 წლების პერიოდს და 6609 დაკვირვებას. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სუბსიდია ზრდის მწარმოებლურობას ეფექტიანობისა და წარმოების ფაქტორების ელასტიკურობის საშუალებით.<sup>48</sup>

დ. ჰენესი ასკვნის, რომ მიუხედავად იმისა, სუბსიდია დაკავშირებულია თუ არა წარმოების მოცულობასთან მას მაინც შეუძლია გაზარდოს მწარმოებლურობა. ამ დასკვნას მკვლევარი აკეთებს შემდეგი გარემოების გამო: რადგანაც ორივე სახის სუბსიდია უზრუნველყოფს მეტ-ნაკლებად სტაბილურ შემოსავალსა და კეთილდღეობას მისი მიმღებისთვის, მას თან ახლავს კეთილდღეობის და დაზღვევის ეფექტები.<sup>49</sup> ჩვენი კვლევის შემთხვევაში ყურძნის ფასის სუბსიდირება დამატებით შემოსავალს ქმნის მევენახეებისთვის. მათ შეუძლიათ სუბსიდიის შედეგად მიღებული თანხა გამოიყენონ მოსავლის დაზღვევის, წარმოების ფაქტორების ოპტიმიზაციის ან დამატებითი ინვესტიციების განსახორციელებლად.

კ. ნიუმენმა და ჯ. სეუერმა გამოიკვლიეს, ჰქონდა თუ არა სუბსიდიების დამოუკიდებლობას წარმოების მოცულობისგან გავლენა მწარმოებლურობის ზრდაზე სოფლის მეურნეობაში. ანალიზისთვის საჭირო მონაცემები აღებულია ირლანდიური, დანიური და ჰოლანდიური ფერმერული მეურნეობების შესახებ. ნაშრომის ზოგიერთი შედეგი აჩვენებს, რომ აღნიშნულ პოლიტიკას მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტი ჰქონდა ფერმერული მეურნეობის მწარმოებლურობაზე.<sup>50</sup> ამ შედეგის განმარტებელი ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებელი

<sup>48</sup> McCloud, N., Kumbhakar, S. C. (2008). Do subsidies drive productivity? A cross-country analysis of Nordic dairy farms. In Chib, S., Griffiths, W., Koop, G. & Terrell, D. (ed.) *Bayesian Econometrics (Advances in Econometrics, Volume 23)*. Emerald Group Publishing Limited, 245 – 274.

<sup>49</sup> Hennessy, D.A. (1998). The production effect of agricultural income policies under uncertainty. *American Journal of Agricultural Economics* 80, 46-57.

<sup>50</sup> Newman, C., Sauer, J., Kazukauska, A. (2014). The impact of decoupled subsidies on productivity in agriculture: a cross-country analysis using microdata. *Agricultural Economics* 45, 327–336.

სუბსიდიები ნაკლებ გავლენას ახდენს საწარმოო გადაწყვეტილებებზე და შესაძლებელია, რომ მსგავსი სახის სუბსიდირების შემთხვევაში მეურნეობები უფრო ოპტიმალურ საწარმოო გადაწყვეტილებებს იღებდნენ, რაც განაპირობებს მათი მწარმოებლურობის ზრდას. მსგავსი შედეგია მიღებული კიდევ ერთ ნაშრომში, სადაც მ. რიზოვი და სხვ. ანალიზებენ სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის გავლენას ფაქტორების მთლიან მწარმოებლურობაზე. ემპირიული კვლევა, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 15 ქვეყნიდან აღებულ მონაცემებს აჩვენებს, რომ სუბსიდიები უარყოფით გავლენას ახდენდა ფერმერული მეურნეობების მწარმოებლურობაზე მანამ, სანამ წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებელი გახდებოდა. მას შემდეგ, რაც მეურნეობის მიერ მიღებული სუბსიდიების მოცულობა აღარაა დამოკიდებული წარმოების მოცულობაზე, ზოგიერთ ქვეყანაში ფიქსირდება მისი დადებითი გავლენა მწარმოებლურობაზე.<sup>51</sup>

სუბსიდიების მიკრო დონეზე გავლენის შეფასების ერთ-ერთი გზაა სუბსიდიების ბენეფიციარი და არაბენეფიციარი მეურნეობების კეთილდღეობის, ეფექტიანობის ან მწარმოებლურობის შედარებითი ანალიზი. ნ. მ. ლისტერი ანალიზებს სუბსიდიების გავლენას სიმინდის მწარმოებელი მეურნეობების მწარმოებლურობაზე. ანალიზისთვის შერჩეულ იქნა სუბსიდიების ბენეფიციარი და არაბენეფიციარი ფერმერები ზამბიის ერთ რეგიონში. თითოეულ კატეგორიაში მოხვდა 75 ფერმერი. ეკონომეტრიკული მოდელის საშუალებით გაანალიზებულია დამოკიდებულება მწარმოებლურობასა და სხვა ცვლადებს, მათ შორის, სუბსიდიას შორის. ანალიზები აჩვენებს, რომ არაბენეფიციარებთან შედარებით სუბსიდიების მიმღებთა მწარმოებლურობა უმჯობესდება სუბსიდიების მიღების შედეგად.<sup>52</sup>

ანალიზის ამ მიდგომის გამოყენება სადისერტაციო ნაშრომში არ არის მიჩნეული მიზანშეწონილად, რადგან კახეთის რეგიონში სუბსიდიის მიმღებთა მევენახეთა უმეტესობა (ყველა მევენახე, ვისი ნაკვეთის ფართობიც 10 ჰექტარზე ნაკლებია), ხოლო მათი შედარება სხვა რეგიონის არაბენეფიციარ მეურნეობებთან ვერ მოგვცემს რეალურ

<sup>51</sup> Rizov, M., Pokrivcak, J., Ciain, P. (2012). CAP subsidies and productivity of the EU farms. *Selected Poster prepared for presentation at the International Association of Agricultural Economists (IAAE) Triennial Conference*, Foz do Iguaçu, Brazil, 18-24 August, 2012.

<sup>52</sup> Lister, N. M. (2011). Agricultural Subsidies, Productivity and Rural Assets: The effect of Farmer Input Support Programme (FISP) on small scale farmers in Mwembeshi-Chibombo District of Zambia. *International Institute of Social Studies, Research Paper*.



შედგებს გამომდინარე იმ განსხვავებებიდან, რაც რეგიონებს შორის არსებობს. ამის ნაცვლად, მწარმოებლურობების შედარებითი ანალიზის გაკეთება შესაძლებელია სუბსიდირებად და სუბსიდირების შემდგომი პერიოდების და ასევე, სუბსიდიების თანხის ცვლილებების მიხედვით.

აღნიშნულ კვლევასთან დაკავშირებით შეიძლება ისიც ითქვას, რომ სახელმწიფო მხარდაჭერა უფრო დიდ განსხვავებას განაპირობებს ბენეფიციარ და არაბენეფიციარ მეურნეობებს შორის განვითარებად ქვეყნებში, ვიდრე განვითარებულში. განვითარებულ ქვეყნებში მეურნეობები უმეტესად გამართულად ფუნქციონირებენ, აქვთ ათვისებული ბაზრის ნიშა და ხშირ შემთხვევაში ნაკლებად საჭიროებენ სახელმწიფოს მხარდაჭერას. განვითარებად ქვეყნებში კი პირიქით, მეურნეობები ხასიათდებიან არაორგანიზებულობით, შეზღუდული წვდომით რესურსებსა და ბაზრებზე, ამდენად სახელმწიფოს მხრიდან გაწეული მხარდაჭერა საგრძნობ უპირატესობას აძლევს ბენეფიციარებს არაბენეფიციარ მეურნეობებთან შედარებით.

პ. ჩიანი და ჯ. სვინენი თავის ნაშრომში ასკენიან, რომ სუბსიდიები გაზრდის ფერმერული მეურნეობების ხელმისაწვდომობას კრედიტზე. ამასთან, გაიზრდება მიწის ზღვრული მწარმოებლურობა და მიწაზე მოთხოვნაც, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მიწის ფასის ზრდას. ფერმერული მეურნეობები პირდაპირ მოგებას იღებენ სუბსიდიისგან და არაპირდაპირს – მწარმოებლურობის ზრდიდან.<sup>53</sup> გამომდინარე იქიდან, რომ ქართველი მევენახეები ინვესტიციების განსახორციელებლად, როგორც წესი, საჭიროებენ დაფინანსების გარე წყაროს, სუბსიდიების, როგორც მეტ-ნაკლებად სტაბილური დამატებითი შემოსავლის არსებობის პირობებში მარტივდება მათი ურთიერთობა საკრედიტო ინსტიტუტებთან.

ფ. იავუზი და სხვ. ნაშრომში აღნიშნავენ, რომ წლების განმავლობაში არსებულმა ფასის მხარდამჭერმა პოლიტიკამ განაპირობა თხილის პლანტაციების ფართობების ზრდა და თხილის ჭარბი მიწოდება თურქეთში. მონაცემებს აქვს დროითი მწკრივების სახე, სადაც შესულია 1980-2000 წლების პერიოდის მონაცემები. კვლევაში გამოყენებულია სისტემა, რომელიც მოიცავს ხუთ განტოლებას, სადაც დამოკიდებული ცვლადებია საბაზრო ფასი, თხილის ფართობი, მიწოდება, შიგა მოთხოვნა და

<sup>53</sup> Ciaian, P., Swinnen, J.F.M. (2009). Credit market imperfections and the distribution of policy rents. *American Journal of Agricultural Economics*, Vol. 91, pp. 1124–1139

ექსპორტი.<sup>54</sup> ამ შემთხვევაში სახეზეა სუბსიდიების დადებითი გავლენა როგორც ნარგავების ფართობზე, ასევე წარმოების მოცულობაზე. სუბსიდირების პოლიტიკას თურქეთში უფრო დიდი ისტორია აქვს ვიდრე საქართველოში, შესაბამისად, ფერმერულ მეურნეობებს ჩამოუყალიბდათ გარკვეული მოლოდინები და მის მიხედვით იღებენ საწარმოო გადაწყვეტილებებს. სავარაუდოა, რომ სუბსიდირების პოლიტიკის გრძელვადიან პერიოდში შენარჩუნების კვალობაზე ქართველი მევენახეების საწარმოო გადაწყვეტილებებიც უფრო ოპტიმალური გახდება.

პ. ვესტკოტი და ე. იანგი აღნიშნავენ, რომ წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებელი სუბსიდიები ზრდის საოჯახო მეურნეობების მთლიან შემოსავალსა და ეკონომიკურ კეთილდღეობას, თუმცა პირდაპირ გავლენას არ ახდენს საწარმოო გადაწყვეტილებებზე. ის არაპირდაპირ ზემოქმედებს საწარმოო გადაწყვეტილებებსა და მთლიან წარმოებაზე. მისგან განსხვავებით წარმოების მოცულობასთან დაკავშირებული სუბსიდიები პირდაპირ გავლენას ახდენს ფერმერულ მეურნეობებზე და ქმნის სტიმულს მათთვის, რათა გააფართოვონ წარმოება, სუბსიდიის უფრო დიდი რაოდენობის მისაღებად.<sup>55</sup> მიუხედავად იმისა, რომ წარმოების მოცულობაზე დამოკიდებული სუბსიდიები ხშირად ამახინჯებს საწარმოო გადაწყვეტილებებს, გარკვეულ შემთხვევებში ისინი შესაძლოა ეფექტიანიც იყოს. ეს ეხება იმ შემთხვევებს, როცა მევენახეები ვერ ახერხებენ არსებული საწარმოო პოტენციალის სრულად გამოყენებას სუბსიდიების არარსებობის პირობებში.

დ. ჰენესი კიდევ ერთ ნაშრომში აღნიშნავს, რომ შემოსავლის მხარდამჭერი პროგრამების გავლენა წარმოებაზე გაშლილია სამი მიმართულებით - კეთილდღეობის, დაზღვევის და წარმოების მოცულობასთან დამოკიდებულების ეფექტები. კეთილდღეობის და დაზღვევის ეფექტები ხშირ შემთხვევაში ზრდის წარმოების ფაქტორების ოპტიმალურ დონეს იმ შემთხვევაში, როცა მხარდამჭერი პროგრამა არაა მიბმული წარმოების მოცულობასთან. თუ მხარდამჭერი პროგრამა მიბმულია წარმოების მოცულობასთან, ზემოაღნიშნული სამივე ეფექტი მოქმედებს ერთიდაიგივე მიმართულებით. ნაშრომი ასკვნის, რომ წარმოების მოცულობაზე დამოკიდებული

<sup>54</sup> Yavuz, F. et al. (2005). Econometric Modeling of Turkey's Hazelnut Sector: Implications on Recent Policies. *Turkish Journal of Agriculture and Forestry*, 29, 1-7.

<sup>55</sup> Westcott P. C., Young E. C. (2000). U.S. Farm Program Benefits: Links to Planting Decisions and Agricultural Markets. *Agricultural Outlook*, U.S. Department of Agriculture, Economic Research Service, AGO-275, pp. 10-14.

მხარდამჭერი პროგრამები უფრო დიდ გავლენას ახდენს საწარმოო გადაწყვეტილებებზე, ვიდრე წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებელი პროგრამები.<sup>56</sup>

გ. კარაგიანისი და სხვები შეისწავლიან პირდაპირი ტრანსფერტების გავლენას წარმოების ფაქტორების ეფექტიანობაზე საბერძნეთის ზეთისხილის მეურნეობებში. მოდელი მოიცავს ეგზოგენური ცვლადების შეფასებას წარმოების ფაქტორების ეფექტურობაზე. შედეგებმა აჩვენა, რომ პირდაპირ ტრანსფერტებს ჰქონდა უარყოფითი და მონოტონური ეფექტი წარმოების ფაქტორების ეფექტურობაზე. კვლევა აჩვენებს, რომ წარმოების ფაქტორების ეფექტურობის გაუმჯობესების მოტივაცია ნაკლებია, როდესაც ფერმერები იღებენ დამატებით პირდაპირ ტრანსფერტებს.<sup>57</sup> მსგავსი შედეგია ნაჩვენები კიდევ ერთ კვლევაში. ა. ვასილენკო და სხვ. თავიანთ ნაშრომში რაოდენობრივად აფასებენ სუბსიდიის ეფექტს წარმოებაზე, დანახარჯებსა და საწარმოო ფაქტორების ეფექტურობაზე ფერმერული მეურნეობების მაგალითზე ჩეხეთში. კვლევა აანალიზებს სუბსიდიების ბენეფიციარი და არაბენეფიციარი ფერმერული მეურნეობების ეკონომიკურ ქცევას. მონაცემები მოიცავს 173 მეურნეობას მეცხოველეობის დარგიდან. ანალიზისთვის გამოყენებულია საწარმოო და დანახარჯების ფუნქციები. კვლევამ აჩვენა, რომ ის მეურნეობები რომლებიც იღებენ სუბსიდიას აწარმოებენ უფრო ნაკლებს და მოიხმარენ წარმოების მეტ ფაქტორს იმ მეურნეობებთან შედარებით, რომლებიც არ იღებენ სუბსიდიას ანუ სუბსიდიებმა შეამცირა მიმღები მეურნეობების ეფექტიანობა.<sup>58</sup>

ჰენინგსენი და სხვ. ეკონომეტრიკული მეთოდით აანალიზებენ წარმოებისგან დამოუკიდებელი და წარმოების მოცულობაზე დამოკიდებული სუბსიდიების ეფექტებს. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ წარმოების მოცულობაზე დამოკიდებულ სუბსიდიებს გავლენა აქვთ წარმოების ფაქტორების გამოყენებასა და წარმოების დონეზე. წარმოების

---

<sup>56</sup> Hennessy D. A. (2000). The Production Effects of Agricultural Income Support Policies under Uncertainty. *American Journal of Agricultural Economics*, 80: 46-57.

<sup>57</sup> Karagiannis G., Zhu X., Oude Lansink A. (2011). The Impact of Direct Income Transfers of CAP on Greek Olive Farms' Performance: Using a Non-Monotonic Inefficiency Effects Model. *Journal of Agricultural Economics*, Vol. 62, No. 3, 630–638.

<sup>58</sup> Vasilenko A., Trnkova G., Mala Z. (2012). Analysis of the Effects of Subsidies on the Economic Behavior of Agricultural Businesses Focusing on Animal Production. *Agris on-line Papers in Economics and Informatics*, Volume IV, Number 4-Special.

მოცულობისგან დამოუკიდებელი სუბსიდიების შემთხვევაში ასეთი ეფექტი უმნიშვნელოა.<sup>59</sup>

ტ. როი და სხვ. აღნიშნავენ, რომ პირდაპირი ტრანსფერტები შედარებით ეფექტიანი გზაა ეკონომიკაში არსებული შემოსავლების ფერმერულ მეურნეობებზე გადასანაწილებლად იმ გაგებით, რომ სუბსიდიის ასეთ ფორმას შედარებით ნაკლები ეფექტი აქვს აგრარული რესურსების განაწილებასა და წარმოებაზე. ავტორი ეყრდნობა სხვადასხვა კვლევას, რომელთა მიხედვითაც ინსტრუმენტები, რომლებიც გავლენას ახდენს ბაზარზე - ექსპორტის სუბსიდირება და მხარდაჭერის სხვა ფორმები, რომლებიც პირდაპირ ზემოქმედებენ ფერმერების სტიმულებზე - უფრო მეტად ამახინჯებს ბაზარს და ფერმერულ მეურნეობებზე შემოსავლების განაწილების ნაკლებ ეფექტიანი ინსტრუმენტია.<sup>60</sup>

აგრარული სუბსიდიები შესაძლოა ერთი მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენდეს ნათეს ფართობსა და წარმოების მოცულობაზე, ხოლო მეორე მხრივ, დადებითად ზემოქმედებდეს მეურნეობის შემოსავალზე. ა. სემერჯიი საკუთარ ნაშრომში იკვლევს მხესუმზირის მწარმოებლების სუბსიდირების შედეგებს თურქეთში. გაანალიზებულია მხარდაჭერის შემდეგი სახეები: სუბსიდირება ნათესი ფართობის, წარმოების და მწარმოებლის შემოსავლის მიხედვით. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სუბსიდიები არაეფექტიანია ნათესების ფართობების და წარმოების ზრდის მიმართულებებით მაშინ, როცა ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მწარმოებლის შემოსავალსა და საბაზრო ფასის განსაზღვრაზე. აღმოჩნდა, რომ ფართობზე მიბმულმა სუბსიდიამ (დიზელის ზეთი, სასუქი და ა.შ.) ფულად დახმარებასთან ერთად მხესუმზირისგან მიღებული შემოსავალი ფართობის ერთეულზე 27.74%-ით, ხოლო მწარმოებლების მთლიანი მოგება 98.87%-ით გაზარდა. აღსანიშნავია, რომ სუბსიდიების ეფექტი წარმოებაზე შესწავლილია მომდევნო საწარმოო პერიოდისთვის. ანალიზისთვის მხესუმზირის წარმოების პერიოდი თურქეთში დაყოფილია ორ ნაწილად - პერიოდი (1988-1998), როდესაც არ ხორციელდებოდა მხარდაჭერა სახელმწიფოს მიერ და პერიოდი (1999-2008), როდესაც სახელმწიფო ეხმარებოდა მწარმოებლებს. კვლევაში ჩართულია

<sup>59</sup> Henningsen, A., Kumbhakar, S., Lien, G. (2011). Econometric Analysis of the Effects of Subsidies on Farm Production in Case of Endogenous Input Quantities. In *EAAE 2011 Congress – Change and Uncertainty, Zurich, Switzerland*.

<sup>60</sup> Roe T., Somwaru A., Diao, X. (2002). Do direct payments have intertemporal effects on U.S. agriculture? *TMD Discussion Paper No. 104, International Food Policy Research Institute (IFPRI)*

ფიქტიური ცვლადი. კორელაცია მხარდაჭერის პერიოდის ფიქტიურ ცვლადსა და მზესუმზირის ნათეს ფართობს შორის აღმოჩნდა მნიშვნელოვანი, ხოლო დამოკიდებულება მხარდაჭერის პერიოდის ფიქტიურ ცვლადსა და მზესუმზირის წარმოებას შორის სტატისტიკურად უმნიშვნელოა.<sup>61</sup>

მეურნეობათა სუბსიდირებისას მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს მიზნობრივი ჯგუფი. საკუთარ ნაშრომში ე. იონასონი და მისი თანაავტორები სიმულაციური მოდელის გზით აანალიზებენ საბაზრო ფასის, საწარმოო სუბსიდიების, წარმოების ფაქტორების სუბსიდიების გავლენას სოფლად მცხოვრებთა კეთილდღეობაზე. ავტორები გვთავაზობენ ახალ - განვითარების პოლიტიკის შეფასების მოდელს (DEVPEM – Development Policy Evaluation Model). მოდელი შექმნილია მრავალი ფერმერული მეურნეობის მოდელის დაკავშირებით, ზოგადი წონასწორობის მოდელის ფარგლებში. მოდელში მთავარი დაშვებაა ის, რომ გადაწყვეტილებები წარმოების, მოხმარების და შრომის განაწილების შესახებ შეიძლება იყოს ურთიერთდამოკიდებული. მოდელში შესულია მონაცემები ექვსი ქვეყნიდან: განა, მალავი, ბანგლადეში, ვიეტნამი, გვატემალა, ნიკარაგუა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სახელმწიფო მხარდაჭერა, რომელიც არაა გამიზნული კონკრეტული ჯგუფისთვის, არათანაბრად ნაწილდება მიმღებთა შორის და უფრო ხშირად ვერ აღწევს მეურნეობათა იმ ჯგუფთან, რომელსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.<sup>62</sup> საქართველოში მევენახეების სუბსიდირებისას აქცენტი კეთდება იმ მევენახეებზე, რომელთა მფლობელობაში არსებული ვენახების ფართობი 10 ჰექტარზე ნაკლებია. თუმცა, შესაძლოა უმჯობესი იყოს სუბსიდიების მიმღებთა დაყოფა რამდენიმე კატეგორიად და სუბსიდიის თანხების შესაბამისი გადანაწილება, რათა დახმარების უმეტესი ნაწილი მოხვდეს იმ მევენახეებთან, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ.

არსებობს ემპირიული კვლევები მწარმოებლურობაზე სუბსიდიების უარყოფითი გავლენის შესახებ. მაგალითად, ლ. ლატრუფეს და სხვ. კვლევაში ნახვენებია წარმოების მოცულობასთან დაკავშირებული სუბსიდიების უარყოფითი გავლენა იმ ფრანგული ფერმერული მეურნეობების ეფექტიანობაზე, რომლებიც სპეციალიზდებიან

<sup>61</sup> Semerci A. (2013). The effects of agricultural subsidies applied in Turkey on sunflower cultivation area and the producers' income. *African Journal of Agricultural Research*, Vol. 8(12), pp. 1059-1065.

<sup>62</sup> Jonasson E., Filipski M., Brooks J. (2014). Modeling the welfare impacts of agricultural policies in developing countries, *Journal of Policy Modeling* 36, 63-82.

ბურღულეულის, ზეთოვანი მცენარეების და საქონლის ხორცის წარმოებაზე. სხვა კვლევაში ქ. ჟუ და ა. ოუდ ლანსინკი აჩვენებენ წარმოების მოცულობასთან დაკავშირებული სუბსიდიების უარყოფით ეფექტებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მომყვან ფერმერულ მეურნეობებზე გერმანიაში, ჰოლანდიასა და შვედეთში. კიდევ ერთ კვლევაში ქ. ჟუ და სხვ. აჩვენებენ, რომ წარმოებასთან და წარმოების ფაქტორებთან დაკავშირებული სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის სუბსიდიებს უარყოფითი გავლენა ჰქონდა რძის ფერმების ეფექტიანობაზე გერმანიასა და ჰოლანდიაში 1995-2004 წლებში და არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა შვედეთში. მათი კვლევის შედეგებმა ასევე აჩვენეს, რომ წარმოების მოცულობასთან კავშირის მაღალი ხარისხი ფერმერული მეურნეობების მხარდამჭერ პოლიტიკაში უარყოფითად მოქმედებს ფერმერული მეურნეობის ეფექტიანობაზე. ლ. ლატრუფეს ერთ-ერთი კვლევა აჩვენებს სუბსიდიების უარყოფით გავლენას რძის ფერმებზე ევროკავშირის შვიდ ქვეყანაში (დანია, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, ესპანეთი, ჰოლანდია და დიდი ბრიტანეთი) 1990-2007 წლებში.<sup>63</sup>

სუბსიდირების გავლენის შეფასება სხვადასხვა მიმართულებით ქმნის წარმოდგენას სუბსიდირების ბუნების, მისი შედეგების და კვლევის მეთოდების შესახებ. უნდა ითქვას, რომ ზემოთ მოყვანილი კვლევების შედეგები არ არის მსგავსი და ხშირად რადიკალურად განსხვავებულიცაა ერთმანეთისგან. მოცემულ ლიტერატურაში გაანალიზებულია სუბსიდირების გავლენა არამხოლოდ მწარმოებლურობასა და ნარგავების/ნათესების ფართობზე, არამედ წარმოების მოცულობაზე, რისკზე, კრედიტზე ხელმისაწვდომობაზე, შრომის განაწილებაზე, მეურნეობათა კეთილდღეობაზე, შემოსავლებსა და დანახარჯებზე და ა.შ.

ქართულ ლიტერატურაში უმეტესად შესწავლილია საქართველოს აგროსასურსათო სექტორში არსებული პოტენციალი და მისი გამოყენების გზები, ასევე დარგში ზრდის შემაფერხებელი ფაქტორები, კონკურენცია, სახელმწიფოს მხარდაჭერის გზები და საექსპორტო პოტენციალი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. ხარაიშვილის შრომები. საქართველოს დვინის ბაზრის მიკროგარემოს ანალიზის საფუძველზე ე. ხარაიშვილი ასკვნის, რომ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია

<sup>63</sup> Rizov M., Pokrivcak J., Ciaian P. (2013). CAP Subsidies and the Productivity of EU Farms. *Factor Markets*, No. 37, p. 4

საწარმოთა წვრილმასშტაბურობა. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში არსებული ვენახების 90 პროცენტი ეკუთვნის მცირე და საშუალო ზომის საოჯახო მეურნეობებს და მხოლოდ 10 პროცენტი არის მსხვილი საწარმოების ან მეურნეობების მფლობელობაში. როგორც წესი, წვრილი მეურნეობები არ ფლობენ საბაზრო ძალაუფლებას და ვერ ახდენენ გავლენას ფასზე. ავტორს დაბალი ფასის დაძლევის გზად გარანტირებული ფასების სისტემის გამოყენება მიაჩნია, თავად გარანტირებული ფასების დარეგულირების გზად კი სახელმწიფო კრედიტი ესახება.<sup>64</sup>

ფასების სტაბილურობის მიღწევაზე მიუთითებენ პ. კოლუაშვილი და გ. ზიბზიბაძე, რომლებიც გამოყოფენ ეფექტიანობის ოთხ სახეს სოფლის მეურნეობაში: საწარმოო-ტექნოლოგიური, საწარმოო-ეკონომიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიურ-ეკონომიკური. ავტორები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ მხარდამჭერ პოლიტიკას გავლენის მოხდენა შეუძლია ეფექტიანობის ოთხივე სახეზე. გავლენის ზომას განსაზღვრავს მხარდამჭერი პოლიტიკის ფორმა და სამიზნე ჯგუფის სიდიდე.<sup>65</sup>

ავტორები აღნიშნავენ იმ ძირითად პრინციპებს, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფო რეგულირება და მხარდაჭერა, მათ შორის:

- საქონელმწარმოებლები, ძირითადად, უნდა საქმიანობდნენ თვითდაფინანსების პრინციპით, ხოლო სახელმწიფო მხარდაჭერა უნდა გამოიყენებოდეს დამატებითი, წარმოების ნორმალური ეკონომიკური პირობების უზრუნველსაყოფად;
- საქონელმწარმოებელთა მხარდაჭერისთვის გამოყენებული სუბსიდიები, სუბვენციები, დოტაციები და სხვა მარეგულირებელი ბერკეტები უნდა ასტიმულირებდეს მეურნეობრიობის უფრო მაღალ ეფექტიანობას;
- მხარდაჭერის ღონისძიებები უნდა გამოიყენებოდეს დიფერენცირებულად, თითოეული საწარმოს კონკრეტული ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით და უნდა ატარებდეს მკაცრად მიზნობრივ-პროგრამულ ხასიათს.<sup>66</sup>

<sup>64</sup> ხარაიშვილი, ე. (2011). *კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში*. თბილისი, „უნივერსალი“.

<sup>65</sup> კოლუაშვილი, პ., ზიბზიბაძე, გ. (2010). სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

<sup>66</sup> კოლუაშვილი, პ., ზიბზიბაძე, გ. (2010). სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, კვლევები აგროსასურსათო სექტორის სუბსიდიების მიკროეკონომიკური ეფექტების შესახებ მრავალფეროვანია და განსხვავებულია ამ კვლევების შედეგებიც. ზემოთ მოყვანილი და სხვა ავტორების კვლევებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით განისაზღვრა ჩვენი კვლევის მეთოდოლოგია, გამოვლინდა რელევანტური ცვლადები და შემუშავდა კვლევის მოდელი.

## 2.2 აგროსასურსათო სექტორის სუბსიდირების მიზნები

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მთავრობა ერევა აგრარული სფეროს განვითარების პროცესში. ისინი ახდენენ ფერმერული მეურნეობების სუბსიდირებას, აგრარული წარმოების სტიმულირებას, ცდილობენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების დასტაბილურებას, აწესებენ ტარიფებს და ევოტებს იმპორტზე, ახორციელებენ ინვესტიციებს სარწყავ სისტემებში, ფერმერებს სთავაზობენ საკონსულტაციო მომსახურებას, ახდენენ წარმოების ფაქტორების სუბსიდირებას, მეურნეობებს უზრუნველყოფენ საჭირო ტექნიკით და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ აგრარული პოლიტიკა ყოველთვის არსებობდა და სახელმწიფო სხვადასხვა ზომითა და ფორმით ახდენდა ამ სფეროს რეგულირებას და მასში დასაქმებულთა მხარდაჭერას. აგრარულ პოლიტიკას უძველესი ისტორია აქვს. სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწყის ეტაპებზე, უძველეს ხელნაწერებში, სამეფო დეკრეტებსა თუ კანონთა წიგნებში უპირველესი ყურადღება ექცეოდა: მიწების განაწილებას საკუთრებაში გადაცემის თვალსაზრისით, მისი სარგებლობის უფლებებსა და წესებს, ირიგაციული სისტემების ფუნქციონირებისა და მიწის გადასახადების დამკვიდრების საკითხებს. აგრარულ განვითარებას და მის განმსაზღვრელ პოლიტიკას ეკონომიკური აზროვნების კლასიკოსები დიდ ყურადღებას უთმობდნენ (ა. სმიტი, დ. რიკარდო და თ. მალთუსი). საერთოდ, ეკონომიკური განვითარებისთვის, კერძოდ კი სოფლის მეურნეობისთვის, ისინი განვითარების ძირითად ფაქტორად კაპიტალის აკუმულაციას მიიჩნევდნენ. მათი აზრით, ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების



დანერგვითა და შრომითი პროცესების სრულყოფით სოფლის მეურნეობაში ნაყოფიერების გადიდება მიიღწევა.<sup>67</sup>

მარეგულირებელი პოლიტიკის განხორციელებით სახელმწიფო ისწრაფვის აგროპროდუქციისა და ნედლეულის მწარმოებელთა შემოსავლების იმ დონეს, რაც უზრუნველყოფს მათი ცხოვრების მისაღებ პირობებს და პროდუქციის გაფართოებულ აღწარმოებას.<sup>68</sup>

სახელმწიფოს უამრავი ბერკეტი გააჩნია აგრარულ და არამარტო აგრარულ სექტორზე ზემოქმედებისთვის. ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო ჩარევა დარგის განვითარებაში მოტივირებულია არამხოლოდ საკუთარი ნებით, არამედ მოსახლეობის მხრიდან მოთხოვნით. როდესაც აგრარულ სფეროში დასაქმებულები საკუთარი რესურსებით ვერ ახერხებენ დარგში არსებული პრობლემების მოგვარებას და იმპორტიორებთან კონკურენციას, ისინი ერთადერთ გამოსავალს სახელმწიფოსგან დახმარებაში ხედავენ.

აგრარული პოლიტიკის გატარება კონკრეტული პრინციპების საფუძველზე უზრუნველყოფს მის სისტემურობას, ორგანიზებულობას და შედარებით ადვილად განხორციელებადობას. გარდა ამ პრინციპებისა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე შეიძლება შემუშავდეს სხვა უამრავი პრინციპი, რომლებსაც დაეყრდნობა აგრარული პოლიტიკის შემუშავება და პრაქტიკაში განხორციელება.

„ეკონომიკურად და პოლიტიკურად ინტეგრირებულ თანამედროვე მსოფლიოში ყველა ქვეყანა ცდილობს საერთო თამაშის წესებით ითამაშოს, რადგან სხვაგვარად რამე არსებითი წარმატების მიღწევა ნებისმიერ სფეროში, პრაქტიკულად, შეუძლებელია. აგრარული სექტორი საქართველოში ისევე უნდა რეგულირდებოდეს და სარგებლობდეს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერით, როგორც ეს მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ხორციელდება“.<sup>69</sup>

ნებისმიერი ფორმის ეკონომიკური ჩარევა მიზნად ისახავს მთლიანად ეკონომიკაში ან მის კონკრეტულ დარგში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას,

<sup>67</sup> ველესიანი, რ. ეკონომიკური პოლიტიკა, წ. 2, თბ. უნივერსალი, 2012, გვ. 177

<sup>68</sup> კოლუაშვილი, პ., ზიბზიბაძე, გ. (2006). სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, გვ. 198

<sup>69</sup> კოლუაშვილი, პ. (2009). აგროწარმოება და სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი. *გაზეთი „რეზონანსი“*, 18 ივნისი, №159, გვ. 9

რესურსების ან შემოსავლების განსხვავებულ გადანაწილებას, მოსახლეობის კონკრეტული ჯგუფის კეთილდღეობის გაუმჯობესებას და ა.შ.

ეკონომიკური პოლიტიკა გავლენას ახდენს ეკონომიკური აქტივობის დონესა და სტრუქტურაზე. სახელმწიფოს მხრიდან ინტერვენცია ხორციელდება იმ შედეგის მიღების მიზნით, რაც შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების აზრით იქნება უკეთესი, ვიდრე ჩაურევლობის შემთხვევაში იქნებოდა. შესაძლებელია ეს „უკეთესი“ განისაზღვროს არაეკონომიკური კრიტერიუმის მიხედვით (მაგალითად, წარმატება არჩევნებში), მაგრამ აუცილებელია მისი შეფასება ეკონომიკური ასპექტით.<sup>70</sup>

სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას: სოფლის განვითარების პოლიტიკა, გარემოსდაცვითი პოლიტიკა, დასაქმების პოლიტიკა, საგადასახადო პოლიტიკა, სავაჭრო პოლიტიკა და ა.შ.<sup>71</sup>

ეკონომიკური ჩარევის განხორციელებისას ორ მთავარ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი: როგორია საუკეთესო გზა დასახული მიზნის მისაღწევად და როგორია საუკეთესო გზა არსებული რესურსების გამოსაყენებლად?<sup>72</sup>

ყველაზე გავრცელებული მოსაზრება აგრარული სფეროს სუბსიდირების მხარდასაჭერად ისაა, რომ საჭიროა ფერმერულ მეურნეობათა შემოსავლების დაცვა და გაზრდა.<sup>73</sup> ზოგადად, არსებობს იმ მიზეზთა სამი ფართო ჯგუფი, რის გამოც სახელმწიფო ერევა აგრარული სფეროს განვითარებაში, ესენია:

1. ეფექტიანობა. მთავრობის მიზანს ამ შემთხვევაში წარმოადგენს რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ზრდისთვის ხელშეწყობა, რაც განაპირობებს მწარმოებელთა შემოსავლების ზრდას;
2. თანასწორობა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის შემოსავლების გაზრდა;
3. პოლიტიკური ეკონომიკა. მთავრობას ზოგჯერ სჭირდება საზოგადოების გარკვეული ნაწილის პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება, რისთვისაც მიმართავს

<sup>70</sup> Colman D., Young T. (1989). *Principles of Agricultural Economics, Markets and prices in less developed countries*. Cambridge University Press, p. 198

<sup>71</sup> Skovager J. M., Zobbe H. (2007). Producer subsidies and decoupling in the European Union and the United States, Case study #10-2 of the program: “Food policy for developing countries: The role of government in the global food system”, p. 11

<sup>72</sup> BIS. (2011). Guidance on evaluating the impact of interventions on business. Department for Business Innovation & Skills, p. 5

<sup>73</sup> Winters A. L. (1987). The economic consequences of agricultural support: a survey, *OECD Economic Studies*, 9, 7-54

წამახალისებელ მოქმედებებს. მაგალითად, მეწარმეები, რომლებიც იღებენ სუბსიდიებს სახელმწიფოსგან, სავარაუდოდ, იქნებიან ცვლილებების წინააღმდეგნი.

რეალობაში, ზემოაღნიშნული სამი მიზეზის კომბინაცია ხშირად განაპირობებს სახელმწიფო პოლიტიკას.<sup>74</sup>

სახელმწიფოს აგრარული სფეროს რეგულირებისკენ შეიძლება უბიძგოს ისეთმა ეკონომიკურმა, სოციალურმა თუ პოლიტიკურმა მიზნებმა, როგორებიცაა:

- ადგილობრივი აგრარული წარმოების განვითარება და იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება;
- რესურსების გადაადგილება საჭირო მიმართულებით, როგორც წესი, ჩამორჩენილი დარგების განსავითარებლად;
- მოსავლის დაზღვევაში სახელმწიფოს თანამონაწილეობა, რათა მცირეშემოსავლიან მეურნეობებს ააცილოს სტიქიისგან მიყენებული ზარალი;
- უთანასწორობის შემცირება სოფლად და ქალაქად მცხოვრებთა შემოსავლებსა და კეთილდღეობაში;
- მოხმარების სტიმულირება მოსახლეობის ნაკლებად შექმნილ ფენებში მათი მყიდველობითუნარიანობის გაზრდის გზით;
- აგროსასურსათო წარმოების იმ დარგის მხარდაჭერა, რომელიც დიდი ოდენობით ქმნის სამუშაო ადგილებს და დამატებულ ღირებულებას;
- რეგიონში ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების შექმნის გზით სოფლიდან ქალაქში მიგრაციის შეჩერება;
- წარმოების იმ ფაქტორების გამოყენების წახალისება, რომლებიც ნაკლებ ზიანს აყენებს გარემოს;
- სახელმწიფოს კუთვნილი საწარმოების დაფინანსება;
- ჭარბი პროდუქციის ათვისება და მწარმოებელთა დანაკარგების თავიდან აცილება;
- მხარდაჭერის გაწევა იმ ახალგაზრდა ინდუსტრიებისთვის, რომლებიც მიიხნევა პერსპექტიულად;

---

<sup>74</sup> Hill B. (2012). *Understanding the common agricultural policy*. London and New York, Earthscan.

- ქვეყნის მაღალმთიანი ან ჩამორჩენილი რეგიონების განვითარება და ა.შ.

„სასოფლო-სამეურნეო სუბსიდია შეიძლება განისაზღვროს, როგორც სახელმწიფოს ნებისმიერი ჩარევა, რომელიც აგრარული პროდუქტის ფასს, ფერმერული მეურნეობის შემოსავალს გახდის განსხვავებულს იმისგან, რაც იქნებოდა ინტერვენციის არარსებობის შემთხვევაში“.<sup>75</sup> სუბსიდირების ეკონომიკური საფუძველია ეკონომიკური ეფექტიანობა, ანუ ბაზრის ჩაგარდნის გამოსწორება და გადანაწილებითი ეფექტი ანუ სამართლიანობის მიღწევა.<sup>76</sup> სუბსიდიების საშუალებით უნდა ამალდეს ფერმერების მწარმოებლურობა, გაიზარდოს მათი შემოსავლები და გაუმჯობესდეს ამ მეურნეობების კონკურენტუნარიანობა ბაზარზე.

განვითარებადი ქვეყნების ფერმერული მეურნეობები ხშირად აწარმოებენ იმ რაოდენობის პროდუქციას, რომ მისი გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ფარავს საწარმოო ხარჯებს და არაა საკმარისი მეურნეობის სამომხმარებლო ხარჯების დასაფარად. სუბსიდიები ამ შემთხვევაში დამატებითი შემოსავლის წყაროა ასეთი მეურნეობებისთვის. ეს არის ის შემოსავალი, რასაც მათთვის ვერ უზრუნველყოფს ბაზარი.

მოკლევადიან პერიოდში აგრარული პროდუქციის ფასები უფრო დიდი მერყეობით ხასიათდება, ვიდრე სხვა პროდუქციის ფასები. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდებაზე გავლენას ახდენს ისეთი გარემო ფაქტორები, როგორებიცაა ამინდი, მავნებლები და ცხოველთა/მცენარეთა ავადმყოფობები. ამასთან, მოთხოვნა უმეტეს აგრარულ პროდუქციაზე შედარებით ნაკლებად რეაგირებს ფასის ცვლილებებზე. შედარებითი სტატიკური ანალიზის თანახმად ცვალებადი მიწოდებისა და არაელასტიკური მოთხოვნის ურთიერთქმედება იწვევს დიდ მერყეობებს ფასებსა და შემოსავლებში.<sup>77</sup>

სუბსიდირების ძირითად მიზნად ყველაზე ხშირად სახელდება ის, რომ მთავრობისგან გარკვეული ფინანსური მხარდაჭერის გარეშე ადგილობრივი ფირმები ვერ გაუწევენ კონკურენციას იმპორტირებულ პროდუქციას. სუბსიდიების გაუქმება

<sup>75</sup> Peterson, E. Wesley F. (2009). *A Billion Dollars a Day: The Economics and Politics of Agricultural Subsidies*. Wiley-Blackwell

<sup>76</sup> Lister, N. M. (2011). *Agricultural Subsidies, Productivity and Rural Assets: The effect of Farmer Input Support Programme (FISP) on small scale farmers in Mwembeshi-Chibombo District of Zambia*. *International Institute of Social Studies, Research Paper*.

<sup>77</sup> Colman D., Young T. (1989). *Principles of Agricultural Economics, Markets and prices in less developed countries*. Cambridge University Press, p. 142

გაზრდის ნაპრაღს სოფელში და ქალაქში მცხოვრები ადამიანების შემოსავლებს შორის და ფერმერებს უბიძგებს საკუთარი მიწების მიტოვებისა და საცხოვრებლად ქალაქში გადასვლისკენ. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობის და ეროვნული წარმოების შემცირება ხშირად მიიჩნევა არასასურველად, რადგან ის ზრდის უმუშევრობას და ქვეყანას უფრო მეტად დამოკიდებულს ხდის უცხოურ პროდუქციაზე. სახელმწიფო, რომელიც დიდწილადაა დამოკიდებული იმპორტირებულ პროდუქციაზე, შესაძლოა დიდი რისკის წინაშე აღმოჩნდეს გლობალური სასურსათო კრიზისისა და სურსათზე მზარდი მსოფლიო ფასების პირობებში.<sup>78</sup>

არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება აგრარული სუბსიდიების შესახებ. სავაჭრო ლიბერალიზაციის პროცესის კვალობაზე ზოგიერთი მკვლევარი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ სუბსიდიები ახდენს საბაზრო პროცესების დამახინჯებას. ამ მიზნით ბევრმა ქვეყანამ დაიწყო ისეთი სუბსიდიების გაცემა, რომლებიც არაა დაკავშირებული წარმოების მოცულობასთან. ამის მიუხედავად, ზოგიერთი ნაშრომის თანახმად წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებელი სუბსიდიებიც ახდენს ზემოქმედებას საწარმოო გადაწყვეტილებებსა და ფერმების მწარმოებლურობაზე. მეორე მხრივ, მსოფლიო ბაზრებზე მიმდინარე პროცესები, რომლებიც ხელს უწყობს სურსათზე ფასების მერყეობას მსოფლიო მასშტაბით და იწვევს შემფოთებას სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით განვითარებად ქვეყნებში, განაპირობებს აგრარული სუბსიდიების მომხრეთა აქტიურობას, რომლებიც მხარს უჭერენ დარგში ინვესტიციების მასტიმულირებელი სუბსიდირების პოლიტიკის განხორციელებას.<sup>79</sup>

ნეოკლასიკოსები და ნეოლიბერალები, როგორც წესი, სუბსიდიების გამოყენების წინააღმდეგ გამოდიან, რადგან თვლიან, რომ სუბსიდიები ხელს უშლის საბაზრო ძალების თავისუფალ მოქმედებას. მათ მიაჩნიათ, რომ რესურსები უნდა გადაადგილდებოდეს მომგებიანი სექტორების მიმართულებით და თუ მაგალითად, ფერმერს არ შეუძლია წარმოების ფაქტორების შექმნა, სახელმწიფო მას არ უნდა დაეხმაროს. უკეთესი იქნება თუ ასეთი ფერმერი გახდება დასაქმებული სხვა რომელიმე მეურნეობაში ნაცვლად იმისა, რომ გააჩნდეს საკუთარი არაეფექტიანი წარმოება. 1980-

<sup>78</sup> Henningsen A., Kumbhakar S., Lien G. (2011). Econometric Analysis of the Effects of Subsidies on Farm Production in Case of Endogenous Input Quantities. *Paper prepared for presentation at the EAAE 2011 Congress, ETH Zurich, Zurich, Switzerland*, p. 2

<sup>79</sup> Rizov M., Pokrivcak J., Ciaian P. (2013). CAP Subsidies and the Productivity of EU Farms. *Working paper, Factor Markets*, No. 37, p. 1

90-იან წლებში განსაკუთრებით მწვავედ აკრიტიკებდნენ სუბსიდირების პოლიტიკას, რადგან თვლიდნენ, რომ ეს არ იყო მთავრობის ეფექტური და ეფექტიანი ინსტრუმენტი სექტორში არსებული პრობლემის გადასაჭრელად.

აღსანიშნავია, რომ არსებობს გარკვეული ფორსმაჟორული სიტუაციები, როდესაც აგრარული სექტორის ესა თუ ის დარგი სერიოზულ დარტყმას იღებს და საჭიროებს მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან. ასეთი შემთხვევა იყო 2006 წელს, როდესაც რუსეთის ფედერაციამ დააწესა ემბარგო ქართულ პროდუქციაზე. ამ პერიოდში ქართული ღვინის ექსპორტის 80 პროცენტი მოდიოდა ამ ქვეყანაზე და რუსულ ბაზარზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე მევენახეობა-მეღვინეობის დარგი აღმოჩნდა ურთულესი პრობლემის წინაშე. სახეზე იყო ჭარბი მიწოდება, რომლის ათვისებისთვის არ არსებობდა ბაზარი. ასეთ პირობებში გასაკვირი არაა, რომ მნიშვნელოვნად დაეცა ყურძნის ფასი. განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის მევენახეები, რომლებსაც გარკვეული გრძელვადიანი გეგმები გააჩნდათ და მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჰქონდათ განხორციელებული საკუთარ ვენახში. დარგის სუბსიდირების და ზოგადად, სახელმწიფოს მხრიდან მისი სხვადასხვა ფორმით დახმარების მიზანშეწონილობაზე საუბრისას მსგავსი ფორსმაჟორული სიტუაციები უნდა იქნეს გათვალისწინებული.

სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში ხორციელდება მცირე საოჯახო მეურნეობების დახმარების მიზნით. მცირე მეურნეობა აწარმოებს პროდუქციას გარკვეული რაოდენობით და ყიდის მას კონკრეტულ ფასად. ბაზარზე მიმდინარე ისეთი მოვლენები, რაც იწვევს ფასის შემცირებას, განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს მცირე ფერმერული მეურნეობებს. რადგანაც საქართველოში არსებული მევენახეების უდიდესი ნაწილი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მცირე მეურნეობა, ნათელი ხდება თუ რა მძიმედ მოქმედებს ყურძნის ფასის კლება მთლიანად დარგის განვითარებაზე. როგორც წესი, ასეთ დროს ყალიბდება ზეწოლა მთავრობაზე, რათა მან განახორციელოს მცირე მეურნეობების შემოსავლების მხარდამჭერი პოლიტიკა იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფასის შემცირებით გამოწვეული დანაკარგების სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება ამ მეურნეობებისთვის. სწორედ ამ მიზნით დაიწყო საქართველოში ყურძნის ფასის მხარდამჭერი პოლიტიკის გატარება.

მსგავსი პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს მაღალი ფასის შენარჩუნება და არ დაუშვას მცირე მეურნეობების ბაზრიდან გასვლა, რაც როგორც წესი, პოლიტიკურადაც მომგებიანი სვლაა.

სუბსიდიებმა უნდა წაახალისოს სამეწარმეო საქმიანობა აგრარულ სფეროში, სამეწარმეო საქმიანობა კი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიკრო დონეზე, ხელს უწყობს რა ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურებების შექმნას ბაზრებზე. იგი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მაკრო დონეზე დასაქმებისა და ეკონომიკური განვითარებისთვის ხელშეწყობის გზით.<sup>80</sup>

ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკა სოფლის მეურნეობასთან მიმართებით მთლიანობაში ან კონკრეტული ჯგუფის მიმართ შედგება სამი ელემენტისგან, ესენია: მიზნები, პოლიტიკის ინსტრუმენტები და წესები პოლიტიკის ინსტრუმენტებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკა, როგორც წესი, იგეგმება გარკვეული მიზნების გარშემო და იყენებს ამ მიზნების მისაღწევად საჭირო ინსტრუმენტებს განსაზღვრული წესების შესაბამისად. მაგალითად, ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ერთიან პოლიტიკაში რომის შეთანხმებით (მუხლი 39) განსაზღვრულია გარკვეული მიზნები, რომელთა მიღწევასაც ითვალისწინებს აღნიშნული პოლიტიკა, ესენია:

- ფერმერების და ფერმერულ მეურნეობაში დასაქმებულთა შემოსავლების მხარდაჭერა;
- ეფექტიანობის და მწარმოებლურობის ზრდა აგრარულ სექტორში;
- ბაზრების სტაბილიზაცია;
- უწყვეტი მიწოდების გარანტირება და გონივრული ფასების უზრუნველყოფა მომხმარებლებისთვის.<sup>81</sup>

აღნიშნული მიზნები წარმოადგენს ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ერთიან პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და საფუძველს. ნებისმიერი ქვეყნის აგრარული პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს წინასწარ განსაზღვრულ პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც მოხდება როგორც გრძელვადიანი სტრატეგიების, ასევე მოკლევადიანი კონკრეტული გეგმების შემუშავება.

---


<sup>80</sup> Natsvlishvili, I. (2012). Peculiarities of Public and Entrepreneurial Attitudes in Post Soviet Georgia (an Example of Reflexive System Thinking). *Capital Science 2012 Biennial PanAffiliate Conference*; Arlington Virginia, USA, available at: <https://www.gwu.edu/~rpsol/2011-Ia-Paper-WBRF.pdf>, last seen: 11.06.2016

<sup>81</sup> Colman D., Young T. (1989). *Principles of Agricultural Economics, Markets and prices in less developed countries*. Cambridge University Press, p. 265

მიუხედავად იმისა, რომ სუბსიდირება ხორციელდება მის მიმღებთა დასახმარებლად, მისგან მიღებული სარგებელი შეიძლება განსხვავდებოდეს სუბსიდიის ტიპის, მისი დანერგვის და ხელმისწავდომობის მიხედვით. ზოგადად, სუბსიდირება გამიზნულია მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად, თუმცა, მას შემდეგ, რაც სუბსიდიები ახდენს ზეგავლენას მეურნეობებზე, მათი შეწყვეტა სერიოზულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.<sup>82</sup>

საზოგადოდ, აგრარულ სუბსიდიებს, საჭირო რაოდენობით, შეუძლია ხელი შეუწყოს ფერმერთა სიღარიბის „მოჯადოებული წრის“ დაძლევა. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ის იძლევა მწარმოებლურობის გაზრდის საშუალებას.<sup>83</sup> სუბსიდიები დამატებითი შემოსავალია მევენახეებისთვის. შესაბამისად, მათ შეუძლიათ დაზოგონ მეტი და დანაზოგი გამოიყენონ დამატებითი ინვესტიციების განსახორციელებლად, ვენახის მოვლის თანამედროვე საშუალებების, მეთოდების და ტექნიკის ასათვისებლად. დამატებითი შემოსავალი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ვენახის ფართობის გასაზრდელადაც.

დიაგრამა 2.1. ფერმერთა სიღარიბის მოჯადოებული წრე



<sup>82</sup> Lister, N. M. (2011). Agricultural Subsidies, Productivity and Rural Assets: The effect of Farmer Input Support Programme (FISP) on small scale farmers in Mwembeshi-Chibombo District of Zambia. *International Institute of Social Studies, Research Paper*.

<sup>83</sup> Huang, Y. (1998). Agricultural Reform in China: Getting Institutions Right. *Canadian Journal of Agricultural Economics* 46: 257-258



წყარო: Huang, 1998

განვითარებად ქვეყნებში აგრარულ სექტორში დასაქმებულთა მთავარი პრობლემაა დაბალი მწარმოებლურობა, რაც განაპირობებს დაბალ შემოსავლებს. შესაბამისად, მათ არ რჩებათ საკმარისი თანხა ინვესტიციების განსახორციელებლად და ვერ უზრუნველყოფენ დანაზოგებს.

აგრარული სფეროს სუბსიდირების მთავარი მიზანია ამ „მოჯადოებული წრის“ დაძლევა. აგრარულ მეურნეობათა მწარმოებლურობის გაზრდა და მათთვის შემოსავლების საჭირო დონის უზრუნველყოფა განაპირობებს ინვესტიციების ზრდას დარგში და მეურნეობებს მისცემს დანაზოგების ფორმირების საშუალებას. ეს ყოველივე კი ერთობლიობაში დარგის მომავალი განვითარების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია.<sup>84</sup>

2012 წლის მონაცემებით აგრარული სუბსიდიები შეადგენდა 486 მილიარდ აშშ დოლარს მსოფლიოს 21 უმსხვილეს სურსათის მწარმოებელ ქვეყანაში. ამ ქვეყნებზე, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრებსა და კიდევ შვიდ ქვეყანაზე (ბრაზილია, ჩინეთი, ინდონეზია, ყაზახეთი, რუსეთი, სამხრეთ აფრიკა და უკრაინა) მოდის გლობალურ სოფლის მეურნეობაში შექმნილი დამატებული ღირებულების თითქმის 80 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ აგრარული სუბსიდიების მოცულობა აზიაში უფრო დიდია, ვიდრე ერთად აღებულ დანარჩენ მსოფლიოში. ჩინეთი ამ მიმართულებით ხარჯავს 165 მილიარდ აშშ დოლარს, რასაც ანალოგი არ აქვს მსოფლიოში. იაპონიაში ეს რიცხვი 65 მილიარდია, ინდონეზიაში – 28, ხოლო სამხრეთ კორეაში – 20 მილიარდი აშშ დოლარი. ჩრდილოეთ ამერიკაში აგრარულ სუბსიდიებზე იხარჯება დაახლოებით 45 მილიარდი აშშ დოლარი, საიდანაც 30 მილიარდზე მეტი მოდის აშშ-ზე, 7.5 – კანადაზე, ხოლო 7 მილიარდი აშშ დოლარი – მექსიკაზე.<sup>85</sup>

ფერმერულ მეურნეობებს, ჩვეულებრივ, აქვთ მოლოდინები მთავრობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რაც გავლენას ახდენს მათ ქმედებებზე. მოლოდინები განსაკუთრებით ზემოქმედებს დამატებით ინვესტიციებთან,

---

<sup>84</sup> Lister, N. M. (2011). Agricultural Subsidies, Productivity and Rural Assets: The effect of Farmer Input Support Programme (FISP) on small scale farmers in Mwembeshi-Chibombo District of Zambia. *International Institute of Social Studies, Research Paper*.

<sup>85</sup> Worldwatch Institute, Agricultural Subsidies Remain a Staple in the Industrial World, <http://www.worldwatch.org/agricultural-subsidies-remain-staple-industrial-world-0>

ნარგავების/ნათესების გაზრდასთან და ამა თუ იმ პროდუქტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე.

თავისუფალი ბაზარი თავისთავად უზრუნველყოფს დიდ უპირატესობებს ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზებისთვის. ამის მიუხედავად, სახელმწიფოს ზოგჯერ უწევს ე.წ. „ბაზრის ჩაგარდნის“ გამოსწორება და მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელება. თავისუფალი ბაზრის პირობებში ხშირად ხდება, რომ წვრილი ფერმერული მეურნეობა წამგებიან სიტუაციაშია მსხვილ კონკურენტებთან ურთიერთქმედებისას. ასეთ დროს სახელმწიფო ანალიზებს რა შექმნილი პრობლემის სირთულეს და წამგებიან სიტუაციაში მყოფი მეურნეობების მნიშვნელობას, იღებს ზომებს მათ მხარდასაჭერად.

უნდა გაანალიზდეს თუ რა იწვევს ბაზრის არაეფექტიანობას ან „ბაზრის ჩაგარდნას“, რაც ხდება სახელმწიფოს ჩარევის მიზეზი. ჯოზეფ სტიგლიცი გამოყოფს სოფლის მეურნეობაში არსებულ ხუთ ზოგად პრობლემას, რომელიც განაპირობებს სახელმწიფოს ჩარევას ამ სექტორის განვითარებაში, ესენია:

1. სადაზღვევო და საკრედიტო ბაზრის გაუმართაობა. ფერმერები ვერ იღებენ სრულ დაზღვევას იმ რისკებისთვის, რომელთა წინაშეც დგანან (წარმოების ცვალებადი მოცულობა, მერყევი ფასები). ასევე შეზღუდულია მათი ხელმისაწვდომობა კრედიტზე. ხშირად უწევთ მაღალი საპროცენტო განაკვეთების გადახდა;

2. სარწყავი სისტემების გაუმართაობა. მთავრობა ხშირად აფინანსებს სარწყავი სისტემების აგებას და რეაბილიტაციას. წყლის მიწოდებაზე უმეტესად არსებობს ბუნებრივი მონოპოლია და სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს სარწყავი არხების მშენებლობასაც;

3. ინფორმაციის ნაკლებობა. სახელმწიფო ფერმერებს უწევს საკონსულტაციო მომსახურებას. მაგალითად, აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ თუ რომელი კულტურა იქნება უფრო მოსაგლიანი კონკრეტულ ადგილას ან როგორ შეიძლება მოიძიონ გასაღების ბაზრები მათი პროდუქციისთვის;

4. გარეგანი ფაქტორები. ერთი ფერმერის მიერ ახალი ტექნოლოგიის წარმატებით დანერგვა სტიმულს აძლევს მის მეზობლებს დანერგონ იგივე ტექნოლოგია. ასეთი გარეგანი ფაქტორების არსებობით ამართლებს სახელმწიფო ფერმერების სუბსიდირებას ახალი ტექნოლოგიების დასანერგად;

5. შემოსავლების გადანაწილება. სტიგლიციის აზრით შესაძლოა სწორედ შემოსავლების გადანაწილება იყოს აგროსასურსათო სექტორში სახელმწიფოს ჩარევის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი. ხშირად, შემოსავლები საკმაოდ არათანაბრადაა განაწილებული. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იღებს ძალიან დაბალ შემოსავალს და შეზღუდულია სურსათზე მისი ხელმისაწვდომობა. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ცდილობს შექმნას ისეთი პროგრამები, რაც გაზრდის მცირე ფერმერთა შემოსავლებს.<sup>86</sup>

ხშირ შემთხვევაში მთავრობები გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობაში ჩარევის შესახებ არა შესაბამისი სტატისტიკური კვლევების, არამედ ე.წ. მითების საფუძველზე იღებენ. ამ მითებში იგულისხმება გავრცელებული შეხედულებები ამა თუ იმ საკითხის შესახებ, მაგალითად:

- სურსათით თვითუზრუნველყოფის მაღალი დონე საჭიროა იმისთვის, რომ ქვეყანაში არსებობდეს უსაფრთხო მიწოდება;
- სოფლის მიწების გამოყენებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სოფლის მეურნეობას, რათა შენარჩუნდეს სურსათის წარმოების შესაძლებლობა გრძელვადიან პერიოდში;
- მხარდაჭერის გარეშე ფერმერების შემოსავლები იქნება უსამართლოდ დაბალი;
- განვითარებული ფერმერული მეურნეობა საჭიროა, რათა მიწის მესაკუთრეებმა იზრუნონ ბუნების დაცვაზე;
- ფერმერთა შეიღები შეიძლება იყვნენ საუკეთესო ფერმერები და ამიტომ, მათ უნდა მიეცეთ საშუალება გაყვნენ მშობლების კვალს;
- მოსახლეობის შენარჩუნება სოფლად უზრუნველყოფს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით უპირატესობებს;
- სოფლად დაბადებულ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ იქ ცხოვრების პირობები, რათა არ დაირღვეს ადგილობრივი საზოგადოების მდგრადობა და სხვა.<sup>87</sup>

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო რეგულირების ბევრი მომხრე აღნიშნავს, რომ ფერმერული მეურნეობები დგანან ბუნებრივი რისკების წინაშე. მოსავალი ხშირად

<sup>86</sup> Stiglitz, J. E. (1987). Some theoretical aspects of agricultural policies, *World Bank research observer*, 2:1, 43-60

<sup>87</sup> Hill B. (2012). *Understanding the common agricultural policy*. London and New York, Earthscan, p. 13

ზიანდება სექციის, გვალვის და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად, რაც აგრარულ სფეროში დასაქმებულებს აყენებს ყველაზე უარეს მდგომარეობაში ეკონომიკის სხვა სფეროებში დასაქმებულებთან შედარებით. შესაბამისად, მათი აზრით, სახელმწიფოს როლი მეტად მნიშვნელოვანია ამ „უსამართლობის“ აღმოფხვრისა და რისკების შემცირების მიმართულებით.

აგრარულ ეკონომიკაში ბევრი „საბაზრო“ კანონი უფრო წმინდა სახით ვლინდება, ვიდრე სხვა დარგებში, რადგან ის წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი და შედარებით მცირე ზომის ფერმერული მეურნეობებით, რომლებიც მოქმედებენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. წარმოდგენილია გამყიდველთა დიდი რაოდენობა, რომელთაგან თითოეულს არ შეუძლია ბაზრისათვის საქონლის ისეთი რაოდენობით მიწოდება, რომ ზეგავლენა მოახდინოს ფასზე, არ არსებობს შესაბამის ბაზარზე შესვლისა და ამ ბაზრიდან გამოსვლის ბარიერები.<sup>88</sup>

გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მეურნეობაში ყველაზე დიდია ბიზნესთან დაკავშირებული რისკები. თუნდაც, მხოლოდ იმიტომ, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება დიდწილად დამოკიდებულია ბუნებრივ პირობებზე. გარდა ამისა, ხშირია მცენარეებისა და ცხოველების ავადმყოფობები, რაც სრული განადგურებით შეიძლება დაემუქროს მეცხოველეობის ან მეფრინველეობის ფერმას.

პროდუქციის სუსტი დიფერენცირებულობის გამო გამყიდველებს ფასების გაზრდის მცირე შესაძლებლობა აქვთ. ფასების პარიტეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასა და წარმოების საშუალებებზე აგროსასურსათო სექტორისთვის წლიდან წლამდე მთელ მსოფლიოში იცვლება არა ამ სექტორის სასარგებლოდ.<sup>89</sup>

განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. „ფერმის პრობლემა“,<sup>90</sup> ანუ ფერმერული მეურნეობის დაბალი და არასტაბილური შემოსავლები და უკუგების დაბალი ნორმა. ეს პრობლემა განპირობებულია ორი ძირითადი გარემოებით:

- რესურსების, განსაკუთრებით კი კაპიტალის შეზღუდულობა. ეს ვითარება განსაკუთრებით დამახასიათებელია მცირე საოჯახო მეურნეობებისთვის, რაც

<sup>88</sup> გოგიაშვილი, შ. (2012). აგრარული ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციისათვის, *I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“*, შრომების კრებული, გვ. 113

<sup>89</sup> იქვე.

<sup>90</sup> Gardner, B. L. (1992). Changing the Economic Perspectives on the Farm Problem. *Journal of Economic Literature* Vol. XXX, No. 1, pp. 62-101.

განაპირობებს შემოსავლების დაბალ დონეს და ხდება დარგიდან გასვლის მიზეზი. ასეთი ფერმების არსებობისთვის ხშირად საჭიროა შემოსავლის დამატებითი წყაროების მოძიება ფერმერული მეურნეობის გარეთ.

- უკუგების დაბალი ნორმა. უმეტეს შემთხვევაში, საოჯახო მეურნეობების მიერ მიღებული შემოსავალი მცირეა იმ რესურსებთან შედარებით, რაც გამოყენებული იქნა წარმოების პროცესში.<sup>91</sup>

აგრარული პოლიტიკის აქტუალურ, პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს მეურნეობის ოპტიმალური ზომის განსაზღვრა და მისი განვითარებისთვის ხელშეწყობა. რიგი ქვეყნების მაგალითები გვიჩვენებს, რომ აგროსასურსათო სექტორის მწარმოებლურობა მცირე ზომის მეურნეობებში უფრო მაღალია, ვიდრე მსხვილ მეურნეობებში.<sup>92</sup>

რადგან, განვითარებად ქვეყნებში აგრარულ სფეროში მოქმედ მეურნეობებს ნაკლები წვდომა აქვთ საჭირო ფინანსურ თუ მატერიალურ რესურსებზე, უმჯობესია დარგის განვითარების გზად არჩეულ იქნეს მეურნეობათა გამსხვილება.

მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პოლიტიკის შეფასება შემდეგი ასპექტებით: ეფექტურობა, ეფექტიანობა და ეკონომიურობა. ეს სამი ასპექტი ხშირად მოიხსენიება როგორც „სამი ე“. ეფექტურობაში იგულისხმება, თუ რამდენად აღწევს პოლიტიკა ან კონკრეტული პროგრამა დასახულ მიზანს. თუ პასუხი უარყოფითია, შეფასების პროცესის გაგრძელებას ნაკლებად აქვს აზრი. ეფექტიანობის ანალიზი გულისხმობს მიღებული შედეგისა და გაწეული დანახარჯების შედარებას. იმისათვის, რომ გამართლებული იყოს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამა, მიღებული შედეგი, როგორც მინიმუმ, არ უნდა იყოს გაწეულ ხარჯებზე ნაკლები. ზოგჯერ, შესაძლოა, პოლიტიკის განხორციელებით მიღებული შედეგი იყოს დიდი, მაგრამ, ამასთან, ხარჯებიც იყოს იმდენად დიდი, რომ პოლიტიკა შეფასდეს როგორც არაეფექტიანი. ეკონომიურობის ანალიზისას ხდება იმის შეფასება, იყო თუ არა კონკრეტული შედეგის მიღწევა შესაძლებელი უფრო ნაკლები დანახარჯებით.<sup>93</sup>

<sup>91</sup> Peterson, E., Wesley, F. (2009). *A Billion Dollars a Day: The Economics and Politics of Agricultural Subsidies*. Wiley-Blackwell.

<sup>92</sup> გველესიანი, რ. (2012). აგრარული სექტორის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა. *I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“*, შრომების კრებული, გვ. 107

<sup>93</sup> Hill B. (2012). *Understanding the common agricultural policy*. London and New York, Earthscan, p. 236

ხშირად ხდება ისე, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ვერ აღწევს მიზანს და პირიქით, ხელს უწყობს არსებული პრობლემის გაღრმავებას. საჭიროა სწორად იქნეს განსაზღვრული იმ მეურნეობების მიზნობრივი სეგმენტი, რომლებმაც უნდა ისარგებლონ სახელმწიფოს მხარდამჭერი პროგრამით. მაგალითად, საქართველოში ყურძნის ფასის მხარდამჭერი პოლიტიკის შედეგად სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სუბსიდიების უფრო დიდი ნაწილი ხვდება უფრო მსხვილ მეურნეობებს, რომლებიც უფრო მეტს აწარმოებენ მაშინ, როცა დამატებითი შემოსავალი უფრო მეტად სჭირდებათ შედარებით მცირე მეურნეობებს.

მსგავსი არგუმენტები ხშირად მოჰყავთ სოფლის მეურნეობაში სახელმწიფოს ჩარევის მოწინააღმდეგეებს. ამიტომ, პოლიტიკის განხორციელებამდე კარგად უნდა გაანალიზდეს ბაზრის ჩავარდნის მიზეზები, ბაზარზე მოქმედი გარე ფაქტორები, მთავრობის ხელთ არსებული ბიუჯეტი და ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებაც შეუძლია მას პრობლემის მოსაგვარებლად.

„აგრარული პოლიტიკის სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს სოფლის მეურნეობის პოტენციურ ადგილსა და როლს ეკონომიკური წონასწორობის პერსპექტიულ განხორციელებასა და მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში (ქვეყნის საერთო განვითარების პროცესში). იგი შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყნის კლიმატურ-გეოგრაფიულ უპირატესობებთან და მხედველობაში უნდა იღებდეს დარგში მოქმედ მეურნეობათა თავისებურებებს. მისი წარმატებულად განხორციელება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სათანადო ინსტრუმენტების განსაზღვრასა და ფუნქციონირებაზე“.<sup>94</sup>

განვითარებად ქვეყნებში სახელმწიფოს ჩარევა აგრარული სექტორის განვითარებაში ხშირად გამართლებულია იმ მოტივით, რომ სოფლად მცხოვრებთა შემოსავლები ბევრად ჩამორჩება ქალაქში მცხოვრებთა შემოსავლებს. თუმცა, ეს არგუმენტი რელევანტურობას კარგავს ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში. 1930-იან წლებში აშშ-ში სოფლის მეურნეობის მხარდამჭერ ღონისძიებათა გატარებისას სახელმწიფოს მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ ფერმერები იყვნენ უფრო ღარიბები, ვიდრე დანარჩენი საზოგადოება. დღესდღეობით, აშშ-ში ფერმერული მეურნეობების მფლობელი ოჯახების საშუალო შემოსავალი უფრო მაღალია, ვიდრე მთლიანად

<sup>94</sup> გველესიანი, რ. (2012). აგრარული სექტორის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა. *I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“*, შრომების კრებული, გვ. 105

საოჯახო მეურნეობათა საშუალო შემოსავალი. 2014 წელს ფერმერული მეურნეობის საშუალო წლიური შემოსავალი (არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ჩათვლით) 131 754 აშშ დოლარი იყო, რაც 74 პროცენტით მეტია აშშ-ში საოჯახო მეურნეობის საშუალო შემოსავალზე (75 738 აშშ დოლარი).<sup>95</sup>

საჭიროა მოიძებნოს ლოგიკა სუბსიდიების გამოყენებასა და წარმოების მოცულობას შორის და გაანალიზდეს მისი გავლენა წარმოების დანახარჯებსა და საოჯახო მეურნეობათა მოლოდინებზე.<sup>96</sup> გამომდინარე იქიდან, რომ დანახარჯები ვენახის მოვლაზე საკმაოდ მაღალია, მცირე და საშუალო მეურნეობებისთვის მევენახეობა არცთუ ისე მომგებიანი საქმიანობაა. თეორიულად შესაძლოა ვიმსჯელოთ იმაზე, რომ სუბსიდიების საშუალებით მოგების მარჯა იზრდება და შესაბამისად უნდა გაიზარდოს მათი მოტივაციაც წარმოების გასაზრდელად.

სუბსიდირების ერთ-ერთი მიზანია მის მიმღები საოჯახო მეურნეობების წინაშე მდგარი რისკების შემცირება. როდესაც საოჯახო მეურნეობებს უზრუნველყოფით დახმავებით შემოსავალი სუბსიდიების სახით იზრდება მათი ხელმისაწვდომობა კრედიტზე, რადგან საკრედიტო ინსტიტუტები მათ დაკრედიტებას განიხილავენ როგორც უფრო ნაკლებად რისკიანს.

დარგის სტაბილური სუბსიდირება მევენახეებს უზენს ოპტიმისტურ მოლოდინებს და უბიძგებს ვენახის ფართობის გაზრდისკენ, რაც გრძელვადიან პერიოდში გაზრდის მათ მიერ წარმოებული ყურძნის რაოდენობას. ყურძნის ფასის მხარდაჭერის პირობებში, საოჯახო მეურნეობები სავარაუდოდ, შეამცირებენ სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებას და უფრო მეტ რესურსს მიმართავენ ვენახისკენ.

მთლიანობაში, აგრარული სექტორის სუბსიდირების მიზნები განსხვავებულია თითოეული ქვეყნის შემთხვევაში და ითვალისწინებს ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატურ პოტენციალსა და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

<sup>95</sup> Schnepf, R. (2016). U.S. Farm Income Outlook for 2016. Congressional Research Service.

<sup>96</sup> Lister, N. M. (2011). Agricultural Subsidies, Productivity and Rural Assets: The effect of Farmer Input Support Programme (FISP) on small scale farmers in Mwembeshi-Chibombo District of Zambia. *International Institute of Social Studies, Research Paper*.

## 2.3 აგროსასურსათო სექტორის სუბსიდირების ფორმები

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო გადაწყვეტს განახორციელოს ამა თუ იმ დარგის სუბსიდირება, მან უნდა განსაზღვროს სუბსიდირების რომელი ფორმა იქნება ყველაზე ოპტიმალური მოცემულ სიტუაციაში.

ეკონომიკური ჩარევის სახეები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. მაგალითად, დანერგვის მექანიზმების თვალსაზრისით ზოგიერთი მათგანი პირდაპირია და მოკლე დროში ხორციელდება, ზოგიერთი კი საკმაოდ რთულია და საჭიროებს ბევრ შუამავალს.<sup>97</sup>

პოლიტიკის განხორციელების ფორმები დამოკიდებულია არსებულ პრობლემაზე, მის სირთულესა და აქტუალურობაზე, დაინტერესებულ ჯგუფებზე, სახელმწიფოს ხედვაზე ამ პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით და ზოგადად მის ხელთ არსებულ რესურსებზე.

აგროსასურსათო სექტორისთვის გამოყოფილი სუბსიდიები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ ღირებულებათა ჯაჭვის რომელი რგოლისკენაა მიმართული და როგორ ხდება მისი ადმინისტრირება.<sup>98</sup> ღირებულებათა ჯაჭვში სუბსიდიები შეიძლება მიმართული იყოს ნებისმიერი რგოლისკენ – წარმოება, მიწოდება, ტრანსპორტირება, მოხმარება და ა.შ. სუბსიდიას შეიძლება ჰქონდეს ნაღდი ფულის, ვაუჩერის, ტრანსპორტის და სხვადასხვა სახე. პროდუქტის ფასის მხარდაჭერის ეფექტი უნდა იყოს საოჯახო მეურნეობათა შემოსავლების და შესაბამისად, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდა.<sup>99</sup>

აგრარული სუბსიდიები იყოფა ორ ფართო კატეგორიად: 1. მხარდაჭერა, რომელიც ეფუძნება წარმოების დონეს ან ფასებს (ზოგჯერ მოიცავს წარმოების შეზღუდვებს); 2. შემოსავლის პირდაპირი მხარდაჭერა.<sup>100</sup>

<sup>97</sup> BIS. (2011). Guidance on evaluating the impact of interventions on business. *Department for Business Innovation & Skills*, p. 4

<sup>98</sup> Crawford E. W., Jayne T. S., Kelly V. A. (2005). Alternative approaches for promoting fertilizer use in Africa, with particular reference to the role of fertilizer subsidies. *Paper, Department of Agricultural Economics, Michigan State University, East Lansing, MI.*

<sup>99</sup> Lister, N. M. (2011). Agricultural Subsidies, Productivity and Rural Assets: The effect of Farmer Input Support Programme (FISP) on small scale farmers in Mwembeshi-Chibombo District of Zambia. *International Institute of Social Studies, Research Paper.*

<sup>100</sup> Prášilová M., Severová L., Chromý J. (2011). Subsidies of agricultural production in the Czech Republic and their economic context. *ACTA Universitatis Agriculturae et Silviculturae Mendelianae Brunensis, Volume LIX, 31, Number 7, p. 293*



სახელმწიფო მხარდაჭერის ერთ-ერთი ფორმაა ფასების რეგულირება. ხშირად აგრარულ პროდუქციაზე არსებული ფასი საკმაოდ დაბალია, რაც წამგებიან მდგომარეობაში აყენებს მეურნეობებს. ამ დროს სახელმწიფო, როგორც წესი, მიზნად ისახავს არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი მწარმოებლების ან მომხმარებლების ჯგუფის მხარდაჭერას. ფასის რეგულირებისას სახელმწიფომ შეიძლება დაისახოს ორი მიზანი - ფასის ზედა ზღვარი და ფასის ქვედა ზღვარი.

ფასის ზედა ზღვარი წესდება მაშინ, როდესაც წონასწორული საბაზრო ფასი მიიჩნევა, როგორც ძალიან მაღალი და ითვლება, რომ მისი შენარჩუნების პირობებში საზოგადოების გარკვეული ჯგუფები ძალიან არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. დასაწყისში ბაზარი წონასწორობაშია. შემდეგ მთავრობა აწესებს ფასს, რომელიც განისაზღვრება, როგორც მაქსიმალური ფასი, რომლითაც პროდუქტი უნდა გაიყიდოს. იმის ნაცვლად, რომ ბაზარი გადავიდეს ახალ წონასწორობაში, წარმოების მოცულობა რჩება იმავე დონეზე და წარმოიქმნება დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა. რადგანაც ფასის საშუალებით არ ხდება მიწოდების და მოთხოვნის გათანაბრება, სხვა მეთოდები შეიძლება იქნეს შემუშავებული მიწოდების და მოთხოვნის შესაბამისობაში მოსაყვანად. ეს შეიძლება იყოს პროდუქტის შექმნის მაქსიმალური მოცულობის დაწესება და შესაბამისი ბარათების გამოშვება ან „პრიორიტეტული მომხმარებლების“ გამოვლენა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დეფიციტის აღმოფხვრის ეს მეთოდები შეიძლება სრულად წარმატებული არ იყოს. ამასთან, შეიძლება წარმოიქმნას „შავი ბაზრის“ პრობლემა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მომხმარებლები შესაძლოა არ დაკმაყოფილდნენ პროდუქტის შემცირებული რაოდენობით ან არ მოინდომონ რიგში დგომა და ფარულად გაურიგდნენ მიმწოდებლებს. ამ შემთხვევაში მათ მაინც გაზრდილი ფასის გადახდა მოუწევთ.<sup>101</sup>

ფასების ქვედა ზღვარი წესდება მაშინ, როდესაც არსებული წონასწორული ფასი მიიჩნევა, როგორც ძალიან დაბალი. ამ შემთხვევაში, შეიძლება განისაზღვროს უმცირესი ფასი, რომლითაც უნდა გაიყიდოს პროდუქტი. შედეგად, სახეზე იქნება ჭარბი მიწოდება და გაყიდული პროდუქციის რაოდენობა ბაზარზე უფრო ნაკლები აღმოჩნდება, ვიდრე წონასწორული ფასის შემთხვევაში იქნებოდა. ამ შემთხვევაში,

---


<sup>101</sup> Colman D., Young T. (1989). *Principles of Agricultural Economics, Markets and prices in less developed countries*. Cambridge University Press, p. 135

სახელმწიფოს შეუძლია არსებული ჭარბი პროდუქციის შესყიდვა ამ უმცირეს ფასად. თუმცა, ეს რა თქმა უნდა გარკვეულ რესურსებს მოითხოვს მისი მხრიდან.

როგორც განვითარებადი, ასევე განვითარებული ქვეყნების მთავრობები ფასების რეგულირების მიზნით ხშირად ქმნიან სასაწყობე მეურნეობებს. ბაზარზე არსებული ჭარბი მიწოდების შემთხვევაში მეურნეობებს გაუყიდავი რომ არ დარჩეთ პროდუქცია სახელმწიფო ახდენს ნამეტის შესყიდვას. დასაწყობებული პროდუქცია, ბაზარზე გამოდის მაშინ, როდესაც სახეზეა მიწოდების დეფიციტი.

ფასის ტიპური სეზონური ცვლილება პროდუქტისთვის, რომლის მოსავალიც მიიღება წელიწადში ერთხელ, ნაჩვენებია გრაფიკზე. საბაზრო ფასი დაბალია მოსავლის აღების პერიოდში (რადგანაც მიწოდების რაოდენობა დიდია), იზრდება როგორც საწყობში შენახვის ხარჯების ფუნქცია და აღწევს პიკს მომდევნო მოსავლის აღების წინა პერიოდში. რადგანაც მოსალოდნელია, რომ ახალი მოსავლის აღების შემდეგ ფასები დაიკლებს, მოსავლის აღებამდე გარკვეული პერიოდით (დაახლოებით ერთი თვე) ადრე საწყობში განთავსებული პროდუქტის ფასი სწრაფად ეცემა.<sup>102</sup> ფასის ტიპური სეზონური ცვლილება ასახულია დიაგრამაზე 2.2.

დიაგრამა 2.2. ფასის ტიპური სეზონური ცვლილება




<sup>102</sup> Colman D., Young T. (1989). *Principles of Agricultural Economics, Markets and prices in less developed countries*. Cambridge University Press, p. 148

წყარო: Colman, Young, 1989

მარაგები ყველაზე დიდი იქნება მოსავლის აღების შემდგომ გარკვეულ პერიოდში და შემცირდება წლის განმავლობაში.

დიაგრამა 2.3. მარაგების დინამიკა



წყარო: Colman, Young, 1989

არსებობს სპეციალური პროგრამები, რომლებიც ორიენტირებულია არა კონკრეტული მწარმოებლების ან მომხმარებლების სუბსიდირებაზე, არამედ ზოგადი ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებაზე, მაგალითად: კვლევები და განვითარება; ფერმერთა გადამზადება და სწავლება; სურსათის, წარმოების საშუალებების, გარემოს ხარისხისა და უსაფრთხოების კონტროლი; მარკეტინგი; სასაწყობო მეურნეობების განვითარება.<sup>103</sup>

სუბსიდირების ამა თუ იმ ფორმის არჩევის შემდეგ საჭიროა შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევა, რომელთა საშუალებითაც მოხდება მხარდამჭერი პოლიტიკის პრაქტიკაში რეალიზება.

რაც შეეხება ინსტრუმენტებს, აქ საჭიროა გარკვეული კლასიფიკაციის მოხდნა. კლასიფიცირების სხვადასხვა კრიტერიუმები არსებობს, მაგრამ ყველაზე უფრო მისაღებია წარმოების დონე და განაწილების სისტემა. ამ მიდგომის საფუძველზე

<sup>103</sup> OECD. (2002). Methodology for the measurement of support and use in policy evaluation, p. 4

ინსტრუმენტები იყოფა მათი გამოყენების მიხედვით - 1) ფერმერული მეურნეობის დონეზე; 2) ეროვნულ დონეზე ან 3) საშინაო ბაზრის სხვა რომელიმე ადგილზე.<sup>104</sup>

გამოიყოფა შემდეგი ძირითადი სახის ინსტრუმენტები: ა) სუბსიდიები წარმოების ფაქტორებზე, ბ) სუბსიდიები სურსათზე მომხმარებლებისთვის, გ) შემავსებელი გადახდები, დ) გადასახადები იმპორტზე და ე) სახელმწიფოს მიერ პროდუქციის შესყიდვა. ანალიზის სიმარტივისთვის ვუშვებთ, რომ ქვეყანა, სადაც ხდება ამ ინსტრუმენტების გამოყენება, არის მცირე ღია ეკონომიკა, რომელსაც არანაირი გავლენა არ აქვს პროდუქტის მსოფლიო ფასებზე.<sup>105</sup>

ა) წარმოების ფაქტორების სუბსიდირება საკმაოდ გავრცელებულია და მოიცავს სუბსიდიებს ქიმიკატებზე, სასუქზე, გაუმჯობესებულ თესლზე, სარწყავ სისტემაზე და ა.შ. ასეთი სახის სუბსიდიები ამცირებს ზღვრულ დანახარჯებს მეურნეობებისთვის და სხვა თანაბარ პირობებში განაპირობებს მიწოდების ზრდას ბაზარზე. დასკვნა გამომდინარეობს დაშვებიდან, რომ უფრო დიდი რაოდენობის პროდუქციის საწარმოებლად საჭიროა წარმოების მეტი ფაქტორის გამოყენება.

ბ) სუბსიდიები სურსათზე მომხმარებლებისთვის, როგორც წესი, უფრო ხშირად გვხვდება განვითარებად ქვეყნებში. მომხმარებლების სუბსიდირების ორი სახეა ყველაზე უფრო გავრცელებული: 1) მომხმარებელი ყიდულობს პროდუქციას მის ღირებულებაზე ნაკლებ ფასად და არსებულ სხვაობას სახელმწიფო უნაზღაურებს გამყიდველს; 2) მომხმარებელი ყიდულობს პროდუქციას საბაზრო ფასად, თუმცა იღებს შესაბამის ფულად თანხას სახელმწიფოსგან.

გ) შემავსებელი გადახდები უმეტესად გვხვდება განვითარებულ ქვეყნებში (აშშ, ევროკავშირი). ამ შემთხვევაში სახელმწიფო გამოყოფს ცვალებად სუბსიდიას მწარმოებლებისთვის, რათა შეაესოს სხვაობა მის მიერ უზრუნველყოფილ გარანტირებულ ფასსა და დაბალ საბაზრო ფასს შორის. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მიწოდების ზრდას, რადგან მწარმოებლები, იცინან რა გარანტირებული ფასის შესახებ, ზრდიან მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობას. გარდა ამისა, მიწოდება

---

<sup>104</sup> Colman D., Young T. (1989). *Principles of Agricultural Economics, Markets and prices in less developed countries*. Cambridge University Press, p. 269

<sup>105</sup> Colman D., Young T. (1989). *Principles of Agricultural Economics, Markets and prices in less developed countries*. Cambridge University Press, p. 274

ადარ რეაგირებს საბაზრო ფასის ცვლილებაზე, რასაც ადგილი აქვს გარანტირებულ ფასს ქვემოთ.

დ) ცვალებადი გადასახადი იმპორტზე წესდება იმ შემთხვევაში, როდესაც მთავრობას არ სურს, რომ ფასი იმპორტირებულ პროდუქციაზე დაეცეს გარკვეულ ნიშნულზე დაბლა. პოლიტიკის ეს ინსტრუმენტი გავლენას ახდენს როგორც მომხმარებლებზე, ასევე მიმწოდებლებზე. მომხმარებლებზე ის უარყოფითად ზემოქმედებს პროდუქტზე გაზრდილი ფასის გამო, ხოლო მიმწოდებლებზე დადებით გავლენას ახდენს იმავე მიზეზის გამო.

ე) პროდუქციის შესყიდვა ხდება სახელმწიფოს მიერ საბაზრო ფასის მხარდასაჭერად უმეტესად მარცვლეულზე. ის ხორციელდება იმ პირობებში, როცა ფასი იმდენად დაბალია პროდუქციაზე, რომ საფრთხეში არიან მცირე ფერმერები და მომავალი წარმოება. პოლიტიკა ხორციელდება მაშინ, როდესაც შიდა მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას.

ცხრილში 2.1 მოცემულია აგრარული პოლიტიკის ინსტრუმენტების კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით.

ცხრილი 2.1. პოლიტიკის ინსტრუმენტების კლასიფიკაცია

გავლენის დონე		
ფერმერული მეურნეობა	ბაზარი	ქვეყნის გარეთ
1. შემაჯავებელი სუბსიდია	9. სახელმწიფო ვაჭრობის და მარკეტინგის სამმართველოები; საფასო დისკრიმინაცია	15. საიმპორტო ტარიფები ან გადასახადები
2. საწარმოო სუბსიდიები	10. ინტერვენციული შესყიდვა – სახელმწიფო მარაგების მენეჯმენტი	16. საექსპორტო სუბსიდიები ან გადასახადები
3. სუბსიდიები წარმოების ფაქტორებზე/კრედიტი	11. სასურსათო სუბსიდიები მომხმარებლებისთვის	17. საიმპორტო კვოტები
4. საინვესტიციო გრანტები	12. სააქციზო გადასახადები	18. არასატარიფო ბარიერები

5. კვოტები წარმოებაზე ან მიწის ფართობზე	13. გრანტები ინდუსტრიისთვის	
6. სურსათის სავალდებულო გაყიდვები	14. სახელმწიფო ინვესტიციები განათლებაში, კვლევაში და ინფრასტრუქტურაში	
7. მიწის ხელუხლებლად დატოვება		
8. მიწის რეფორმა		

წყარო: Colman, Young, 1989

ქვემოთ მოყვანილია ფერმერული მეურნეობის დონეზე პოლიტიკის ინსტრუმენტების მოკლე განმარტებები:<sup>106</sup>

1. შემავსებელი სუბსიდია – ცვალებადი სუბსიდია, რომელიც გაიცემა წარმოებული პროდუქციის ერთეულზე, რათა მოახდინოს იმ განსხვავების კომპენსირება, რაც არსებობს წინასწარ გამოცხადებულ გარანტირებულ ფასსა და საშუალო საბაზრო ფასს შორის;

2. საწარმოო სუბსიდია – ფიქსირებული ან პროპორციული სუბსიდია, რომელიც გაიცემა წარმოებული პროდუქციის ერთეულზე;

3. სუბსიდიები წარმოების ფაქტორებზე/კრედიტი – სუბსიდია, რომელიც გამოყოფილია წარმოების ფაქტორის ერთეულზე; იაფი კრედიტი წარმოების ფაქტორების შესაძენად;

4. საინვესტიციო გრანტები – სუბსიდიები საშუალო და მოკლევადიან კაპიტალში ინვესტირებისთვის, როგორებიცაა მანქანა-დანადგარები, საირიგაციო სისტემები და ა.შ.;

5. კვოტები წარმოებაზე ან მიწის ფართობზე – წესდება ლიმიტი მთლიან წარმოებაზე ან ნათეს ფართობზე;

<sup>106</sup> Colman D., Young T. (1989). *Principles of Agricultural Economics, Markets and prices in less developed countries*. Cambridge University Press, p. 270

6. სურსათის სავალდებულო გაყიდვები – მწარმოებლები შეიძლება აიძულონ მიყიდონ მარკეტულის მინიმალური რაოდენობა სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებს საბაზროზე დაბალ ფასად;

7. მიწის ხელუხლებლად დატოვება – მწარმოებლებს შეიძლება შესთავაზონ გარკვეული თანხა, რათა შეამცირონ დამუშავებული მიწის ფართობი;

8. მიწის რეფორმა – საკანონმდებლო ზომები შეიძლება იქნეს შემოღებული მიწათმფლობელთა და მიწის მოიჯარეთა უფლებების დასაცავად ან მიწის გადანაწილებისთვის;

პოლიტიკის ინსტრუმენტები ბაზრის დონეზე შემდეგია:

1. სახელმწიფო ვაჭრობის და მარკეტინგის სამმართველოები – სახელმწიფომ შესაძლოა შექმნას პროდუქტით ვაჭრობის სპეციალური ორგანოები და აღჭურვოს შესაბამისი ძალაუფლებით. ისინი შეიძლება იყვნენ მონოპოლიები ან მონოფსონიები საბაზრო ძალაუფლებით;

2. ინტერვენციული შესყიდვა – სახელმწიფოს მიერ შექმნილი ორგანიზაცია შესაძლოა მოწოდებული იყოს ფასის ქვედა ზღვრის უზრუნველსაყოფად, რისთვისაც ყიდულობდეს პროდუქციას წინასწარ გამოცხადებულ „ინტერვენციის ფასად“.

3. სასურსათო სუბსიდიები მომხმარებლებისთვის – სახელმწიფოს მიერ შექმნილი ორგანიზაციები შეიძლება მოწოდებულნი იყვნენ უზრუნველყონ დაბალი ფასი სურსათის მომხმარებლებისთვის. ამ შემთხვევაში სუბსიდიები ფარავს სხვაობას მიმწოდებლების ფასსა და მომხმარებლების მიერ გადასახდელ უმცირეს ფასს შორის;

4. სააქციზო გადასახადი – გადასახადი, რომელიც წესდება პროდუქტის წარმოებასა ან გადამუშავებაზე;

5. გრანტები ინდუსტრიისთვის – ინდუსტრიაზე გაცემული სუბსიდიები, ხშირად საინვესტიციო გრანტების სახითაა. ასევე, შეიძლება არსებობდეს გარკვეული საგადასახადო დათმობები, რომლებიც სუბსიდიების ეკვივალენტურია;

6. სახელმწიფო ინვესტიციები განათლებაში, ინფრასტრუქტურასა და კვლევაში – სახელმწიფო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფიზიკურ და ადამიანურ კაპიტალში ასტიმულირებს ეკონომიკურ აქტივობას განაწილების ჯაჭვის ყველა დონეზე, გამომდინარე იქიდან, რომ ხელმისაწვდომს ხდის მომსახურებას და ინფრასტრუქტურას, რაზეც ფირმებს არ უწევთ ხარჯების გაწევა;

აღსანიშნავია პოლიტიკის ინსტრუმენტები საერთაშორისო დონეზე.<sup>107</sup>

1. საიმპორტო ტარიფები ან გადასახადები – იმპორტზე გადასახადები შეიძლება დაწესდეს სხვადასხვა გზით. ის შეიძლება იყოს ფიქსირებული თანხა ერთეულზე, ღირებულების ფიქსირებული პროპორცია ან რაიმე ცვალებადი თანხა (მაგალითად, სხვაობა იმპორტის ფიქსირებულ მინიმალურ ფასსა და ცვალებად საერთაშორისო ფასს შორის);

2. საექსპორტო სუბსიდიები ან გადასახადები – ექსპორტის წახალისება შეიძლება მოხდეს ფიქსირებული, პროპორციული ან ცვალებადი სუბსიდიებით. ზოგიერთ შემთხვევაში ხდება ექსპორტის დაბეგვრა მის შესამცირებლად;

3. საიმპორტო კვოტები – რაოდენობრივი ზღვრები შეიძლება დაწესდეს იმპორტზე შიდა ინდუსტრიების დასაცავად;

4. არასატარიფო ბარიერები – მრავალრიცხოვანი საკანონმდებლო ინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენება იმპორტის შესაფერხებლად - ჯანდაცვის რეგულაციები, მოთხოვნები სავაჭრო ნიშნებთან დაკავშირებით და სპეციალური ტექნიკური მოთხოვნები.

აღნიშნული ინსტრუმენტების გამართულად მუშაობა გადამწყვეტი ფაქტორია აგრარული სფეროს მხარდამჭერი პოლიტიკის ეფექტიანობისათვის.

ძირითადი წესი ეკონომიკურ პოლიტიკაში არის ის, რომ უნდა არსებობდეს მინიმუმ იმდენივე ინსტრუმენტი, რამდენი მიზანიც არსებობს. მაგალითად, თუ სახელმწიფოს მიზანია საოჯახო მეურნეობების შემოსავლების მხარდაჭერა, საჭიროა ინტერვენციის მინიმუმ ერთი ფორმის გამოყენება. ეს შეიძლება იყოს ინსტრუმენტი, რომელიც გაზრდის საოჯახო მეურნეობის მიერ მიღებულ ფასს (მაგალითად, სუბსიდია წარმოებული პროდუქტის ერთეულზე) ან ინსტრუმენტი, რომელიც შეამცირებს მეურნეობის მიერ გაწეულ დანახარჯებს (მაგალითად, სუბსიდიები წარმოების ფაქტორებზე). შესაძლოა რამდენიმე ინსტრუმენტი ერთდროულად იქნეს გამოყენებული ერთი მიზნის მისაღწევად.<sup>108</sup>

<sup>107</sup> Colman D., Young T. (1989). *Principles of Agricultural Economics, Markets and prices in less developed countries*. Cambridge University Press, p. 271

<sup>108</sup> Colman D., Young T. (1989). *Principles of Agricultural Economics, Markets and prices in less developed countries*. Cambridge University Press, p. 272



რადგან ფერმერული მეურნეობების შემოსავლები ეკონომიკის სხვა სექტორში მოქმედ ეკონომიკურ სუბიექტებთან შედარებით მცირეა, ხშირ შემთხვევაში აგრარული პოლიტიკის მიზანია აგრარულ სფეროში მოღვაწე მეურნეობების შემოსავლების და/ან მოგების მარჯის გაზრდა. ამის მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა გზით, მათ შორის: ფასის ზრდა წარმოებულ პროდუქციაზე, პირდაპირი ტრანსფერტები, წარმოების ფაქტორებზე ფასების შემცირება, მათი უზრუნველყოფა აგროტექნიკით და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიის ერთ-ერთი ფორმაა სწორედ ფასის მხარდაჭერა, რაც ხორციელდება საქართველოში, მევენახეობის სექტორში. მსგავსი პოლიტიკა ფართოდაა აპრობირებული სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში.

აშშ-ში სახელმწიფო ფერმერული მეურნეობებისთვის უზრუნველყოფს დანამატს საბაზრო ფასზე და მეურნეობები იღებენ საბაზროზე მაღალ ფასს. მიღებული მაღალი ფასი მათ აძლევს მეტი პროდუქციის წარმოების სტიმულს. გაზრდილი წარმოება, თავის მხრივ, იწვევს საბაზრო ფასის შემცირებას და შესაბამისად, იზრდება სხვაობა საბაზრო ფასსა და სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ მიზნობრივ ფასს შორის. ამ შემთხვევაში, სუბსიდია ფინანსდება გადასახადების გადამხდელთა მიერ.<sup>109</sup>

აგრარულ სფეროში მოღვაწე მეურნეობათა დასახმარებლად სახელმწიფო ხშირად იყენებს სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტებს. მაგალითად, როდესაც მას სურს ადგილობრივ ბაზარზე მაღალი ფასის შენარჩუნება ეროვნული წარმოების პროდუქციაზე, მან შეიძლება შეზღუდოს იმპორტირებული პროდუქცია მასზე ტარიფების ან კვოტების დაწესებით. შედეგად, იზრდება იმპორტირებული პროდუქციის ფასი და ადგილობრივი მწარმოებლები შედარებით ადვილად ახერხებენ მისთვის კონკურენციის გაწევას.

ადგილობრივი მწარმოებლების დახმარების კიდევ ერთი გზაა ექსპორტის მხარდაჭერა. რაც შეიძლება გულისხმობდეს შემდეგს: სახელმწიფოს ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერა იმ მწარმოებლებს, რომლებიც აწარმოებენ საექსპორტო პროდუქციას, საზღვარგარეთ ბაზრების მოძიებისა და მარკეტინგული ღონისძიებების დაფინანსება და ა.შ.

---

<sup>109</sup> Peterson, E. Wesley F. (2009). *A Billion Dollars a Day: The Economics and Politics of Agricultural Subsidies*. Wiley-Blackwell, p. 12

ბევრი სპეციალისტი ერთმანეთისგან განასხვავებს სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიებს, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სავაჭრო ბარიერებს, რაც გავლენას ახდენს როგორც ადგილობრივ, ასევე მსოფლიო ფასებზე და განიხილავს მათ, როგორც ფერმერული მეურნეობის მხარდამჭერი პოლიტიკის სხვადასხვა ფორმებს.<sup>110</sup>

თუმცა, მხარდაჭერის ორივე ფორმა შეიძლება ჩაითვალოს სუბსიდიად. მაგალითად, იაპონიაში ბრინჯის იმპორტზე დაწესებულია ბარიერები, რის გამოც, გარკვეულ პერიოდში, ბრინჯის ფასი იაპონიაში შეიძლება მაღალი იყო ბრინჯის მსოფლიო ფასთან შედარებით. ეს სავაჭრო პოლიტიკა ფინანსდება მომხმარებლების და არა სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ. 2007 წელს იაპონიაში სავაჭრო ბარიერებით გამოწვეულმა მომხმარებლების მიერ გადახდილმა ტრანსფერებმა შეადგინა სოფლის მეურნეობის მხარდაჭერაზე გამოყოფილი ფინანსების 72%. გამომდინარე აქედან, ალბათ არ იქნებოდა მართებული ამ სახის სუბსიდირების იგნორირება მხოლოდ იმიტომ, რომ ის მოდის მომხმარებლებისგან და არა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.<sup>111</sup>

როგორც ნებისმიერ ბიზნეს საქმიანობაში, ასევე აგრობიზნესში მოღვაწე სუბიექტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საგადასახადო შეღავათები, რაც არის ერთ-ერთი მძლავრი სტიმული მათი ბიზნესისთვის.

განვითარებული ქვეყნები საგადასახადო სისტემის ფორმირებისას ითვალისწინებენ იმ ობიექტურ ფაქტორებს, რაც სოფლის მეურნეობაში ქმნის მაღალ რისკს და ზარალის ვარაუდს. ამითაა განპირობებული სოფლის მეურნეობისთვის დამატებით დაწესებული საგადასახადო შეღავათები.<sup>112</sup>

აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვაოთ სუბსიდიების ორი ფორმა: სუბსიდიების მოცულობა ან დამოკიდებულია წარმოების მოცულობაზე ან დამოუკიდებელია მისგან.

ფერმერებისთვის გამოყოფილი სუბსიდიები შეიძლება იყოს მიბმული წარმოების მოცულობას ან წარმოების ფაქტორების (მაგალითად, მიწა) გამოყენებაზე ან შეიძლება

<sup>110</sup> Peterson, E. Wesley F. (2009). *A Billion Dollars a Day: The Economics and Politics of Agricultural Subsidies*. Wiley-Blackwell, p. 13

<sup>111</sup> Peterson, E. Wesley F. (2009). *A Billion Dollars a Day: The Economics and Politics of Agricultural Subsidies*. Wiley-Blackwell, p. 103

<sup>112</sup> ვარდიაშვილი, მ., ივანიშვილი, ვ. (2012). საქართველოს სოფლის მეურნეობის დაბეგვრის საკითხები. I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“, შრომების კრებული, გვ. 189

იყოს სრულად დამოუკიდებელი მათგან. სუბსიდიების სხვადასხვა სახეებისა და ფორმების გავლენის შეფასება ფერმერული მეურნეობის წარმოებაზე სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.<sup>113</sup>

ყველაზე უფრო ნათელი, მარტივი განსაზღვრებით აგრარული სუბსიდია სრულად არის დამოუკიდებელი წარმოების მოცულობისგან თუ გადახდილი თანხა გავლენას არ ახდენს იმ ფერმერების საწარმოო გადაწყვეტილებებზე, რომლებიც იღებენ ამ თანხას და ამასთან, ეს სუბსიდია არ უშლის ხელს ფასის დადგენას თავისუფალი ბაზრის მიერ. სხვა სიტყვებით, სუბსიდიამ არ უნდა შეცვალოს მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები.<sup>114</sup>

მხარდაჭერის პროგრამა ითვლება წარმოების მოცულობაზე დამოკიდებულად, თუ არსებობს ამ პროგრამის პირდაპირი კავშირი ფერმერული მეურნეობის წარმოებასა და ბაზრის პირობებთან (მაგალითად, ფასები). ასეთ პროგრამებს პოტენციურად ყველაზე მეტი გავლენის მოხდენა შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და აგრარული პროდუქციის ბაზრებზე.<sup>115</sup>

მაგალითად, აშშ-ში ფერმერს შეუძლია გაყიდოს პროდუქცია გარანტირებულ მინიმალურ ფასზე დაბალ ფასად და განსხვავებას დაუფარავს სახელმწიფო. აქ ფერმერის მიერ მიღებული დაფინანსების მოცულობა დამოკიდებულია წარმოების მოცულობაზე. დაფინანსების გაანგარიშება ხდება შემდეგნაირად: ფასთა შორის სხვაობა (ერთეულ ბუშელზე, გირვანქაზე, ტონაზე, ა.შ.) გამრავლებული გაყიდული პროდუქციის მოცულობაზე. ეს ნიშნავს, რომ რაც უფრო მეტს აწარმოებს ფერმერი, მით უფრო მეტ დაფინანსებას მიიღებს სახელმწიფოსგან.<sup>116</sup>

მსგავსი სახის სუბსიდირებასთან გვაქვს საქმე ქართველი მევენახეების შემთხვევაშიც. გამომდინარე იქიდან, რომ სუბსიდიის კონკრეტული მოცულობა გამოყოფილია ყურძნის ერთ კილოგრამზე, რაც უფრო დიდი რაოდენობით აწარმოებს

---

<sup>113</sup> Henningsen A., Kumbhakar S., Lien G. (2011). Econometric Analysis of the Effects of Subsidies on Farm Production in Case of Endogenous Input Quantities. *Paper prepared for presentation at the EAAE 2011 Congress, ETH Zurich, Zurich, Switzerland*, p. 2

<sup>114</sup> Cahill, S. A. (1997). Calculating the rate of decoupling for crops under CAP/oilseeds reform. *Journal of Agricultural Economics* 48 (3): 349–378.

<sup>115</sup> Westcott P. C., Young E. C. (2000). U.S. Farm Program Benefits: Links to Planting Decisions and Agricultural Markets. *Agricultural Outlook, U.S. Department of Agriculture, Economic Research Service, AGO-275*, p. 8

<sup>116</sup> Peterson, E. Wesley F. (2009). *A Billion Dollars a Day: The Economics and Politics of Agricultural Subsidies*. Wiley-Blackwell, p. 104

მეურნეობა ყურძენს, მით უფრო დიდი იქნება მის მიერ მიღებული სუბსიდიის მოცულობა.

თუ სუბსიდია არ არის მიბმული წარმოების მოცულობაზე და მეურნეობა, დაეუშვათ, იღებს კონკრეტულ ფიქსირებულ თანხას ნაკვეთის ფართობის მიხედვით, მისი საწარმოო გადაწყვეტილებები უფრო მეტად საბაზრო სიგნალებზე დამოკიდებული.

წარმოების მოცულობაზე მიბმული პროგრამების საპირისპიროდ, წარმოებისგან დამოუკიდებელი სუბსიდიები არის ფიქსირებული ტრანსფერტები, რომლებიც არაა დამოკიდებული ფერმერთა საწარმოო არჩევანზე, წარმოების მოცულობასა ან ბაზრის პირობებზე. ასეთი პროგრამები არ ახდენს საწარმოო აქტივობების ან წარმოების ფაქტორების სუბსიდირებას. ასეთი პროგრამები არ ცვლის უკუგებას პროდუქციის ერთეულზე და არ ახდენს გავლენას საწარმოო გადაწყვეტილებებზე. მიუხედავად ამისა, რადგანაც წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებელი სუბსიდიები ზრდის ფერმერულ მეურნეობათა მთლიან შემოსავალს და ეკონომიკურ კეთილდღეობას, ადგილი აქვს არაპირდაპირ გავლენას წარმოებაზე, კეთილდღეობისა და სხვა ეფექტების გზით.<sup>117</sup>

აგრარული სფეროს მხარდაჭერის კიდევ ერთი გზაა სახელმწიფოს მიერ კვლევების დაფინანსება და ინოვაციების მხარდაჭერა, რასაც უნდა მოჰყვეს მწარმოებლურობის ზრდა ამ სფეროში.

აგრარული სფეროს მხარდაჭერის ზემოქანმოვლილი ღონისძიებების გარდა არსებობს კიდევ უამრავი გზა, რითაც სახელმწიფო ეხმარება ფერმერულ მეურნეობებს და ცდილობს მათი შემოსავლების, მწარმოებლურობის გაზრდასა და ზოგადად დარგის სტიმულირებას.

### 2.3.1 ევროკავშირის მაგალითი

საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებისა და ზოგადად, ქვეყნის ევროსტრუქტურაში ინტეგრაციისკენ სწრაფვის კვალობაზე

---

<sup>117</sup> Westcott P. C., Young E. C. (2000). U.S. Farm Program Benefits: Links to Planting Decisions and Agricultural Markets. *Agricultural Outlook*, U.S. Department of Agriculture, Economic Research Service, AGO-275, p. 8

მიზანშეწონილია ევროკავშირში აგრარული სექტორის მხარდაჭერის არსებული პრაქტიკის უფრო ფართოდ მიმოხილვა.

ევროკავშირის ქვეყნებში საბაზრო მექანიზმების საშუალებით რეგულირდება აგროსასურსათო სექტორი და მის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილებები წარმოების და განაწილების შესახებ. ამასთანავე, ევროკავშირს გააჩნია ამ სექტორის რეგულირების დიდი ისტორია.<sup>118</sup>

აგროსასურსათო სექტორი ევროკავშირში დიდი ოდენობით სუბსიდიებს იღებს. გაერთიანება ყოველწლიურად დაახლოებით 50 მილიარდ ევროს ხარჯავს სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის ფარგლებში იმ მთავარი მიზნით, რომ მხარი დაუჭიროს ფერმერების შემოსავლებს და შეამციროს აგროწარმოების უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე. ეს სუბსიდიები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სექტორის მწარმოებლურობაზე.<sup>119</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ აგრარული სფეროს მხარდაჭერას ევროპულ ქვეყნებში დიდი ისტორია აქვს. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების კვალობაზე ევროპულმა ქვეყნებმა დაიწყეს ადგილობრივი ფერმერული მეურნეობების დაცვა, ერთი მხრივ, იმპორტული პროდუქციისგან და, მეორე მხრივ, მსოფლიო ბაზრებზე მიმდინარე მოვლენებისგან.

ევროპულმა ქვეყნებმა საკუთარი ფერმერების დაცვა დაიწყეს მე-19 საუკუნის ბოლოდან, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე საერთაშორისო ფასების ვარდნის გამო. ამ პერიოდამდე ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე იყო მზარდი. მოსახლეობის ზრდამ განაპირობა მოთხოვნის ზრდა სურსათზე, რამაც თავის მხრივ, ხელი შეუწყო ფასების ზრდას აგრარულ პროდუქციაზე. ამან სტიმული მისცა ფერმერებს განეხორციელებინათ ინვესტიციები ახალ ტექნოლოგიებში, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია აგრარული წარმოების ზრდა. მიწოდების ზრდამ გარკვეულწილად შეაჩერა ფასების ზრდა, თუმცა ევროპული ქვეყნები მიესალმებოდნენ სურსათის იმპორტს, რათა შეემცირებუდიყო მოსახლეობის რაოდენობის ზრდის გავლენა სურსათის ფასებზე. ამიტომ, მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ შეამცირა ან

<sup>118</sup> Institute for Agriculture and Trade Policy. (2007). The Common Agricultural Policy: A Brief Introduction. [http://www.iatp.org/files/451\\_2\\_100145\\_0.pdf](http://www.iatp.org/files/451_2_100145_0.pdf), last seen: 25.04.2016

<sup>119</sup> Rizov M., Pokrivcak J., Ciaian P. (2013). CAP Subsidies and the Productivity of EU Farms. *Working paper, Factor Markets*, No. 37, p. 1

საერთოდ უარი თქვა საიმპორტო ტარიფებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე. უნდა აღინიშნოს, რომ მათ მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს არ გამოუწვევია ფასების ვარდნა.<sup>120</sup>

მდგომარეობა შეიცვალა მე-19 საუკუნის ბოლოს. ახალი რკინიგზებისა და ძრავაზე მომუშავე გემების გაჩენის შედეგად გაიზარდა პროდუქციის იმპორტი უცხო ქვეყნებიდან. ევროპის პორტები სავსე იყო უცხოეთიდან შემოტანილი მარცვლეულით. იმავდროულად, ქიმიური ინდუსტრიის განვითარებამ განაპირობა იაფი სასუქების გაჩენა, რამაც ხელი შეუწყო მოსავლის ზრდას ევროპაშიც. მსოფლიო მასშტაბით აგრარული პროდუქციის მიწოდების ზრდის კვალობაზე, შემცირდა მოთხოვნის ზრდის ტემპი. გამომდინარე აქედან, მსოფლიო ბაზრებზე გაიზარდა პროდუქციის მიწოდება და დაეცა ფასები. შესაბამისად, შემცირდა ფერმერული მეურნეობების შემოსავლებიც. ამ პირობებში, ფერმერები სულ უფრო აქტიურად ითხოვდნენ დახმარებას სახელმწიფოსგან. შედეგად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა შემოიღეს დამცავი ტარიფები. უმეტესობამ აღნიშნული ნაბიჯი გადადგა ფასების შემცირების პირველივე წლებში (1880-90-იან წლებში). რამდენიმე ქვეყანამ (დიდი ბრიტანეთი, დანია და ჰოლანდია) შეინარჩუნა სურსათით ვაჭრობის თავისუფალი რეჟიმი ფასების ვარდნის მეორე ტალღამდე (1920-30-იანი წლები).

დანიას და ჰოლანდიას ფასების ვარდნის პირველი ტალღის დროს არ განუხორციელებიათ პროტექციონისტული პოლიტიკა. ამ ქვეყნებში მოქმედებდნენ მცირე, მაგრამ ეფექტიანი ფერმერული მეურნეობები. ორივე ქვეყანა ხელსაყრელ ადგილას მდებარეობდა, საიდანაც მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონლითა და ბოსტნეულით ამარაგებდნენ დიდი ბრიტანეთის და გერმანიის მზარდ ქალაქებს. ამ პროდუქტებზე უფრო ნაკლებად მცირდებოდა ფასები, ვიდრე მარცვლეულზე. 1900-იანი წლებიდან კვლავ დაფიქსირდა ფასების ზრდა სურსათზე და გაიზარდა ფერმერული მეურნეობების შემოსავლები. ამ პერიოდში სახელმწიფო ახორციელებდა ინვესტიციებს სასოფლო-სამეურნეო კვლევებსა და საგანმანათლებლო პროექტებში. თუმცა, ფასების ვარდნის მეორე ტალღამ 1920-30-იან წლებში მნიშვნელოვნად დააზარალა ფერმერული

---

<sup>120</sup> Koning, N. (2006). Agriculture, development and international trade: Lessons to be learned from the Common Agricultural Policy of the European Union. *ROPPA, Forum on Food Sovereignty, Niamey, 7-10 November*.

მეურნეობები და ორივე ქვეყანამ გადაწყვიტა პროტექციონისტული ღონისძიებების გატარება.<sup>121</sup>

დიდმა ბრიტანეთმა შეინარჩუნა თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი 1930 წლამდე. ქვეყანას გააჩნდა მსოფლიოში ტექნოლოგიურად ყველაზე განვითარებული სოფლის მეურნეობა. ფასების ვარდნის პირველ ტალღამდე ფერმერთა შემოსავლების ზრდას განაპირობებდა ეფექტური სადრენაჟო სისტემები, გაუმჯობესებული სასუქები და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარები. ამასთან, დიდი ბრიტანეთი იყო ინდუსტრიული ქვეყანა და შრომაზე მაღალი მოთხოვნის არსებობა განაპირობებდა მაღალ ხელფასებს სოფლის მეურნეობაში. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების ვარდნამ მსოფლიო ბაზრებზე დიდი დარტყმა მიაყენა ბრიტანელ ფერმერებს. შემცირდა მიწის განაყოფიერებისა და სადრენაჟო სისტემების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები, შემცირდა მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანეთის ეკონომიკა საკმაოდ განვითარებული იყო იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთათვის შეეთავაზებინა ალტერნატიული სამუშაო ადგილები. 1930 წელს ბრიტანეთმა დაიწყო საკუთარი ფერმერების მხარდაჭერა, რამაც განაპირობა მწარმოებლურობის ზრდა სოფლის მეურნეობაში.

დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებმა საკუთარი ფერმერების დაცვა დაიწყეს ფასების ვარდნის პირველივე ტალღის საპასუხოდ მე-19 საუკუნის ბოლოს. ამ ქვეყნებს მიეკუთვნებოდნენ საფრანგეთი და იტალია, რომლებიც უფრო მეტად იყვნენ დამოკიდებული შიდა ბაზრებზე, ვიდრე დიდი ბრიტანეთი.

გერმანიამ ასევე დაიწყო პროტექციონისტული ღონისძიებების გატარება მე-19 საუკუნის ბოლოდან. საფრანგეთისა და იტალიისგან განსხვავებით, მას გააჩნდა სასოფლო-სამეურნეო კვლევებისა და საგანამანათლებლო პროგრამების შესანიშნავი სისტემა. გერმანიაში პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას მოჰყვა მწარმოებლურობის სწრაფი ზრდა სოფლის მეურნეობაში. ამ პერიოდში მნიშვნელოვან ზრდას აჩვენებდა შაქრის და ლუდსახარში ქარხნები და სხვა. ფერმერები იყვნენ ინდუსტრიული საქონლის მსხვილი მყიდველები.

---

<sup>121</sup> Koning, N. (2006). Agriculture, development and international trade: Lessons to be learned from the Common Agricultural Policy of the European Union. *ROPPA, Forum on Food Sovereignty, Niamey, 7-10 November*.

როდესაც 1958 წელს ევროკავშირი ჩამოყალიბდა, ორი მნიშვნელოვანი პირობა უკვე არსებობდა. პირველი, ყველა ქვეყანას, რომელმაც დააფუძნა ევროკავშირი ან შეუერთდა მას, გააჩნდა საკუთარი ფერმერების დაცვის მრავალწლიანი ისტორია. მეორე, ამ ქვეყნებს ხელი ჰქონდათ მოწერილი ვაჭრობისა და ტარიფების გენერალურ შეთანხმებაზე (General Agreement on Tariffs and Trade - GATT), რომელიც მოითხოვდა სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პოლიტიკისა და მიწოდების მენეჯმენტის კომბინაციას. ევროკავშირმა მოახდინა ქვეყნების დონეზე არსებული სოფლის მეურნეობის მხარდამჭერ პოლიტიკათა ჰარმონიზება, ინტეგრირება და შექმნა სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი ერთიანი პოლიტიკა (Common Agricultural Policy (CAP)). შესაბამისად, განისაზღვრა მისი ძირითადი პრინციპები:<sup>122</sup>

პირველი, ეს იყო ერთიანი ბაზარი. გაიხსნა საზღვრები ევროკავშირის შიგნით. სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია თავისუფლად მოძრაობდა ქვეყნიდან ქვეყანაში. საიმპორტო ტარიფები დაწესებული იყო მხოლოდ ევროკავშირის ფარგლებს გარეთ მდებარე ქვეყნიდან შემოტანილ პროდუქციაზე, რათა გაერთიანებას დაეცვა საკუთარი ფერმერები უცხოური იაფი პროდუქციის კონკურენციისგან.

მეორე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, რომელიც მოიხმარებოდა ევროკავშირში და რომლის ეფექტიანად წარმოებაც შესაძლებელი იყო გაერთიანების ფარგლებში, უნდა ყოფილიყო მხოლოდ ევროკავშირის ფარგლებში ნაწარმოები და არა უცხო ქვეყნიდან შემოტანილი. ამიტომ, საიმპორტო ტარიფები უნდა ყოფილიყო საკმარისად დიდი, რათა კონკრეტული პროდუქტის შემოტანა ევროკავშირის ფარგლებს გარედან არ ყოფილიყო მომგებიანი.

მესამე პრინციპი დაკავშირებული იყო პარიტეტთან და მწარმოებლურობასთან. პარიტეტი ნიშნავდა, რომ ფერმერულ მეურნეობათა შემოსავალი არ უნდა ყოფილიყო სხვა სექტორებში არსებულ შემოსავლებზე ნაკლები. ამის მიღწევა, ნაწილობრივ შესაძლებელი იყო ფასების მხარდაჭერით, მაგრამ, ამასთან, ფასები უნდა ყოფილიყო მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი. ამისათვის საჭირო იყო სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობის სტიმულირება ისე, რომ ფერმერებს შეეძლებოდათ პროდუქციის წარმოება ნაკლები დანახარჯებით.

---

<sup>122</sup> Koning, N. (2006). Agriculture, development and international trade: Lessons to be learned from the Common Agricultural Policy of the European Union. *ROPFA, Forum on Food Sovereignty, Niamey, 7-10 November*.



მეოთხე პრინციპი იყო ფინანსური სოლიდარობის პრინციპი. სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის ფარგლებში გაწეული ყველა ხარჯი ფინანსდებოდა საერთო ხაზინიდან, რომლის შევსებაც ხდებოდა საიმპორტო ტარიფებით და მთავრობის სხვა შემოსავლებით.<sup>123</sup>

1962 წელს ევროკავშირმა შემოიღო სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკა (CAP), რომელიც ძალაში შევიდა 1963 წელს და იქიდან მოყოლებული ევროკავშირის წევრი ქვეყნების სოფლის მეურნეობების მხარდაჭერა სწორედ ამ პოლიტიკის ფარგლებში ხდება. შექმნის დღიდან მოყოლებული ამ პოლიტიკამ განიცადა უამრავი ცლილება, რეფორმირება და დღესაც რჩება მუდმივი განსჯისა და კვლევის საგნად.

ევროკავშირი ახორციელებდა ფასის მხარდამჭერ ღონისძიებებს ოთხი ძირითდი პროდუქციისთვის: მარცვლეული კულტურები, რძის ნაწარმი, საქონლის ხორცი და შაქრის ჭარხალი. პირველი სამი პროდუქტის შემთხვევაში ევროკავშირი მიმართავდა დასაწყოების პოლიტიკას. ის ყიდულობდა ბაზარზე არსებულ ნამეტს ფიქსირებულ ე.წ. „ჩარევის ფასად“. ფასის ეს დონე იყო ფასების ქვედა ზღვარი, რომელზე ნაკლებადაც არცერთი გამყიდველი არ გაყიდდა თავის პროდუქციას. საიმპორტო ტარიფები ამ პროდუქტებზე იყო იმ ზომის, რომ მათი ფასი აღემატებოდა ჩარევის ფასს. ამასთან, არსებობდა საექსპორტო სუბსიდიები, რომელიც ავსებდა ნაპრაღს შიგა ფასსა და შედარებით დაბალ მსოფლიო ფასს შორის, რათა პროდუქციის შესაძლო ნამეტი ევროკავშირის შიგნით გაყიდულიყო უცხოურ ბაზრებზე. განსხვავებული მიდგომა არსებობდა შაქრის ჭარხლის ფასის მხარდაჭერისთვის. თითოეული ფერმერი იღებდა გარანტირებულ ფასს შაქრის ჭარხლის გარკვეულ მოცულობაზე, რაც შეესაბამებოდა მის წილს ევროკავშირის მოხმარებაში. შაქრის ჭარხლის ის მოცულობა, რომელიც გადააჭარბებდა ამ კოტას უნდა გასულიყო ექსპორტზე და ფერმერები მასში იღებდნენ მხოლოდ დაბალ მსოფლიო ფასს.

ზემოაღნიშნული ოთხი პროდუქტის ფასების მხარდაჭერა გავლენას ახდენდა სხვა პროდუქტების ფასებზეც. მაგარიტად კარტოფილის წარმოება არ იყო პირდაპირ მხარდაჭერილი, მაგრამ თუ ფერმერები გამოიმუშავებდნენ უფრო ცოტას მათი წარმოებით, ვიდრე მარცვლეულის წარმოებით, მაშინ ისინი გაზრდიდნენ მარცვლეულის

---

<sup>123</sup> Koning, N. (2006). Agriculture, development and international trade: Lessons to be learned from the Common Agricultural Policy of the European Union. *ROPPA, Forum on Food Sovereignty, Niamey, 7-10 November*.

წარმოებას კარტოფილის წარმოების ხარჯზე. შედეგად, კარტოფილის მიწოდება შემცირდებოდა და გაიზარდებოდა მისი ფასი. დამატებით დამცავი ღონისძიებები ტარდებოდა ხილისა და ბოსტნეულის მიმართ, რაც გამოიხატებოდა სეზონური საიმპორტო ტარიფებით. ფერმერებს სახელმწიფო უხდიდა კომპენსაციას ცხოველების და ფრინველების საკვების გაძვირების გამო, რაც იყო გამოწვეული მარცვლეულის ფასის მხარდამჭერი პოლიტიკით.<sup>124</sup>

ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის მიზნები მდგომარეობს შემდეგში:

ა) მწარმოებლურობის გაზრდა სოფლის მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაციონალური განვითარების და წარმოების ფაქტორების ოპტიმალური გამოყენების გზით;

ბ) სოფლის მეურნეობაში დასაქმებული საზოგადოებისთვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა მათთვის მაღალი ხელფასების უზრუნველყოფის გზით;

გ) ბაზრების სტაბილიზაცია;

დ) მდგრადი მიწოდების უზრუნველყოფა;

ე) მომხმარებელთათვის პროდუქციის მიწოდება მისაღებ ფასად.<sup>125</sup>

ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის მიზნები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: ფუნქციონალური მიზნები; ოპერატიული მიზნები; პოლიტიკური მიზნები.<sup>126</sup>

ფუნქციონალური მიზნების ჯგუფში შედის: მწარმოებელთა შემოსავლების მხარდაჭერა, რაც წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის ძირითად მიზანს; სოფლის მეურნეობის სტრუქტურის გაუმჯობესება; ბუნებრივი გარემოს დაცვა; სოფლად მოსახლეობის შენარჩუნება და სხვ.;

ოპერატიულ მიზნებს შორისაა: ბაზრის დაბალანსება და სავაჭრო შეზღუდვების შემცირება; მხარდამჭერი პოლიტიკის ეფექტიანობის გაუმჯობესება და ა.შ.;

<sup>124</sup> Koning, N. (2006). Agriculture, development and international trade: Lessons to be learned from the Common Agricultural Policy of the European Union. *ROPPA, Forum on Food Sovereignty, Niamey, 7-10 November*.

<sup>125</sup> Hill B. (2012). *Understanding the common agricultural policy*. London and New York, Earthscan, p. 41

<sup>126</sup> Hill B. (2012). *Understanding the common agricultural policy*. London and New York, Earthscan, p. 48

პოლიტიკური მიზნები მოიცავს ევროკავშირის გაძლიერებას; ეროვნული პოლიტიკური ინტერესების დაკმაყოფილებას; პოლიტიკური ინტერესების დაცვას საერთაშორისო დონეზე.

1960-იან და 70-იან წლებში სოფლის მეურნეობის ერთიანმა პოლიტიკამ უზრუნველყო აგრარული წარმოების ზრდა და ზოგადად, მიიჩნეოდა ზრდის განმაპირობებელ ფაქტორად ომის შემდგომ პერიოდში. თუმცა, 1980-იანი წლებიდან წინა პლანზე წამოიწია გაზრდილი წარმოებით გამოწვეული ნეგატიური ეფექტები გარემოსთან მიმართებით (წყლის დაბინძურება და ნიადაგის გამოფიტვა). ევროკავშირი უკვე იდგა ჭარბწარმოების პრობლემის წინაშე. სოფლის მეურნეობაში იწარმოებოდა იმაზე გაცილებით მეტი პროდუქტი, რისი მოხმარებაც მოსახლეობას შეეძლო. შესაბამისად, გაერთიანებამ დაიწყო ჭარბი პროდუქციის ექსპორტი, რაც ხორციელდებოდა მსოფლიო ფასებზე დაბალ ფასად (დემპინგურ ფასად). 1980-იან წლებში ევროკავშირმა დაიწყო რეფორმების გატარება, რათა თავიდან აეცილებინათ ჭარბწარმოება, უარყოფითი ეფექტები გარემოზე და დემპინგი.<sup>127</sup>

პირველი რეფორმა სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის ფარგლებში იყო კვოტების დაწესება რძის წარმოებაზე 1984 წელს. კვოტების დაწესების მიზანი იყო რძის ნაწარმის წარმოების და მოხმარების კონტროლი. რეფორმა დაფუძნებული იყო შემდეგ პრინციპებზე:

- კვოტები ქვეყნების დონეზე;
- კვოტები მწარმოებლების და/ან შემსყიდველების დონეზე;
- გადასახადი რძეზე: გადასახადი იმ შემთხვევისთვის თუ მწარმოებლები გადააჭარბებდნენ მათთვის გამოყოფილ კვოტას.

მიუხედავად იმისა, რომ კვოტებმა შეზღუდეს წარმოება, ლიმიტი აღმოჩნდა უფრო მაღალი, ვიდრე რძის ნაწარმის შიგა მოხმარების დონე იყო. ამიტომ, წარმოებული პროდუქციის დაახლოებით ათი პროცენტი კვლავ უნდა გასულიყო ექსპორტზე და რადგანაც ევროკავშირში არსებული მინიმალური ფასები მსოფლიო ფასებთან შედარებით იყო უფრო მაღალი, ექსპორტის განხორციელება ევროკავშირიდან

---

<sup>127</sup> Institute for Agriculture and Trade Policy. (2007). The Common Agricultural Policy: A Brief Introduction. [http://www.iatp.org/files/451\\_2\\_100145\\_0.pdf](http://www.iatp.org/files/451_2_100145_0.pdf), last seen: 25.04.2016

მოხდებოდა მხოლოდ მისი სუბსიდირების შემთხვევაში. დემპინგი შემცირდა, თუმცა არ აღმოფხვრილა.

1992 წელს მაკშერის რეფორმით დაიწყო ფერმერების პირდაპირი დაფინანსება ევროკავშირში, რაც მიზნად ისახავდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (ხორცი და ბურღულეული) გარანტირებული ფასების შემცირების კომპენსირებას. ფერმერებს აძლევდნენ თანხებს იმ ფართობის მიხედვით, რომელზეც მოჰყავდათ მოსავალი. იმისათვის, რომ მიეღოთ ეს თანხები, ფერმერებს არ უნდა დაემუშავებინათ მათ მფლობელობაში არსებული მიწის გარკვეული ფართობი და შეეზღუდათ შინაური ცხოველების რაოდენობა. დამატებით სუბსიდირებს იღებდნენ ფერმერები, რომლებიც ატარებდნენ გარემოსდაცვით ღონისძიებებს.

პირდაპირი დაფინანსება არის ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის ხერხემალი და უჭირავს უდიდესი წილი მის ბიუჯეტში. როგორც წესი, პირდაპირი დაფინანსებიდან მიღებულ თანხებს ფერმერები იყენებენ მიმდინარე დანახარჯების დასაფარად და ინვესტიციების განსახორციელებლად.

ფერმერული მეურნეობების შემოსავლების მხარდაჭერისკენ მიმართული დახმარების გადანაწილებას საფუძვლად უდევს თანასწორობის, სამართლიანობის და ეფექტიანობის პრინციპები.<sup>128</sup>

თანასწორობის პრინციპი გულისხმობს, რომ დაფინანსების მიმღებნი უნდა იყვნენ თანაბარ პირობებში. შესაბამისად, ეს პრინციპი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლიანობის პრინციპთან. შემოსავლის მხარდაჭერი პოლიტიკის მთავარი მიზანია უთანასწორობის შემცირება შემოსავლებში. ფერმერული მეურნეობების შემთხვევაში უთანასწორობის ორი ასპექტი შეიძლება გამოიყოს:

3. უთანასწორობა სექტორებს შორის: განსხვავება შემოსავლებში აგრარულ და სხვა სექტორებს შორის;
4. უთანასწორობა სექტორის შიგნით: განსხვავება შემოსავლებში ფერმერულ მეურნეობებს შორის (მაგალითად, მცირე და მსხვილ, სხვადასხვა რეგიონში მდებარე ფერმერულ მეურნეობებს შორის და სხვა).

---

<sup>128</sup> Institute for Agriculture and Trade Policy. (2007). The Common Agricultural Policy: A Brief Introduction. [http://www.iatp.org/files/451\\_2\\_100145\\_0.pdf](http://www.iatp.org/files/451_2_100145_0.pdf), last seen: 25.04.2016

მაშასადამე, პირდაპირი დაფინანსების ეფექტიანობის შეფასებისას უნდა გაანალიზდეს შემდეგი საკითხები: შემცირდა თუ არა უთანასწორობა, ერთი მხრივ, სექტორებს შორის და მეორე მხრივ, სექტორის შიგნით.

როდესაც არსებობს მკვეთრი განსხვავება ფერმერული მეურნეობების შემოსავლებს შორის, წარმოიშობა საკითხი თუ ვისზე უნდა გადანაწილდეს პირდაპირი დაფინანსების ფარგლებში გამოყოფილი თანხა: ყველა ფერმერზე, განურჩევლად შემოსავლის დონისა, თუ იმ ფერმერებზე, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება. მეორე მიდგომის გამოყენებისას გაიზრდება ფერმერული მეურნეობების საშუალო შემოსავალი და იმავდროულად, შემცირდება განსხვავება ფერმერული მეურნეობების შემოსავლებს შორის.

1999 წელს ბერლინში საფუძველი დაედო ერთ რეფორმას - „დღის წესრიგი 2000“, რომელმაც ჩამოაყალიბა მეორე სვეტი სოფლის მეურნეობის ერთიან პოლიტიკაში და რომელიც მხედველობაში იღებდა ფერმერული საქმიანობის მულტიფუნქციურობას.<sup>129</sup> განისაზღვრა რამოდენიმე მიმართულება, რომელთაგან სამი იყო ძირითადი: გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, მხარდაჭერა ყველაზე არახელსაყრელ ადგილზე მცხოვრებ ფერმერთათვის და ინვესტიციების მხარდაჭერა მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად.

ევროკავშირში ვარაუდობდნენ, რომ როდესაც პირდაპირი დაფინანსების მოცულობა აღარ იქნებოდა დაკავშირებული წარმოებასთან, ფერმერებს საბაზრო პირობებთან ადაპტირების მეტი საშუალება ექნებოდათ და შესაბამისად, ევროკავშირის აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანობაც გაიზრდებოდა.

2003 წლის რეფორმის შემდეგ, ევროკავშირში შემავალი 15 წევრი ქვეყნიდან თითოეული თავად განსაზღვრავს, როგორ გაანაწილოს პირდაპირი დაფინანსებისთვის გამოყოფილი მის ხელთ არსებული ბიუჯეტი. მათ შეეძლოთ, დაფინანსება თანაბრად გაეყოს ფერმერებისთვის რეგიონულ დონეზე, დახმარების საშუალო მოცულობის ან რეგიონში აგრარული პროდუქციის წარმოების ისტორიის საფუძველზე („რეგიონული მოდელი“). ასევე, შეეძლოთ, დაფინანსება გამოეყოს თითოეული ფერმერისთვის ინდივიდუალურად, ფერმერული მეურნეობების მიერ წარსულში მიღებული

---

<sup>129</sup> Institute for Agriculture and Trade Policy. (2007). The Common Agricultural Policy: A Brief Introduction. [http://www.iatp.org/files/451\\_2\\_100145\\_0.pdf](http://www.iatp.org/files/451_2_100145_0.pdf), last seen: 25.04.2016

დაფინანსებების საფუძველზე („ისტორიული მოდელი“). მათ ასევე შეეძლოთ, გამოეყენებინათ შერეული მოდელი („ჰიბრიდული მოდელი“). რეგიონულ მოდელში რეგიონის ყველა ფერმერი იღებს ერთნაირ დაფინანსებას თითოეულ ჰექტარზე. ისტორიული მოდელის პირობებში თითოეულ ფერმას აქვს დაფინანსების განსხვავებული დონე. ორივე მოდელში დაფინანსების მოცულობა ფიქსირებულია წლიდან წლამდე და არ იცვლება წარმოების მოცულობების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.<sup>130</sup>

2003 წელს ლუქსემბურგის შეთანხმებით განისაზღვრა ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის შემდეგი ძირითადი მიზნები:

- სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას შეექმნას ცხოვრების ღირსეული პირობები;
- სოფლის მეურნეობა გახდეს უფრო მეტად ორიენტირებული ბაზარზე, ხელი შეეწყოს თავისუფალ კონკურენციას და მოხდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია;
- დაკმაყოფილდეს მომხმარებლების მოთხოვნები ფასის, ხარისხის და ჰიგიენის ასპექტებით;
- ხელი შეეწყოს სოფლის განვითარებას;
- გაძლიერდეს მდგრადი სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მხარდაჭერა;
- მხარდამჭერი პოლიტიკა გახდეს უფრო ეფექტიანი და კონტროლირებადი, ფინანსური კანონმდებლობის შესაბამისად.<sup>131</sup>

დღესდღეობით, ფერმერები იღებენ დაფინანსებას წარმოებული პროდუქციის რაოდენობისგან დამოუკიდებლად. დაფინანსების მოცულობა ეფუძნება 2000-2002 წლების საბაზისო დონეს. თითოეულ წვერ ქვეყანას შეუძლია აირჩიოს, თუ როგორ განსაზღვროს დაფინანსება: მეურნეობის თუ რეგიონულ დონეზე. ფერმერებს, რომლებიც იღებენ ამ სახის სუბსიდიას, შეუძლიათ აწარმოონ ნებისმიერი პროდუქცია გარდა ხილის და ბოსტნეულისა.

<sup>130</sup> European commission. (2011). The future of CAP direct payments. [http://ec.europa.eu/agriculture/policy-perspectives/policy-briefs/02\\_en.pdf](http://ec.europa.eu/agriculture/policy-perspectives/policy-briefs/02_en.pdf), last seen: 25.04.2016

<sup>131</sup> Agrosynergie Groupement Européen d'Intérêt Economique. (2011). Evaluation of income effects of direct support. Final Report, [http://ec.europa.eu/agriculture/eval/reports/income/fulltext\\_en.pdf](http://ec.europa.eu/agriculture/eval/reports/income/fulltext_en.pdf), last seen: 25.04.2016

როდესაც პირდაპირი დაფინანსება მიბმული იყო წარმოების მოცულობაზე, ის სტიმულს აძლევდა ფერმერულ მეურნეობებს გაეზარდათ წარმოების მოცულობა და შესაბამისად გამოეყენებინათ უფრო მეტი რესურსი. ამ სიტუაციაში პირდაპირი დაფინანსება ამახინჯებდა ფერმერების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. მას შემდეგ, რაც პირდაპირი დაფინანსების მოცულობა აღარ არის დამოკიდებული წარმოების მოცულობაზე, ფერმერებს უკეთ შეუძლიათ ადაპტირება მოახდინონ ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებთან.

ზოგიერთ წევრ ქვეყანაში, მაგალითად, საფრანგეთში სუბსიდიის მოცულობა ნაწილობრივ მიბმულია წარმოების მოცულობაზე. ეს ნიშნავს, რომ მაგალითად, ცხვრის ფერმის მფლობელი საფრანგეთში მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს დაფინანსების მთლიან მოცულობას, თუ გააგრძელებს ცხვრის მოშენებას. თუ ის შეწყვეტს ცხვრის მოშენებას, ის მიიღებს სუბსიდიის მხოლოდ 50%-ს.

მცირე ფერმერები კრიტიკულად შეხვდნენ 2003 წლის რეფორმას, რადგანაც დაფინანსება დაეფუძნა წარმოების ისტორიულ დონეს. ეს ნიშნავდა, რომ ყველაზე პროდუქტიული ფერმერები მიიღებენ პირდაპირი დაფინანსების უდიდეს ნაწილს.<sup>132</sup>

ევროკავშირის სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის უდიდესი ნაწილი გაიცემა როგორც წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებელი, მისგან „გამოყოფილი“ სუბსიდია, რომელსაც ეწოდება ერთიანი გადახდის სქემა. ერთიანი გადახდის სქემა ფარავს მარცვლეულს, ბრინჯს, კარტოფილს, შაქარს, ზეთისხილს და მსხვილფეხა საქონელს. ამ სქემის ფარგლებში ფერმერები იღებენ სუბსიდიების ერთსადაიმაცე რაოდენობას წლიურად, წარმოების მოცულობის მიუხედავად. გამოყოფილი სუბსიდიების მისაღებად ფერმერებმა უნდა დააკმაყოფილონ გარკვეული სასოფლო-სამეურნეო და გარემოს დაცვითი კრიტერიუმები. ერთობლიობაში ამ მოთხოვნებს ეწოდება ჯვარედინი შესაბამისობა. ამ სქემის დანერგვა განსხვავებულად მოხდა სხვადასხვა ქვეყანაში, რადგან არსებობდა მისი დანერგვის განსხვავებული ვარიანტები.<sup>133</sup>

<sup>132</sup> Institute for Agriculture and Trade Policy. (2007). The Common Agricultural Policy: A Brief Introduction. [http://www.iatp.org/files/451\\_2\\_100145\\_0.pdf](http://www.iatp.org/files/451_2_100145_0.pdf), last seen: 25.04.2016

<sup>133</sup> Skovager J. M., Zobbe H. (2007). Producer subsidies and decoupling in the European Union and the United States, Case study #10-2 of the program: “Food policy for developing countries: The role of government in the global food system”, p. 6

1992 წლის მაკშერის რეფორმამდე ევროკავშირში დომინირებდა ფასის მხარდამჭერი პოლიტიკა. იმ პერიოდიდანვე სხვა წარმოების მოცულობაზე დამოკიდებული სუბსიდიები, განსაკუთრებით ჰექტრებისა და ცხოველთა სულადობის მიხედვით თანმიმდევრულად იზრდებოდა და 2005 წლისთვის ამ სუბსიდიების მნიშვნელოვანი ნაწილი გარდაიქმნა წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებელ სუბსიდიად ერთიანი გადახდის სქემის ფარგლებში.

სოფლის მეურნეობის ერთიან პოლიტიკაზე მოდის ევროკავშირის საბიუჯეტო ხარჯების დაახლოებით 46 პროცენტი, 50 მილიარდ ევროზე მეტი. უდიდესი ნაწილი ამ თანხიდან წარმოადგენს პირდაპირ გადახდებს ფერმერების შემოსავლების მხარდაჭერისთვის. იგი ასევე მოიცავს საბაზრო ფასის მხარდამჭერ ღონისძიებებსა და სოფლის განვითარების პროგრამებს.<sup>134</sup>

ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის მიზანია „დაეხმაროს ევროპის სოფლის მეურნეობას გახდეს მულტიფუნქციური, მდგრადი და კონკურენტული, მეურნეობებისთვის სტაბილური შემოსავლების უზრუნველყოფის გზით.“<sup>135</sup>

ევროკავშირზე მოდის მსოფლიო ღვინის წარმოების 60 პროცენტი, საიდანაც 80 პროცენტზე მეტი იწარმოება სამ წევრ ქვეყანაში – საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი. ევროკავშირი ღვინის მსოფლიოში უმსხვილესი ექსპორტიორია 15 მილიარდი ევროს ღირებულების წლიური ექსპორტით. ამ სექტორში დასაქმებულია დაახლოებით 1.5 მილიონი ადამიანი, რაც ევროკავშირის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა დაახლოებით 15 პროცენტია. თუმცა, ამ მხრივ არსებობს მნიშვნელოვანი ეროვნული და რეგიონალური განსხვავებები. მაგალითად, ამ სექტორში დასაქმებულების დაახლოებით ნახევარი მოდის იტალიასა და პორტუგალიაზე.<sup>136</sup>

სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის ბიუჯეტი წარმოადგენს დავის საგანს წევრ ქვეყნებს შორის. ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ სოფლის მეურნეობაზე იხარჯება ძალიან დიდი რაოდენობით ფინანსები (განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთი და ჩრდილოეთის ქვეყნები). აღსანიშნავია რომ მუდმივად მცირდება სოფლის მეურნეობის

<sup>134</sup> Costa, C. et al. (2009). Modelling the Effects of the EU Common Agricultural Policy. *Staff Working Paper, Melbourne, December*, <http://www.pc.gov.au/research/supporting/european-agricultural-policy/european-agricultural-policy.pdf>, last seen: 25.04.2016

<sup>135</sup> Daniel K., Kilkenny M. (2009). Agricultural Subsidies and Rural Development, *Journal of Agricultural Economics, Vol. 60, No. 3*, 504–529, p. 505

<sup>136</sup> European Union Committee. (2007). European Wine: A Better Deal for All. *39th Report of Session 2006–07*, October, p. 32



ერთიანი პოლიტიკის წილი ევროკავშირის ბიუჯეტში. 1984 წელს ის შეადგენდა ევროკავშირის ბიუჯეტის 70%-ს, ოცი წლის შემდეგ კი ეს მაჩვენებელი 43% იყო.<sup>137</sup>

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობა საქართველოს აძლევს საშუალებას საკუთარი პროდუქცია გაიტანოს ევროპულ ბაზარზე. თუმცა, იმავდროულად გასათვალისწინებელია, რომ ქართველ მეწარმეები კონკურენციაში იქნებიან ადგილობრივ მეწარმეებთან, რომლებიც მნიშვნელოვან დახმარებას იღებენ მთავრობისგან. ასეთ პირობებში, მნიშვნელოვანია მთავრობამ დახმარება გაუწიოს ქართველ მეწარმეებს, რათა მათ შეძლონ ღირსეული კონკურენციის გაწევა ევროკავშირის ბაზარზე.

## 2.4 აგროსასურსათო სექტორის სუბსიდირების შედეგები

სახელმწიფოს მხარდამჭერი პოლიტიკის გავლენა ფერმერულ მეურნეობებზე სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს.

აგროსასურსათო სექტორში ამა თუ იმ მხარდამჭერი პროგრამის განხორციელებისას, სახელმწიფოს მთავარი საფიქრალია ის, თუ როგორი იქნება მწარმოებლების პასუხი სტიმულებზე და როგორ შეიცვლება მიწოდება. სწორედ მწარმოებლების საპასუხო რეაქცია განსაზღვრავს დარგის მომავალი განვითარების ტემპებს, მიმართულებებს და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების შედეგიანობას.<sup>138</sup>

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის კვალობაზე ადგილობრივ მწარმოებლებს უწევთ კონკურენციის გაწევა უცხოელ მწარმოებლებთან ან ადგილობრივ იმპორტიორებთან. მრავალ განვითარებად ქვეყანაში არსებობს ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ადგილობრივ მწარმოებლებს სახელმწიფოს დახმარების გარეშე გაუჭირდებათ იმპორტთან კონკურენცია. სახელმწიფოს მიერ აგრარული სფეროს სუბსიდირების ერთ-ერთი შესაძლო შედეგი

<sup>137</sup> Institute for Agriculture and Trade Policy. (2007). The Common Agricultural Policy: A Brief Introduction. [http://www.iatp.org/files/451\\_2\\_100145\\_0.pdf](http://www.iatp.org/files/451_2_100145_0.pdf), last seen: 25.04.2016

<sup>138</sup> Colman D., Young T. (1989). *Principles of Agricultural Economics, Markets and prices in less developed countries*. Cambridge University Press, p. 38

სწორედ ადგილობრივი წარმოებისა და მწარმოებლების კონკურენტუნარიანობის ზრდაა.

აგრარული სფეროს სუბსიდირებას გარდა ეკონომიკურისა, შესაძლოა ჰქონდეს სოციალური შინაარსიც. სახელმწიფო ცდილობს წახალისოს აგროწარმოება და სოფლად მცხოვრებთათვის შექმნას შემოსავლის მიღების წყაროები, რათა მათ არ მიატოვონ საკუთარი სახლები, არ გადავიდნენ ქალაქში საცხოვრებლად და სამუშაოდ.

ლიბერატურაში არსებობს საპირისპირო მოსაზრებები სახელმწიფოს მხარდამჭერ პოლიტიკაზე მიწოდების საპასუხო რეაქციის შესახებ. ორთოდოქსული ეკონომიკური თეორიის საპირისპიროდ, რომელიც მიიჩნევს, რომ მიწოდების პასუხი სტიმულებზე იქნება დადებითი, არსებობს ზოგიერთი მოსაზრება, რომელთა თანახმადაც მიწოდების პასუხი შეიძლება იყოს საპირისპირო, ანუ მაღალმა ფასმა განაპირობოს დაბალი წარმოება. მარტივად რომ ვთქვათ, ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ფერმერებს აქვთ გარკვეული „მიზნობრივი“ შემოსავლები, რომელთა მიღებაც სურთ და თუ მათ შესთავაზებენ უფრო მაღალ ფასს მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე, ისინი გადაწყვეტენ მიიღონ მათთვის სასურველი „მიზნობრივი“ შემოსავალი მიწოდების შემცირების გზით. განიხილება უფრო რთული ქცევითი მოდელებიც, სადაც შემოდის რისკის და გაურკვეველობის ცნებები და რომლებიც განიხილავენ უკუპასუხს ფასების ცვლილებებზე.<sup>139</sup>

სუბსიდირების უმთავრესი დადებითი ეფექტები შეიძლება იყოს აგრარულ სფეროში მწარმოებლურობისა და ნათესი/ნარგავი ფართობების ზრდა.

თეორიული კვლევები აჩვენებს, რომ არსებობს სხვადასხვა გზა, რომლითაც საგარაუდოა, რომ სუბსიდიები გავლენას ახდენს მწარმოებლურობაზე. სუბსიდიებმა მწარმოებლურობაზე შეიძლება მოახდინოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა. მწარმოებლურობაზე სუბსიდიების უარყოფითი გავლენა შეიძლება გამომდინარეობდეს ალოკაციური ეფექტიანობის დანაკარგებიდან, რაც გამოწვეულია ცვლილებებით საწარმოო სტრუქტურასა და საწარმოო ფაქტორების გამოყენებაში.

---

<sup>139</sup> Colman D., Young T. (1989). *Principles of Agricultural Economics, Markets and prices in less developed countries*. Cambridge University Press, p. 38

დადებითი გავლენა დაკავშირებულია ინვესტიციების წახალისებასთან, კრედიტზე ხელმისაწვდომობის ზრდასა და რისკის შემცირებასთან.<sup>140</sup>

ალოკაციურ არაეფექტიანობას, შესაძლოა, მაშინ ჰქონდეს ადგილი, როდესაც სუბსიდირებული პროდუქციის წარმოება იზრდება იმ პროდუქტის ხარჯზე, რომლის წარმოებაც ეფექტიანია, მაგრამ მისთვის სუბსიდიები არაა გათვალისწინებული. მაგალითად, ალოკაციურ არაეფექტიანობას ადგილი ექნება იმ შემთხვევაში თუ დავუშვათ, მარწყვის მოყვანა უფრო ეფექტიანია მეურნეობისთვის, მეურნეობა კი გაზრდის ყურძნის წარმოებას მარწყვის ხარჯზე, იმის გამო, რომ ხდება ყურძნის ფასის სუბსიდირება.

თეორიული მიკროეკონომიკური მოდელები და პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წარმოების მოცულობაზე დამოკიდებული სუბსიდიები გავლენას ახდენს წარმოების ფაქტორების გამოყენებაზე.<sup>141</sup>

ეფექტიანობის დანაკარგი უფრო ძლიერია წარმოებაზე დამოკიდებული სუბსიდიების შემთხვევაში, წარმოებისგან დამოუკიდებელ სუბსიდიებთან შედარებით. პირველ შემთხვევაში სუბსიდიების მოცულობა პირდაპირაა დამოკიდებული წარმოების მოცულობისა და საწარმოო ფაქტორების შესახებ ფირმის გადაწყვეტილებებთან, რაც იწვევს უფრო დიდ ალოკაციურ არაეფექტიანობას. ეს კავშირი შედარებით სუსტია წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებელი სუბსიდიების შემთხვევაში.<sup>142</sup>

წარმოების მოცულობაზე დამოკიდებული სუბსიდიების შემთხვევაში უფრო მაღალია სუბსიდიების მიღების რისკი და უფრო რთულია კრედიტის მიღება, ვიდრე წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებელი სუბსიდიების პირობებში. სხვადასხვა მიზეზით განპირობებული დაბალი მოსავლიანობა ქმნის იმის საშიშროებას, რომ მეურნეობის მიერ მიღებული სუბსიდიების მოცულობა იქნება მცირე. ფინანსური ინსტიტუტის გადმოსახედიდანაც გაცილებით უკეთესია თუ მეურნეობა იღებს

---

<sup>140</sup> Rizov M., Pokrivcak J., Ciaian P. (2013). CAP Subsidies and the Productivity of EU Farms. *Working paper, Factor Markets, No. 37*, p. 2

<sup>141</sup> Henningsen A., Kumbhakar S., Lien G. (2011). Econometric Analysis of the Effects of Subsidies on Farm Production in Case of Endogenous Input Quantities. *Paper prepared for presentation at the EAAE 2011 Congress, ETH Zurich, Zurich, Switzerland*, p. 2

<sup>142</sup> Dewbre, J., Anton, J., Thompson, W. (2001). The transfer efficiency and trade effects of direct payments. *American Journal of Agricultural Economics, Vol. 83, No. 5*, pp. 1204-1214.

სტაბილურ სუბსიდიას ყოველწლიურად, რომელიც არ არის დამოკიდებული წარმოების მოცულობაზე.

მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ყურძნის მოსავალი სრულად განადგურდება (რაც საკმაოდ ხშირად ხდება კახეთის რეგიონში, ძირითადად სეტყვის შედეგად) მევენახე საერთოდ ვერ მიიღებს სუბსიდიას. ამისგან განსხვავებით, თუ ფიქსირებული სუბსიდია იქნება გათვალისწინებული დაუშვით 1 ჰექტარ ვენახზე, ნებისმიერი სტიქიური უბედურების თუ სხვა ფორსმაჟორული სიტუაციის შემთხვევაში მევენახე მაინც მიიღებს სუბსიდიის თანხას. შესაბამისად საკრედიტო ინსტიტუტისთვის უფრო ხელსაყრელია იმ მეურნეობის დაფინანსება, რომელიც სტაბილურად იღებს გარკვეული ოდენობის სუბსიდიას.

ლიტერატურა კრედიტზე ხელმისაწვდომობის შეზღუდულობასა და რისკთან დაკავშირებულ ქცევაზე დადებით კავშირს პოულობს სუბსიდიებსა და მწარმოებლურობას შორის. თუ მეურნეობების წვდომა კრედიტზე შეზღუდულია, მაშინ სუბსიდიები მათთვის უზრუნველყოფს დაფინანსების დამატებით წყაროებს. ეს შეიძლება მოხდეს როგორც პირდაპირი (ფირმების ფინანსური რესურსების გაზრდით), ასევე არაპირდაპირი (კრედიტზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებით) გზით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ ფერმერული მეურნეობებისთვის, რომელთა წვდომა, კრედიტზე შეზღუდულია, სუბსიდიები ასრულებს კრედიტის შემცვლელის როლს. კრედიტზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის მქონე მეურნეობები, როგორც წესი, ახორციელებენ მცირე ინვესტიციებს და გააჩნიათ შედარებით დაბალი ალოკაციური ეფექტიანობა, რაც შეიძლება გაუმჯობესდეს სუბსიდიების საშუალებით. იაფი კრედიტი მოახდენს ინვესტიციების და საწარმოო ფაქტორების გამოყენების სტიმულირებას და შესაბამისად, გააუმჯობესებს ფერმერული მეურნეობის ეფექტიანობას.<sup>143</sup>

სუბსიდიები ასევე გავლენას ახდენს ფერმერთა კეთილდღეობასა და რისკისადმი მათ დამოკიდებულებაზე. მაგალითად, სუბსიდირების პირობებში ფერმერები, სავარაუდოდ, გაზრდიან წარმოების მოცულობას ან გამოიყენებენ დამატებით ფაქტორებს, რასაც რისკიანად მიიჩნევენ სუბსიდიების არარსებობის შემთხვევაში.

---

<sup>143</sup> Rizov M., Pokrivcak J., Ciaian P. (2013). CAP Subsidies and the Productivity of EU Farms. *Working paper, Factor Markets, No. 37*, p. 3

გრძელვადიან პერიოდში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოლოდინის ეფექტი. მეურნეობის მოლოდინმა მომავალში მისი საქმიანობის მხარდაჭერის შესახებ შეიძლება გავლენა მოახდინოს მის მიმდინარე საწარმოო გადაწყვეტილებებზე. მეურნეობები, რომლებიც იღებენ გამოყოფილ სუბსიდიას და ელიან, რომ იმავე ოდენობის სუბსიდია შენარჩუნდება მომდევნო 10 წლის განმავლობაში, იფიქრებენ და იმოქმედებენ სხვაგვარად, ვიდრე ისინი, ვინც ელიან გამოყოფილი სუბსიდიების შემცირებას იმავე პერიოდში. რთულია მოლოდინების გაზომვა ემპირიულად და შესაბამისად, ლიტერატურაში არსებობს ამ ეფექტების შეფასების ნაკლებობა.

ინვესტიციის ეფექტს ადგილი აქვს იმდენად, რამდენადაც აგრარული სუბსიდიებით განპირობებული მაღალი შემოსავალი ხელს უწყობს ინვესტიციების ზრდას წარმოების ფაქტორებში, რაც თავის მხრივ, ზრდის წარმოებული პროდუქციის მოცულობას. იმოქმედებს თუ არა სუბსიდიები ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილებებზე, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იწვევს ცვლილებებს სუბსიდიის თანხა ინვესტირებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში.<sup>144</sup>

ფასის მხარდაჭერა, ზოგადად, ითვლება წარმოების მოცულობასთან ყველაზე მეტად დაკავშირებულ სუბსიდიად, რადგან ფერმერი იღებს თანხას მის მიერ წარმოებული პროდუქციის მთლიანი რაოდენობიდან გამომდინარე. საფასო მხარდაჭერა ხშირად ხელს უწყობს ჭარბწარმოებას, რადგან გაზრდილი წარმოება განაპირობებს მიღებული სუბსიდიის ზრდას.

ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებელ სუბსიდიებს გაცილებით უფრო მცირე გავლენა აქვს წარმოებაზე, ვიდრე წარმოებაზე დამოკიდებულ სუბსიდიებს და ეკონომიკური თვალსაზრისით, წარმოებისგან დამოუკიდებელი სუბსიდიები უფრო სასურველია.

მაღალი ფასი წარმოადგენს მხარდაჭერას მეურნეობისთვის და აძლევს მას სტიმულს, რომ გაზარდოს წარმოება. საფასო მხარდაჭერა ხშირად გამოიყენება ტარიფებთან ერთად, რომელიც მიმართულია ადგილობრივი მეურნეობების უცხოელი კონკურენტებისგან დაცვისკენ. ადმინისტრაციული თვალსაზრისით ფასის მხარდაჭერი პოლიტიკა განსახორციელებლად ადვილი და იაფია, რადგან მისი მართვა

---

<sup>144</sup> Skovager J. M., Zobbe H. (2007). Producer subsidies and decoupling in the European Union and the United States, Case study #10-2 of the program: "Food policy for developing countries: The role of government in the global food system", p. 4

შესაძლებელია სურსათის გადამამუშავებელი ინდუსტრიის საშუალებით.<sup>145</sup> მაგალითად, ყურძნის ფასის მხარდამჭერი პოლიტიკის განხორციელება უფრო მარტივია, როდესაც სუბსიდიის თანხა ერიცხება ყურძნის ჩამბარებელ ღვინის კომპანიას და ის ყურძნის გამყიდველს უხდის ერთიან ფასს (ღვინის ქარხნის ფასი + სუბსიდიის თანხა).

ზოგადად, წარმოების მოცულობაზე დამოკიდებული პროგრამები, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული კონკრეტული პროდუქტის წარმოებასთან, გავლენას ახდენს მიწის გამოყენებასა და ნარგავების სტრუქტურაზე. ასეთი სახის პროგრამები იძლევა კონკრეტული პროდუქციის წარმოების სტიმულს. შედეგად, გადაწყვეტილებები ამ პროდუქციის წარმოების შესახებ ეფუძნება როგორც საბაზრო, ასევე სახელმწიფოსგან მისაღებ მოსალოდნელ შემოსავალს. ასეთი პროგრამები, როგორც წესი, გავლენას ახდენს არამარტო იმ კონკრეტული პროდუქტის წარმოებაზე, რაზეც არის მიმართული, არამედ გადაწყვეტილებებზე სხვა პროდუქტის წარმოების შესახებ. კონკრეტული პროდუქტისგან მოსალოდნელი მაღალი შემოსავალი იძლევა სხვა პროდუქტების წარმოების შემცირების და ამ კონკრეტული პროდუქტის წარმოების გაზრდის სტიმულს.<sup>146</sup>

შესაძლოა სხვადასხვა სცენარი განვიხილოთ: ერთ შემთხვევაში, მეურნეობა გაზრდის მის ხელთ არსებულ მიწის ფართობს, რათა დამატებით დარგას/დათესოს სუბსიდირებული კულტურა. იმ შემთხვევაში, თუ მეურნეობა ვერ ახერხებს ნაკვეთის გაფართოებას, ის არსებულ ნაკვეთზე მოახდენს სუბსიდირებული კულტურის ნათესების/ნარგავების გაფართოებას სხვა კულტურების ხარჯზე. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა ორივე ამ სცენარის კომბინაციას ჰქონდეს ადგილი.

წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებელი პროგრამებიდან მიღებული სარგებელი არაა დაკავშირებული წარმოების მიმდინარე დონესთან. წარმოებისგან დამოუკიდებელი პროგრამები პირდაპირ გავლენას არ ახდენს საწარმოო გადაწყვეტილებებზე, რადგან წმინდა უკუგება ერთეულზე უცვლელი რჩება. თუმცა, ასეთი პროგრამები შედარებით ნაკლებ, მაგრამ გავლენას მაინც ახდენს წარმოებაზე.

<sup>145</sup> Skovager J. M., Zobbe H. (2007). Producer subsidies and decoupling in the European Union and the United States, Case study #10-2 of the program: "Food policy for developing countries: The role of government in the global food system", p. 5

<sup>146</sup> Westcott P. C., Young E. C. (2000). U.S. Farm Program Benefits: Links to Planting Decisions and Agricultural Markets. *Agricultural Outlook*, U.S. Department of Agriculture, Economic Research Service, AGO-275, p. 3

ზოგადად, რადგან წარმოებისგან დამოუკიდებელი სუბსიდიები არ არის დაკავშირებული კონკრეტულ პროდუქტთან, იგი გავლენას ახდენს უფრო საერთო დონეზე, როგორცაა მიწის მთლიანი გამოყენება ან ზრდა მთლიან მწარმოებლურობაში. წარმოებაზე დამოკიდებულ სუბსიდიებთან შედარებით, მისგან დამოუკიდებელი სუბსიდიები ნაკლებ ეფექტს ახდენს წარმოებული პროდუქტების კომბინაციაზე.

სუბსიდიების შედეგები თავს იჩენს სხვადასხვა პერიოდულობით. მაგალითად, როდესაც სახელმწიფო გადაწყვეტს ყურძნის ფასის სუბსიდირებას და აცხადებს, რომ სუბსიდიები სტაბილურად გაიცემა შემდგომი რამდენიმე წლის განმავლობაში, ეს შეიძლება კარგი სიგნალი იყოს მევენახეებისთვის და მათ მცირე დროში გაზარდონ საკუთრებაში არსებული ვენახის ფართობი. ამ შემთხვევაში სუბსიდიების ეფექტი ვენახების ფართობის ზრდაზე იქნება მყისიერი. ამისგან განსხვავებით, სუბსიდიების გავლენა წარმოების მოცულობაზე არ იქნება დაუყოვნებელი, რადგანაც ვაზმა რომ ნაყოფი მოგვცეს, 3-4 წელიწადია საჭირო. შესაბამისად, სუბსიდიების ეფექტი წარმოების მოცულობაზე რამდენიმე წლის შემდეგ აისახება.

სოფლის მეურნეობისა და აგრარული ბაზრების სტრუქტურული მახასიათებლების გამო მხარდამჭერი პოლიტიკის გავლენა განსხვავებული იქნება განვითარებად ქვეყნებში, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია ის, რომ განვითარებად ქვეყნებში საოჯახო მეურნეობები მოიხმარენ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს და ბევრი მათგანი არის სურსათის წმინდა მყიდველი. ეს ნიშნავს, რომ სუბსიდირების პოლიტიკის გავლენა მეურნეობის შემოსავალზე დამოკიდებული იქნება როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების ეფექტებზე. მაგალითად, აგრარულ პროდუქციაზე ფასების ზრდამ შეიძლება შეამციროს სურსათის წმინდა მყიდველების რეალური შემოსავალი, თუ მათი მიწოდება არ ხასიათდება საკმარისი ელასტიკურობით, რაც მათ გადააქცევდა წმინდა გამყიდველებად.<sup>147</sup>

მეორე ფაქტორია ის, რომ ბევრი საოჯახო მეურნეობა აწყდება მაღალ ტრანზაქციულ ხარჯებს პროდუქტის გაყიდვის ან საწარმოო ფაქტორის ყიდვისას.

---

<sup>147</sup> Jonasson E. et al. (2014). Modeling the welfare impacts of agricultural policies in developing countries. *Journal of Policy Modeling*, 36, p. 64

უკიდურეს შემთხვევებში, ეს ხარჯები იმდენად მაღალია, რომ მეურნეობა გამოდის ბაზრიდან და აწარმოებს პროდუქციას მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის. ამ შემთხვევაში ის ვერ დარჩება მოგებულ აგრარულ პროდუქციაზე მაღალი ფასებით. უფრო მეტიც, მან შეიძლება ზარალი განიცადოს მიწის რენტის ან საწარმოო ფაქტორების გაზრდილი ფასების გამო.

მესამე ფაქტორია ის, რომ მეურნეობები არიან ჰეტეროგენულები შემოსავლის წყაროების, დანახარჯების სტრუქტურისა და ფაქტორებზე (განსაკუთრებით მიწაზე) საკუთრების თვალსაზრისით. შესაბამისად, მათზე განსხვავებულ გავლენას ახდენს პოლიტიკის პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტები.<sup>148</sup>

როდესაც მთლიანი დანახარჯები მცირდება სუბსიდირების შედეგად, ადგილი აქვს დანახარჯის შემცირებას ერთეულზე, რაც აისახება დანახოვებსა ან გაზრდილ წარმოებაში.<sup>149</sup> წარმოების დანახარჯების თეორიიდან გამომდინარე, სუბსიდიები წარმოების ფაქტორებზე ამცირებს საშუალო დანახარჯებს და სუბსიდიების მიმღებთ აძლევს მოგების მაქსიმიზაციისა და მასშტაბის ეკონომიის მიღწევის საშუალებას.

სუბსიდიების გავლენის შესახებ კვლევათა უმეტესობაში გამოყენებულია სამი მიდგომა: „მანამდე და შემდეგ“ მიდგომა, საწინააღმდეგოს დაშვება და „მხარდაჭერა/მხარდაჭერის გარეშე“ მიდგომა. პირველ შემთხვევაში, ხდება მეურნეობების ანალიზი იმ მონაცემების მიხედვით, რაც ფიქსირდება მათ მიერ სუბსიდიების მიღებამდე და სუბსიდიების მიღების შემდეგ. საწინააღმდეგოს დაშვების მიდგომა განიხილავს მეურნეობების შედეგიანობას სუბსიდიების არარსებობის პირობებში. თუმცა, ასეთი შედეგიანობის გაზომვა საკმაოდ რთულია, რადგან შეუძლებელია მასზე დაკვირვება. სუბსიდირებამდე და სუბსიდირების შემდეგ მიდგომაც სირთულეებთანაა დაკავშირებული, „მხარდაჭერა/მხარდაჭერის გარეშე“ მიდგომის დროს საჭიროა სუბსიდიების ბენეფიციართა და არაბენეფიციართა შედეგიანობის შედარება სხვადასხვა ასპექტით.<sup>150</sup> ამ მიდგომასთან დაკავშირებული პრობლემა

<sup>148</sup> Jonasson E. et al. (2014). Modeling the welfare impacts of agricultural policies in developing countries. *Journal of Policy Modeling*, 36, p. 64

<sup>149</sup> Crawford E. W., Jayne T. S., Kelly V. A. (2005). Alternative approaches for promoting fertilizer use in Africa, with particular reference to the role of fertilizer subsidies. *Paper, Department of Agricultural Economics, Michigan State University, East Lansing, MI.*

<sup>150</sup> Lister, N. M. (2011). Agricultural Subsidies, Productivity and Rural Assets: The effect of Farmer Input Support Programme (FISP) on small scale farmers in Mwembeshi-Chibombo District of Zambia. *International Institute of Social Studies, Research Paper.*



მდგომარეობს იმაში, რომ, შესაძლოა, სუბსიდიების ბენეფიციარები და არაბენეფიციარები განაწილებულნი იყვნენ სხვადასხვა რეგიონებსა ან ტერიტორიულ ერთეულებში და აწარმოებდნენ სხვადასხვა პროდუქციას. მაგალითად, ყურძნის შემთხვევაში სუბსიდიების მიმღები მოსახლეობა თითქმის მთლიანად კონცენტრირებულია კახეთში და შედარებისთვის, ვთქვათ, იმერეთის რეგიონის ალება შესაძლოა არ იყოს მართებული.

სუბსიდიებმა შეიძლება მოახდინოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ეკონომიკური ეფექტი. პირდაპირი ეფექტები მოიცავს გავლენას მეურნეობის ზრდასა და ნათესი/ნარგავი ფართობების სტრუქტურის ცვლილებაზე, ინვესტიციებსა და ვაჭრობაზე. სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიებმა, შეიძლება, ასევე, მოახდინოს არაპირდაპირი გავლენა როგორც აღმავალ, ასევე, დაღმავალ ინდუსტრიებზე, როგორებიცაა წარმოების ფაქტორების (მაგალითად, ქიმიკატები) და გადამამუშავებელი (სურსათის გადამამუშავება) ინდუსტრიები.<sup>151</sup>

იანგმა და სხვ. განაუთარეს სამთავრობო ინტერვენციის კლასიფიკაცია, რომელიც სასრგებლოა შიდა მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმების ეკონომიკური გავლენის ანალიზისთვის:<sup>152</sup>

- საბაზრო ფასის მხარდაჭერა. საბაზრო ფასის მხარდაჭერა უზრუნველყოფს მწარმოებლებს საბაზროზე მაღალი ფასით მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე. ასეთი მხარდაჭერის მაგალითებია შეზღუდვები იმპორტზე (მაგალითად, ტარიფები), ადმინისტრირებული ფასები (დასაწყობების პროგრამები), სუბსიდიები ექსპორტზე და ა.შ.. მხარდაჭერის ასეთი ფორმების მიზანია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა შემოსავლების მხარდაჭერა. მან შეიძლება წახალისოს წარმოება, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული წარმოების ზრდას, იმპორტის შემცირებას და ჭარბი პროდუქციის ექსპორტს.
- სუბსიდიები წარმოებულ პროდუქციასა და წარმოების ფაქტორებზე. გამოშვების სუბსიდირება განისაზღვრება როგორც „პირდაპირი

<sup>151</sup> Unisfera International Centre. (2003). The Economic and Environmental Impacts of Agricultural Subsidies: An Assessment of the 2002 US Farm Bill and Doha Round. *The Second North American Symposium on Assessing the Environmental Effects of Trade*, p. 5

<sup>152</sup> Young, E. et al. (2002). Domestic Support and the WTO: Comparison of Support among OECD Countries. *USDA ERS*, pp.1-13.

გადახდების პროგრამები, რომლებიც მიზნულია პროდუქტის წარმოებასთან“, ხოლო სუბსიდიები წარმოების ფაქტორებზე განისაზღვრება როგორც სუბსიდიები, რომლებიც გამოყოფილია წარმოების პროცესში გამოყენებული ფაქტორებისთვის (მაგალითად, ტექნოლოგია). ასეთი ტიპის სუბსიდიები ხშირად მიზნულია წარმოებაზე ან/და ფასებზე. გამოშვების სუბსიდირება, როგორც წესი, სტიმულს იძლევა წარმოების მოცულობის გაზრდისთვის. სუბსიდირების ამ სახეობას შეიძლება მივაკუთვნოთ გარკვეული თანხის დამატება საბაზრო ფასზე წარმოებული პროდუქციის ყოველი ერთეულისთვის. წარმოების ფაქტორებისთვის განკუთვნილი სუბსიდიების პირდაპირი ეფექტია წარმოების დანახარჯების შემცირება.

- მიწოდების და გადახდების შეზღუდვები. მიწოდების და გადახდების შეზღუდვები ზღუდავს მსხვილი მწარმოებლებისთვის გადახდილ თანხებს და იმ ფართობს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია პირდაპირი გადახდები.
- ფერმერულ მეურნეობაზე დაფუძნებული გადახდები. ფერმერულ მეურნეობაზე დაფუძნებული გადახდები მიეკუთვნება პირდაპირი გადახდების სახეობას, რომელიც დაფუძნებულია ისტორიულ წარმოებაზე ან ფერმერული მეურნეობის ხასიათზე. ასეთი გადახდების უმეტესობა განიხილება როგორც წარმოებისგან დამოუკიდებელი და არ გულისხმობს მნიშვნელოვან საწარმოო სტიმულს. ასეთი სახის მხარდაჭერით გაზრდილმა კეთილდღეობამ, შესაძლოა, გაზარდოს ფერმერული მეურნეობის აქტივობა (წარმოება და მოხმარება) და, ასევე, შეცვალოს დამოკიდებულება რისკის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია წარმოებასთან.<sup>153</sup>

წარმოების ფაქტორების სუბსიდირება ამცირებს საწარმოო ხარჯებს და მეურნეობას უბიძგებს წარმოების გაზრდისკენ. ნათეს ფართობებზე/საქონლის რაოდენობაზე დაფუძნებული გადახდები ამცირებს დანახარჯებს მიწაზე/საქონელზე.

<sup>153</sup> Young, E. et al. (2002). Domestic Support and the WTO: Comparison of Support among OECD Countries. *USDA ERS*, pp.1-13.

ასეთი გადახდები იძლევა მიწის დამატებითი ფართობის/საქონლის დამატებითი რაოდენობის შექმნის სტიმულს.<sup>154</sup>

სუბსიდირების პოლიტიკა არ ახდენს გაველენას მომხმარებლებზე, რადგანაც მათ მიერ გადახდილი ფასი რჩება იგივე, როდესაც სუბსიდიების დანახარჯები აჭარბებს მწარმოებელთა სარგებელს, წარმოიშობა კეთილდღეობის საერთო დანაკარგი. მიუხედავად კეთილდღეობის საერთო დანაკარგის არსებობისა, სუბსიდირების პოლიტიკას, შესაძლოა, ჰქონდეს გამართლება, რადგანაც ხშირად ის მიმართულია იმ დარგის დასახმარებლად, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკაში ან მის ისტორიასა თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამდენად, ამ დარგის შენარჩუნებისა და მისი გამართული ფუნქციონირებისთვის სახელმწიფო, შესაძლოა, შეეგუოს კეთილდღეობის გარკვეულ დანაკარგს.

სოფლის მეურნეობა სწორედ ასეთი გამორჩეული დარგია საქართველოს ეკონომიკაში და ვფიქრობთ, რომ იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოების ზრდის ხარჯზე, ვერ მოხერხდება სუბსიდირების სათანადო პოლიტიკის გარეშე. განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა იმპორტიორი კომპანიები საკუთარ ქვეყნებში სარგებლობენ საკმაოდ დიდი მხარდაჭერით და მომგებიან მდგომარეობაში იმყოფებიან საქართველოს სოფლის მეურნეობაში მოქმედ მცირე ფერმერულ მეურნეობებთან შედარებით.

განსხვავებული მდგომარეობაა მევენახეობის სექტორში, რომელიც არ განიცდის მძიმე კონკურენციას იმპორტირებული პროდუქციისგან. თუმცა, ამ შემთხვევაში სახეზეა არსებული რესურსების სრულად გამოყენების და ექსპორტის გაზრდის საჭიროება, რისი ხელშეწყობაც, ასევე, შესაძლებელია სუბსიდიების გამოყენების გზით.

მევენახეობა-მეღვინეობას ძალიან დიდი ხნის ტრადიცია აქვს საქართველოში და წარმოადგენს ქვეყნის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწილს.

საქართველოს სოფლის მეურნეობა უმეტესწილად შედგება მცირე ფერმერული მეურნეობებისგან. ბოლო 15 წლის განმავლობაში სოფლად მცხოვრებთა რაოდენობა

---

<sup>154</sup> Unisfera International Centre. (2003). The Economic and Environmental Impacts of Agricultural Subsidies: An Assessment of the 2002 US Farm Bill and Doha Round. *The Second North American Symposium on Assessing the Environmental Effects of Trade*, p. 5

მნიშვნელოვნად არ შეცვლილა - 48.2% 2001 წელს და 42.6% 2015 წელს.<sup>155</sup> სოფლის მეურნეობა გადარჩენის მნიშვნელოვანი საშუალებაა სოფლის მოსახლეობისთვის. ამ სექტორში დასაქმებულად კვალიფიცირებულთა შორის 95% „წვრილი ფერმერია“, რომლებსაც, ჩვეულებრივ, 1,2 ჰა მიწის ნაკვეთი და 2 ძროხა ჰყავთ. მიჩნეულია, რომ ასეთი ოჯახები მიეკუთვნებიან საარსებო საშუალებების მქონეთა ან ნაწილობრივ მქონეთა კატეგორიას. სოფლად შემოსავლების ზრდა ძირითადად გამოიწვია ფულადი გზავნილების ზრდამ, რომლებსაც საქართველოს გარეთ მცხოვრები და მომუშავე ემიგრანტები აგზავნიან, რაც სოფლის მოსახლეობაზე სოფლის მეურნეობის სავალალო მდგომარეობის ზემოქმედებას ამცირებს.<sup>156</sup>

ფერმერული მეურნეობების უმეტესობა არის არა ტიპური საწარმო, არამედ მცირე საოჯახო მეურნეობა.<sup>157</sup> ფერმერული მეურნეობები არიან გადაწყვეტილების მიმღები ძირითადი ერთეულები სოფლის მეურნეობაში და შესაბამისად, გავლენას ახდენენ ბაზრის შედეგებზე, მიწის გამოყენებასა და გარემოზე. რადგანაც თითოეული ფერმერული მეურნეობის წარმოება მცირეა მთლიან წარმოებასთან შედარებით, თითოეული მათგანი ფასს იღებს როგორც მოცემულობას. თუმცა, პოლიტიკა გავლენას ახდენს ბევრ ფერმერულ მეურნეობაზე და აგრეგირებულმა საპასუხო რეაქციამ ფერმერული მეურნეობების მხრიდან და მათმა ურთიერთქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ბაზარზე და პროდუქტის ფასებზე.<sup>158</sup>

ქვემოთ განხილულია ფერმერული მეურნეობის მოდელი და შესწავლილია სუბსიდიების გავლენა სწორედ ასეთ მცირე საოჯახო მეურნეობებზე (კერძოდ, მევენახეებზე).

ტერმინი „ფერმერული მეურნეობის მოდელი“ ამ შემთხვევაში გულისხმობს აგრარულ ეკონომიკაში არსებულ მოდელს, სადაც საოჯახო მეურნეობა წარმოადგენს ანალიზის ერთეულს და რომელიც მოიცავს საოჯახო მეურნეობის ხელთ არსებული რესურსების განაწილებას მეურნეობის შიგნით და მეურნეობის გარეთ,

<sup>155</sup>საქსტატი, [http://pc-axis.geostat.ge/Table.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px\\_db=Database&px\\_type=PX&px\\_language=en&px\\_tableid=Database%5cAgriculture%5cGeneral+Information%5cTABLE\\_1.01.px&layout=tableViewLayout1](http://pc-axis.geostat.ge/Table.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px_db=Database&px_type=PX&px_language=en&px_tableid=Database%5cAgriculture%5cGeneral+Information%5cTABLE_1.01.px&layout=tableViewLayout1)

<sup>156</sup> FAO. (2013). სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში, საქართველო. გვ. 10

<sup>157</sup> Henningsen, A., Kumbhakar, S., Lien, G. (2011). Econometric Analysis of the Effects of Subsidies on Farm Production in Case of Endogenous Input Quantities. In *EAAE 2011 Congress – Change and Uncertainty, Zurich, Switzerland*. p. 4

<sup>158</sup> Bezlepkina, I. et. al. (2006). Component to statistically extrapolate from FSSIM models to other farm types and regions including aggregation to NUTS2: motivation, description and prototype. *Integrated project EU FP 6*, September, p. 10

სარგებლიანობის მაქსიმიზაციის პრინციპიდან გამომდინარე გადაწყვეტილებებს წარმოების და მოხმარების შესახებ (საოჯახო მეურნეობა ამ შემთხვევაში გულისხმობს ფერმერულ მეურნეობას).<sup>159</sup>

ფერმერული მეურნეობის გადაწყვეტილებების უკეთ გასაგებად განვიხილავთ ფერმერული მეურნეობის მოდელს. დავუშვათ, რომ ფერმერული მეურნეობების მიზანია მათი კეთილდღეობის მაქსიმიზაცია. მეურნეობების კეთილდღეობა მოიცავს საწყის კეთილდღეობას; მოგებას, რომელსაც იღებენ ფერმერული საქმიანობიდან; სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფინანსებს და შემოსავალს არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან. სარგებლიანობის მაქსიმიზაციის დაშვებიდან გამომდინარე, ფერმერული მეურნეობები ეცდებიან შეარჩიონ წარმოების ის მოცულობა, რომელიც მათ მოუტანს მაქსიმალურ სარგებლიანობას.<sup>160</sup>

დავუშვათ, რომ ფერმერული მეურნეობა აწარმოებს  $n$  პროდუქტს.  $A_i$  არის ის ფართობი (ჰექტრებში), რაც გამოყოფილია  $i$ -ური პროდუქტის საწარმოებლად,  $Y_i$  არის მწარმოებლურობა ერთ ჰა-ზე და  $i = 1, \dots, n$ . თუ  $p_i$   $i$ -ური პროდუქტის საბაზრო ფასია, მაშინ ფერმერული მეურნეობის შემოსავალი ამ პროდუქტის წარმოებიდან იქნება:

$$R = \sum_{i=1}^n p_i Y_i A_i$$

თუ წარმოების დანახარჯს ერთ ჰა-ზე  $i$ -ური პროდუქტისთვის აღვნიშნავთ  $C_i$ -თი, მაშინ ამ პროდუქტის წარმოების მთლიანი დანახარჯი იქნება:

$$C = \sum_{i=1}^n c_i A_i$$

ამ შემთხვევაში  $R$  რისკთან დაკავშირებული ცვლადია, რადგანაც პროდუქციის ფასი  $p = (p_1, \dots, p_n)$  და თვით ამ წარმოების მოცულობა  $Y = (Y_1, \dots, Y_n)$  უცნობია ფერმერული მეურნეობისთვის წარმოების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ამის საპირისპიროდ, ცნობილია წარმოების ფაქტორების ფასები და დანახარჯები ერთ ჰა-ზე ( $c_i$ ).

<sup>159</sup> Viaggi, D., Raggi, M., Gomez y Paloma, S. (2010). An integer programming dynamic farm-household model to evaluate the impact of agricultural policy reforms on farm investment behavior. *European Journal of Operational Research*, 207, p. 1131

<sup>160</sup> Kropp, K. J., Whitaker, J. B. (2009). The Impact of Decoupled Payments on the Cost of Operating Capital. *Prepared for presentation at the Agricultural & Applied Economics Association 2009 AAEA & ACCI Joint Annual Meeting, Milwaukee, Wisconsin, July, 26-29*, p. 2

საოჯახო მეურნეობის წინაშე მდგარი საბიუჯეტო შეზღუდვა შეიძლება ჩაიწეროს შემდეგნაირად:

$$I + R - C = E$$

$I$  არის დამატებითი შემოსავალი,  $C$  – საოჯახო მეურნეობის მიერ საქონლის მოხმარების ინდექსი, რომელიც აღნიშნავს საოჯახო მეურნეობის სამომხმარებლო ხარჯებს.<sup>161</sup>

ასეთ პირობებში, რაც უფრო მაღალია ფერმერული მეურნეობის მიერ მიღებული ფასი მით უფრო დიდია ( $R - C$ ) სხვაობა, რომელიც ასახავს მოგებას კონკრეტული პროდუქტის წარმოებიდან. ყურძნის ფასის მხარდაჭერა უზრუნველყოფს ამ სხვაობის გაზრდას მევენახეებისთვის და შესაბამისად ზრდის მეურნეობის ხელთ არსებულ თანხას. რაც უფრო დიდია სუბსიდიის მოცულობა, მით უფრო იზრდება ეს თანხა და გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ მეურნეობებს უზრუნველყოფს დანაზოგების გაკეთების საშუალება:

$$I + R - C = S$$

სადაც,  $S$  აღნიშნავს დანაზოგებს.

გამომდინარე აქედან, თეორიულად შეგვიძლია ვიმსჯელოთ სუბსიდიების პირდაპირ და დადებით გავლენაზე საოჯახო მეურნეობების კეთილდღეობაზე, მათ შემოსავლებზე, წარმოების გაზრდის სტიმულებსა და მწარმოებლურობის ზრდაზე.

სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოლიტიკა, როგორც წესი, იწვევს ცვლილებებს აგრარულ ბაზრებზე, ზემოქმედებას ახდენს საოჯახო მეურნეობების გადაწყვეტილებებზე წარმოებისა და მოხმარების შესახებ, განაპირობებს ცვლილებებს აგრარული პროდუქციის მიწოდებასა და მოთხოვნაში.

სუბსიდია განიხილება, როგორც უარყოფითი გადასახადი. სუბსიდიის შემთხვევაში გამყიდველის ფასი აჭარბებს მყიდველის ფასს და მათ შორის განსხვავება არის სუბსიდიის თანხა. შესაბამისად, სუბსიდიის შედეგები წარმოების მოცულობასა და მოხმარებასთან მიმართებაში გადასახადის შედეგების საწინააღმდეგოა, კერძოდ, მოცულობები გაიზრდება.<sup>162</sup>

ეკონომიკური თეორიის თანახმად პროდუქტის მიწოდება ბაზარზე დამოკიდებულია ამ პროდუქტის ფასზე; სხვა პროდუქტების ფასებზე, რომელთა

<sup>161</sup> Chavas, J-P., Holt, M. T. (1990). Acreage decision under risk: the case of corn and soybeans, *American Journal of Agricultural Economics*, 529-538, p. 529

<sup>162</sup> ხარაიშვილი, ე. და სხვ. (2008). მიკროეკონომიკა. თბილისი, „უნივერსალი“.

წარმოებაც შეიძლება ამ პროდუქტის სანაცვლოდ და წარმოების პროცესში გამოყენებულ საწარმოო ფაქტორების ფასებზე. ეს დამოკიდებულება შეიძლება გამოვხატოთ მიწოდების ფუნქციის ფორმით:

$$Q_i = f(P_i, P_j, P_k, p_1, \dots, p_n)$$

სადაც,  $Q_i$  აღნიშნავს  $i$  პროდუქტის საბაზრო მიწოდებას, რომლის მიმდინარე საბაზრო ფასიც  $P_i$  ს ტოლია. ალტერნატიული  $j$  და  $k$  პროდუქტების ფასებია  $P_j$  და  $P_k$ .  $n$  საწარმოო ფაქტორების ფასები მოცემულია  $p_1, \dots, p_n$  სიმრავლით.<sup>163</sup>

მაგალითად, ყურძნის შემთხვევაში თუ დავუშვებთ, რომ სხვა აგრარული პროდუქტების და საწარმოო ფაქტორების ფასები უცვლელია, შეგვიძლია განვსაზღვროთ დამოკიდებულება ყურძნის მიწოდებასა და მის ფასს შორის. ფასის ცვლილება გამოიწვევს ცვლილებას ყურძნის მიწოდების მრუდზე. რადგანაც ყურძნის ფასის ზრდა, სავარაუდოდ, გამოიწვევს მისი მიწოდების ზრდას (შედარებით გრძელვადიან პერიოდში), მიწოდების მრუდი აღმავალია.

განვიხილოთ მიწოდების ფუნქციის სხვა პარამეტრიც. შესაძლებელია ითქვას, რომ სხვა თანაბარ პირობებში, ალტერნატიული აგრარული პროდუქტის (ატამი, მარწყვი და ა.შ.) ფასის ( $P_j$ ) ზრდა ფერმერული მეურნეობისთვის იქნება სტიმული, რათა გადაერთოს  $j$  პროდუქტის წარმოებაზე, რადგან ამ პროდუქტზე გაზრდილი ფასის გამო მისი მომგებიანობა იზრდება  $i$  პროდუქტთან შედარებით. გრაფიკულად ეს აისახება მიწოდების მრუდის მარცხნივ გადაადგილებით.

აღსანიშნავია, რომ მოყოლებული 2006 წლიდან, როცა რუსეთმა ემბარგო დააწესა ქართულ პროდუქტიაზე, ყურძნის ფასის მსგავსად შემცირდა სხვადასხვა სახეობის ხილის ფასებიც. რაც შეეხება ბოსტნეულს, ის როგორც წესი, განიცდის მძიმე კონკურენციას იმპორტირებული პროდუქციის მხრიდან და შესაბამისად, მევენახეებისთვის არც თუ ისე დიდი სტიმულები არსებობდა ყურძნის ჩანაცვლებლად სხვა კულტურებით. მიუხედავად ამისა, მევენახეთა ნაწილმა გადაწყვიტა ვაზის გაჩეხვა და მისი ჩანაცვლება სხვადასხვა სახეობის ხილით (ატამი, მარწყვი).

ყურძნის მიწოდების მრუდის გადაადგილებას ასევე განაპირობებს წარმოების ფაქტორების ფასები. ვაზის მოვლის საშუალებების ფასების ზრდა იწვევს ზღვრული

---

<sup>163</sup> Colman D., Young T. (1989). *Principles of Agricultural Economics, Markets and prices in less developed countries*. Cambridge University Press, p. 31

დანახარჯის ზრდას და განაპირობებს ყურძნის მიწოდების მრუდის გადაადგილებას მარცხნივ. აქ აღსანიშნავია, რომ წლიდან წლამდე იზრდებოდა დანახარჯები ვაზის მოვლაზე, რაც კიდევ უფრო მეტ სიმწვავეს სძენდა მევენახეების წინაშე მდგარ პრობლემებს.

კიდევ ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც იწვევს მიწოდების მრუდის გადაადგილებას, როდესაც საქმე ეხება აგრარული პროდუქციის ბაზრებს, არის ბუნებრივი პირობები. თუმცა, ბუნებრივი პირობები არ შედის მიწოდების ტრადიციულ ფუნქციებში. რადგანაც ბუნებრივი პირობები ფერმერული მეურნეობის კონტროლს მიღმაა, ხშირად ადგილი აქვს შეუსაბამობებს დაგეგმილ და რეალურად მიღებულ წარმოების მოცულობებს შორის.<sup>164</sup>

ყურძნის მოსავალი კახეთის რეგიონში ხშირად ზიანდება სექციის გამო. ამ შემთხვევაში, საჭიროა ზარალის ანაზღაურების ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება სახელმწიფოს მიერ, რაც შეამცირებს მევენახის წინაშე მდგარ რისკს.

ნებისმიერი განხილვა აგრარული პროდუქციის მიწოდებაზე მოქმედი ძალების შესახებ სრული არ იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ სახელმწიფო პოლიტიკის როლს. ზოგიერთი პოლიტიკა პირდაპირ გავლენას ახდენს კონკრეტული აგრარული პროდუქტის მიწოდებაზე და ამიტომ, სადაც აუცილებელია, კონკრეტული ცვლადის სახით უნდა შევიდეს მიწოდების ფუნქციაში. ამის მაგალითებია სუბსიდიები, საწარმოო კვოტები, შეზღუდვები კონკრეტული წარმოების ფაქტორების გამოყენებაზე და ა.შ. სხვა შემთხვევებში სახელმწიფო პოლიტიკა გავლენას ახდენს პროდუქტის და საწარმოო ფაქტორების ფასებსა და ტექნოლოგიაზე. არსებობს სხვა სახის პოლიტიკაც, რომელიც შესაძლოა არ იყოს მიმართული კონკრეტული პროდუქტის მიმართ და მოიცავდეს მიწის საკუთრებას, სახელმწიფოს მიერ გაცემულ კრედიტებს, გარკვეულ სერვისებს, სარწყავ სისტემებს და ა.შ. ასეთი სახის პოლიტიკა გავლენას ახდენს დარგში ერთობლივ მიწოდებაზე. მაშასადამე, ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მიწოდებაზე შემდეგია: პროდუქტის ფასი;

---

<sup>164</sup> Colman D., Young T. (1989). *Principles of Agricultural Economics, Markets and prices in less developed countries*. Cambridge University Press, p. 35



ალტერნატიული პროდუქტების ფასები; წარმოების ფაქტორების ფასები; ტექნოლოგია; ბუნებრივი პირობები; ინსტიტუციური ფაქტორები.<sup>165</sup>

მეურნეობები გადაწყვეტილებებს იღებენ გაურკვეველობის ქვეშ, რასაც ბევრი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორისაა კლიმატური და ბიოლოგიური ფაქტორები, რომლებიც ფერმერების კონტროლს მიღმაა და შეუძლია განაპირობოს მნიშვნელოვანი რყევები წარმოების მოცულობაში. ასევე, არსებობს გაურკვეველობა აგრარული პროდუქციის ფასებთან დაკავშირებითაც, რადგან ფერმერებმა არ იციან, როგორი იქნება მათი პროდუქტის ფასი მოსავლის აღების პერიოდში. მეურნეობები წარმოების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებენ მოსალოდნელი ან პროგნოზული ფასების მიხედვით. ფასის პროგნოზირების ზუსტი მეთოდი არ არსებობს. ყველაზე გავრცელებული ჰიპოთეზის თანახმად, პროდუქტის მოსალოდნელი ფასი გაიანგარიშება წინა პერიოდების ფასებზე დაყრდნობით.

ზოგჯერ სახელმწიფო წინასწარ აცხადებს გარკვეული მინიმალური ფასის შესახებ, რომელსაც მევენახეები მიიღებენ ყურძნის ჩაბარების შედეგად. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მთავრობის განცხადებები მომდევნო წლებში სუბსიდიების შენარჩუნების შესახებ, რაც მევენახეებს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის ყურძნის ფასზე მომავალში.

ამ ჰიპოთეზის გათვალისწინების შემთხვევაში უნდა დადგინდეს კავშირის სპეციფიკური ფორმა მოსალოდნელ ფასსა და წარსულში არსებულ ფასებს შორის. ერთ შემთხვევაში მევენახეებმა შესაძლოა მოსალოდნელ ფასად მიიჩნიონ ფასი, რომელიც მათ მიერ წარმოებულ პროდუქტს ჰქონდა წინა საწარმოო პერიოდში. ასეთი მიდგომა ძალიან გამარტივებულად ითვლება, რადგან მხედველობაში არ იღებს უფრო შორ წარსულში არსებულ ფასებს. ალბათ უფრო რეალისტური იქნება, თუ გლეხები გაითვალისწინებენ იმ ფასების შეწონილ საშუალოს, რაც მიიღეს წინა რამოდენიმე წლის განმავლობაში (ეთქვათ, 4-5 წელი). ამ შემთხვევაში, გლეხი აცნობიერებს ფასების მერყეობას წლიდან წლამდე, მაგრამ გარკვეული „ნორმალური ფასი“ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული.<sup>166</sup>

---

<sup>165</sup> Colman D., Young T. (1989). *Principles of Agricultural Economics, Markets and prices in less developed countries*. Cambridge University Press, p. 35

<sup>166</sup> Colman D., Young T. (1989). *Principles of Agricultural Economics, Markets and prices in less developed countries*. Cambridge University Press, p. 36

მოსალოდნელი ფასები გაველენას ახდენს მეურნეობის მიერ მიღებულ საწარმოო გადაწყვეტილებებზე, საწარმოო სტრუქტურაზე, გაწეულ დანახარჯებზე და ა.შ. მაგალითად, როდესაც მევენახე მოვლის დაბალ ფასს ყურძენზე, შესაძლოა მან უარი თქვას ვენახის მოვლის ძვირადღირებული საშუალებების შექენაზე, აქცენტი გააკეთოს სხვა პროდუქტის წარმოებაზე (მაგალითად, დათესოს უფრო მეტი რაოდენობის კარტოფილი) ან ეძიოს შემოსავლის სხვა წყაროები. ამრიგად, საბაზრო ფასი მიმდინარე საწარმოო პერიოდში გაველენას მოახდენს საწარმოო გადაწყვეტილებებზე მომავალ პერიოდებში.

აგრარული პროდუქციის მიმწოდებლების რეაქცია სახელმწიფო პოლიტიკაზე განხილული უნდა იქნეს დინამიკაში და არა სტატიკაში, რადგან უმეტეს შემთხვევაში ფერმერები ვერ შეძლებენ ან სურვილი არ ექნებათ მოახდინონ დაუყოვნებელი ცვლილება მათ საწარმოო სტრუქტურაში საბაზრო სტიმულის შესაბამისად. შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ცვლილებების მიმართ ფსიქოლოგიურ წინააღმდეგობას, განსაკუთრებით მაშინ თუ ცვლილება გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების ან მეთოდების დანერგვას, რომლებიც ტრადიციული წარმოების ფარგლებს სცილდება და რთულად აღსაქმელი და ასათვისებელია. იმ შემთხვევაშიც კი თუ ფერმერები მზად არიან ინოვაციების ასათვისებლად, ეს პროცესი საჭიროებს გარკვეულ დროს და ხარჯებს, რაც განაპირობებს გარკვეულ დაყოვნებას რეაქციაში პოლიტიკის საპასუხოდ. მოკლევადიანი პასუხები პოლიტიკაზე, შესაძლოა, შეფერხდეს გამომდინარე მიწის საკუთრების და სარგებლობის შესახებ საკანონმდებლო საკითხებიდან, საბაზრო ინფრასტრუქტურიდან, კრედიტზე ხელმისაწვდომობიდან და ა.შ.<sup>167</sup>

აგროწარმოების ტექნიკური მახასიათებლები შეიძლება ასევე აღმოჩნდეს შემაფერხებელი მოკლევადიან პერიოდში საწარმოო ცვლილებების განხორციელებისთვის. მეურნეობები სასოფლო-სამეურნეო მიწას, შენობებს და აღჭურვილობას ფლობენ განსაზღვრული რაოდენობით, რაც არ მისცემს მათ მოკლე დროში წარმოების მოცულობის გაზრდის საშუალებას. ასევე, გასათვალისწინებელია დროითი პერიოდიც, რაც მაგალითად საჭიროა იმისათვის, რომ ახლადდარგულმა ვაზმა ნაყოფი გამოიღოს. შესაბამისად, არსებობს გარკვეული პერიოდი, წარმოების

---

<sup>167</sup> Colman D., Young T. (1989). *Principles of Agricultural Economics, Markets and prices in less developed countries*. Cambridge University Press, p. 37

მოცულობის ზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასა და წარმოების მოცულობის ზრდას შორის.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ ინსტიტუციური ან ტექნიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, მევენახეების რეაგირება სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული სუბსიდირების პოლიტიკის საპასუხოდ არ იქნება მყისიერი და მათ დასჭირდებათ გარკვეული პერიოდი, რათა განახორციელონ ცვლილებები საწარმოო სტრუქტურაში.

კვლევებით დასტურდება, რომ რისკი მნიშვნელოვანი ფაქტორია წარმოების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. როდესაც გარემოში გაურკვეველობის ხარისხი მაღალია და არსებობს მრავალი რისკი, რომელთა მოხდენის ალბათობაც მაღალია, მეურნეობის გადაწყვეტილება წარმოების შესახებ დამოკიდებულია მის შეხედულებაზე რისკთან დაკავშირებით. მეურნეობები განვითარებად ქვეყნებში, როგორც წესი, ცდილობენ თავიდან აიცილონ რისკი თუნდაც შესაძლო შემოსავლის გარკვეული ნაწილის დათმობის სანაცვლოდ. თუ პროდუქტის ფასი გაურკვეველია და მეურნეობა ცდილობს რისკის თავიდან აცილებას, ის სავარაუდოდ, უფრო ნაკლები რაოდენობით აწარმოებს, ვიდრე განსაზღვრულობის არსებობის შემთხვევაში აწარმოებდა.<sup>168</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, მწარმოებლებს არ შეუძლიათ სრულად მოარგონ მათი წარმოება შეცვლილ საბაზრო პირობებს. სამი ურთიერთდაკავშირებული სიტუაცია შეიძლება იქნეს განხილული:

1. ძალიან მოკლევადიანი პერიოდი, რომლის დროსაც არანაირი ცვლილება არ ხდება წარმოებაში. ეს განსაკუთრებით ეხება მაღალფუჭებად პროდუქტებს, რომლებიც მოსავლის აღების პერიოდშივე უნდა განთავსდეს ბაზარზე, არსებული ფასის მიუხედავად. ამ შემთხვევაში მიწოდების მრუდი სრულიად არაელასტიკურია;

2. მოკლევადიანი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მწარმოებლებს შეუძლიათ შეცვალონ წარმოების ცვალებადი ფაქტორების გამოყენების დონე და გადაადგილდნენ მათი ზღვრული დანახარჯების მრუდებზე. მოკლევადიანი მიწოდების მრუდი უფრო ელასტიკურია.

---

<sup>168</sup> Colman D., Young T. (1989). *Principles of Agricultural Economics, Markets and prices in less developed countries*. Cambridge University Press, p. 65

3. გრძელვადიანი პერიოდი, რომელშიც მწარმოებლებს შეუძლიათ შეცვალონ წარმოების ფაქტორების რაოდენობა, შევიდნენ ინდუსტრიაში ან დატოვონ ის. გრძელვადიანი მიწოდების მრუდი კიდევ უფრო ელასტიკური იქნება. კერძოდ, თუ ბაზარზე იზრდება მიმწოდებლების რაოდენობა და ახალ მიმწოდებლებს დანახარჯების ისეთივე სტრუქტურა აქვთ, როგორც ძველებს, მაშინ ბაზარზე მიწოდების ზრდა შესაძლებელია ფასის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდის გარეშე.

მეურნეობების გადაწყვეტილება მათ საქმიანობასთან დაკავშირებით განისაზღვრება არამხოლოდ მოსალოდნელი მოგებით, არამედ მოსალოდნელი რისკით, შეხედულებებით (ტექნოლოგიების, მთავრობის პოლიტიკის, აგროსასურსათო სექტორის მომავლის შესახებ) და ა.შ.<sup>169</sup>

მხარდამჭერი პოლიტიკის განხორციელებამდე აუცილებელია აგრარულ სფეროში მოღვაწე მეურნეობების ქცევის გაგება. ასეთი მეურნეობები არ არიან ჩვეულებრივი მწარმოებლები. მათ ფუნქციონირება უწევთ გარემოში, სადაც განსაკუთრებით მაღალია რისკისა და განუსაზღვრელობის ხარისხი. შესაბამისად, მათ მიმართ რაიმე პოლიტიკის განხორციელებამდე განხილულ უნდა იქნეს მათი რეაქციები პოლიტიკის სხვადასხვა სცენარებზე.

---

<sup>169</sup> University of Reading. (2006). School of Agriculture, Policy and Development, Behaviour and motivations of farmers in responding to policy changes in England. *Final Report, Research project EPES 0405/17, November.*

### 3. აგროსასურსათო სექტორის მხარდაჭერა საქართველოში

#### 3.1 სახელმწიფო პროგრამები აგროსასურსათო სექტორში

ყურძნის ფასის მხარდაჭერის გარდა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავდა და განხორციელდა რამდენიმე პროექტი, რომელიც ემსახურებოდა სოფლად მწარმოებლურობისა და დასაქმების ზრდის მიზნებს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“. ამ პროექტის ფარგლებში მხარდაჭერის ობიექტები არიან ის ფერმერები, რომელთა საკუთრებასა თუ სარგებლობაში არის მიწის შედარებით მცირე ფართობი.

„მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ ითვალისწინებს სოფლად მაცხოვრებთა ხელშეწყობას მათი მდგრად და განვითარებად ფერმერულ მეურნეობებად ჩამოყალიბებას.<sup>170</sup>

პროექტის ამოცანებია: ერთწლიანი კულტურების წარმოების აგროტექნიკური (ხვნა) ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა სუბსიდიის გზით; იმ მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის ხელშეწყობა სუბსიდიის გზით (სასუქით ან/და მცენარეთა დაცვის საშუალებებით ან/და სათესლე და სარგავი მასალით უზრუნველყოფა), რომელთაც თავიანთ მიწის ნაკვეთებზე მხოლოდ მრავალწლიანი კულტურები აქვთ.<sup>171</sup>

„მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“-ს მოსარგებლეები (ბენეფიციარები) არიან: ფერმერები, რომელთა საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილი სახნავი ან მრავალწლიანი კულტურებით გაშენებული მიწის ჯამური ფართობი არ აღემატება 1.25 ჰა-ს. ამავე დროს, ფერმერთა საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სახნავი და მრავალწლიანი

<sup>170</sup> საქართველოს მთავრობა, [http://gov.ge/print.php?gg=1&sec\\_id=288&info\\_id=41087&lang\\_id=GEO](http://gov.ge/print.php?gg=1&sec_id=288&info_id=41087&lang_id=GEO), ბოლოს ნანახია: 25.04.2016

<sup>171</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3178423>, ბოლოს ნანახია: 25.04.2016

ნარგავებით გაშენებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 5 ჰა-ს<sup>172</sup>.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია გარკვეული ქულების დარიცხვა სპეციალურ ბარათზე. ქულების გამოყენება შესაძლებელია პრინციპით 1 ქულა = 1 ლარი. 2016 წელს მოსარგებლეებისთვის, რომელთაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნიათ 0,25 ჰა-მდე ჯამური ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გათვალისწინებულია აგრო ბარათზე 50 ქულის დარიცხვა, ხოლო 0,25 ჰა-დან - 1.25 ჰა-ს ჩათვლით ფართობის მფლობელთათვის 1 ჰა-ზე 140 ქულის დარიცხვა.

პროექტის ბენეფიციარების სარგებელს იღებენ სპეციალური ორი ტიპის ბარათის საშუალებით - „აგრო ბარათი“ და „ხენის ბარათი“. აგრო ბარათს მოსარგებლეები იღებენ ლიბერთი ბანკის ფილიალებში, სადაც წინასწარ გადაცემულია მოსარგებლეთა სიები. აგრო ბარათზე დარიცხული ქულების მეშვეობით მოსარგებლეს შეუძლია მხოლოდ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების საქონლის (სასუქი, სათესლე მასალა, სანერგე მასალა და მცენარეთა მოვლის საშუალებები) შექენა მომწოდებლებისგან.

ბენეფიციარები რომლებსაც საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ 0.25 ჰა-დან 1.25-ჰა-ს ჩათვლით სახნავი მიწის ფართობი, მიიღებენ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო (ხენის) ბარათს 1 ჰა-ზე 140 ლარის გაანგარიშებით (მიწის ფართობის პროპორციულად).

რაც შეეხება ხენის ბარათს, ის გამოიყენება ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთზე ხენის სამუშაოების მისაღებად. ბარათის მეშვეობით მოსარგებლეებს ხენის სამუშაოების მომსახურების მიღება შეუძლიათ სამუშაოს შემსრულებლებისგან. გარკვეულ შემთხვევებში მოსარგებლეს შეუძლია ხენის ბარათის დაბრუნება სააგენტოში, რათა ამ ბარათით გათვალისწინებული სარგებელის ექვივალენტი ქულების რაოდენობა მას დაერიცხოს „აგრო ბარათზე“<sup>173</sup>.

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში რამდენიმე ასეული მილიონი ლარია გაცემული. 2013 წელს აღნიშნული

<sup>172</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, [http://apma.ge/projects/read/small\\_farmers](http://apma.ge/projects/read/small_farmers), ბოლოს ნანახია: 25.04.2016

<sup>173</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, [http://apma.ge/projects/read/small\\_farmers](http://apma.ge/projects/read/small_farmers), ბოლოს ნანახია: 25.04.2016

პროექტის ფარგლებში 710,479 ბენეფიციარმა მიიღო 190,466,914 ლარის სარგებელი. 2013 წელს პროექტის ფარგლებში ჯამში დამუშავდა 208,375 კა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი. 2014 წელს 757,145 ბენეფიციარმა მიიღო 69,954,923 ლარის სარგებელი. 2014 წელს პროექტის ფარგლებში ჯამში დამუშავდა 220,466 კა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი. 2015 წელს 767,017 ბენეფიციარისთვის გამოყოფილია 56,858,420 ლარის ღირებულების სარგებელი. 2015 წლის 18 ნოემბრის მდგომარეობით ჯამში პროექტის ფარგლებში მოხსნული მიწის ფართობი შეადგენს 212,141 ჰექტარს.<sup>174</sup>

ქვემოთ მოცემულია ქვეყნის მასშტაბით პროექტის ბენეფიციარების რაოდენობა 2015 წელს, რეგიონების მიხედვით.

ცხრილი 3.1. მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ბენეფიციარები 2015 წლისთვის

რეგიონი	0.25-1.25 სახნავი		0.25-1.25 ჰა მრავალწლიანი		0-0.25 ჰა სახნავი		0-0.25 ჰა მრავალწლიანი	
	ბენეფიციარების რაოდენობა	ჯამური სახნავი ფართობი	ბენეფიციარების რაოდენობა	ჯამური მრავალწლიანი ფართობი	ბენეფიციარების რ-ბა	ჯამური სახნავი ფართობი	ბენეფიციარების რ-ბა	ჯამური მრავალწლიანი ფართობი
თბილისი	2,109	1,148	747	383	1,699	219	1,637	172
აჭარა	16,644	6,656	21,319	8,977	14,593	1,749	10,240	1,361
გურია	28,561	13,824	6,146	3,240	10,889	1,764	3,998	495
იმერეთი	115,867	62,035	3,022	1,397	40,109	6,338	6,081	668
კახეთის მხარე	73,963	53,593	7,418	4,809	16,958	2,393	2,311	341
მცხეთა-მთიანეთი	21,970	14,524	797	320	14,677	1,510	2,890	308
რაჭა-ლეჩხუმი	9,120	4,156	441	170	13,087	1,524	1,716	168
სამეგრელო	70,265	41,977	10,387	6,278	17,099	2,555	3,484	478
სამცხე-ჯავახეთი	37,931	31,016	87	64	7,273	975	36	5
ქვემო ქართლი	52,123	30,977	900	358	35,698	5,436	6,748	710
შიდა ქართლი	50,413	34,550	5,350	3,032	15,705	2,303	4,510	592
<b>ჯამი</b>	<b>478,966</b>	<b>294,456</b>	<b>56,614</b>	<b>29,028</b>	<b>187,787</b>	<b>26,768</b>	<b>43,651</b>	<b>5,298</b>

წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3178423>

2014-2015 წლების სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ბენეფიციარების მიერ გამოყოფილი სარგებლის ათვისების მაჩვენებელი მერყეობს 85%-ის ფარგლებში.<sup>175</sup>

კიდევ ერთი პროექტი, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი შეიქმნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ. მისი მიზანია სოფლის მეურნეობაში მოღვაწე სუბიექტების უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით.

<sup>174</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, <http://apma.ge/newsletter/news/view/24/>, ბოლოს ნანახია: 25.04.2016

<sup>175</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3178423>, ბოლოს ნანახია: 25.04.2016

პროექტის ძირითად ამოცანებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სტიმულირება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდა, პირველადი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარება და სოფლად დასაქმების ზრდა წარმოადგენს.

შელავათიანი აგროკრედიტის მისაღებად მსურველები განცხადებით მიმართავენ პროექტის პარტნიორ ფინანსურ ინსტიტუტებს, სადაც წარადგენენ თავიანთ ბიზნესგეგმას. შემდეგ კი საფინანსო ორგანიზაციები გადაწყვეტილებას საკუთარი საკრედიტო პოლიტიკიდან გამომდინარე იღებენ. თუ ბანკი ფერმერს სესხს დაუმტკიცებს, მაშინ ელექტრონულად ეს მონაცემები ეგზავნება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს, რომელიც მეწარმის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას ბანკების მიერ განსაზღვრული გრაფიკით მოახდენს.<sup>176</sup>

შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი დამწყები მეწარმეების (ე.წ. „სტარტაფების“) დაფინანსებასაც ითვალისწინებს. სტატისტიკის თანახმად, ყოველი მეშვიდე სესხი გაცემულია ახალი საწარმოს შექმნაზე. შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი თავდაპირველად შემდეგი შვიდი კომპონენტისგან შედგებოდა:

პირველი კომპონენტი - უპროცენტო სასაქონლო განვადება მცირე ფერმერებისთვის. ეს კომპონენტი ითვალისწინებდა ფერმერებისთვის 5 000 ლარამდე ღირებულების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქციაზე უპროცენტო სასაქონლო განვადების შეთავაზებას. ფერმერი სასურველ დროს იღებდა პროდუქციას და მის მიმდინარე ღირებულებას იხდიდა მოსავლის აღების შემდგომ, განსაზღვრულ პერიოდში.

მეორე კომპონენტი - შელავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის. აღნიშნული კომპონენტით საბრუნავი საშუალებები და ნაწილობრივ ძირითადი საშუალებები ფინანსდებოდა. ამ შეთავაზებით სარგებლობა შეეძლოთ საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებსა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს, გარდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებისა. კრედიტის მინიმალური მოცულობა 5 ათას,

---

<sup>176</sup> Europe for Georgia, <http://eugeorgia.info/ka/article/198/shegavatiani-agrokreditis-proeqti-minidinare-welsac-gagrzeldeba/>, ბოლოს ნანახია: 25.04.2016



ხოლო მაქსიმალური მოცულობა 100 ათას ლარს შეადგენდა. ამ კომპონენტისთვის საფინანსო ინსტიტუტების მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი უნდა ყოფილიყო 17 პროცენტი, სადაც საპროცენტო სარგებლის 9 პროცენტის თანადაფინანსებას პროექტების მართვის სააგენტო უზრუნველყოფდა. კრედიტის ვადა საბრუნავ საშუალებებზე არაუმეტეს 18 თვით და ძირითად საშუალებებზე 60 თვით განისაზღვრებოდა.

მესამე კომპონენტი - შეღავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის. ეს კომპონენტი ითვალისწინებდა ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნასა და არსებული საწარმოების ტექნოლოგიურ გადაიარაღებას. ამ კომპონენტის ფარგლებში გაცემული კრედიტის თანხა განისაზღვრებოდა 30 000 აშშ დოლარიდან 600 000 აშშ დოლარამდე ან მისი ექვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში (ლარში), კრედიტის ვადა - არაუმეტეს 84 თვე. მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი 15 პროცენტს, ხოლო სააგენტოს თანადაფინანსება საპროცენტო სარგებლის 12 პროცენტს შეადგენდა.

მეოთხე კომპონენტი - შეღავათიანი აგროლიზინგი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის. ამ კომპონენტით ხდებოდა ახლად დაარსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მანქანა-დანადგარებით აღჭურვის დაფინანსება. ამ კომპონენტით სარგებლობის პირობას სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ ადგილობრივი ნედლეულისა და ადგილობრივი შრომით რესურსების გამოყენება წარმოადგენდა. ამ კომპონენტით ერთ ბენეფიციარზე ლიზინგის გამცემის ინვესტიციის მოცულობა არანაკლებ 30 000 და არაუმეტეს 600 000 აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო ლიზინგის მაქსიმალური ვადა - 84 თვეს. მომსახურების წლიური სარგებელი ინვესტიციის 15 პროცენტს, ხოლო პროექტების მართვის სააგენტოს თანადაფინანსება წლიური სარგებელის 12 პროცენტს შეადგენდა.

მეხუთე კომპონენტი - შეღავათიანი აგროკრედიტი ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში კრედიტები გაიცა მხოლოდ ყურძნის გადამამუშავებელ საწარმოებზე. კრედიტის მოცულობა 100 ათასიდან 10 მილიონ ლარამდე მერყეობდა. მაქსიმალურ საპროცენტო განაკვეთი 15 პროცენტი, ხოლო სააგენტოს თანამონაწილეობა 9 პროცენტი იყო. კრედიტი 15 თვით გაიცემოდა.

მექვსე კომპონენტი - შეღავათიანი აგროკრედიტი ვაშლის, ატმის და მანდარინის შემსყიდველი საწარმოებისთვის. ატმის და მანდარინის შემსყიდველ საწარმოებს

პროექტების მართვის სააგენტო საპროცენტო განაკვეთის 9 პროცენტს უფინანსებდა. მეწარმეებს 100 ათასიდან - 10 მილიონ ლარამდე კრედიტის აღება შეეძლოთ. ვაშლის შემსყიდველი კომპანიები, რომლებიც 1 კილოგრამ არასტანდარტულ ვაშლს მინიმუმ 10 თეთრად შეიძენდნენ, სააგენტოსგან კილოგრამზე 8 თეთრის სუბსიდიას იღებდნენ.

მეშვიდე კომპონენტი - შეღავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოებისათვის. მე-7 კომპონენტის მიზნობრივ ბენეფიციარებს წარმოადგენდნენ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირები, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რომლებსაც პროექტის „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება“ - ფარგლებში მოიპოვეს საგრანტო თანადაფინანსება.

პროექტის გეოგრაფიული დივერსიფიცირებისა და დაფინანსების თანაბარი გადანაწილების მიზნით, ერთ მიზნობრივ რაიონში ხდებოდა არაუმეტეს 3 საწარმოს დაფინანსება, ამავდროულად, ერთ მიზნობრივ რაიონში დაფინანსებული პროექტების ჯამური ღირებულება არაუმეტეს 1 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრებოდა. მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი 14 პროცენტს, ხოლო პროექტების მართვის თანამონაწილეობა საპროცენტო განაკვეთის 12 პროცენტს შეადგენდა.

შეღავათიან აგროკრედიტის პროექტს მოაგვიანებით მე-8 კომპონენტი სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ დაემატა. „აწარმოე საქართველოში“ ეკონომიკის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტია. ამ პროექტის ერთ-ერთი კოორდინატორი სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოცაა, რადგან ამ პროგრამის ბიუჯეტის (46 მლნ ლარი ) 65,2 პროცენტით (30 მლნ ლარი) სასოფლო-სამეურნეო მიმართულების საწარმოები დაფინანსდნენ. პროექტის ბიუჯეტის 34,8 პროცენტი (16 მლნ ლარი) კი სხვა მიმართულების ინდუსტრიის დასაფინანსებლად დაიხარჯა.

პროექტის ფარგლებში ბენეფიციარებს გარკვეულ ტექნიკურ დახმარებასაც უწევენ, რაშიც შედის: დახმარება ბიზნეს გეგმების შედგენაში; დახმარება მანქანა-დანადგარების მოძიებასა და შერჩევაში; კომუნიკაციის აწყობა ნედლეულის პოტენციურ მიმწოდებლებთან; კონსულტანტების მომსახურების უზრუნველყოფა და ა.შ.<sup>177</sup>

---

<sup>177</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2237341>, ბოლოს ნანახია: 25.04.2016

შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, 2013 წლიდან 2015 წლის ჩათვლით სულ 642 488 095 ლარი და 163 176 553 აშშ დოლარი გაიცა, ხოლო გაცემული შელავათიანი აგროკრედიტების რაოდენობა 25200-ია. სულ დაფინანსებულია 139 ახალი საწარმოს შექმნა და 665 საწარმოს გაფართოება. ახალ საწარმოებში შეიქმნა (სეზონურობის ჩათვლით) 3 500 სამუშაო ადგილი. რაც შეეხება პროექტ "აწარმოე საქართველოში", მის ფარგლებში გაცემულია 18 029 298 მლნ აშშ დოლარის შელავათიანი სესხი. დაფინანსებული დარგებია: რძის გადამუშავება, ჩაის წარმოება, ცხოველის საკვების წარმოება, ხილის გადამუშავება, მეფრინველეობა, სასათბურე მეურნეობა.<sup>178</sup>

ქვემოთ მოცემულია ცხრილი, სადაც ნაჩვენებია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საქართველოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი ათვისებული თანხა.

ცხრილი 3.2. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ათვისებული თანხა 2005-2015

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ათვისებული თანხა	41,4	59,2	65,5	70,9	75,2	30,6	57,8	228,4	227,4	263,5	292,9
მთელი საბიუჯეტო ასიგნებები	2,618.6	3,822.5	5,237.1	6,758.8	6,754.1	6,972.4	7,459.2	7,806.8	8,104.2	9,080.0	9,575.0
%	1,6	1,5	1,3	1,0	1,1	0,4	0,8	2,9	2,8	2,9	3,1

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015 - 2020 წწ.

2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობისთვის გამოყოფილი თანხის წილი მთლიან ბიუჯეტში მხოლოდ 0,4 პროცენტია, რაც მინიმალური მაჩვენებელია აღნიშნულ პერიოდში.

„აგრარული მეურნეობის აღორძინება პრაქტიკულად შეუძლებელია აგროკრედიტის სისტემის ფორმირების, საჯარო მომსახურების სტრუქტურების შექმნის, ეროვნული ბაზრის დაუცველობის, აგროწარმოების მომსახურე დარგების

<sup>178</sup> სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2015). სამწლიანი ანგარიში.

მონოპოლიური მდგომარეობისა და მთავრობის მხრიდან არასათანადო მხარდაჭერისა და რეგულაციების პირობებში”.<sup>179</sup>

საქართველოს აგროსასურსათო პოტენციალის უკეთ გამოყენების ერთ-ერთ გზად მიჩნეულია მეურნეობათა გამსხვილება მათი კოოპერირების გზით. ამისათვის ქვეყანაში შემუშავდა კოოპერატივების ფორმირებისა და განვითარების სტრატეგია.

საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ერთობლივი მუშაობის შედეგად, 2013 წლის 12 ივლისს, საკანონმდებლო ორგანომ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ კანონი“ მიიღო. კანონის საფუძველზე, შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭებას, შეწყვეტას, მონიტორინგსა და სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს. კოოპერატივების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს: სოფლად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას; თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას; მიწების გამსხვილებას, კონსოლიდაციას; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.<sup>180</sup>

აღნიშნული მიზნების რეალიზაციის ეფექტები მთლიანობაში უნდა იყოს საქართველოს აგრარულ სფეროში არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება, ადგილობრივი ბაზრისთვის სამამულო წარმოების პროდუქციის მიწოდება და ასევე, საზღვარგარეთის ბაზრების ათვისება.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო გარკვეულ მხარდაჭერას უწევს კოოპერატივებს, რაც მოიცავს შემდეგს:

ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების პროექტებისა და პროგრამების შემუშავება;

ბ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ შეღავათიანი საკრედიტო რესურსებისა და გრანტის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;

გ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კონსულტაციების გაწევა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;

<sup>179</sup> კოლუაშვილი, პ. (2012). საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგიისათვის, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“, შრომების კრებული, გვ. 243

<sup>180</sup> სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, <http://acda.gov.ge/index.php/geo/news/show/61/4>, ბოლოს ნანახია: 25.04.2016

დ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის საგადასახადო შეღავათების დადგენა.<sup>181</sup>

ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებები საკმაოდ დიდ სტიმულს ქმნის მცირემიწიანი ფერმერებისთვის, რომ მათ გადაწყვიტონ კოოპერატივში გაერთიანება. კოოპერატივში ყოფნით მათი კრედიტუნარიანობაც იზრდება და საგადასახადო შეღავათებითაც სარგებლობენ. საშუალება ეძლევათ ისარგებლონ მასშტაბის ეკონომიით და მათ მიერ წარმოებული პროდუქცია უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს ბაზარზე.

კოოპერატივების ორი მთავარი პრინციპია ნებაყოფლობითობა და თანასწორუფლებიანობა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში გაწევრიანება ნებაყოფლობითია. მისი მართვა, დემოკრატიული პრინციპით ხორციელდება. ყველა წევრი თანასწორია. მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა რაოდენობის ქონებით შევა გლეხი კოოპერატივში - 100 ჰექტრისა და 1 ჰექტრის მფლობელი გადაწყვეტილებას ერთნაირად იღებს. ერთი წევრს მხოლოდ ერთი ხმის უფლება აქვს. კოოპერატივის შექმნისთვის საჭიროა გლეხების გაერთიანება დარგების მიხედვით. მაღალმთიან რეგიონში კოოპერატივის წევრთა რაოდენობა 3-ზე, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე კი, 5-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის საშუალება კიდევ ერთი სტიმულია ფერმერული მეურნეობებისთვის კოოპერატივში გასაერთიანებლად.

კოოპერატივების მხარდაჭერის ღონისძიებების ფარგლებში გადადგმული ერთ-ერთი კონკრეტული ნაბიჯია მათთვის 1700 ერთეული მოტობლოკისა და 2000 ხელის სათესის შეღავათიანი პირობებით, ან ლიზინგით (გრძელვადიანი იჯარა-გამოსყიდვის უფლებით) გადაცემა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ასევე სარგებლობს უპირატესობით, მიიღოს გრანტი (საჩუქარი).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრებს შემოსავალი მეტი აქვთ, ხარჯი კი ნაკლები, რადგან დანახარჯები რამდენიმე სუბიექტზე ნაწილდება. მაგალითად: თუ გლეხს 1 ჰექტრის დამუშავება საშუალოდ 900-1000 ლარი უჯდება, კოოპერატივში გაერთიანების შემთხვევაში, ანალოგიურ საქმიანობაზე ხარჯი 5-10 პროცენტით შეუმცირდება.

---

<sup>181</sup> საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ, <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1972742>, ბოლოს ნანახია: 25.04.2016

კოოპერატივების საქმიანობის, მათი ბიზნესის ზრდის და რეინვესტირების წასახალისებლად ერთ-ერთი ეფექტური ნაბიჯია მათთვის საგადასახადო შეღავათების დაწესება.

კოოპერატივები სარგებლობენ სხვადასხვა სახის საგადასახადო შეღავათებით:

- კოოპერატივის ქონება, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის, ქონების გადასახადით არ იბეგრება;
- მოგების გადასახადით არ იბეგრება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი და გრანტი;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის არ არის დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიური ბრუნვის მიხედვით;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები სარგებლობენ იმ საგადასახადო შეღავათებითაც, რომლებიც სოფლის მეურნეობასთან მიმართებით მოქმედებს.<sup>182</sup>

ზემოაღნიშნული შეღავათები საკმაოდ მძლავრი სტიმულია ქვეყნის მასშტაბით კოოპერატივების რაოდენობის ზრდისთვის.

ამჟამად საქართველოში დარეგისტრირებულია 1342 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. მათი განაწილება რეგიონების მიხედვით ასეთია: კახეთი - 105 კოოპერატივი; ქვემო ქართლი - 190; მცხეთა-მთიანეთი - 68; შიდა ქართლი - 93; სამეგრელო - ზემო სვანეთი - 113; გურია - 60; აჭარა - 148; სამცხე-ჯავახეთი - 300; იმერეთი - 115; რაჭა-ლეჩხუმი - 109; თბილისი - 41.<sup>183</sup>

საქართველოში კოოპერაციის სისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვნი როლი შეაქვს ევროპის სამეზობლო პროგრამას სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (European Neighbourhood Programme for Agriculture and Rural Development - ENPARD).

ENPARD GEORGIA – CARE International-ის პროექტის ფარგლებში შერჩეულია 10 კოოპერატივი. დაფინანსების საშუალო მაჩვენებელი ერთ კოოპერატივზე არის 30 000 ევრო, ხოლო დაფინანსების სრული მაჩვენებელი 300 000 ევრომდეა. თანამონაწილეობა

<sup>182</sup> სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, <http://acda.gov.ge/index.php/geo/news/show/61/4>, ბოლოს ნანახია: 25.04.2016

<sup>183</sup> სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, <http://acda.gov.ge/index.php/geo/static/118>, ბოლოს ნანახია: 25.04.2016

კოოპერატივის მხრიდან - 35 პროცენტი. შერჩეული კოოპერატივების მოქმედების სფეროა: მარწყვის წარმოება (სათბური); ყვავილის წარმოება (სათბური); ჩაის წარმოება და გადამუშავება; თხილის წარმოება და გადამუშავება; სანერგე მეურნეობა; საკალმახე; ყურძნის წარმოება;

ENPARD GEORGIA – People In Need (PIN) პროექტის ფარგლებში შეირჩა 28 ფერმერული ჯგუფი, რომელთაგანაც 9 კოოპერატივს გადაეცემა თანადაფინანსების გრანტი. საგრანტო დაფინანსების საშუალო მაჩვენებელია 22 000 ევრო, სულ კი 616 000 ევრო. შერჩეული კოოპერატივების მოქმედების სფეროა: რძისა და რძის პროდუქტების წარმოება; ქათმის ხორცის წარმოება; თაფლის წარმოება; მწვანის წარმოება, მეღვინეობა;

ENPARD GEORGIA - Mercy Corps-ის პროექტის ფარგლებში შეირჩა 52 ფერმერული ჯგუფი, რომელთაგანაც 14 კოოპერატივს გადაეცემა თანადაფინანსების გრანტი. საგრანტო დაფინანსების მაჩვენებლები სულ არის 477,923 ევრო. შერჩეული კოოპერატივების მოქმედების სფეროა: კარტოფილის წარმოება; ბოსტნეულის წარმოება; სიმინდის წარმოება; თხილის წარმოება; ყრძნის წარმოება; თაფლის წარმოება;

ENPARD GEORGIA - OXFAM-ის პროექტის ფარგლებში კაპიტალური ინვესტიციის სრული მოცულობაა 550 000 ევრომდე. შერჩეული ჯგუფების/კოოპერატივების მოქმედების სფეროა: თხილის წარმოება - გადამუშავება; ხილ-ბოსტნეულისა და არამერქნული სატყეო პროდუქტების წარმოება-გადამუშავება; სოკოს წარმოება; სასაწყობე (მ.შ. სამაცივრე) მეურნეობა; მექანიზაცია;

მსგავსი პროექტებისა და მხარდაჭერის პირობებში სულ უფრო მზარდია ახლადშექმნილი კოოპერატივების რაოდენობა. აჩვენა რა თავისი ეფექტურობა ამ პროექტმა, 2016 წლის 26 მაისს ხელი მოეწერა მისი მეორე ეტაპის საფინანსო შეთანხმებასაც.

ENPARD GEORGIA II-ის ფარგლებში საქართველო ევროკავშირისგან მიიღებს 50 მილიონ ევროს, რომელიც მოხმარდება სოფლის მეურნეობის განვითარებას 2016-2019 წლებში.<sup>184</sup>

<sup>184</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ფორუმი – „გაუზიარე გამოცდილება საქართველოს“, <http://www.moa.gov.ge/Ge/News/1123>, ბოლო ნახვა: 08.06.2016

აღსანიშნავია, რომ შეინიშნება არა მხოლოდ კოოპერატივების ფორმირების, არამედ მათი გამსხვილების დინამიკაც. ამ ყველაფრის ეფექტი სოფლის მეურნეობაზე იქნება გაზრდილი წარმოება, კონკურენტუნარიანი ადგილობრივი პროდუქცია, აგრარულ სფეროში დასაქმებულთა მაღალი შემოსავლები და უფრო ეფექტიანად გამოყენებული აგრარული პოტენციალი.

სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი ჯამური დახმარება მთლიანობაში ასე გამოიყურება:

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, 2016 წლის 31 მარტის მდგომარეობით შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის მიმდინარე პორტფელი მოიცავს 688,814 მლნ ლარის 24,320 სესხს და 193,445 მლნ აშშ დოლარის მოცულობის 1,706 სესხს. ამ პროგრამის ფარგლებში 128 ახალი საწარმო დაფინანსდა, მათ შორის 5 პროექტი დაფინანსებულია პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში.

გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში 2014-2016 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი პროექტებიდან დამტკიცდა 28 პროექტი. 19 მათგანთან გაფორმდა ხელშეკრულება. პროექტების ჯამური ღირებულებაა 18,746,618 აშშ დოლარი, საიდანაც სახელმწიფო დაფინანსება შეადგენს 6,710,445 აშშ დოლარს. 2014-2016 წლებში სახელმწიფო თანადაფინანსების სახით გაცემულია 4,002,847 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში 2014 - 2015 წლებში გაცემულია 28 690 პოლისი. სააგენტოს სუბსიდიის თანხამ შეადგინა 13 808 674 ლარი. დაზღვეული მოსავლის ღირებულებაა 193 343 048 ლარი. დაზღვეული ფართობი შეადგენს 23,667 ჰექტარს.

არ შეიძლება აგრარული სექტორის განხილვა ცალკე, მთლიანად ეკონომიკისგან გამოყოფილად. აგრარულ სექტორს მჭიდრო კავშირი აქვს ეკონომიკის სხვა დარგებთან და მისი გამართული ფუნქციონირება დამოკიდებულია მთლიანად ეკონომიკის გამართულად მუშაობაზე.

„აგრარული სექტორის განვითარების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე ასევე მრავალმხრივია. ჯერ ერთი, ის ეკონომიკის სხვა სექტორებს აწვდის სურსათსა და ნედლეულს, მეორე, იგი შრომითი და საფინანსო რესურსების გადანაწილებით სხვა განვითარებად სექტორებს ეხმარება; მესამე, სხვა სექტორების პროდუქციის შექენითა



და ამ პროდუქციაზე სოფლის მეურნეობის მხრიდან მოთხოვნის ზრდით აგრარული სექტორი ხელს უწყობს სხვა არააგრარული სექტორების გაფართოებას და მთლიანად საშინაო ბაზრის მასშტაბების გადიდებას. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და მისგან წარმოებული პროდუქციის ექსპორტით ის იღებს სავალუტო შემოსავალს და საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებზე დადებით გავლენას ახდენს. აგრარულ სექტორში სურსათის იმპორტის შემცველი პროდუქციის წარმოებით მცირდება იმპორტის საჭიროება, რაც დადებითი სავაჭრო ბალანსის ფორმირებას ან დეფიციტური სადღოს შეზღუდვას ხელს უწყობს”.<sup>185</sup>

„სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებასთან ერთად, როგორც წესი, უმჯობესდება მოსახლეობის კვების სტრუქტურა და ხარისხი, მცირდება იმპორტული სურსათის მოცულობა, რაც, დადებითად აისახება საგადაამხდლო ბალანსის დეფიციტის შემცირებაზე და ქვეყნის სასურსათო დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებაზე”.<sup>186</sup>

აგრარული სფეროს ეფექტიანად ფუნქციონირება მრავალ ფაქტორზე დამოკიდებულია. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია სახელმწიფოს მხარდაჭერა დარგისადმი, რაშიც იგულისხმება გამართული ინფრასტრუქტურა, სახელმწიფო სუბსიდიები, ვაუჩერები წარმოების ფაქტორებზე და ა.შ. ამ და სხვა ინსტრუმენტების საშუალებით სახელმწიფო ცდილობს სოფლის მეურნეობა გახადოს უფრო ეფექტიანი.

განასხვავებენ აგრარული წარმოების ეფექტიანობის შემდეგ სახეებს: საწარმოო-ტექნოლოგიური, საწარმოო-ეკონომიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიურ-ეკონომიკური.<sup>187</sup>

- საწარმოო-ტექნოლოგიური ეფექტიანობა გვიხასიათებს წარმოების პროცესში საწარმოო ფაქტორების გამოყენების ხარისხს ისეთი მაჩვენებლებით, როგორცაა მიწათუკვება, ფონდუკუება, შრომატევადობა, მასალატევადობა და სხვა;
- საწარმოო-ეკონომიკური ეფექტიანობა – ესაა საწარმოო-ტექნოლოგიური ეფექტიანობისა და ეკონომიკური მექანიზმის ერთობლივი ზემოქმედების

<sup>185</sup> გველესიანი, რ. (2012). ეკონომიკური პოლიტიკა, წ. 2. გვ. 193

<sup>186</sup> კოდუაშვილი, პ., ზიბზიბაძე, გ. (2006). სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

<sup>187</sup> კოდუაშვილი, პ., ზიბზიბაძე, გ. (2006). სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

შედგები. მას ანგარიშობენ პროდუქციის თვითღირებულებით, საერთო და წმინდა შემოსავლით, რენტაბელობით და სხვა ღირებულებითი მაჩვენებლებით;

- სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა ასახავს ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის ხარისხს და გვიხსნათებს წარმოების ეფექტიანობას მთლიანად. მისი მაჩვენებლებია მოგების ნორმა, მოხმარების ფონდი ერთ მუშაკზე, რენტაბელობის დონე და ა.შ.;
- ეკოლოგიურ-ეკონომიკური ეფექტიანობა გვიხსნათებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესის ერთობლივ შედეგიანობას გარემო ბუნებაზე ეკოლოგიური ზემოქმედების შედეგების გათვალისწინებით. მასში, შრომით და მატერიალურ დანახარჯებთან ერთად (რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაბინძურების შედეგების ლიკვიდაციასთან ან პრევენციასთან), აისახება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დანაკარგი, რომელიც გამოწვეულია გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ოთხივე სახე მნიშვნელოვანია დარგის გამართული ფუნქციონირებისთვის და თითოეული მათგანის უზრუნველყოფისთვის განსხვავებული მიდგომაა საჭირო.

საბოლოო ანგარიშით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორები ორ ძირითად ჯგუფში ერთიანდება. პირველში ჩართულია ის ფაქტორები, რომელთა რეგულირება შესაძლებელია საწარმოს მიერ. ესაა მოსავლიანობა, პირუტყვის პროდუქტიულობა, თვითღირებულება და ა.შ.<sup>188</sup>

ამ ფაქტორებზე ზემოქმედებით მეურნეობებს შეუძლიათ მიაღწიონ მათთვის სასურველ შედეგებს. მეურნეობებს გააჩნიათ საჭირო ინსტრუმენტები, რათა არეგულირონ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა, აკონტროლონ ხარჯები და ა.შ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინსტრუმენტები ხშირად შეზღუდვებით ხასიათდება, რაშიც სხვებთან ერთად იგულისხმება საჭირო ფინანსების ნაკლებობა.

მეორე ჯგუფის ფაქტორებია ფასწარმოქმნა, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო განაკვეთები, კრედიტი და მისი საპროცენტო განაკვეთი, ინფლაციური

---

<sup>188</sup> კოლუაშვილი, პ., ზიბზიბაძე, გ. (2006). სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, გვ. 123

პროცესები, აგრარული სამართლებრივი გარემო და ა.შ., რომელთა შემცირება, გადიდება ან გაუქმება საწარმოზე არაა დამოკიდებული.<sup>189</sup>

მიუხედავად აგრარული სექტორის განვითარებაში სახელმწიფოს ჩარევის მოწინააღმდეგეთა არგუმენტებისა, ხშირად ერთადერთი გამართლებული გზა სწორედ სახელმწიფო ჩარევაა. საქართველოში იმდენად დიდია აგრარული სფეროს სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა, რომ სახელმწიფოს მიმართ ყოველთვის იარსებებს ზეწოლა, რათა მხარდაჭერა გაუწიოს აგრარულ სექტორს. ეს განსაკუთრებით მართებულია იმ პირობებში, როდესაც სხვა ქვეყნების მთავრობები აქტიურად ეხმარებიან აგრარულ სექტორს. შესაბამისად, საქართველოში აგრარული სექტორის მხარდაჭერის გარეშე ადგილობრივი მწარმოებლები კიდევ უფრო წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდებიან უცხოელ მწარმოებლებთან შედარებით.

საქართველო, მიუხედავად სოფლის მეურნეობაში არებული დიდი პოტენციალისა, სურსათის იმპორტიორი ქვეყანაა და იმპორტზე დამოკიდებულება საფრთხის ქვეშ აყენებს ქვეყნის აგროსასურსათო სექტორს. სასურსათო კრიზისების შემთხვევაში ქვეყანა ვერ შეძლებს თავიდან აიცილოს მაღალი მსოფლიო ფასების გადაცემა ადგილობრივ ბაზარზე, რაც მძიმედ აისახება მისი მოსახლეობის ბიუჯეტზე, რომელის ნახევარიც სწორედ სურსათზე იხარჯება.

### 3.2 მევენახეობის სუბსიდირება საქართველოში

მევენახეობის დარგს საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს და მისი როლი ყოველთვის დიდი იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

საქართველოში დაგროვილია უნიკალური გამოცდილება ვაზის კულტურის გაშენებისა და ღვინის წარმოების მდიდარი ჩვევებით; ქართული მეღვინეობის განსაკუთრებული ნიშან-თვისებები ორიგინალური ჯიშობრივი შემადგენლობითაც არის განპირობებული. სტანდარტული ასორტიმენტი ძირითადად წარმოდგენილია ქართული აბორიგენული ჯიშებით: რქაწითელი, კახური მწვანე, გორული მწვანე, ხიხვი, ქისი,

<sup>189</sup> კოდუაშვილი, პ., ზიბზიბაძე, გ. (2006). სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, გვ. 124

საფერავი, ჩინური, ალექსანდროული, ალადასტური, უსახელაური, ცოლიკაური, ციცქა, კრახუნა, ოცხანური საფერე, ოჯალეში, ჩხავერი, კაჭიჭი, თავკვერი, შავკაპიტო და სხვა.<sup>190</sup>

აღსანიშნავია, რომ მევენახეთა უდიდესი უმრავლესობა უფროსი თაობის ადამიანები არიან, რომლებსაც წლებთან ერთად უდიდესი გამოცდილება დაუგროვდათ და დიდ ცოდნასაც ფლობენ თავიანთ საქმიანობასთან დაკავშირებით. ამასთან, საჭიროა სერიოზული მუშაობა, რომ ეს მევენახეები იქცნენ „ბიზნესმენებად“. მათი ცოდნა თანამედროვე ბიზნესის მართვის საკითხებში ხშირად არასაკმარისია, რაც აფერხებს მათი საქმიანობის განვითარებას. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთი მევენახეები რთულად ითვისებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, რაც ხელს შეუწყობდა მათი მწარმოებლურობის ზრდას. ამ მიმართულებით გადამწყვეტია სახელმწიფოს როლი, რომელსაც შეუძლია მევენახეებთან აწარმოოს საინფორმაციო-საგანმანათლებლო მუშაობა.

„საქართველოს შეუძლია მსოფლიო ბაზარს მიაწოდოს მაღალხარისხოვანი სუფრის სამარკო და უნიკალური ნახევრადტკბილი ღვინოები. დიდი მოთხოვნილებაა ქართულ სამარკო შამპანურზე და კონიაკზე. საშინაო და განსაკუთრებით საერთაშორისო ბაზრებზე ადგილის დასამკვიდრებლად უპირველესი მნიშვნელობა აქვს ღვინის პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შეფასებას“.<sup>191</sup>

ე. ხარაიშვილის მიერ პორტერის „აღმასის“ მოდელის გამოყენებით ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა საქართველოში მევენახეობის განვითარების შემზღვეველი შემდეგი ფაქტორები:

- ა) მიწის სიმცირე. იშვიათია ისეთი ფერმერები, რომლებიც ფლობენ 100 ჰექტარიან ფართობებს;
- ბ) სანერგე მასალის სიმწირე. განუვითარებელ სანერგე მეურნეობათა გამო ვერ ხერხდება მოთხოვნების დაკმაყოფილება მაღალხარისხიან ნერგებზე;
- გ) ყურძნის ფასები. ამჟამად ფასები ყურძენზე საკამოდ დაბალია, რაც მეწარმეებისა და ინვესტორების სტიმულირებას ვერ ახდენს;

<sup>190</sup> ხარაიშვილი, ე. (2011). *კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსახსურსათო სექტორში*. თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 111

<sup>191</sup> იქვე.

დ) დაბალი ხარისხის ყურძნის ჯიშები. დღეს ნაკვეთების უმრავლესობა დაბალხარისხიანი ჯიშებით არის გაშენებული. ღვინის სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი ამოცანაა მაღალსტანდარტული ჯიშებით ნაკვეთების გაშენება;

ე) ღვინის საწარმოთა მოძველებული აღჭურვილობა. ღვინის წარმოებისათვის საწარმოთა უმეტესობას შეუსაბამო აღჭურვილობა გააჩნია, რაც ღვინის სექტორის განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორია და ძვირადღირებული საქონლის ბაზრისთვის დაწესებული სტანდარტის მიღწევას უშლის ხელს.<sup>192</sup>

1990-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს აგროსასურსათო სექტორი და მისი ყველა დარგი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო. მოიშალა ინფრასტრუქტურა და დანაწევრდა მეურნეობები მცირე ერთეულებად. მიუხედავად ამისა, დარგში დასაქმებულთა რაოდენობა კვლავაც დიდი იყო, გამომდინარე იქიდან, რომ ეკონომიკის სხვა დარგები ვერ ქმნიდა სამუშაო ადგილებს.

ევენახეობის დარგში მოღვაწე მეურნეობების შემოსავლები ძირითადად დამოკიდებული იყო პროდუქციის რუსეთში ექსპორტზე და ეს დამოკიდებულება წლიდან წლამდე იზრდებოდა. მეურნეობები საკუთარი ძალებით ცდილობდნენ ფონს გასვლას და მინიმუმამდე იყო დაყვანილი სახელმწიფო მხარდაჭერა დარგის მიმართ. ამის მიუხედავად, წლიდან წლამდე იზრდებოდა როგორც ქართული ღვინის ექსპორტი, ასევე - ყურძნის ფასი. თუმცა, რუსეთის მიერ ბაზრის ჩაკეტვის შემდეგ დარგში არსებული სიტუაცია ძალიან გამწვავდა.

2013 წელს რუსეთის ბაზარი ისევ გაიხსნა ქართული პროდუქციისთვის, რამაც ყურძენზე ფასის ზრდა განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობა მაღალია, ეს ბაზარი მაინც არ არის საიმედო იმდენად, რამდენადაც მასზე შედწევადობა მთლიანად პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული და საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობებიდან გამომდინარე რთულია იმის პროგნოზირება, თუ რამდენ ხანს იქნება რუსული ბაზარი ღია ქართული პროდუქციისთვის.

შესაბამისად, დადგა ისეთი მიდგომების შემუშავების საჭიროება, რომელიც საშუალებას მისცემს დარგს მაქსიმალურად აითვისოს არსებული პოტენციალი,


<sup>192</sup> ხარაიშვილი, ე. (2011). *კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში*. თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 112

გამოიყენოს მსოფლიოში არსებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები და ისარგებლოს თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის უპირატესობებით, რაც პირველ რიგში გულისხმობს ევროპული და სხვა განვითარებული და მზარდი ბაზრების ათვისებას, სადაც ჯერ კიდევ უცნობია ქართული ღვინის შესახებ.

მევენახეობის დარგი განსაკუთრებული სპეციფიკით ხასიათდება, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს მისი მხარდამჭერი პოლიტიკის შემუშავებისას. სოფლის მეურნეობის მთელ რიგ მრავალწლიან მცენარეებთან შედარებით, ვაზი ადრე იწყებს მოსავლის მოცემას. მესამე წელს უკვე საკმაო მოსავლიანობით ხასიათდება, ხოლო სრულმოსავლიანობას მეოთხე, მეხუთე წელს აღწევს.<sup>193</sup> შესაბამისად, მევენახეობის დარგის მხარდაჭერის ყველა შედეგი არ იქნება დაუყოვნებელი და საჭირო იქნება გარკვეული პერიოდი, რათა ობიექტურად შეფასდეს ერთი მხრივ, სახელმწიფო მხარდაჭერის შედეგიანობა და მეორე მხრივ, დარგში მოღვაწე მევენახეების ქცევა.

ყურძნის წარმოება საქართველოში არასტაბილურობით ხასიათდება, რაზეც გარდა პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორებისა, რა თქმა უნდა, ბუნებრივი ფაქტორებიც ზემოქმედებს. თუმცა, როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს ყურძნის წარმოების კლების დასაწყისი და შემდეგ მნიშვნელოვნად ზრდა დროში შესაბამისად ემთხვევა რუსეთის ბაზრის დახურვასა და გახსნას.

დიაგრამა 3.1. ყურძნის წარმოება საქართველოში 2006-2015 წწ. (ათასი ტონა)



<sup>193</sup> ოქროცვარიძე, ღ. (2008). მევენახეობის განვითარების ეკონომიკური კანონზომიერებები და პერსპექტივები აგროსამრეწველო ინტეგრაციის პირობებში (კახეთის მხარის მაგალითზე), საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, თბილისი.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,

[http://geostat.ge/?action=page&p\\_id=427&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo)

1980-იანი წლებიდან მოყოლებული ვენახების საერთო ფართობი საქართველოში კლების დინამიკით ხასიათდებოდა. ქვემოთ მოყვანილია ვენახების ფართობი საქართველოში რეგიონების მიხედვით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2004 და 2014 წლების აღწერების მიხედვით.

ცხრილი 3.3. ვენახების ფართობი საქართველოში 2004-2014 წწ. (ჰა)

მხარეები	2004 წ.	2014 წ.
კახეთი	22,227	23,877
ქართლი	3,379	1,741
იმერეთი	8,584	4,981
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1348	746
მცხეთა-მთიანეთი	792	656
დანარჩენი	1089	959
სულ საქართველო	37,419	32,960

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,

[http://geostat.ge/?action=page&p\\_id=55&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=55&lang=geo)

რუსეთის ბაზრის დახურვის შემდეგ მევენახეების ნაწილმა დაიწყო ვაზის გაჩეხვა და მის ადგილას სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენება. როგორც ცხრილი 3.3-დან ჩანს ყველა სხვა რეგიონში კახეთის რეგიონის გარდა დაფიქსირდა ვენახების ფართობის შემცირება. გარკვეულწილად, ეს გარემოება განპირობებულია იმით, რომ კახეთის რეგიონში აქტიურად ხდებოდა მევენახეების სუბსიდირება. დანარჩენ რეგიონებში, რუსეთის ბაზრის ჩაკეტვის შემდეგ არ არსებობდა მძლავრის სტიმული ყურძნის წარმოებისთვის.

თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ სუბსიდირების გრძელვადიანი პოლიტიკისა და რუსეთის ბაზრის გახსნის შედეგად ახალი ვენახების გაშენება კვლავაც აქტუალური გახდა.

საქართველოს რეგიონებს შორის კახეთი პირველია ვენახების ფართობის სიდიდის მიხედვით და ყველაზე დიდი რაოდენობით ყურძენიც სწორედ ამ რეგიონში იწარმოება.

ცხრილი 3.4. ყურძნის წარმოება რეგიონების მიხედვით (ათასი ტონა)

წელი	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
საქართველო	175.8	150.1	120.7	159.6	144	222,8	224,9
იმერეთი	43.7	30.3	25	26.3	36.2	36,6	12,3
შიდა ქართლი	8.1	16.4	8.6	10.2	13.6	18,7	16,3
კახეთი	100	82.7	64.7	98.1	70.8	129,5	171,3
დანარჩენი რეგიონები	24	20.7	22.4	25	23.4	38	25

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაც შეეხება ღვინის მწარმოებელი კომპანიების მიერ გადამუშავებული ყურძნის რაოდენობას, წლების მიხედვით ის შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 3.5. ღვინის მწარმოებელი კომპანიების მიერ გადამუშავებული ყურძნის მოცულობა (ტონა)

წელი	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
გადამუშავებული ყურძნის რაოდენობა (ტონა)	40100	23000	23000	43500	54000	92773	124606	143000

წყარო: <http://factcheck.ge/article/mothkhovna-gansakuthrebith-tsithel-qhurdzenze-sapheravze-mnishvnelovnad-minimum-orjer-atcharbebs-savarau-do-mosavals/>,

<http://georgianwine.gov.ge/geo/news/1210/>

კახეთში მცხოვრებთა დიდი ნაწილისთვის სწორედ ყურძნის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ითვლება შემოსავლის ძირითად წყაროდ და შინამეურნეობების დიდი ნაწილიც ვენახის მოვლასა და ყურძნის წარმოებაზეა დასპეციალიზებული.

კახეთის რეგიონი საქართველოს რეგიონებს შორის გამოირჩევა მნიშვნელოვანი უპირატესობებით. ამას განაპირობებს ძირითადად ორი გარემოება: პირველი,



მევენახეობა-მეღვინეობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და დაგროვილი უნიკალური გამოცდილება, ვაზის კულტურის გაშენებისა და ღვინის წარმოების მდიდარი ჩვევები, ორიგინალური ჯიშობრივი შემადგენლობა; მეორე, ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება - რეგიონს დიდი შესაძლებლობები გააჩნია კონკურენტუნარიანი ღვინისა და ღვინო-მასალების მრავალი ასორტიმენტის წარმოებისა და მისი შემდგომი განვითარებისთვის.<sup>194</sup>

2006 წლისათვის კახეთის მხარეში ვენახების ფართობების ხვედრითი წილი რაიონების მიხედვით შეადგენდა: გურჯაანში – 18,5%, ყვარლის რაიონში – 17,2%, თელავის რაიონში – 13,9%, ახმეტის რაიონში – 11,6%. თანაბარი რაოდენობა არის საგარეჯოს და სიდნაღის რაიონებში – 11,4% თითოეულში. ფართობის სიმცირით გამოირჩევა დედოფლისწყაროს – 8,9% და ლაგოდეხის რაიონები - 7,1%.<sup>195</sup>

კახეთის მევენახეობის ზონა მოიცავს: ახმეტის, თელავის, გურჯაანის, სიდნაღის, დედოფლისწყაროს, ყვარლის, ლაგოდეხისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებს.

კახეთის კლიმატური პირობები ხელშემწყობია ხარისხოვანი მეღვინეობისათვის. ატმოსფერული ნალექების საერთო რაოდენობა წლის განმავლობაში შეადგენს 400-800 მმ. ვეგეტაციური პერიოდის ხანგრძლივობა 210 დღეს უდრის, ხოლო ამ პერიოდის საშუალო ტემპერატურა 18,50. გარე კახეთში ძირითადად წარმოდგენილია შავმიწა და შავმიწისებრი ნიადაგები თავისი ნაირსახეობებით და სახესხვაობებით. საკმაოდ მნიშვნელოვანი ფართობი უკავია აგრეთვე ყავისფერ და მდელოს ყავისფერ ნიადაგებს ნაირსახეობითა და სახესხვაობებით. შედარებით ნაკლები ფართობით წარმოდგენილია ალუვიურ-პროლუვიური, დელუვიური ნიადაგების ნაირსახეობები და სახესხვაობები.<sup>196</sup>

კახეთის რეგიონში უმეტესად გავრცელებულია ორი ჯიშის ყურძენი: რქაწითელი და საფერავი. სწორედ მათზე მოდის სახელმწიფოს მიერ გაცემული სუბსიდიების უდიდესი ნაწილი. ქვემოთ მოცემულია ამ ჯიშების მოკლე აღწერილობა.

<sup>194</sup> ლაზარიაშვილი, თ. (2012). კახეთის რეგიონის კონკურენტული უპირატესობანი, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“, შრომების კრებული, გვ. 260

<sup>195</sup> ოქროცვარიძე, ლ. (2008). მევენახეობის განვითარების ეკონომიკური კანონზომიერებები და პერსპექტივები აგროსამრეწველო ინტეგრაციის პირობებში (კახეთის მხარის მაგალითზე), საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, თბილისი.

<sup>196</sup> ღვინის ეროვნული სააგენტო, <http://georgianwine.gov.ge/upload/file/1447929603-Kax.pdf>, ბოლოს ნანახია: 25.04.2016

რქაწითელი (სინონიმები: დედალი რქაწითელი, მამალი რქაწითელი, კოროლიოკი, გრუზინსკი, ხანლუგი, ასლუნგი და სხვა) - ქართული აბორიგენული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია. მიეკუთვნება კახეთის ვაზის ჯიშთა ჯგუფს. საქართველოს უპირველესი ჯიშია ვენახების ფართობის მიხედვით. ფართოდ გავრცელებულია კახეთისა და ქართლის რაიონებში. გამოირჩევა მაღალი სამეურნეო-ტექნოლოგიური მახასიათებლებით. მისგან მზადდება მაღალხარისხიანი ვეროპული, კახური ტრადიციული, შემაგრებული ღვინოები და ღვინის ბრენდები. ჯიში საშუალო ან საშუალოზე საგვიანო სიმწიფის პერიოდისაა, სრულ სიმწიფეს აღწევს სექტემბრის შუა რიცხვებიდან (კახეთში) ოქტომბრის პირველ რიცხვებამდე (ქართლში). ყურძნის წვენში შაქარი შეადგენს 20,0-24,0%-ს, ხოლო მჟავიანობა - 7,0-8,0გ/ლ-ს. რქაწითელი გამოიყენება შემდეგი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების დასამზადებლად: „წინანდალი“, „გურჯაანი“, „კარდენახი“, „კახეთი“, „კოტეხი“, „ნაფარეული“, „ტიბაანი“ და „ვაზისუბანი“.<sup>197</sup>

რქაწითელის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 8-12 ტონის ფარგლებში მერყეობს. ცალკეულ შემთხვევებში მან შეიძლება მიაღწიოს 15 ტონას. რქაწითელისგან დგება ღია ჩალისფერი, ნაზი ჰარმონიული, მსუბუქი, ვეროპული ტიპის ღვინოები.<sup>198</sup>

საფერავი - ქართული აბორიგენული წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია. იგი პირველად მოხსენიებულია ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“. დღესდღეობით, ვენახის ფართობის მიხედვით საფერავი ყველაზე ფართოდ გავრცელებული წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია საქართველოში (ძირითადად, კახეთის რაიონებში). მაღალხარისხიანი საღვინე ჯიშია, ძვირფას მასალას იძლევა თითქმის ყველა ტიპის ღვინისათვის, მაგრამ განსაკუთრებულ მაღალ თვისებებს მხოლოდ ცალკეულ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში ამჟღავნებს. საფერავის სუფრის ღვინო ინტენსიური მუქი შეფერვით, ალკოჰოლისა და სიმჟავის ზომიერი შემცველობით, სხეულით, სიხალისით, მდიდარი ბუკეტით, დაძველების დიდი პოტენციალითა და მაღალი გემური მახვენებლებით ხასიათდება. კახეთში ყურძენი სექტემბრის მეორე ნახევარში მწიფდება, ხოლო როგორც ოქტომბრის პირველ ნახევრამდე გრძელდება. ყურძნის წვენში შაქარი შეადგენს 20,0-

<sup>197</sup> ღვინის ეროვნული სააგენტო, <http://georgianwine.gov.ge/geo/text/125/>, ბოლოს ნანახია: 25.04.2016

<sup>198</sup> ოქროცვარიძე, ლ. (2008). მევენახეობის განვითარების ეკონომიკური კანონზომიერებები და პერსპექტივები აგროსამრეწველო ინტეგრაციის პირობებში (კახეთის მხარის მაგალითზე). საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, თბილისი.

26,0%-ს, ხოლო მჟავიანობა - 7,5-8,5 გ/ლ-ს. საფერავისგან მზადდება შემდეგი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები: „ახაშენი“, „კოტეხი“, „ყვარელი“, „მუკუზანი“, „ქინძმარაული“.<sup>199</sup>

საფერავის მოსავლიანობა საშუალოდ 7,0-8,0 ტონამდე მერყეობს. დაავადებებს – ჭრატსა და განსაკუთრებით ნაცარს, საფერავი შედარებით კარგად უძლებს, იგი ფილოქსერასადმი მგრძობიარეა და ყინვას ეგუება.<sup>200</sup>

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „მევენახეობა ძველ საქართველოში უადრესად განვითარებული უნდა ყოფილიყო, რადგან ისეთი მაღალი ღირსების ვაზ-ყურძნის ჯიშების შექმნა, როგორცაა საფერავი, რქაწითელი და სხვა, ქართველ მევენახეს მხოლოდ ხანგრძლივი და შეგნებული მზრუნველობით აღსაგეს მუშაობით შეეძლო“.<sup>201</sup>

1962 წლიდან 2006 წლამდე პერიოდში რქაწითელის და საფერავის ჯიშის ვაზის ნარგავების ფართობები შესაბამისად 40,8%-დან 68,2%-მდე და 4,4%-დან 8,7%-მდე გაიზარდა. სამაგიეროდ შემცირდა თითქმის ყველა ჯიშის ყურძნის ფართობი.

საქართველოს ღვინის ბაზრის მიკროგარემოს ანალიზი თვალნათლივ აჩვენებს, რომ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია საწარმოთა წვრილმასშტაბურობა. ვენახის ფართობის 10%-ის მესაკუთრე არის 15-20 მსხვილი ზომის საწარმო, ფართობების 90% საშუალო და მცირე ზომის საოჯახო მეურნეობების წილად მოდის. ამ სექტორისათვის პრობლემაა ასევე სანერგე მასალის სიმცირე, მოუწესრიგებელი ფასწარმოქმნის მექანიზმი, ყურძნის მოთხოვნა-მიწოდებაზე შეუსწავლელი კონიუქტურა და სხვა.<sup>202</sup>

მცირე მეურნეობების პირობებში უფრო გართულებულია დარგის შემდგომი განვითარება, რადგან ნაკლებია განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა, გართულებულია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, მაღალხარისხიანი კონკურენტული ღვინის წარმოება მეურნეობის შიგნით, ბაზარზე დამოუკიდებლად გასვლა და ა.შ.

<sup>199</sup> ღვინის ეროვნული სააგენტო, <http://georgianwine.gov.ge/geo/text/125/>, ბოლოს ნანახია: 25.04.2016

<sup>200</sup> ოქროცვარიძე, ლ. (2008). მევენახეობის განვითარების ეკონომიკური კანონზომიერებები და პერსპექტივები აგროსამრეწველო ინტეგრაციის პირობებში (კახეთის მხარის მაგალითზე). საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, თბილისი.

<sup>201</sup> ჯავახიშვილი, ი. (1935). მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, ნაწ. II. თბილისი, „ფედერაცია“, გვ. 308.

<sup>202</sup> ხარაიშვილი, ე. (2011). *კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსახურსათო სექტორში*. თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 116

„ქართულ ღვინოს საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრება მკაცრ კონკურენტულ გარემოში უწევს. მსოფლიოში ყურძნისა და ღვინის მიწოდება აჭარბებს მასზე მოთხოვნას. ამიტომ საქართველო ყურძნის დაბალი ფასების მიხედვით უნიკალურ შემთხვევად ვერ განიხილება. ბაზრის დივერსიფიკაციის სტრატეგია მაღალი ხარისხის ღვინის მიწოდებაზე უნდა იყოს ორიენტირებული“.<sup>203</sup>

მაღალი ხარისხის ღვინის წარმოება გაცილებით მარტივია მსხვილ მეურნეობებზე გაერთიანების შემთხვევაში, როდესაც იზრდება მწარმოებლის საბაზრო ძალაუფლება და მისი შესაძლებლობა - დამოუკიდებლად, საკუთარი სახსრებით შეძლოს ღვინის წარმოება, საზღვარგარეთ ბაზრის მოძიება და ღვინის ექსპორტი.

„სახელმწიფო სუბსიდიების და კერძო ინვესტიციების გარდა, მევენახეობის დარგში საჭირო ფინანსური სახსრების მოძიების უმთავრესი წყაროა საბანკო კრედიტები. აღსანიშნავია, რომ მევენახეობის კრედიტზე ხელმისაწვდომობის ზრდა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული სადაზღვევო სისტემის გამართულ ფუნქციონირებასთან. საკრედიტო ინსტიტუტისთვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ კრედიტის მიმღები დაზღვეული იყოს მოსავლის დანაკარგებისგან, რაც ხშირად გამოწვეულია ბუნებრივი ფაქტორებისგან. საკრედიტო ბერკეტების გამოყენებით ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები შეძლებენ ადგილობრივი წარმოების ნატურალური რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას“.<sup>204</sup>

განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფერმერული მეურნეობები რიგი შედავათებით სარგებლობენ. ამიტომაც, რომ ხშირად სხვა დარგის საწარმოები თავიანთი კაპიტალის ნაწილს სოფლის მეურნეობაში სწორედ გარკვეული შედავათებით სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით აბანდებენ. საქართველოში ასეთი პირობები არ არსებობს. ამდენად ფერმერული მეურნეობების განვითარებისთვის სათანადო იურიდიული ბაზის შექმნას და ამის საფუძველზე საგადასახადო სისტემის დახვეწას ესაჭიროება სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტა.<sup>205</sup>

<sup>203</sup> ხარაიშვილი, ე. (2011). *კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში*. თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 119


<sup>204</sup> ხარაიშვილი, ე. (2011). *კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში*. თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 116

<sup>205</sup> ოქროცვარიძე, ლ. (2008). მევენახეობის განვითარების ეკონომიკური კანონზომიერებები და პერსპექტივები აგროსამრეწველო ინტეგრაციის პირობებში (კახეთის მხარის მაგალითზე). საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, თბილისი.

2006 წელს ქართულმა ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა დაკარგეს მათი პროდუქციის გასაღების უდიდესი ბაზარი, რუსეთის ბაზარი. ეს გამოწვეული იყო რუსეთის მთავრობის მიერ ქართულ პროდუქციაზე ემბარგოს დაწესებით. ამ მოვლენამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა როგორც ღვინის მწარმოებელ კომპანიებს, ასევე მევენახეებს. სახელმწიფომ დაიწყო გარკვეული მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება. 2008 წლიდან მოყოლებული მევენახეები მათ მიერ ღვინის მწარმოებელი კომპანიებისთვის ჩაბარებული ყურძნის თიოყულ კილოგრამზე იღებენ გარკვეული მოცულობის სუბსიდიას. ყურძნის ფასის მხარდაჭერის პოლიტიკის მიზანი იყო მევენახეების დანაკარგების კომპენსირება. სუბსიდიების უდიდესი ნაწილი მოდიოდა კახეთის რეგიონზე. განსხვავებული იყო სუბსიდიების მოცულობა რქაწითელისა და საფერავისთვის.

ემბარგოს დაწესებამდე ღვინის ექსპორტი საქართველოდან წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად იზრდებოდა, თუმცა ემბარგოს დაწესების შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა.

დიაგრამა 3.2. ქართული ღვინის ექსპორტი 2002-2015 (ათასი აშშ დოლარი)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ემბარგოს დაწესების შემდეგ მთავრობამ დაიწყო გზების ძიება მევენახეების დასახმარებლად. ეს ის საოჯახო მეურნეობებია, რომლებსაც უდიდესი წვლილი შეაქვთ საქართველოში ყურძნის მთლიან წარმოებაში.

2006 წლიდან დაიწყო ყურძენზე ფასის შემცირება, რასაც თან ახლდა ფასების ზრდა ვენახის მოვლის საშუალებებზე. ამ ყველაფერმა ერთობლიობაში მკვეთრად დაახარადა ის საოჯახო მეურნეობები, რომლებიც მევენახეობით ირჩენენ თავს.

აღსანიშნავია, რომ სწორედ საოჯახო მეურნეობებზე მოდის ქვეყანაში ყურძნის წარმოების უდიდესი ნაწილი. ყურძნის მოსავლის 90 პროცენტზე მეტი სწორედ საოჯახო მეურნეობების მიერ იწარმოება.

დიაგრამა 3.3. საოჯახო მეურნეობების წილი ყურძნის წარმოებაში 2006-2014 (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, [http://pc-axis.geostat.ge/Table.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px\\_db=Database&px\\_type=PX&px\\_language=ka&px\\_tableid=Database%5cAgriculture%5cPlant+Growing%5cPermanent+Crops%5cTABLE\\_2.2.01.px&layout=tableViewLayout1](http://pc-axis.geostat.ge/Table.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px_db=Database&px_type=PX&px_language=ka&px_tableid=Database%5cAgriculture%5cPlant+Growing%5cPermanent+Crops%5cTABLE_2.2.01.px&layout=tableViewLayout1)

შესაბამისად, საოჯახო მეურნეობების მხარდაჭერა, მათი უზრუნველყოფა საჭირო ფინანსებით, დაზღვევითა და ინფორმაციით აუცილებელია დარგის შემდგომი განვითარებისთვის.

რუსეთის ბაზრის დაკარგვის შემდეგ ღვინის მწარმოებელმა ქართულმა კომპანიებმა შეამცირეს წარმოების მოცულობები და შესაბამისად, შემცირდა მოთხოვნა ყურძენზეც, რამაც გამოიწვია ყურძნის ფასის მნიშვნელოვანი კლება. მევენახეების ნაწილმა ვაზი გაჩეხა და ის ჩაანაცვლა სხვა კულტურებით (ატამი, მარწყვი, საზამთრო).

ემბარგოს დაწესების შემდეგ ქართველი მეღვინეების და მევენახეების წინაშე დადგა კიდევ ერთი პრობლემა, კერძოდ, რუსეთის ბაზარზე გაყიდული ღვინის ხარისხი

ყოველთვის არ იყო მაღალი. ამ დღინის კონკურენტუნარიანობა ევროპის ან ამერიკის ბაზრებზე იქნებოდა დაბალი. ამიტომ, დღინის მწარმოებელი კომპანიები იძულებული იყვნენ დაეწყოთ მუშაობა თავიანთი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, რაც, როგორც წესი, დაკავშირებულია დამატებით დანახარჯებთან და სავარაუდოდ, გარკვეულწილად განაპირობა მათ მიერ მევენახეებისთვის შეთავაზებული დაბალი ფასი.

სწორედ ყურძნის ფასის დაცემის გარკვეულწილად კომპენსირებისა და ქვეყანაში ყურძნის წარმოების შენარჩუნებისთვის დაიწყო სახელმწიფომ ყურძნის ფასის მხარდაჭერა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მიზნების მისაღწევად ეს პოლიტიკა არასაკმარისი იყო. აქვე აღსანიშნავია, რომ სუბსიდიების მიღება არ შეეძლოთ მათ, ვის მფლობელობაში არსებული ვენახის ფართობიც 10 ჰა-ზე მეტს შეადგენდა.

ცხრილი 3.6. სუბსიდიების რაოდენობა 1 კილოგრამ ყურძენზე 2008-2015 წწ. (ლარი)

ყურძნის სახეობა	კახეთი							
	სუბსიდიის მოცულობა 1 კგ-ზე							
	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
რქაწითელი	0,15	0,15	0,15	0,15	0,25	0,40	0,35	0,35
საფერავი	0,25	0,25	0,25	0,25	0,35	0,25	0,15	0,15

წყარო:<http://factcheck.ge/article/qhurdznis-subsidireba-dargis-ganvitharebis-realuri-gza-thu-problemis-droebithi-mogvareba/>

ეს სუბსიდიები ემატებოდა საბაზრო ფასს, რომელსაც დღინის მწარმოებელი კომპანიები უხდიდნენ მევენახეებს. სუბსიდიის მთლიან თანხას ცალკეული მევენახეები იღებდნენ ბანკში შესაბამისი ვაუჩერის წარდგენის შემდეგ. თანხა ითვლებოდა პრინციპით - დღინის ქარხნისთვის ჩაბარებული ყურძნის რაოდენობა (კგ) გამრავლებული 1 კგ. ყურძნისთვის გამოყოფილ სუბსიდიაზე. ცხრილში 3.7 ნაჩვენებია საშუალო ფასები სუბსიდიის გარეშე, რომლებსაც მევენახეები იღებდნენ მათ მიერ დღინის კომპანიებში ჩაბარებული ყურძნის ერთ კილოგრამზე.


ცხრილი 3.7. მევენახეების მიერ მიღებული საშუალო ფასი კილოგრამზე 2008-2015 (ლარი)

ეურძნის სახეობა	კახეთი							
	მევენახეებისთვის გადახდილი საშუალო ფასი							
	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
რქაწითელი	0.30	0.30	0,45	0,55	0,75	0.60	0.65	0,25
საფერავი	0.40	0.40	0,55	0.75	0,65	0,95	1,80	0,60

წყარო: <http://factcheck.ge/article/mthavrobis-khelshetsqhobith-1-kilogrami-qhurdznis-minimaluri-phas-i-1-laria-tsels-rogor-ts-rqatsithelze-ise-sapheravze-rekorduli-phas-i-daphiqsirda/>

ეს ფასები გაცილებით მცირეა იმასთან შედრებით, რასაც მევენახეები იღებდნენ ემბარგოს დაწესებამდე. მაგალითად, კილოგრამი საფერავის ფასი იმ პერიოდისთვის საშუალოდ 2 ლარსაც კი შეადგენდა. ცხრილში მოყვანილი ფასები რუსეთის ბაზრის გახსნამდე პერიოდში ვერ უზრუნველყოფს სასურველ შემოსავლებს მევენახეებისთვის.

სუბსიდიის მთლიანი მოცულობა იცვლებოდა წლიდან წლამდე და არ არის ნათელი, თუ რა ინდიკატორებით ხდებოდა სუბსიდიის წლიური მოცულობის განსაზღვრა. ის არ იყო დამოკიდებული წარმოების მოცულობასა ან საბაზრო ფასზე. დიაგრამა 3.4. სუბსიდიის წლიური მოცულობა 2008-2015 წწ. (მილიონი ლარი)





წყარო: სოფლის მეურნეობის სამინისტრო, <http://factcheck.ge/article/qhurdznis-subsidireba-dargis-ganvitharebis-realuri-gza-thu-problemis-droebithi-mogvareba/>

2008 წლიდან მოყოლებული 2012 წლის ჩათვლით სუბსიდია გაიცემოდა პირდაპირ მევენახეებზე. ღვინის მწარმოებელი კომპანიისთვის ყურძნის ჩაბარების შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე მევენახეები იღებდნენ ვაუჩერებს, რომელსაც ანაღებდნენ ბანკში.

2013-14 წლებში სქემა შეიცვალა და მევენახეები სუბსიდიას იღებდნენ არაპირდაპირ - სახელმწიფო ღვინის მწარმოებელ კომპანიებს აძლევდა სუბსიდიას, რომელიც ემატებოდა კომპანიის მიერ შეთავაზებულ ფასს და შეადგენდა მთლიან ფასს, რასაც მევენახე იღებდა ერთ კილოგრამზე. სუბსიდიის მიღების უფლება ენიჭებოდა იმ ღვინის მწარმოებელ კომპანიებს, რომლებიც მევენახეებისგან ყურძენს იბარებდნენ მინიმუმ 1 ლარად.

ღვინის ეროვნული სააგენტო ღვინის მწარმოებელ კომპანიებზე სუბსიდიის თანხას გასცემდა უნადლო ანგარიშსწორებით, საფასურის ფიზიკური პირებისათვის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა და შესაბამისი უფლებამოსილი პირების (საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სააგენტო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, შესაბამისი ფიზიკური პირი და ღვინის კომპანია) მიერ შედგენილი (ხელმოწერილი) მიღება-ჩაბარების აქტის სააგენტოსთვის წარდგენიდან არაუგვიანეს ათი სამუშაო დღის ვადაში.<sup>206</sup>

2015 წელს სახელმწიფომ კვლავ შეცვალა მევენახეების დაფინანსების ფორმა და სუბსიდიები გაიცემოდა იმგვარად, როგორც ეს იყო 2013 წლამდე. 2015 წლის რთველის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ 1 კგ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე - 35 თეთრის, ხოლო 1 კგ. საფერვზე - 15 თეთრის ოდენობის სუბსიდია გაიცა. ყურძნის ფასი დაარეგულირა ბაზარმა, ხოლო სახელმწიფო ამაში არ ჩარეულა. სუბსიდია გაიცა პირდაპირ მევენახეებზე და არა ღვინის მწარმოებელ კომპანიებზე, როგორც ეს 2013-2014 წლებში ხდებოდა. გარდა ამისა, ღვინის მწარმოებელი კომპანიებისთვის გაიცემოდა 15 თვიანი სესხი 12-15 პროცენტად, საიდანაც სახელმწიფო 9 პროცენტს ფარავს.<sup>207</sup>

<sup>206</sup> საქართველოს მთავრობის განკარგულება. (2013). 2013 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსების შესახებ, №1090, 20 აგვისტო, თბილისი.

<sup>207</sup> ღვინის ეროვნული სააგენტო, <http://georgianwine.gov.ge/geo/new/7390>, ბოლოს ნანახია: 25.04.2016

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2015 წელს საქართველოდან 36 071 399 ბოთლი (0,75 ლ) ექსპორტირებულ იყო 46 ქვეყანაში, რამაც 98,1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა ფულად გამოხატულებაში.

რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო წინა წლებთან შედარებით მკვეთრად შემცირდა ექსპორტი საქართველოს ორ უდიდეს ბაზარზე - რუსეთი (51%-ით) და უკრაინა (56%-ით). ამავე დროს, ექსპორტის ზრდა (122%-ით) დაფიქსირდა ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარზე - ჩინეთში, სადაც 2 672 154 მილიონი ბოთლი გაიზარდა გასულ წელს. შედეგად, ჩინეთი რიგით მე-4 პოზიციაზე იყო ხუთეულში ქართული ღვინის ექსპორტის თვალსაზრისით რუსეთის, ყაზახეთის და უკრაინის (მე-5 პოზიციაზეა პოლონეთი) შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთის ბაზარი არის საკმაოდ დიდი პოტენციალის მქონე ქართული ღვინის ათვისებისთვის, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა საქართველოსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის სულ უფრო ღრმავდება სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები.

ქართული ღვინის ექსპორტის ზრდა შეინიშნება ევროკავშირის რიგ ქვეყნებში: პოლონეთში - 3%-ით (1,6 მლნ ბოთლი), ლიტვაში - 4%-ით (658 666 ბოთლი), ესტონეთში - 54%-ით (506 124 ბოთლი), ნიდერლანდებში - 58%-ით (51 432 ბოთლი), საფრანგეთში - 190%-ით (37 956 ბოთლი).<sup>208</sup>

სავარაუდოა, რომ რუსეთსა და უკრაინას შორის არსებული კონფლიქტის დარეგულირების კვალობაზე ქართული ღვინის ექსპორტი გაიზრდება ამ ქვეყნებში. ამასთან, ქართული ღვინო სულ უფრო ცნობადი ხდება ევროკავშირში და შესაბამისად მისი გაყიდვებიც უნდა გაიზარდოს ამ ბაზარზე.

ამ ასპექტით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სუბსიდირების როლი, რომელიც, ზოგადად, მძლავრი სტიმულია აგრარულ სფეროში მოქმედი მეურნეობებისთვის, რომ გაზარდონ წარმოების მოცულობა და გააფართოვონ საკუთარი საქმიანობა. სუბსიდირების პოლიტიკა მათთვის ქმნის დადებით მოლოდინებსაც მომავალთან დაკავშირებით და უქმნის განცდას, რომ სახელმწიფო ზრუნავს მათზე.

<sup>208</sup> <http://tech.caucasus.net/GEO/News/DWV-Febr-2016.pdf>

## 4. მევენახეობის დარგის სუბსიდირების მიკროეკონომიკური ეფექტები

### 4.1 მევენახეებზე სუბსიდიების გავლენის კვლევის მოდელი

დისერტაციაზე მუშაობის პროცესში, საკვლევ საკითხზე არსებულ ქართულ და უცხოურ ლიტერატურაზე დაყრდნობით შემუშავდა კვლევის მოდელი. კვლევის მოდელმა პასუხი უნდა გასცეს კვლევის კითხვებსა და ქვე-კითხვებს. შემუშავდა სპეციალური კითხვარი, რომელიც გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევისას.

კვლევის საწყის ეტაპზე გათვალისწინებული იყო მონაცემების შეგროვება აღნიშნული კითხვარის მიხედვით მთლიანად კახეთის რეგიონის მასშტაბით. გამოვლენილი სირთულეების ანალიზის შემდეგ გადაწყდა კითხვარის გამოყენება მონაცემების მისაღებად ერთი კონკრეტული სოფლიდან და კონკრეტული შემთხვევის (ქეისის) ანალიზის კვლევაში ჩართვა. ამ მიზნით, შერჩეულ იქნა ყვარლის რაიონის სოფელი მთისძირი.

იმავედროულად, დამუშავდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული მონაცემები, რომლებიც შეგროვებულია მთელი რეგიონის მასშტაბით და მოიცავს შემდეგ ცვლადებს: ვენახის ფართობი; ვაზის ძირების რაოდენობა; ვაზის მსხმოიარე ძირების რაოდენობა; წარმოების მოცულობა; მევენახის ასაკი. ეს მონაცემები მოიცავს 2007-2014 წწ. პერიოდს. მათ საფუძველზე დისერტაციაში გაანგარიშებულია კიდევ ორი ცვლადი: ვაზის ძირების რაოდენობა ერთ ჰექტარზე და მწარმოებლურობა (წარმოების მოცულობა ერთ ჰექტარზე). ამ ცვლადებს დაემატა სუბსიდია და ფასი ერთ კგ-ზე. მონაცემები მოიცავს რქაწითელის და საფერავის ჯიშის ყურძნებს და წარმოადგენს პანელურ მონაცემებს.

რაც შეეხება შემთხვევის ე.წ. ქეისის ანალიზს, სოფელ მთისძირში გამოიკითხა მევენახეების 10%, რომლებმაც უპასუხეს კითხვარში მოცემულ კითხვებს 2008-2013 წლების პერიოდისთვის და შედეგად, მიღებულია დაბალანსებული პანელური მონაცემები.

მეურნეობებმა სოფელ მთისძირიდან, ასევე უპასუხეს კითხვას, თუ როგორი იქნებოდა მათი საპასუხო რეაქცია სამ სხვადასხვა შესაძლო სცენარზე.

## ჰიპოთეზა.

კვლევის ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში: რადგანაც სუბსიდიები განაპირობებს დამატებით შემოსავალს საოჯახო მეურნეობებისთვის, მათი მოგების ნორმა და დანაზოგები უნდა გაიზარდოს, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ინვესტიციების ზრდას და გაზრდის წარმოებული ყურძნის და/ან ვაზის ძირების რაოდენობას.

დავუშვათ, რომ მეურნეობების მიზანია მათი კეთილდღეობის მაქსიმიზაცია. მეურნეობების კეთილდღეობა მოიცავს: საწყის კეთილდღეობას; მოგებას, რომელსაც იღებენ აგრარული საქმიანობიდან; სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ფინანსებს და შემოსავალს არაპროფილური საქმიანობიდან. სარგებლიანობის მაქსიმიზაციის დაშვებიდან გამომდინარე, ასეთი მეურნეობები ეცდებიან შეარჩიონ წარმოების ის მოცულობა, რომელიც მათ მოუტანს მაქსიმალურ სარგებლიანობას.<sup>209</sup>

წარმოების ოპტიმალური მოცულობის შერჩევაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროდუქტის წარმოების დანახარჯები და მისი სარეალიზაციო ფასი. რადგან წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე პროდუქციის ერთეულის საწარმოო ხარჯები მცირდება, მისი საბაზრო ფასის მნიშვნელოვნად ზრდის შემთხვევაში მეურნეობების მიერ შერჩეული წარმოების ოპტიმალური მოცულობა უფრო დიდი იქნება.

ყურძენზე მაღალი ფასის არსებობის შემთხვევაში მევენახეები, სავარაუდოდ, ეცდებიან გაზარდონ წარმოების მოცულობა და შესაბამისად, ყურძნის რეალიზაციისგან მიღებული მოგება, რაც, მთლიანობაში, დადებითად უნდა აისახოს მათ კეთილდღეობაზე.

გამომდინარე აქედან, თეორიულად შესაძლებელია მსჯელობა ფასის მხარდამჭერი სუბსიდიების პირდაპირ და დადებით გავლენაზე საოჯახო მეურნეობების შემოსავლებზე, მათ კეთილდღეობასა და, შესაბამისად, წარმოების გაზრდის სტიმულებზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სუბსიდიებს, სავარაუდოდ, დადებითი გავლენა აქვს ყურძნის წარმოების მოცულობასა და ვაზის ძირების რაოდენობაზე.

---

<sup>209</sup> Kropp K. J., Whitaker J. B. (2009). The Impact of Decoupled Payments on the Cost of Operating Capital, prepared for presentation at the Agricultural & Applied Economics Association 2009 AAEA & ACCI Joint Annual Meeting, Milwaukee, Wisconsin, July, 26-29, p. 2

## კვლევის კითხვები.

კვლევის ფარგლებში გამოიყო ორი უმთავრესი კითხვა: რა ზომით განაპირობა სუბსიდიებმა მევენახეების მიერ წარმოებული ყურძნის რაოდენობის ზრდა, რა ზომით განაპირობა სუბსიდიებმა ვაზის ნარგავების რაოდენობის ზრდა.

## ცვლადების შერჩევა.

ფასის მხარდამჭერი პოლიტიკის გავლენის შესახებ რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევების ანალიზის შედეგად გამოვლინდა ის ფაქტორები, რომლებიც ყველაზე მეტ გავლენას ახდენს წარმოებასა და ვაზის ძირების რაოდენობაზე.

მთლიანობაში ეს ცვლადები შემდეგია: საოჯახო მეურნეობის უფროსის ასაკი; საოჯახო მეურნეობის უფროსის განათლება; მემკვიდრის არსებობა ოჯახში, რომელიც გააგრძელებს მევენახეობას; ყურძნის საბაზრო ფასი (სუბსიდიის გამოკლებით); სუბსიდიის მოცულობა 1 კილოგრამზე; წლიური დანახარჯი 1 ჰა ვენახის მოვლაზე; შემოსავალი სხვა კულტურების გაყიდვიდან.<sup>210</sup>

საოჯახო მეურნეობის უფროსის ასაკი რელევანტური ცვლადია, რადგან ასაკი ხშირად განაპირობებს შეხედულებებს წარმოების თანამედროვე მეთოდებსა და ბაზრის მოთხოვნებზე, დამოკიდებულებას ცვლილებებისადმი და ა.შ. ხშირად, უფროსი თაობის მევენახეები, შესაძლოა, უფრო ნაკლებად გახსნილნი იყვნენ ახალი წამოწყებების იდეებისა და ტექნოლოგიებისადმი, ვიდრე ახალგაზრდები, რომელთა ინფორმირებულობის დონეც უფრო მაღალია. გარდა ამისა, ასაკოვანი მევენახეები უფრო ნაკლებად რისკიანები და ინიციატივიანები შეიძლება იყვნენ და შესაბამისად, დაბალი იყოს მეურნეობის მიერ ვენახში ინვესტირების დონე.

მეორე მხრივ, ასაკთან ერთად მევენახე უფრო გამოცდილი ხდება, რაც მას საქმის უკეთ წარმართვის საშუალებას აძლევს. უფრო გამოცდილი მევენახეები, უკეთ ერკვევიან საწარმოო პროცესებში, ვენახის თავისებურებებში, ვაზის ჯიშებსა და ვენახის მოვლის სპეციფიკაში. შესაბამისად, შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ ასეთი მევენახეები უფრო ხშირად მიაღწევენ მწარმოებლურების მაღალ დონეს. აქედან

---

<sup>210</sup> Viaggi, D. et al. (2009). Assessing the multiple impacts of the Common Agricultural Policies (CAP) on Rural Economies, CAP-IRE.

გამომდინარე, საოჯახო მეურნეობის უფროსის ასაკს შესაძლოა ქონდეს დადებითი ან უარყოფითი გავლენა წარმოებასა და ვენახის ფართობზე.

რაც უფრო განათლებულია საოჯახო მეურნეობის უფროსი, მით უფრო უკეთ აცნობიერებს ბაზარზე შექმნილ მდგომარეობას, უკეთ ერკვევა საწარმოო და მარკეტინგულ საკითხებსა და ზოგადად, ბიზნესის მართვაში. ფორმალური ეკონომიკური ან ბიზნეს განათლების მქონე მეურნეობის უფროსი უფრო მეტად ფლობს ბიზნესის კეთებისთვის საჭირო უნარებსა და ცოდნას, ვიდრე ასეთი განათლების არმქონე. შესაბამისად, განათლების მაღალი დონე, სავარაუდოდ, დადებით გავლენას ახდენს ყურძნის წარმოებაზე.

ოჯახური ბიზნესის გამგრძელებლის არსებობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც განაპირობებს გრძელვადიანი გეგმების შემუშავებას ვენახთან დაკავშირებით და მასში ინვესტირების მაღალ დონეს. როდესაც მევენახეობა განიხილება როგორც ოჯახური ბიზნესი, რომელსაც ჰყავს გამგრძელებელი, გაცილებით მაღალია მოთხოვნილება მასში ინვესტირებაზე და მფლობელობაში არსებული ვენახის ფართობის ზრდაზე.

დადებითი კავშირი უნდა არსებობდეს პროდუქტის საბაზრო ფასსა და წარმოებას/ვახის ძირების რაოდენობას შორის, რადგან უფრო მაღალი საბაზრო ფასი ქმნის სტიმულებს მევენახეებისთვის, რათა მათ გაზარდონ წარმოება უკეთესი საწარმოო ტექნიკის ან მეთოდების გამოყენებით. მაღალი ფასების შენარჩუნება გრძელვადიან პერიოდში არსებითი მნიშვნელობისაა მევენახეების მიერ ვენახის გაფართოების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

სუბსიდია იმავე მიმართულებით იმოქმედებს წარმოებასა და ვახის ძირების რაოდენობაზე, როგორც საბაზრო ფასი, რადგან იძლევა დამატებით შემოსავალს, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების ასათვისებლად და ვენახის მოვლის უკეთესი საშუალებების შესაძენად. დარგის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა და სუბსიდირება სახელმწიფოს მიერ გრძელვადიან პერიოდში, სავარაუდოდ, დადებითად იმოქმედებს მევენახეების მოლოდინებზე და ისინი გადაწყვეტენ ვენახების გაფართოებას.

როდესაც ვენახის მოვლის საშუალებების ფასები იზრდება, ისინი ნაკლებად ხელმისაწვდომი ხდება მცირე მევენახეებისთვის. ამ შემთხვევაში ვენახის შეწამვლის საშუალებების არასაკმარისი რაოდენობით გამოყენება უარყოფითად იმოქმედებს

წარმოების მოცულობაზე. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებობს უარყოფითი დამოკიდებულება ვაზის მოვლის საშუალებების ფასებსა და წარმოების მოცულობას შორის.

შემოსავლები სხვა კულტურებიდან, სავარაუდოდ, უარყოფითადაა დაკავშირებული ყურძნის წარმოებასა და ვაზის ძირების რაოდენობასთან, რადგან მაღალი ალტერნატიული შემოსავლები სხვადასხვა კულტურებიდან ფერმერებს აძლევს ყურძნის წარმოების სანაცვლოდ ამ კულტურების წარმოების სტიმულს.

ვენახის ფართობი რელევანტური ცვლადია, რომელიც გავლენას ახდენს წარმოების მოცულობაზე. სხვა თანაბარ პირობებში, რაც უფრო დიდია ვენახის ფართობი, მით უფრო დიდია წარმოების მოცულობა.

მონაცემები წლების მიხედვით საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის და ვენახის ფართობების შესახებ აჩვენებს მევენახეთა აქტივობის ტენდენციებს განსახილველ პერიოდში. აქ იკვეთება თუ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის რა ნაწილს უთმობენ მეურნეობები ვენახს.

საინტერესო ცვლადია, წარმოებული ყურძნის რა ნაწილი ჩააბარეს საოჯახო მეურნეობებმა ღვინის მწარმოებელ კომპანიებს და რა ნაწილი მოიხმარეს მეურნეობის შიგნით (ეს შეიძლება მოიცავდეს ღვინის, წველის ან სხვა პროდუქტის დამზადებას შიდა მოხმარების ან შემდგომი რეალიზაციისთვის). იგი აჩვენებს, თუ რამდენად მისაღები იყო ღვინის მწარმოებელი კომპანიების მიერ მევენახეებისთვის შეთავაზებული ყურძნის ფასი და სუბსიდია.

ახალი ნარგავების რაოდენობა წლიდან წლამდე აჩვენებს საოჯახო მეურნეობის მზადყოფნას ინვესტიციების განსახორციელებლად, მათ შეხედულებებსა და მოლოდინებს საკუთარ ბიზნესთან დაკავშირებით.

მთლიანობაში, კვლევის პროცესში განისაზღვრა ოთხი მოდელი, რომელმაც მოიცვა ზემოაღნიშნული ცვლადები.

**პირველი მოდელი.** პირველ მოდელში გაანალიზებულია სუბსიდიების გავლენა ვაზის ძირების რაოდენობაზე რქაწითელისა და საფერავის ჯიშისთვის ცალ-ცალკე. გამოყენებულია წრფივი რეგრესიის მოდელი, რადგანაც განხილულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით შესაძლებელია გამოითქვას ვარაუდი, რომ არსებობს წრფივი დამოკიდებულება მოდელში მოცემულ დამოუკიდებელ ცვლადებსა და ვაზის ძირების რაოდენობას შორის.

ვაზის ძირების რაოდენობაზე გავლენას ახდენს ვენახისთვის გამოყოფილი ფართობი. ასევე, მწარმოებლურობის მაღალი დონე მევენახეს უბიძგებს გაზარდოს ვაზის ძირების რაოდენობა.

რადგანაც სუბსიდირების პოლიტიკა მისი არსით არის წარმოების მასტიმულირებელი, გაკეთდა დაშვება, რომ სუბსიდიას დადებითი გავლენა უნდა ჰქონდეს ვაზის ძირების რაოდენობაზე.

რელევანტური ცვლადია ვაზის ძირების რაოდენობაც ერთ ჰა-ზე, რადგანაც გავლენას ახდენს ვაზის ძირების მთლიან რაოდენობაზე.

პირველი მოდელი შემდეგი სახისაა:

$$Y = B_0 + B_1x_1 + B_2x_2 + B_3x_3 + B_4x_4$$

სადაც,

$Y$  არის ვაზის ძირების რაოდენობა,

$x_1$ - ვენახის ფართობი,

$x_2$  - მწარმოებლურობა,

$x_3$  - სუბსიდია,

$x_4$  - ვაზის ძირების რაოდენობა 1 ჰა-ზე.

ანალიზი ცალ-ცალკე განხორციელდა რქაწითელისა და საფერავის ჯიშებისთვის. რეგრესიის მიზანი იყო დაედგინა ვაზის ძირების რაოდენობაზე სუბსიდიის გავლენის შესაძლო არსებობა და მისი ზომა.

ანალიზი განხორციელდა კომპიუტერულ პროგრამა STATA-ში.

**მეორე მოდელი.** მეორე მოდელში დამოკიდებულ ცვლადად განისაზღვრა ყურძნის წარმოება და შეფასდა მასზე სუბსიდიების გავლენა. შეირჩა ცვლადები, რომლებიც სუბსიდიასთან ერთად გავლენას ახდენს ყურძნის წარმოებაზე. გამოყენებულია ლოგარითმული რეგრესიის განტოლება.

მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$LY = C(1)*LS + C(2)*LPL + C(3)*LP + C(4)*D\_NAME*LSUB + C(5)*D\_NAME\_RQ*LSUB + C(6)*D\_NAME + C(7)$$

სადაც,

$LY$  არის მთლიანი წარმოება,

$LS$  - ვენახის ფართობი,



LPL - ვაზის ძირები,

LP - ყურძნის ფასები,

D\_NAME\*LSUB - საფერავის სუბსიდია (ზღვრული ეფექტი),

D\_NAME\_RQ\*LSUB - რქაწითელის სუბსიდია (ზღვრული ეფექტი),

D\_NAME - საფერავი (საშუალო ეფექტი),

C(7) - რქაწითელი (საშუალო ეფექტი).

ნაგარაუდებია, რომ საჭიროა გარკვეული დროითი პერიოდი, რათა სუბსიდიის გავლენა აისახოს წარმოებაზე. ერთ წელიწადს მიღებული სუბსიდია შესაძლოა გამოყენებულ იქნეს წარმოების ფაქტორების ხარჯების დასაფარად, ვენახის უკეთ მოსავლელად, დამატებით მუშა-ხელის დასაქირავებლად ან სხვა მსგავსი მიზნით, რაც ხელს შეუწყობს წარმოების ზრდას მომდევნო წელს. აქედან გამომდინარე, მოდელში აღებულია ერთწლიანი დროითი ლაგი და შექმნილია შესაბამისი ცვლადები: LP\_LAG, D\_NAME\*LSUB\_LAG, D\_NAME\_RQ\*LSUB\_LAG. ამ ცვლადების გათვალისწინებითაა შესრულებული გაანგარიშებები.

ანალიზი განხორციელდა კომპიუტერულ პროგრამა Eviews-ში.

**მესამე მოდელი.** მესამე მოდელში სუბსიდიების გავლენა ვაზის ახალ ნარგავებზე გაანალიზებულია ერთი სოფლის, სოფელ მთისძირის მაგალითზე, რომელიც მდებარეობს კახეთში, ყვარლის რაიონში. ამ შემთხვევაში კვლევამ მოიცვა მხოლოდ რქაწითელის ჯიშის ყურძენი.

დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის წრფივი დამოკიდებულების არსებობის შესახებ დაშვება ამჯერადაც ძალაშია.

ვაზის ახალ ნარგავებზე სუბსიდიების გავლენა შესწავლილ იქნა შემდეგი მოდელის საშუალებით:

$$Y = B_0 + B_1x_1 + B_2x_2 + B_3x_3 + B_4x_4 + B_5x_5 + B_6x_6 + B_7x_7$$

სადაც,

Y არის ვაზის ახალი ნარგავების რაოდენობა,

$x_1$  - მეურნეობის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობი,

$x_2$  - ვენახის ფართობი,

$x_3$  - წარმოების მოცულობა,

$x_4$  - ღვინის მწარმოებელი კომპანიებისთვის მიყიდული ყურძნის მოცულობა,

$x_5$  - სუბსიდია,

$x_6$  - დანახარჯი,

$x_7$  - შემოსავალი სხვა კულტურების გაყიდვიდან.

ანალიზები განხორციელდა კომპიუტერულ პროგრამა STATA-ში.

**მეოთხე მოდელი.** მეოთხე მოდელში წარმოების მოცულობაზე სუბსიდიების გავლენის ანალიზისთვის სოფელ მთისძირის მაგალითზე ცვლადებს შორის განისაზღვრა შემდეგი დამოკიდებულება:

$$Y = B_0 + B_1x_1 + B_2x_2 + B_3x_3 + B_4x_4 + B_5x_5$$

სადაც,

$Y$  არის წარმოების მოცულობა,

$x_1$  - ვენახის ფართობი,

$x_2$  - ღვინის მწარმოებელი კომპანიებისთვის მიყიდული ყურძნის მოცულობა,

$x_3$  - სუბსიდია,

$x_4$  - დანახარჯი,

$x_5$  - შემოსავალი სხვა კულტურების გაყიდვიდან.

გაკეთებულია დაშვება, რომ კონკრეტულ წელს ღვინის მწარმოებელ კომპანიებზე მიყიდული ყურძნის მოცულობა (არსებული ფასისა და სხვა პირობების გათვალისწინებით), გავლენას მოახდენს მომდევნო წელს ყურძნის წარმოებაზე. ღვინის მწარმოებელი კომპანიებისგან სასურველი ფასის ვერ მიღების შემთხვევაში მევენახეები იფიქრებენ შეამცირონ ყურძნის წარმოება და პირიქით.

მიმდინარე წელს მიღებული სუბსიდიაც გავლენას იქონიებს ყურძნის წარმოების მოცულობაზე მომდევნო წელს.

იმავე მიმართულებით იმოქმედებს მიმდინარე წლის შემოსავალი სხვა კულტურებიდან. მისი მაღალი მაჩვენებელი უბიძგებს მევენახეებს უფრო მეტი აქცენტი გააკეთონ ამ კულტურების წარმოებაზე, ჩაანაცვლონ ყურძნის წარმოება და, პირიქით, სხვა კულტურებიდან მიღებული დაბალი შემოსავალი, შესაძლოა, ყურძნის წარმოების მოცულობის გაზრდის სტიმული გახდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიქმნა სამი ცვლადი ერთწლიანი დროითი ლაგის გათვალისწინებით და მათი გამოყენებით შესრულდა გაანგარიშებები, ეს ცვლადებია: soldtowinecomp\_lag, subsidy\_lag, othercultinc\_lag.

მონაცემები მესამე და მეოთხე მოდელში შემაჯავალი ცვლადების შესახებ შეგროვდა შესაბამისი კითხვარის მეშვეობით (იხ. დანართი 1).

გარდა ზემოაღნიშნულისა, სოფელ მთისძირის მაგალითზე ასევე განხორციელდა მევენახეების შესაძლო რეაქციების კვლევა სამი სხვადასხვა სცენარის შემთხვევაში.

დისერტაციაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს სამი სცენარი ასახავს მომავალში მოვლენების განვითარების სამ ყველაზე უფრო მოსალოდნელ ვარიანტს.

პირველი სცენარის ფარგლებში რესპოდენტებმა განაცხადეს შესაძლო ცვლილებების შესახებ საკუთარი საოჯახო მეურნეობის საქმიანობაში იმ პირობებში თუ ფასები, დასაქმების შესაძლებლობები და სხვა პირობები დარჩება სტაბილურად არსებულ დონეზე და ფასის მხარდამჭერი პოლიტიკაც იგივე იქნება (კვლევა ჩატარდა 2015 წლის მაისში).

მეორე სცენარის ფარგლებში რესპოდენტებმა განიხილეს სავარაუდო ვითარება, როცა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დაფინანსება (სუბსიდიები) გაუქმებულია, ხოლო მის გარდა ყველა სხვა პირობა (ფასები და ა.შ.) უცვლელი რჩება.

მესამე შემთხვევაში, რესპოდენტებმა განიხილეს სავარაუდო ვითარება, როცა რუსეთის ბაზარი იკეტება, ხოლო ყველა სხვა პირობა, სახელმწიფოს მხარდამჭერი პოლიტიკის ჩათვლით, რჩება უცვლელი.

სადისერტაციო ნაშრომში მიხნეულია, რომ ეს სამი სცენარი ასახავს მომავალში მოვლენების განვითარების სამ ყველაზე შესაძლო ვარიანტს.

მევენახეებმა უპასუხეს კითხვაზე - ამ სცენარების განვითარების შემთხვევაში გაიზრდება, შემცირდება თუ უცვლელი დარჩება მათ მფლობელობაში არსებული ვენახის ფართობი:

ცხრილი 4.1. მევენახეთა სავარაუდო რეაქციები შესაძლო სცენარებზე.

ცვლადი	სცენარი 1	სცენარი 2	სცენარი 3
ვენახის ფართობი	ა) გაიზრდება; ბ) არ შეიცვლება; გ) შემცირდება; დ) არ ვიცი	ა) გაიზრდება; ბ) არ შეიცვლება; გ) შემცირდება; დ) არ ვიცი	ა) გაიზრდება; ბ) არ შეიცვლება; გ) შემცირდება; დ) არ ვიცი

წყარო: შემუშავებულია ავტორის მიერ

პირველ სცენარზე გაცემული პასუხებით იქმნება წარმოდგენა, თუ რას ფიქრობენ მევენახეები ამჟამად არსებულ სიტუაციაზე და განსაკუთრებით, სახელმწიფოს მხრიდან ამჟამად არსებულ მხარდაჭერაზე; რამდენად კმაყოფილნი არიან ისინი არსებული მდგომარეობით და ფიქრობენ თუ არა ამ პირობებში ვენახის გაფართოებაზე.

მეორე სცენარზე გაცემული პასუხების საშუალებით შესაძლებელია აიხსნას მევენახეების რეაქცია სახელმწიფოს მხრიდან ყველა სახის მხარდამჭერი პოლიტიკის გაუქმებაზე, რამდენად მზად არიან ისინი სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე გააგრძელონ საკუთარი საქმიანობა და იფიქრონ საკუთარი ვენახების შემდგომ ზრდაზე.

რადგანაც რუსეთის ბაზარი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მევენახეებზე, მნიშვნელოვანია გამოვლინდეს მათი რეაქცია რუსეთის ბაზარზე წვდომის კიდევ ერთხელ დაკარგვის შემთხვევაში.

პასუხები აჩვენებს საოჯახო მეურნეობების განზრახვას სხვადასხვა შესაძლო სცენარის შემთხვევაში და იძლევა გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას არსებული მხარდამჭერი პოლიტიკის ეფექტურობისა და შესაძლო ცვლილებების შედეგების შესახებ.

#### 4.2 რაოდენობრივი კვლევის შედეგები

პირველ მოდელში გაანალიზებულია სუბსიდიების გავლენა ვაზის ძირების რაოდენობაზე კახეთის რეგიონში, რქაწითელის და საფერავის ჯიშის ვაზებისთვის.

რქაწითელის შემთხვევაში მოდელი მოიცავს ერთ დამოკიდებულ, ოთხ დამოუკიდებელ ცვლადს და 2290 დაკვირვებას.

ცხრილი 4.2. პირველი მოდელი (რქაწითელი)

. . summarize treestot area productivity subsidy treesperha					
variable	obs	Mean	Std. Dev.	Min	Max
treestot	2290	1945.396	16171.83	20	730000
area	2290	.7364148	5.1678	.05	219.5
productivity	2290	5155.406	4501.084	32.30769	50000
subsidy	2290	.2077074	.1288733	0	.4
treesperha	2290	3107.375	1680.522	15.38461	32000

მოცემულ ცვლადებზე განხორციელდა წრფივი რეგრესია, რომლის შედეგები მოცემულია ქვემოთ:

ცხრილი 4.3. საწყისი რეგრესია

. . regress treestot area productivity subsidy treesperha						
Source	SS	df	MS			
Model	5.5110e+11	4	1.3777e+11	Number of obs = 2290		
Residual	4.7543e+10	2285	20806398.1	F( 4, 2285) = 6621.70		
				Prob > F = 0.0000		
				R-squared = 0.9206		
				Adj R-squared = 0.9204		
Total	5.9864e+11	2289	261528018	Root MSE = 4561.4		
treestot	Coef.	Std. Err.	t	P> t	[95% Conf. Interval]	
area	3006.415	18.49367	162.56	0.000	2970.149	3042.681
productivity	.0041528	.0225503	0.18	0.854	-.0400684	.0483741
subsidy	1225.942	745.0321	1.65	0.100	-235.0682	2686.952
treesperha	.4001537	.0601122	6.66	0.000	.2822735	.5180338
_cons	-1788.047	253.7532	-7.05	0.000	-2285.658	-1290.436

საწყისი რეგრესიის შედეგად მიღებული მონაცემები აჩვენებს, რომ 1 პროცენტთან დონეზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადებია ვენახის ფართობი და ვაზის ძირები ჰექტარზე. თუმცა ამ შედეგებით არ შეიძლება საბოლოო დასკვნების გაკეთება. ანალიზის შემდეგ ეტაპზე საჭიროა გაკეთდეს მულტიკოლინეარულობის ტესტი.

ცხრილი 4.4. მულტიკოლინეარულობის ტესტი

. . vif		
variable	VIF	1/VIF
productivity	1.13	0.882290
treesperha	1.12	0.890712
subsidy	1.01	0.985996
area	1.00	0.995162
Mean VIF	1.07	

მულტიკოლინეარულობის ტესტმა აჩვენა, რომ მოდელში მოცემული ცვლადები არაა ერთმანეთთან მაღალ კორელაციაში, რადგან თითოეული მათგანის მაჩვენებელი 10-ზე ნაკლებია. შესაბამისად, ფართოდ აღიარებული პრაქტიკის მიხედვით ყველა მათგანი რჩება მოდელში.

ანალიზის შემდეგ ეტაპზე შემოწმდა, არის თუ არა გამოტოვებული ცვლადი მოდელში. ტესტმა აჩვენა რომ ასეთი ცვლადი არსებობს. თუმცა, მოდელის ამხსნელობითი ძალა საკმაოდ დიდია. მოდელში მოცემული ცვლადები 92 პროცენტით ხსნიან დამოკიდებულ ცვლადს.

ცხრილი 4.6. გამოტოვებული ცვლადის ტესტი

```
Ramsey RESET test using powers of the fitted values of treestot
Ho: model has no omitted variables
      F(3, 2282) = 7547.94
      Prob > F = 0.0000
```

ამის შემდეგ ჩატარდა ტესტი ჰეტეროსკედასტურობაზე, ანუ გაანალიზდა თუ რამდენად ჰომოსკედასტურადაა ცვლადები განაწილებული. ტესტმა აჩვენა ჰეტეროსკედასტურობის არსებობა.

ცხრილი 4.7. ჰეტეროსკედასტურობის ტესტი

```
. . estat hettest

Breusch-Pagan / Cook-Weisberg test for heteroskedasticity
Ho: Constant variance
Variables: fitted values of treestot

      chi2(1)      =236197.68
      Prob > chi2  = 0.0000
```

რადგანაც ადგილი ჰქონდა ჰეტეროსკედასტურობას, მოდელზე რეგრესია ჩატარდა კოეფიციენტების სტანდარტული შეცდომების გათვალისწინებით.

ცხრილი 4.8. სუბსიდიის გავლენა რქაწითელის ჯიშის ვახის ძირების რაოდენობაზე

```
. . regress treestot area productivity subsidy treesperha, vce (robust)

Linear regression                               Number of obs = 2290
                                                F( 4, 2285) = 46.64
                                                Prob > F      = 0.0000
                                                R-squared    = 0.9206
                                                Root MSE    = 4561.4
```

treestot	Coef.	Robust Std. Err.	t	P> t	[95% Conf. Interval]	
area	3006.415	324.0541	9.28	0.000	2370.944	3641.886
productivity	.0041528	.0082296	0.50	0.614	-.0119853	.020291
subsidy	1225.942	636.3732	1.93	0.054	-21.98776	2473.871
treesperha	.4001537	.0873464	4.58	0.000	.2288671	.5714402
_cons	-1788.047	437.8	-4.08	0.000	-2646.574	-929.5198

წყარო: ავტორის გაანგარიშებები

საბოლოო რეგრესიის შედეგები აჩვენებს, რომ საკმაოდ მაღალია მოდელის ამხსნელობითი ძალა. ეხედავთ, რომ კვლევისთვის საინტერესო ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. სუბსიდია დადებით და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ვაზის ძირების რაოდენობაზე. სუბსიდიის 1 ლარით გაზრდა ვაზის ძირების რაოდენობას გაზრდის 1225 ერთეულით. თუმცა, რადგანაც სუბსიდიის მნიშვნელობა რეალურად ყოველთვის 1 ლარზე ნაკლები იყო, უმჯობესია აღვნიშნოთ, რომ სუბსიდიის 10 თეთრით გაზრდის შემთხვევაში მევენახე საკუთარ მიწის ნაკვეთზე დამატებით დარგავს საშუალოდ 123 ერთეულ ვაზის ძირს. აქ იგულისხმება, რომ სუბსიდიის გაზრდის კვალობაზე მევენახე გაზრდის ვაზის ძირების რაოდენობას მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ანუ აითვისებს გამოუყენებელ ფართობს და იქ დარგავს ვაზის ახალ ძირებს, ან ვაზის ძირებით ჩაანაცვლებს სხვა კულტურებს.

მიღებული შედეგი აჩვენებს, რომ სუბსიდია მნიშვნელოვან სტიმულს აძლევს ვენახის გაზრდისთვის იმ მევენახეებს, რომლებიც რქაწითელის ჯიშის ყურძენს აწარმოებენ. სუბსიდირების პოლიტიკის საშუალებით სახელმწიფოს შეუძლია ამ ჯიშის ვენახების ფართობების ზრდას შეუწყოს ხელი.

ვენახის ფართობი და ვაზის ძირების რაოდენობა ერთ ჰექტარზე არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი 1 პროცენტთან დონეზე და ორივე დადებით გავლენას ახდენს ვაზის ძირების რაოდენობაზე. კიდევ ერთი ცვლადი – მწარმოებლურობა, მოდელის მიხედვით, სტატისტიკურად უმნიშვნელოა.

იგივე მოდელია გამოყენებული ვაზის ძირების რაოდენობაზე სუბსიდიის ეფექტის გასაზომად საფერავის ჯიშის შემთხვევაშიც. ამჯერად მოდელი მოიცავს 511 დაკვირვებას.

ცხრილი 4.9. პირველი მოდელი (საფერავი)

. . summarize treestot area productivity subsidy treesperha					
variable	Obs	Mean	Std. Dev.	Min	Max
treestot	511	5283.726	16610.64	20	175000
area	511	1.894344	5.793311	.05	59
productivity	511	4761.857	4265.173	65.57377	37500
subsidy	511	.2181018	.1179902	0	.35
treesperha	511	3173.845	1669.188	250	15000

ამჯერადაც განხორციელდა წრფივი რეგრესია მოდელში მოცემულ ცვლადებზე.

ცხრილი 4.10. საწყისი რეგრესია

. . regress treestot area productivity subsidy treesperha						
Source	SS	df	MS			
Model	1.3047e+11	4	3.2616e+10	Number of obs =	511	
Residual	1.0251e+10	506	20258141.6	F( 4, 506) =	1610.03	
				Prob > F =	0.0000	
				R-squared =	0.9272	
				Adj R-squared =	0.9266	
				Root MSE =	4500.9	
treestot	Coef.	Std. Err.	t	P> t	[95% Conf. Interval]	
area	2772.138	34.92093	79.38	0.000	2703.53	2840.746
productivity	.0163768	.0480175	0.34	0.733	-.0779613	.110715
subsidy	983.5549	1717.54	0.57	0.567	-2390.832	4357.942
treesperha	.7415122	.1231842	6.02	0.000	.4994967	.9835278
_cons	-2613.603	571.1867	-4.58	0.000	-3735.792	-1491.413

საწყისი რეგრესიის შედეგად აღმოჩნდა, რომ 1 პროცენტის დონეზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადებია ვენახის ფართობი და ვაზის ძირები ჰექტარზე. სუბსიდია, ამ შემთხვევაში, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადი არაა.

მულტიკოლინეარულობის ტესტმა აჩვენა, რომ მოდელში მოცემული ცვლადები არაა ერთმანეთთან მაღალ კორელაციაში და ყველა მათგანი რჩება მოდელში.

ცხრილი 4.11. მულტიკოლინეარულობის ტესტი

. . vif		
variable	VIF	1/VIF
treesperha	1.06	0.939525
productivity	1.06	0.947016
subsidy	1.03	0.967218
area	1.03	0.970519
Mean VIF	1.05	

ტესტმა აჩვენა რომ მოდელში არსებობს გამოტოვებული ცვლადი. თუმცა, მოდელის ამხსნელობითი ძალა ამჯერადაც მაღალია და მოდელში მოცემული ცვლადები 92 პროცენტით ხსნიან დამოკიდებულ ცვლადს.

ცხრილი 4.12. გამოტოვებული ცვლადის ტესტი



```
. ovtest

Ramsey RESET test using powers of the fitted values of treestot
Ho: model has no omitted variables
      F(3, 503) =      26.99
      Prob > F =      0.0000
```

შემდეგ ეტაპზე ჩატარდა ტესტი ჰეტეროსკედასტრობაზე.  
ცხრილი 4.13. ჰეტეროსკედასტრობის ტესტი

```
. . estat hettest

Breusch-Pagan / Cook-Weisberg test for heteroskedasticity
Ho: Constant variance
Variables: fitted values of treestot

      chi2(1)      = 4402.28
      Prob > chi2  =  0.0000
```

რადგანაც აღილი აქვს ჰეტეროსკედასტრობას, მოდელზე რეგრესია ჩატარდა კოეფიციენტების სტანდარტული შეცდომების გათვალისწინებით.

ცხრილი 4.14. სუბსიდიის გავლენა საფერავის ჯიშის ვაზის ძირების რაოდენობაზე

```
. . regress treestot area productivity subsidy treesperha
```

Source	SS	df	MS	Number of obs = 511		
Model	1.3047e+11	4	3.2616e+10	F( 4, 506) = 1610.03		
Residual	1.0251e+10	506	20258141.6	Prob > F = 0.0000		
Total	1.4072e+11	510	275913396	R-squared = 0.9272		
				Adj R-squared = 0.9266		
				Root MSE = 4500.9		

treestot	Coef.	Std. Err.	t	P> t	[95% Conf. Interval]	
area	2772.138	34.92093	79.38	0.000	2703.53	2840.746
productivity	.0163768	.0480175	0.34	0.733	-.0779613	.110715
subsidy	983.5549	1717.54	0.57	0.567	-2390.832	4357.942
treesperha	.7415122	.1231842	6.02	0.000	.4994967	.9835278
_cons	-2613.603	571.1867	-4.58	0.000	-3735.792	-1491.413

წყარო: ავტორის გაანგარიშებები

ანალიზმა აჩვენა, რომ კვლევისთვის საინტერესო ცვლადი არა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

ვენახის ფართობი და ვაზის ძირების რაოდენობა ერთ ჰექტარზე არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი 1 პროცენტთან დონეზე და ორივე დადებით გავლენას ახდენს ვაზის ძირების რაოდენობაზე.

ანალიზების შედეგად განსხვავებული შედეგებია მიღებული რქაწითელისა და საფერავის ჯიშის ყურძნებისთვის. ეს შეიძლება განპირობებული იყოს რამდენიმე ფაქტორით, კერძოდ: რქაწითელის ჯიშის ყურძენზე არსებული უფრო მაღალი მოთხოვნა; საფერავის ჯიშის ვაზის მოვლასთან დაკავშირებული უფრო მაღალი ხარჯები და ა.შ. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, საფერავის ჯიშის ყურძენზე არსებული სუბსიდია არ არის საკმარისი სტიმული ამ სახეობის ვაზის ნარგავების გაზრდისთვის.

შესაძლოა, საფერავზე სუბსიდიის უფრო დიდი მოცულობის არსებობის შემთხვევაში მისი დადებითი გავლენაც დაფიქსირებულიყო ვაზის ძირების რაოდენობაზე.

ყურძნის წარმოებაზე სუბსიდიის გავლენის შეფასება, რაც მეორე მოდელშია განხორციელებული, მნიშვნელოვანია პირველ მოდელში მიღებული შედეგების მხარდაჭერის ასპექტით. იმ შემთხვევაში თუ ორივე მოდელში მიღებული შედეგები აჩვენებს სუბსიდიის დადებით გავლენას, არგუმენტები სუბსიდირების პოლიტიკის ეფექტურობის შესახებ უფრო მყარი იქნება.

მეორე მოდელში გაანალიზებულია სუბსიდიის გავლენა ყურძნის წარმოებაზე. მოდელში შედის ერთი დამოკიდებული და 7 დამოუკიდებელი ცვლადი. დაკვირვებების რაოდენობაა 2830.

ანალიზისთვის გამოყენებულია უმცირეს კვადრატთა მეთოდი და მოდელში შემოტანილია დროითი ლაგი. მოდელში არსებული ცვლადები 58 პროცენტით ხსნიან დამოკიდებულ ცვლადს.

რეგრესიის შედეგები მოცემულია ცხრილში 4.15.

ცხრილი 4.15. სუბსიდიის გავლენა ყურძნის წარმოებაზე – რეგრესიის შედეგები

Dependent Variable: LY

Method: Least Squares

Date: 04/19/16 Time: 12:53

Sample: 1 3605

Included observations: 2830

White Heteroskedasticity-Consistent Standard Errors & Covariance

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
LS	0.407887	0.032384	12.59527	0.0000
LPL	0.523786	0.032587	16.07328	0.0000
LP_LAG	0.387739	0.040755	9.513834	0.0000
D_NAME*LSUB_LAG	-0.031982	0.098790	-0.323736	0.7462
D_NAME_RQ*LSUB_LAG	0.089453	0.028020	3.192490	0.0014
D_NAME	-0.306702	0.133461	-2.298061	0.0216
C	4.404633	0.261142	16.86678	0.0000
R-squared	0.582784	Mean dependent var		6.878526
Adjusted R-squared	0.581897	S.D. dependent var		1.343061
S.E. of regression	0.868435	Akaike info criterion		2.558223
Sum squared resid	2129.050	Schwarz criterion		2.572935
Log likelihood	-3612.886	Hannan-Quinn criter.		2.563531
F-statistic	657.2123	Durbin-Watson stat		1.514445
Prob(F-statistic)	0.000000			

წყარო: ავტორის გაანგარიშებები

ანალიზები აჩვენებს, რომ სუბსიდია რქაწითელის შემთხვევაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლილება 1 პროცენტთან დონეზე და დადებით გავლენას ახდენს რქაწითელის ჯიშის ყურძნის წარმოებაზე. ანალიზის შედეგები აჩვენებს, რომ რქაწითელზე სუბსიდიის გაზრდა 1 პროცენტით, იწვევს რქაწითელის ჯიშის ყურძნის წარმოების მოცულობის გაზრდას 0,08 პროცენტით.

აქ იგულისხმება, რომ სუბსიდიის სახით მიღებული დამატებითი შემოსავალი მევენახეებს აძლევს ვაზის უკეთ მოვლის საშუალებას, რაც მის უფრო მაღალ მოსავლიანობას განაპირობებს.

რაც შეეხება საფერავის ჯიშის ყურძენს, მასზე გაცემული სუბსიდია მოდელის მიხედვით არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადი.

მიღებული შედეგები თახვედრაშია პირველი მოდელში განხორციელებული ანალიზის შედეგებთან.

### 4.3 შემთხვევის ანალიზის შედეგები

სოფელ მთისძირში მიღებული მონაცემები გამოყენებულ იქნა ვაზის ახალი ნარგავების რაოდენობაზე სუბსიდიების გავლენის შესაფასებლად. ქვემოთ მოცემულია რეგრესიის შედეგები.

ცხრილი 4.16. საწყისი რეგრესია

```

. . regress newtrees landarea vineyardarea prodharvest soldtowinecomp subsidy c
> ost othercultinc

```

Source	SS	df	MS	Number of obs = 180		
Model	504296.048	7	72042.2925	F( 7, 172) =	6.14	
Residual	2016753.4	172	11725.3104	Prob > F =	0.0000	
Total	2521049.44	179	14084.0751	R-squared =	0.2000	
				Adj R-squared =	0.1675	
				Root MSE =	108.28	

newtrees	Coef.	Std. Err.	t	P> t	[95% Conf. Interval]	
landarea	-16.9464	12.38083	-1.37	0.173	-41.38434	7.491535
vineyardarea	221.6525	52.99443	4.18	0.000	117.0494	326.2557
prodharvest	-.024046	.0085036	-2.83	0.005	-.0408309	-.007261
soldtowine~p	.0008723	.0083631	0.10	0.917	-.0156352	.0173797
subsidy	245.7583	87.22988	2.82	0.005	73.57943	417.9372
cost	.0356952	.0136224	2.62	0.010	.0088065	.0625838
othercultinc	.0010318	.0012081	0.85	0.394	-.0013529	.0034164
_cons	-55.49485	31.78764	-1.75	0.083	-118.2389	7.249251

ცხრილი 4.17. მულტიკოლინეარულობის ტესტი

```

. . vif

```

Variable	VIF	1/VIF
prodharvest	3.60	0.277661
soldtowine~p	2.80	0.357177
cost	1.63	0.613354
vineyardarea	1.53	0.655363
landarea	1.23	0.812582
othercultinc	1.12	0.889830
subsidy	1.01	0.986220
Mean VIF	1.85	

ცხრილი 4.18. გამოტოვებული ცვლადის ტესტი

```
. . ovtest
Ramsey RESET test using powers of the fitted values of newtrees
Ho: model has no omitted variables
    F(3, 169) =    265.42
    Prob > F =      0.0000
```

ცხრილი 4.19. ტესტი ჰეტეროსკედასტურობაზე

```
. . estat hettest
Breusch-Pagan / Cook-Weisberg test for heteroskedasticity
Ho: Constant variance
Variables: fitted values of newtrees

    chi2(1)      = 1692.74
    Prob > chi2  =  0.0000
```

ცხრილი 4.20. სუბსიდიის გავლენა ვაზის ახალი ნარგავების რაოდენობაზე – რეგრესიის შედეგები

```
. . regress newtrees landarea vineyardarea prodharvest soldtowinecomp subsidy c
> ost othercultinc, vce (robust)
```

Linear regression Number of obs = 180  
F( 7, 172) = 0.53  
Prob > F = 0.8135  
R-squared = 0.2000  
Root MSE = 108.28

newtrees	Coef.	Robust Std. Err.	t	P> t	[95% Conf. Interval]	
landarea	-16.9464	22.67181	-0.75	0.456	-61.69721	27.8044
vineyardarea	221.6525	176.6511	1.25	0.211	-127.0307	570.3358
prodharvest	-.024046	.0181442	-1.33	0.187	-.0598599	.011768
soldtowine~p	.0008723	.0033949	0.26	0.798	-.0058288	.0075734
subsidy	245.7583	165.8672	1.48	0.140	-81.63895	573.1556
cost	.0356952	.0312244	1.14	0.255	-.0259371	.0973275
othercultinc	.0010318	.0010001	1.03	0.304	-.0009423	.0030058
_cons	-55.49485	34.76678	-1.60	0.112	-124.1193	13.12963

წყარო: ავტორის გაანგარიშებები

მოდელი გვიჩვენებს, რომ კვლევისთვის საინტერესო ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არაა. მოდელი მოიცავს 180 დაკვირვებას. სოფელ მთისძირში

შეგროვებული მონაცემების საფუძველზე ასევე გაანალიზდა სუბსიდიის გავლენა წარმოებაზე.

ცხრილი 4.21. საწყისი წრფივი რეგრესიის შედეგები.

```
. . regress prodharvest vineyardarea soldtowinecomp_lag subsidy_lag cost other
> cultinc_lag
```

Source	SS	df	MS			
Model	289561541	5	57912308.2	Number of obs =	150	
Residual	201206192	144	1397265.22	F( 5, 144) =	41.45	
				Prob > F =	0.0000	
				R-squared =	0.5900	
				Adj R-squared =	0.5758	
Total	490767733	149	3293743.18	Root MSE =	1182.1	

prodharvest	Coef.	Std. Err.	t	P> t	[95% Conf. Interval]	
vineyardarea	894.6145	568.195	1.57	0.118	-228.4656	2017.695
soldtowine~g	.5813975	.0692024	8.40	0.000	.4446137	.7181813
subsidy_lag	672.5241	2420.749	0.28	0.782	-4112.267	5457.315
cost	.7908503	.1489502	5.31	0.000	.496439	1.085262
otherculti~g	-.0320032	.0133821	-2.39	0.018	-.0584538	-.0055525
_cons	991.1013	464.6626	2.13	0.035	72.66077	1909.542

ცხრილი 4.22. მულტიკოლინეარულობის ტესტი.

```
. . vif
```

Variable	VIF	1/VIF
cost	1.39	0.721484
soldtowine~g	1.30	0.770947
vineyardarea	1.24	0.805580
otherculti~g	1.14	0.880918
subsidy_lag	1.01	0.993501
Mean VIF	1.21	

ცხრილი 4.23. გამოტოვებული ცვლადის ტესტი

```
. . ovtest
```

Ramsey RESET test using powers of the fitted values of prodharvest  
Ho: model has no omitted variables  
F(3, 141) = 1.94  
Prob > F = 0.1261

ცხრილი 4.24. ტესტი ჰეტეროსკედასტურობაზე

```
. . estat hettest

Breusch-Pagan / Cook-Weisberg test for heteroskedasticity
Ho: Constant variance
Variables: fitted values of prodharvest

chi2(1)      =    14.00
Prob > chi2  =    0.0002
```

ცხრილი 4.25. სუბსიდის გავლენა წარმოებაზე – რეგრესიის შედეგები

```
. . regress prodharvest vineyardarea soldtowinecomp_lag subsidy_lag cost othercu
> lttinc_lag, vce (robust)

Linear regression                               Number of obs =    150
                                                F( 5, 144) =    58.06
                                                Prob > F      =    0.0000
                                                R-squared     =    0.5900
                                                Root MSE     =   1182.1
```

prodharvest	Coef.	Robust Std. Err.	t	P> t	[95% Conf. Interval]	
vineyardarea	894.6145	600.493	1.49	0.138	-292.3049	2081.534
soldtowine~g	.5813975	.078383	7.42	0.000	.4264677	.7363273
subsidy_lag	672.5241	3141.921	0.21	0.831	-5537.718	6882.766
cost	.7908503	.2317398	3.41	0.001	.3327993	1.248901
otherculti~g	-.0320032	.0109079	-2.93	0.004	-.0535633	-.010443
_cons	991.1013	490.1065	2.02	0.045	22.36903	1959.834


წყარო: ავტორის გაანგარიშებები

როგორც რეგრესიამ აჩვენა, სუბსიდია ამ შემთხვევაში არაა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლადი. ეს შედეგი განსხვავდება რაოდენობრივი კვლევის მეორე მოდელში მიღებული შედეგისგან, სადაც დამუშავებელი იყო მონაცემები მთელი რეგიონის მასშტაბით და სადაც სუბსიდის დადებითი გავლენა ფიქსირდებოდა რქაწითელის წარმოებაზე. ზემოაღნიშნულ მოდელში არსებულ დაკვირვებათა დიდი რაოდენობისა და მისი უფრო მაღალი ამსწვლობითი ძალის გამო მიჩნეულია, რომ რაოდენობრივი კვლევის მეორე მოდელში მიღებული შედეგები უფრო ზუსტად ასახავს რეალობას.

ქვემოთ ნაჩვენებია რამდენიმე ტრენდი და გაანგარიშებულია საშუალო მაჩვენებლები, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას ქმნის სოფელ მთისძირში მევენახეობის განვითარებაზე 2008-2013 წლებში.

2008-2013 წლებში სოფელ მთისძირში გამოკვლეულ მეურნეობათა მიერ წარმოებული ყურძნის მოცულობა გაიზარდა დაახლოებით 15 ტონით, რაც საშუალოდ თითო მეურნეობაზე 500 კილოგრამია. აღსანიშნავია, რომ ზრდას არ ჰქონია უწყვეტი ხასიათი და პერიოდულად კლება ფიქსირდებოდა წინა წლებთან შედარებით.


დიაგრამა 4.1. წარმოებული ყურძნის მოცულობა გამოკვლეულ რეგიონებში



წყარო: ავტორის კვლევა

როგორც წესი, მევენახეები მათ მიერ მოყვანილი ყურძნის უმეტეს ნაწილს აბარებენ ღვინის კომპანიებს და დარჩენილ ნაწილს იტოვებენ შიდა მოხმარების ან შემდგომში ღვინის სახით გაყიდვისთვის. გამოკვლეული მეურნეობების მიერ ჩაბარებული ყურძნის მოცულობები როგორც აბსულუტური, ასევე ფარდობითი მაჩვენებლებით მზარდი ტენდენციით ხასიათდება საკვლევ პერიოდში.

დიაგრამა 4.2. გამოკვლეული მეურნეობების მიერ ჩაბარებული ყურძნის მოცულობები




წყარო: ავტორის კვლევა



შემოსავალი სხვა კულტურებიდან ერთობლიობაში თითქმის უტოლდება ყურძნის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მაჩვენებლებში საკმაოდ დიდია ერთი მეურნეობის წილი და თუ ამ მეურნეობას გამოვრიცხავთ მონაცემებიდან, აღმოჩნდება, რომ სხვა კულტურებიდან მიღებულ შემოსავალს ძალიან მცირე წილი უჭირავს მეურნეობის მიერ აგრარული პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებში.


დიაგრამა 4.3. მეურნეობის შემოსავალი სხვა კულტურების რეალიზაციიდან



წყარო: ავტორის კვლევა

გამოსაკვლევ პერიოდში თითქმის არ შეცვლილა გამოკვლევულ მევენახეთა მფლობელობაში არსებული ვენახების საერთო ფართობი. შედარებით მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა 2013 წელს.

დიაგრამა 4.4. ვენახის ფართობი გამოკვლევულ მეურნეობებში




წყარო: ავტორის კვლევა

თვისებრივი კვლევისთვის საჭირო მონაცემები შეგროვდა შესაბამისი კითხვარის საშუალებით და მოიცავს რაოდენობრივ კვლევაში არსებულისგან განსხვავებული ცვლადებიც.

მნიშვნელოვანია მევენახეთა განწობა მათი საქმიანობისადმი მომავლის სხვადასხვა შესაძლო სცენარის შემთხვევაში. გამოკითხულ მეურნეობათაგან ყველამ გასცა პასუხი კითხვას სავარაუდო სცენარებზე მათი რეაქციების შესახებ.

პირველი სცენარის შემთხვევაში გამოკვლეულ მეურნეობათა 52 პროცენტი აცხადებს, რომ გაზრდის მის მფლობელობაში არსებულ ვენახის ფართობს, ხოლო 41 პროცენტი აღნიშნავს, რომ არ შეცვლის ამჟამად მის მფლობელობაში არსებულ ვენახის ფართობს. ეს პასუხები, გარკვეულწილად, შესაძლოა, იყოს იმის მაჩვენებელი, რომ მეურნეობების უმეტესი ნაწილი მეტ-ნაკლებად კმაყოფილია არსებული მხარდამჭერი პოლიტიკით და მისი შენარჩუნების შემთხვევაში აპირებს ვენახების გაფართოებას.


დიაგრამა 4.5. მეურნეობათა სავარაუდო რეაქცია სცენარი 1-ის შემთხვევაში.



წყარო: ავტორის კვლევა

სუბსიდიების გაუქმების შემთხვევაში, რასაც სცენარი 2 ითვალისწინებს, მეურნეობათა მხოლოდ 3 პროცენტი აპირებს ვენახის ფართობის გაზრდას, 61 პროცენტი კი უცვლელად დატოვებს მის ხელთ არსებულ ვენახის ფართობს. გამოკითხულთა თითქმის მესამედი აცხადებს, რომ სუბსიდიების გაუქმების შემთხვევაში შეამცირებს ვენახის ფართობს.


დიაგრამა 4.6. მეურნეობათა სავარაუდო რეაქცია სცენარი 2-ის შემთხვევაში.



წყარო: ავტორის კვლევა

რუსეთის ბაზრის კვლავ ჩაკეტვის შემთხვევაში მეურნეობათა 60 პროცენტი არ შეამცირებს მათ საკუთრებაში არსებულ ვენახის ფართობს, ხოლო 33 პროცენტის რეაქცია იქნება ვენახების შემცირება. ამრიგად, რუსეთის ბაზრის ჩაკეტვა ვენახების ზრდის მნიშვნელოვანი შემაფერსებელი ფაქტორი იქნება.

დიაგრამა 4.7. მეურნეობათა სავარაუდო რეაქცია სცენარი 3-ის შემთხვევაში



წყარო: ავტორის კვლევა

მთლიანობაში, გამოკითხულ მეურნეობათა განწყობა მომავლის სამი ყველაზე უფრო მოსალოდნელი სცენარის მიმართ არცთუ პესიმისტურია. მოვლენების ყველაზე

უარესი განვითარების შემთხვევაშიც კი მევენახეების მინიმუმ 60 პროცენტი არ შეამცირებს მის მფლობელობაში არსებული ვენახის ფართობს. მევენახეები, რომლებიც მეორე და მესამე სცენარების შემთხვევაში მზად არიან შეამცირონ ვენახის ფართობი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სტაბილურ გარემოს, სახელმწიფო მხარდაჭერის არსებობის პირობებში. ისინი აღიარებენ, რომ მხარდაჭერის გარეშე მათი შემოსავალი იმდენად მცირეა, რომ ურჩევნიათ ვენახი ჩაანაცვლონ სხვა კულტურებით.

რაც შეეხება ამჟამად არსებულ პირობებს, გამოკითხულ მევენახეთა 93 პროცენტისთვის არსებული მდგომარეობა იძლევა იმის სტიმულს, რომ არ შეამცირონ ვენახების ფართობი. შესაბამისად, სუბსიდიების მოცულობის ზრდა და დამატებით მხარდამჭერი ღონისძიებები სახელმწიფოს მხრიდან, ერთი მხრივ, წარმოების გაზრდის სტიმული უნდა იყოს მათთვის, ხოლო, მეორე მხრივ, დააბალანსოს რუსეთის ბაზრის ჩაკეტვის შემთხვევაში გამოწვეული დანაკარგები.

## დასკვნები და რეკომენდაციები

სოფლის მეურნეობას საქართველოში უდიდესი ეკონომიკური და სოციალური როლი აკისრია. მას ხშირად განიხილავენ, როგორც ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთ გზას. ამჟამად საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი პროდუქცია ნაკლებად კონკურენტუნარიანია უცხოურ პროდუქციასთან მიმართებით და ვერ ასერხებს ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილის ათვისებას. ქვეყანას გააჩნია დიდი რაოდენობით ათვისებელი პოტენციალი სოფლის მეურნეობაში. ამ პოტენციალის ათვისებისა და წარმოების სტიმულირების ერთ-ერთ გზად საქართველოშიც, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, სუბსიდირების პოლიტიკა მიიჩნევა.

სხვადასხვა ქვეყანაში აგრარული სფეროს სუბსიდირება სხვადასხვა ფორმით ხორციელდება – ზოგიერთი ქვეყანა ამჯობინებს, რომ სუბსიდია წარმოების მოცულობაზე იყოს დამოკიდებული. ნაწილს მიაჩნია, რომ უმჯობესია სუბსიდიის გარკვეული ფიქსირებული თანხა გადაეცემოდეს ბენეფიციარს წარმოების მოცულობისგან დამოუკიდებლად. ქვეყნების ნაწილი უარს ამბობს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ფინანსურ დახმარებაზე და მათ სთავაზობს მხოლოდ საკონსულტაციო, ტექნიკურ და პროდუქციის გასაღებაში დახმარებას. მსოფლიოში იშვიათია ქვეყანა, რომელიც რაიმე ფორმით არ ზრუნავდეს საკუთარი სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია სოფლის მეურნეობის სუბსიდირების მიზეზები, ფორმები, მათზე მეურნეობების საპასუხო რეაქციები, მიმოხილულია საქართველოს აგროსასურსათო სექტორი და მასზე მოქმედი ფაქტორები, გაანალიზებულია სუბსიდიების გავლენა მიკრო დონეზე მევენახეების მაგალითზე.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მევენახეებისთვის სუბსიდირების პოლიტიკის გავლენის დადგენა და მთლიანობაში. ნახვენებია რეალურად რა შედეგები მოიტანა სუბსიდირების პოლიტიკამ მევენახეებისთვის მიკრო დონეზე და მთლიანობაში რამდენად ეფექტურია ის. მიღებული შედეგები გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ნაშრომი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მომავალში სუბსიდირების პოლიტიკის შესახებ გამართულ სამეცნიერო დებატებსა და დისკუსიებში.

2004-დან 2014 წლამდე პერიოდში ვენახების საერთო ფართობი დაახლოებით ხუთი ათასი ჰექტრით შემცირდა. შემცირება დაფიქსირდა ყველა რეგიონში კახეთის გარდა, სადაც ვენახების ფართობი შედარებით მცირედ, მაგრამ მაინც გაიზარდა. სავარაუდოა, რომ ამის მიზეზი სხვა ფაქტორებთან ერთად კახეთის რეგიონის მოსახლეობისთვის სუბსიდიების არსებობა იყო.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ:

- რქაწითელის ჯიშის ვაზის შემთხვევაში, სუბსიდიის 10 თეთრით ზრდა გამოიწვევს მეურნეობის მიერ ვაზის ძირების რაოდენობის გაზრდას 123 ერთეულით. მეურნეობებისთვის, რომლებიც აწარმოებენ ამ ჯიშის ყურძენს, სუბსიდიის 10 თეთრით გაზრდა მნიშვნელოვანი სტიმულია ვაზის ძირების რაოდენობის გასაზრდელად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რქაწითელის ჯიშის ყურძენზე მოთხოვნა ყოველთვის დიდია და მისი ვენახის მოვლაც შედარებით იაფი ჯდება საფერავის ჯიშის ვენახთან შედარებით;
- სუბსიდიის 1 პროცენტით გაზრდა რქაწითელის წარმოების მოცულობას გაზრდის 0,08 პროცენტით. რაოდენობრივი კვლევების შედეგები თანხვედრაშია ერთმანეთთან, ანუ სუბსიდიის ზრდასთან ერთად იზრდება როგორც რქაწითელის ჯიშის ვაზის ძირები, ასევე მისი წარმოების მოცულობაც. ეს ორი შედეგი ამყარებს ერთმანეთს და ზრდის კვლევის მოდელის სანდოობას;
- საფერავის ჯიშის შემთხვევაში, სუბსიდიის დადებითი გავლენა არ იკვეთება არც ვაზის ძირების რაოდენობასა და არც წარმოების მოცულობაზე. აქ უნდა აღინიშნოს ის, რომ დანახარჯები საფერავის ჯიშის ვენახის მოვლაზე გაცილებით მეტია რქაწითელის ჯიშის ვენახთან შედარებით და შესაძლოა, სუბსიდიის თანხა არ არის საკმარისი სტიმული საფერავის ვენახის ფართობის გასაზრდელად.

სუბსიდიების გავლენის ანალიზისას გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ასეთი ანალიზი უნდა განხორციელდეს დინამიკაში. სახელმწიფო პოლიტიკის გავლენის შესახებ კვლევებისას გასათვალისწინებელია, რომ ნაკლებად გამოსადეგია სტატიკური მოდელები, რომლებიც გულისხმობს, რომ ამხსნელი ცვლადების ცვლილება გამოიწვევს მიწოდების

დაუყოვნებელ ცვლილებას, ანუ არ არსებობს დროითი პერიოდი, რომელიც საჭიროა მიწოდებაში ცვლილების განსახორციელებლად. რეალურად, გარკვეული პერიოდია საჭირო იმისათვის, რომ სახელმწიფო პოლიტიკამ ცვლილებები გამოიწვიოს აგრარული პროდუქტის მიწოდებაში და ამიტომ ერთმანეთისგან განსხვავდება დაუყოვნებელი, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეფექტები.

თვისებრივი კვლევის ნაწილში, შემთხვევის ანალიზის მეთოდით მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ:

- სუბსიდირების არსებული პოლიტიკისა და რუსეთის ბაზარზე წვდომის შენარჩუნების შემთხვევაში გამოკითხული მევენახეების 93 პროცენტი გაზრდის ან არ შეამცირებს ვენახის ფართობს. ასეთი მაჩვენებელი მიანიშნებს, რომ მევენახეები, ერთი მხრივ, გრძნობენ მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან, ხოლო, მეორე მხრივ, აცნობიერებენ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გასაღების ფართო შესაძლებლობებს რუსეთის ბაზრის არსებობის პირობებში;
- სუბსიდიების გაუქმების შემთხვევაში გამოკითხული მევენახეების 90 პროცენტი შეამცირებს ან არ შეცვლის ვენახის ფართობს. სუბსიდირების პოლიტიკის გაუქმება სახელმწიფოს მიერ მევენახეების მხრიდან აღიქმება უარყოფითად და შეამცირებს მათ საწარმოო სტიმულებს;
- რუსეთის ბაზრის ჩაკეტვის შემთხვევაში გამოკითხული მევენახეების 93 პროცენტი შეამცირებს ან არ შეცვლის ვენახის ფართობს. რუსეთის ბაზარზე წვდომა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქართულ მევენახეთა საწარმოო გადაწყვეტილებებზე, ამიტომ მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ სხვა ბაზრების გაფართოება, რათა გარკვეულწილად მოხდეს რუსული ბაზრის ჩანაცვლება.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, კვლევის შედეგად, მთლიანობაში ჩამოყალიბდა შემდეგი დასკვნები:

- იმ შემთხვევაში, თუ მევენახეებს ჩამოუყალიბდებათ მოლოდინები სუბსიდირების პოლიტიკის უწყვეტობასა და სუბსიდიების მოცულობის ზრდასთან დაკავშირებით, მათი საწარმოო გადაწყვეტილებებიც შესაბამისად შეიცვლება. ის უფრო მეტად იქნება ორიენტირებული წარმოების მოცულობისა და ვენახების ფართობის ზრდაზე.

- სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკას ხელშემწყობი როლი შეუძლია შეასრულოს საქართველოს აგრარული სექტორის განვითარებაში. უპირველესი მიზანი ამ ასპექტით აგრარული პროდუქციის ბაზარზე იმპორტული პროდუქციის ჩანაცვლებაა, რაც ვერ მოხერხდება სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის ფაქტი, რომ საზღვარგარეთიდან შემოტანილი პროდუქციის მწარმოებელთა უმეტესობა მათ ქვეყანაში სარგებლობს მხარდაჭერით სახელმწიფოს მხრიდან. მევენახეობის სექტორში არ დგას უცხოურ პროდუქციასთან კონკურენციის საკითხი. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს საზრუნავია არსებული რესურსები ეფექტიანად გამოყენების ხელშეწყობა და უცხოური ბაზრების ათვისება.
- მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი მეურნეობების დაზღვევასა და მათი კრედიტზე ხელმისაწვდომობის ზრდის ასპექტებითაც. მევენახეები მნიშვნელოვან ზარალს ნახულობენ სტიქიური უბედურებების გამო, ხოლო ამ რისკების დაზღვევისთვის საჭირო თანხის გამონახვას ხშირად ვერ ახერხებენ. ამ პირობებში სახელმწიფოს შეუძლია თანამონაწილედ გამოვიდეს მოსავლის დაზღვევაში. საკმაოდ ხშირად ხდება ისე, რომ მევენახეები, რომლებიც იღებენ კრედიტს, ვეღარ ახერხებენ ფინანსური ინსტიტუტისთვის მის დაბრუნებას, გამომდინარე იქიდან, რომ რჩებიან შემოსავლის გარეშე მოსავლის განადგურების შემთხვევაში. ასეთ სიტუაციაში ისინი ვეღარ შეძლებენ დამატებით კრედიტის აღებას და ახალი ინვესტიციების განხორციელებას. ეფექტური სადაზღვევო სისტემის მეშვეობით შესაძლებელია მათი დანაკარგების კომპენსირება და მეურნეობის შემდგომი შეუფერხებელი განვითარების უზრუნველყოფა. სადაზღვევო სისტემის გაუმართაობა და კრედიტზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს მცირე ზომის მეურნეობებს, რომლებიც დარგში არსებულ მეურნეობათა აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს.

მიღებული შედეგების, განხილული ლიტერატურისა და მევენახეობის დარგში შექმნილი მდგომარეობის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია მთელი რიგი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც შესაბამისი სტრუქტურების მიერ დადებითად აისახება ამ დარგის განვითარებაზე, ეს რეკომენდაციებია:



- სუბსიდირების პოლიტიკა ამ ეტაპზე შენარჩუნებული უნდა იყოს იმ სახით, როგორი სახითაც ამჟამადაა წარმოდგენილი - დამოკიდებული უნდა იყოს წარმოების მოცულობაზე, რათა სტიმული მისცეს ვენახების გაფართოებასა და ყურძნის წარმოების ზრდას. სუბსიდის არსებობა მევენახეებს უქმნის გარკვეული სტაბილურობის შეგრძნებას და უზრუნველყოფს მათთვის დამატებით შემოსავალს. შესაძლებელია, სწორედ ამით აიხსნება ის, რომ გამოკითხული მევენახეების 90 პროცენტი არ გაზრდის ვენახის ფართობს სუბსიდის გაუქმების შემთხვევაში. გარკვეულ ეტაპზე შესაძლებელია განხილულ იქნეს საქართველოში მევენახეებისთვის ფიქსირებული სუბსიდიების მიცემა, რაც უზრუნველყოფს უფრო სტაბილურ შემოსავალს მათთვის და ხელს შეუწყობს მათი კრედიტუნარიანობის ზრდას. ფიქსირებული სუბსიდიების უარყოფითი მხარეა ის, რომ მან შესაძლოა შეამციროს წარმოების მოცულობის ზრდის სტიმულები და მევენახეებმა მიღებული სუბსიდია გამოიყენონ სხვა მიმართულებით. ამიტომ, საჭიროა კვლევების გააქტიურება ამ მიმართულებით, რათა დაიხვეწოს სახელმწიფოს მხარდამჭერი პოლიტიკა და შემუშავდეს სუბსიდირების ოპტიმალური მოდელი.
- როგორც კვლევამ აჩვენა, სუბსიდის თანხას არ ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა საფერავის ჯიშის ყურძნის წარმოების ზრდასა ან ამ ჯიშის ვაზის ნარგავების ზრდაზე. რქაწითელის ჯიშის ვაზის შემთხვევაში სუბსიდის ეფექტი გაცილებით მნიშვნელოვანი იქნებოდა სუბსიდის უფრო დიდი მოცულობის შემთხვევაში. შესაბამისად, სუბსიდირების პოლიტიკის შენარჩუნების შემთხვევაში უნდა მოხდეს სუბსიდის თანხის გაზრდა, რათა აღნიშნულმა პოლიტიკამ მიაღწიოს სასურველ შედეგებს;
- მნიშვნელოვანი ფაქტორია რუსეთის ბაზარზე წვდომა. მისი დაკარგვის შემთხვევაში კვლევაში გამოკითხული მევენახეების 93 პროცენტი აღარ იფიქრებს საქმიანობის გაფართოებაზე. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება სხვა მსხვილი ბაზრის მოძიების აუცილებლობა, სადაც სტაბილურად გასაღდება ქართული ღვინო. რუსეთის ფედერაციასთან არსებული პოლიტიკური ურთიერთობებიდან გამომდინარე, შეუძლებელია იმის

პროგნოზირება, თუ რამდენ ხანს იქნება ეს ბაზარი ღია ქართული ღვინისთვის. შესაბამისად, საჭიროა ევროპის და აზიის ბაზრებზე უფრო აქტიური მარკეტინგული ღონისძიებების გატარება სახელმწიფოს თანამონაწილეობით, რათა გაფართოვდეს საზღვარგარეთ ქართული ღვინის გასაღების ბაზარი;

- მევენახეებს სუბსიდირების გარდა წარმოების გასაზრდელად სჭირდებათ დამატებითი სტიმულები, რაც დაკავშირებულია რისკების შემცირებასთან. აქედან გამომდინარე, საჭიროა შენარჩუნდეს აგროდაზღვევის სისტემა, სადაც სახელმწიფო გამოდის თანამონაწილედ;
- საოჯახო მეურნეობებს თავიანთი საქმიანობის გასაფართოებლად ხშირად სჭირდებათ დამატებითი ფინანსური რესურსები. ამ ასპექტით, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი და უნდა შენარჩუნდეს შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა;
- შესაძლოა უმჯობესი იყოს სუბსიდების მიმღებთა დაყოფა მათ საკუთრებაში არსებული ვენახის ფართობების მიხედვით და სხვადასხვა ზომის მეურნეობისთვის სხვადასხვა მოცულობის სუბსიდიის მიცემა. ამჟამად, სუბსიდიის უფრო მეტ მოცულობას (აბსოლუტურ მაჩვენებელში) იღებს ის მეურნეობა, რომელიც უფრო მეტს აწარმოებს და ერთეულზე დანახარჯი უფრო ნაკლები აქვს. იმისათვის, რომ სუბსიდიის დიდი ნაწილი მოხვდეს შედარებით მცირე მეურნეობებთან, რომლებსაც უწევთ გადარჩენისთვის ბრძოლა, საჭიროა ბენეფიციართა დაყოფა კატეგორიებად.
- გარდა ფინანსური სტიმულებისა, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს როლი მევენახეების ინფორმირებულობის ღონის ამადლებაში ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა: უცხოურ ბაზრებზე არსებული მოთხოვნა ქართული ღვინის სხვადასხვა სახეობებზე; საზღვარგარეთ მზარდი მოთხოვნა ბიოღვინოზე და მისი დამზადების ტექნოლოგიები; ღვინის ან ღვინომასალის ექსპორტის განხორციელება დამოუკიდებლად; მევენახეობის გარდაქმნა ტრადიციული საოჯახო საქმიანობიდან თანამედროვე ტიპის ბიზნესად და ა.შ.;
- შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა უფრო აქტიურად უნდა ითანამშრომლონ სამეცნიერო წრეებთან და ხელი შეუწყონ კვლევებისა და განვითარების ერთობლივი პროექტების განხორციელებას. დარგში კვლევების

ჩატარებას ხშირად აფერხებს შესაბამისი მონაცემების არარსებობა და/ან მის მოპოვებასთან დაკავშირებული სირთულეები. სახელმწიფოსა და სამეცნიერო წრეების უფრო აქტიური თანამშრომლობის გზით გაიზრდება სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებზე არსებული სიღრმისეული კვლევების რაოდენობა, გაჩნდება ახალი ინიციატივები. შედეგად, სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შემუშავებლებისთვის გამარტივდება გადაწყვეტილებების მიღება და გაიზრდება მათი ეფექტურობა.

ზოგადად, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მხარდაჭერის საჭიროებას განაპირობებს რამდენიმე მიზეზი, მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

- ამა თუ იმ დარგის სუბსიდირება ან სხვა ფორმით მხარდაჭერა ხაზს უსვამს დარგის პრიორიტეტულობას სახელმწიფოსთვის და კერძო სექტორს უბიძგებს სუბსიდირებულ დარგში ინვესტიციების განხორციელებისკენ, უქმნის რა მას სტაბილურობის განცდას და დადებით მოლოდინებს დარგის განვითარებასთან დაკავშირებით;
- სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის პრიორიტეტად გამოცხადება და მისი მხარდაჭერა ხელს უწყობს სოფლიდან ქალაქში მიგრაციის შეჩერებას და ახალი ინიციატივების წარმოშობას ადგილობრივ საზოგადოებაში;
- საქართველოს სოფლის მეურნეობაში წამყვანი ძალა მცირე საოჯახო მეურნეობებია, რომლებსაც მცირე შემოსავლებიდან გამომდინარე უჭირთ ნარგავების/ნათესების მოვლა. შესაბამისად, სახელმწიფოს შეუძლია ამ მიმართულებით დახმარება გაუწიოს მეურნეობებს, რათა მათ მიერ წარმოებული პროდუქცია გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი უცხოურ პროდუქციასთან მიმართებით. ამ მხრივ გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის მწარმოებლები, უმეტეს შემთხვევაში, სარგებლობენ მხარდამჭერი ღონისძიებებით მათი ქვეყნის მთავრობებისგან.

აგროსასურსათო სექტორი გამორჩეულია საქართველოში, რომელშიც განვითარების უდიდესი პოტენციალია. ქვეყანას გააჩნია ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, სამუშაო ძალის ნახევარზე მეტი ცხოვრობს სოფლად,

საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულია სხვადასხვა კულტურების მოყვანის ტრადიციები და სახეზეა მათი ქართული ჯიშების მრავალფეროვნება, ადგილობრივი წარმოების პროდუქციით შესაძლებელია ბაზრის დიდი ნაწილის ათვისება და დიდია საექსპორტო პოტენციალიც. გამომდინარე აქედან, აგროსასურსათო სექტორის განვითარება უნდა იყოს ერთ-ერთი პრიორიტეტი სახელმწიფოსთვის და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას ამ სფეროს განვითარება განსაკუთრებით უნდა იყოს გათვალისწინებული.

რაც შეეხება მევენახეობას, მისი მხარდაჭერა ასევე პრიორიტეტული უნდა იყოს აგრარული პოლიტიკის შემუშავებისას. ღვინო არის ის პროდუქტი, რომელსაც ყველაზე დიდი საექსპორტო პოტენციალი აქვს აგროსასურსათო სექტორის სხვა პროდუქტებთან შედარებით. ამიტომ, საჭიროა უფრო აქტიური მუშაობა ყურძნის წარმოების სტიმულირებისა და საზღვარგარეთ ახალი ბაზრების ასათვისებლად.

## გამოყენებული ლიტერატურის სია

1. გოგიაშვილი, შ. (2012). აგრარული ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციისათვის, *I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“*, შრომების კრებული.
2. გველესიანი, რ. (2012). აგრარული სექტორის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა. *I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“*, შრომების კრებული.
3. გველესიანი, რ. (2012). *ეკონომიკური პოლიტიკა*, წ. 2. თბილისი, „უნივერსალი“.
4. კოლუაშვილი პ. (2012). საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგიისათვის, *I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“*, შრომების კრებული, გვ. 243
5. კოლუაშვილი, პ. (2009). აგროწარმოება და სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი. *გაზეთი „რეზონანსი“*, 18 ივნისი, №159, გვ. 9
6. კოლუაშვილი, პ. (2009). *საქართველო – ვაზისა და ხორბლის ქვეყანა: ორი ილია (ილია ჭავჭავაძე და კათოლიკოს-პატრიარქი ილია II) საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ*. თბილისი, „ინოვაცია“.
7. კოლუაშვილი, პ., ზიბზიბაძე, გ. (2006). *სოფლის მეურნეობის ეკონომიკა*. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
8. კოლუაშვილი, პ., ზიბზიბაძე, გ. (2010). *აგრარული საქარმოს ეკონომიკა*. თბილისი, „საარი“.
9. ლაზარიაშვილი, თ. (2012). კახეთის რეგიონის კონკურენტული უპირატესობანი. *I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“*, შრომების კრებული, გვ. 260

10. ნატროშვილი გ. (2006). სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სასურსათო ბაზრის ფუნქციონირების პერსპექტივები საქართველოში. დისერტაცია, თბილისი.
11. ოქროცვარიძე, ლ. (2008). მევენახეობის განვითარების ეკონომიკური კანონზომიერებები და პერსპექტივები აგროსამრეწველო ინტეგრაციის პირობებში (კახეთის მხარის მაგალითზე), საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, თბილისი.
12. სამჭკუაშვილი, ნ. (2013). რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მათი დაძლევის გზები და განვითარების პერსპექტივები (მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ეკონომიკის აგრარული სექტორის მაგალითზე). დისერტაცია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი.
13. საქართველოს მთავრობის განკარგულება. (2013). 2013 წლის როველის ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსების შესახებ, №1090, 20 აგვისტო, თბილისი.
14. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2015). სამწლიანი ანგარიში.
15. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (2015). საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ. <http://www.moa.gov.ge/Download/Files/91>, ბოლოს ნანახია: 25.04.2016
16. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ფორუმი – „გაუზიარე გამოცდილება საქართველოს“, 27.05.2016., <http://www.moa.gov.ge/Ge/News/1123>, ბოლო ნახვა: 08.06.2016
17. ხარაიშვილი, ე. და სხვ. (2008). მიკროეკონომიკა. თბილისი, „უნივერსალი“.
18. ხარაიშვილი, ე. (2011). *კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში*. თბილისი, „უნივერსალი“.
19. ჯავახიშვილი, ი. (1935). მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, ნაწ. II. თბილისი, „ფედერაცია“.
20. Agrosynergie Groupement Européen d'Intérêt Economique. (2011). Evaluation of income effects of direct support. Final Report, [http://ec.europa.eu/agriculture/eval/reports/income/fulltext\\_en.pdf](http://ec.europa.eu/agriculture/eval/reports/income/fulltext_en.pdf), last seen: 25.04.2016.

21. Bezlepkina, I. et. al. (2006). Component to statistically extrapolate from FSSIM models to other farm types and regions including aggregation to NUTS2: motivation, description and prototype. *Integrated project EU FP 6*, September.
22. BIS. (2011). Guidance on evaluating the impact of interventions on business. Department for Business Innovation & Skills.
23. Cahill, S. A. (1997). Calculating the rate of decoupling for crops under CAP/oilseeds reform. *Journal of Agricultural Economics* 48 (3): 349–378.
24. Chavas, J-P., Holt, M. T. (1990). Acreage decision under risk: the case of corn and soybeans, *American Journal of Agricultural Economics*, 529-538.
25. Ciaian, P., Swinnen, J.F.M. (2009). Credit market imperfections and the distribution of policy rents. *American Journal of Agricultural Economics*, Vol. 91, pp. 1124–1139
26. Colman D., Young T. (1989). *Principles of Agricultural Economics, Markets and prices in less developed countries*. Cambridge University Press.
27. Costa, C. et al. (2009). Modelling the Effects of the EU Common Agricultural Policy. *Staff Working Paper, Melbourne, December*, <http://www.pc.gov.au/research/supporting/european-agricultural-policy/european-agricultural-policy.pdf>, last seen: 25.04.2016.
28. Crawford E. W., Jayne T. S., Kelly V. A. (2005). Alternative approaches for promoting fertilizer use in Africa, with particular reference to the role of fertilizer subsidies. *Paper, Department of Agricultural Economics, Michigan State University, East Lansing, MI*.
29. Daniel K., Kilkenny M. (2009). Agricultural Subsidies and Rural Development, *Journal of Agricultural Economics*, Vol. 60, No. 3, 504-529.
30. Dewbre, J., Anton, J., Thompson, W. (2001). The transfer efficiency and trade effects of direct payments. *American Journal of Agricultural Economics*, Vol. 83, No. 5, pp. 1204-1214.
31. Europe for Georgia, <http://eugeorgia.info/ka/article/198/shegavatiani-agrokreditis-proeqti-minidinare-welsac-gagrzeldeba/>, ბოლოეს ნანახის: 25.04.2016.
32. European commission. (2011). The future of CAP direct payments. [http://ec.europa.eu/agriculture/policy-perspectives/policy-briefs/02\\_en.pdf](http://ec.europa.eu/agriculture/policy-perspectives/policy-briefs/02_en.pdf), last seen: 25.04.2016.
33. European competition network. (2012). Report on competition law enforcement and market monitoring activities by European competition authorities in the food sector.

34. European Union Committee. (2007). European Wine: A Better Deal for All. *39th Report of Session 2006–07*, October.
35. FAO, <http://www.fao.org/hunger/en/>, last seen: 24.04.2016
36. FAO. (2011). The State of Food and Agriculture 2010-11, Rome.
37. Gao, G. (2012). World Food Demand, *American Journal of Agricultural Economics*, vol. 94, issue 1, pages 25-51.
38. Gardner, B. L. (1992). Changing the Economic Perspectives on the Farm Problem. *Journal of Economic Literature Vol. XXX, No. 1*, pp. 62-101.
39. Hennessy D. A. (2000). The Production Effects of Agricultural Income Support Policies under Uncertainty. *American Journal of Agricultural Economics*, 80: 46-57.
40. Hennessy, D.A. (1998). The production effect of agricultural income policies under uncertainty. *American Journal of Agricultural Economics* 80, 46-57.
41. Henningsen A., Kumbhakar S., Lien G. (2011). Econometric Analysis of the Effects of Subsidies on Farm Production in Case of Endogenous Input Quantities. *Paper prepared for presentation at the EAAE 2011 Congress, ETH Zurich, Zurich, Switzerland*.
42. Hill B. (2012). *Understanding the common agricultural policy*. London and New York, Earthscan.
43. Huang, Y. (1998). Agricultural Reform in China: Getting Institutions Right. *Canadian Journal of Agricultural Economics* 46: 257-258
44. Institute for Development of Freedom of Information (IDFI). (2014). სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოები და მათი როლი დარგის განვითარებაში. [https://idfi.ge/public/upload/pdf/Research/SOEs\\_article\\_07.05.2014.pdf](https://idfi.ge/public/upload/pdf/Research/SOEs_article_07.05.2014.pdf), veb-gverdi bolos nanaxia: 24.04.2016
45. IMAP. 2010. Food and Beverage Industry Global Report – 2010, [http://www.imap.com/imap/media/resources/IMAP\\_Food\\_\\_Beverage\\_Report\\_WEB\\_AD6498A02CAF4.pdf](http://www.imap.com/imap/media/resources/IMAP_Food__Beverage_Report_WEB_AD6498A02CAF4.pdf), last seen: 25.04.2016
46. Institute for Agriculture and Trade Policy. (2007). The Common Agricultural Policy: A Brief Introduction. [http://www.iatp.org/files/451\\_2\\_100145\\_0.pdf](http://www.iatp.org/files/451_2_100145_0.pdf), last seen: 25.04.2016
47. International Food Policy Research Institute (IFPRI). (2009). World food and agriculture in review.
48. International Food Policy Research Institute (IFPRI). (2011). Global food policy report.



49. Jonasson E. et al. (2014). Modeling the welfare impacts of agricultural policies in developing countries. *Journal of Policy Modeling*, 36.
50. Jonson, G. D. (1991). *World Agriculture in Disarray*. London, Macmillan Press Ltd.
51. Karagiannis G., Zhu X., Oude Lansink A. (2011). The Impact of Direct Income Transfers of CAP on Greek Olive Farms' Performance: Using a Non-Monotonic Inefficiency Effects Model. *Journal of Agricultural Economics*, Vol. 62, No. 3, 630–638.
52. Koning, N. (2006). Agriculture, development and international trade: Lessons to be learned from the Common Agricultural Policy of the European Union. *ROPPA, Forum on Food Sovereignty, Niamey, 7-10 November*.
53. Kropp, K. J., Whitaker, J. B. (2009). The Impact of Decoupled Payments on the Cost of Operating Capital. *Prepared for presentation at the Agricultural & Applied Economics Association 2009 AAEA & ACCI Joint Annual Meeting, Milwaukee, Wisconsin, July, 26-29*.
54. Lister, N. M. (2011). Agricultural Subsidies, Productivity and Rural Assets: The effect of Farmer Input Support Programme (FISP) on small scale farmers in Mwembeshi-Chibombo District of Zambia. *International Institute of Social Studies, Research Paper*.
55. Martin W., Anderson K. (2012). Export restrictions and price insulation during commodity price booms. *American Journal of Agricultural Economics*, 94 (2), 422-427
56. McCloud, N., Kumbhakar, S. C. (2008). Do subsidies drive productivity? A cross-country analysis of Nordic dairy farms. In Chib, S., Griffiths, W., Koop, G. & Terrell, D. (ed.) *Bayesian Econometrics (Advances in Econometrics, Volume 23)*. Emerald Group Publishing Limited, 245-274.
57. Natsvlshvili, I. (2012). Peculiarities of Public and Entrepreneurial Attitudes in Post Soviet Georgia (an Example of Reflexive System Thinking). Capital Science 2012 Biennial PanAffiliate Conference; Arlington Virginia, USA, available at: <https://www.gwu.edu/~rpsol/2011-Ia-Paper-WBRF.pdf>, last seen: 11.06.2016
58. Newman, C., Sauer, J., Kazukauskasa, A. (2014). The impact of decoupled subsidies on productivity in agriculture: a cross-country analysis using microdata. *Agricultural Economics* 45, 327-336.
59. Organization for Economic Cooperation and Development (OECD). (2002). Methodology for the measurement of support and use in policy evaluation.

60. Peterson, E. Wesley F. (2009). *A Billion Dollars a Day: The Economics and Politics of Agricultural Subsidies*. Wiley-Blackwell.
61. Prášilová M., Severová L., Chromý J. (2011). Subsidies of agricultural production in the Czech Republic and their economic context. *ACTA Universitatis Agriculturae et Silviculturae Mendelianae Brunensis, Volume LIX, 31, Number 7*.
62. Regmi, A., Takeshima, H., Unnevehr, L. (2008). Convergence in Global Food Demand and Delivery. *USDA, Electronic Report from the Economic Research Service, Economic Research Report Number 56*.
63. Rizov M., Pokrivcak J., Ciaian P. (2013). CAP Subsidies and the Productivity of EU Farms. *Factor Markets, No. 37*.
64. Rizov, M., Pokrivcak, J., Ciaian, P. (2012). CAP subsidies and productivity of the EU farms. *Selected Poster prepared for presentation at the International Association of Agricultural Economists (IAAE) Triennial Conference, Foz do Iguaçu, Brazil, 18-24 August, 2012*.
65. Roe T., Somwaru A., Diao, X. (2002). Do direct payments have intertemporal effects on U.S. agriculture? *TMD Discussion Paper No. 104, International Food Policy Research Institute (IFPRI)*
66. Schnepf, R. (2016). U.S. Farm Income Outlook for 2016. Congressional Research Service.
67. Semerci A. (2013). The effects of agricultural subsidies applied in Turkey on sunflower cultivation area and the producers' income. *African Journal of Agricultural Research, Vol. 8(12)*, pp. 1059-1065.
68. Skovager J. M., Zobbe H. (2007). Producer subsidies and decoupling in the European Union and the United States, Case study #10-2 of the program: "Food policy for developing countries: The role of government in the global food system".
69. Stiglitz, J. E. (1987). Some theoretical aspects of agricultural policies, *World Bank research observer, 2:1*, 43-60
70. Unisfera International Centre. (2003). The Economic and Environmental Impacts of Agricultural Subsidies: An Assessment of the 2002 US Farm Bill and Doha Round. *The Second North American Symposium on Assessing the Environmental Effects of Trade*.
71. University of Reading. (2006). School of Agriculture, Policy and Development, Behaviour and motivations of farmers in responding to policy changes in England. *Final Report, Research project EPES 0405/17, November*.

72. Vasilenko A., Trnkova G., Mala Z. (2012). Analysis of the Effects of Subsidies on the Economic Behavior of Agricultural Businesses Focusing on Animal Production. *Agris on-line Papers in Economics and Informatics, Volume IV, Number 4-Special*.
73. Viaggi, D. et al. (2009). Assessing the multiple impacts of the Common Agricultural Policies (CAP) on Rural Economies, CAP-IRE.
74. Viaggi, D., Raggi, M., Gomez y Paloma, S. (2010). An integer programming dynamic farm-household model to evaluate the impact of agricultural policy reforms on farm investment behavior. *European Journal of Operational Research, 207*.
75. Westcott P. C., Young E. C. (2000). U.S. Farm Program Benefits: Links to Planting Decisions and Agricultural Markets. *Agricultural Outlook, U.S. Department of Agriculture, Economic Research Service, AGO-275*.
76. Winters A. L. (1987). The economic consequences of agricultural support: a survey, *OECD Economic Studies, 9, 7-54*
77. World Bank. (2011). Food Price Watch, Poverty Reduction and Equity Group.
78. Worldwatch Institute, Agricultural Subsidies Remain a Staple in the Industrial World, <http://www.worldwatch.org/agricultural-subsidies-remain-staple-industrial-world-0>
79. Yavuz, F. et al. (2005). Econometric Modeling of Turkey's Hazelnut Sector: Implications on Recent Policies. *Turkish Journal of Agriculture and Forestry, 29, 1-7*.
80. Young, E. et al. (2002). Domestic Support and the WTO: Comparison of Support among OECD Countries. *USDA ERS, pp.1-13*.
81. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. კოოპერატივები, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://acda.gov.ge/index.php/geo/static/118>, ბოლოს ნანახია: 11.06.2016
82. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტო. მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხლო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [http://apma.ge/projects/read/small\\_farmers](http://apma.ge/projects/read/small_farmers), ბოლოს ნანახია: 11.06.2016
83. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სოფლის მეურნეობა, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=427&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo), ბოლოს ნანახია: 11.06.2016

84. საქართველოს მთავრობა. (2014). მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [http://gov.ge/print.php?gg=1&sec\\_id=288&info\\_id=41087&lang\\_id=GEO](http://gov.ge/print.php?gg=1&sec_id=288&info_id=41087&lang_id=GEO), ბოლოს ნანახია: 11.06.2016
85. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. [http://pc-axis.geostat.ge/Menu.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px\\_db=Database&px\\_type=PX&px\\_language=en](http://pc-axis.geostat.ge/Menu.aspx?rxid=c8ca81e9-2824-4c5b-a46a-c80202913531&px_db=Database&px_type=PX&px_language=en)
86. DWV Agro & Food News. (2016). სოფლის მეურნეობის სიახლეები – საქართველო, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://tech.caucasus.net/GEO/News/DWV-Febr-2016.pdf>, ბოლოს ნანახია: 11.06.2016
87. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს მთავრობის განკარგულება შეღავათიანი აგროკრედიტის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2237341>, ბოლოს ნანახია: 11.06.2016
88. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს მთავრობის განკარგულება მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3178423>, ბოლოს ნანახია: 11.06.2016
89. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს კანონი სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1972742>, ბოლოს ნანახია: 11.06.2016
90. Кононов Д. Е. (2011). Мировой продовольственный кризис: причины и возможные последствия. Политематический сетевой электронный научный журнал Кубанского государственного аграрного университета, №72, Ст. 144-154.

## დანართი

### დანართი 1. სოფელ მთისძირში ჩატარებული კვლევის კითხვარი

#### კითხვარი

#### წინამდებარე ინფორმაცია

- ა) ადგილის დასახელება
- ბ) კითხვარის ნომერი
- გ) ინტერვიუერი
- დ) თარიღი
- ე) საოჯახო მეურნეობის უფროსის სქესი
- ვ) საოჯახო მეურნეობის უფროსის ასაკი
- ზ) საოჯახო მეურნეობის უფროსის გამოცდილება

#### საოჯახო მეურნეობის სტრუქტურა

1. რამდენი წევრისგან შედგება თქვენი საოჯახო მეურნეობა (თქვენი ჩათვლით)?
2. ყურძნის რომელ სახეობას აწარმოებს მეურნეობა? ა) რქაწითელი ბ) საფერავი
3. ყავს თუ არა საოჯახო ბიზნესს მემკვიდრე? ა) დიახ ბ) არა

მონაცემი/წელი	2008	2009	2010	2011	2012	2013
1. რამდენ ჰექტარ მიწის ნაკვეთს ფლობს მეურნეობა?						
2. რამდენია მეურნეობის მფლობელობაში არსებული ვენახის ფართობი?						
3. რა რაოდენობის ყურძენი აწარმოა მეურნეობამ?						
4. რა რაოდენობის ყურძენი ჩააბარა მეურნეობამ ღვინის მწარმოებელ კომპანიას?						
5. რამდენი იყო მეურნეობისთვის კილოგრამ ყურძენზე გადახდილი ფასი (სუბსიდიის გამოკლებით)?						
6. რამდენი იყო სუბსიდია ყურძნის ერთ კილოგრამზე?						
7. რამდენია წლიური დანახარჯი ერთი ჰა ვენახის მოვლაზე						
8. ახალი ნარგავების რაოდენობა						
9. რამდენია შემოსავალი სხვა კულტურების გაყიდვიდან?						